ISSN 0132-6023

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

11

1983

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევოლუციურ საქართველოს

რევოლუციურს, ჯერ არნახულს, ჯერ არგაგონილს..
უდიდესს თავის ნებისყოფით, გმირულს უაღრესს
თვალწინ გადაშლილ გარდატეხათ უდიადეს აზრს,
მრავალი ათას მტკიცე ძაფით დაკავშირებულს;
აღფრთოვანებას მასებისას, მილიარდიან
ძლიერ ტალღებად რომ მიღელავს ახალის ძალით,
უსასტიკესი დაჟინებით რომ ანგრევს კარებს
მილიონების უფართოეს პორიზონტებთან,
ნგრევას, ო, ნგრევას დაუნდობელ ნგრევას ძველისას,
კარჩაკეტილი ცხოვრებიდან — გავიდეთ მზეზე.
ულმობელ ტრიალს ისტორიის მედგარი ბორბლის,
რევოლუციურ საქართველოს,
ნახტომს უდიდესს, უზარმაზარს, განსაცვიფრებელს, —
რევოლუციურს, ჯერ არნახულს, ჯერ არგაგონილს,
ვაშა, ამ ახალ საქართველოს, ვაშა, შენებას!

ვალერიან ტაბიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სისკარი

317
გამოცემის ოცდამეექვსე წელი

11

ნოემბერი
1983
თბილისი
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი

ჯანსუღ ღვინჯილია

სარედაქციო კოლეგია:

გივი ალხაზიშვილი
თედო ბეძეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
გურამ გეგეშიძე
გივი გეგეჭყორი
გიორგი გუგლია
თეიმურაზ დღიაშვილი
მერაბ ელიოზიშვილი
მედეა კახიძე
ჯემალ მარგველიძე
შოთა ნიშნიანიძე
გურამ ფანჯიკიძე
მორის ფოცხიშვილი
ნუგზარ შატაიძე
ავთანდილ ჩხიკვიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
სოსო ცინცაძე
გოგი წერეთელი
ტარიელ ქანტარია
ბაღრი ქრთონელიძე
მაკა ჯოხაძე

შ ი ნ ა ა რ ს ი

პოეზია და პროზა

3. მორის ფოცხიშვილი — ლექსები
6. ოტია იოსელიანი — ნოველები
34. ხუტა გაგუა — ლექსები
37. ენვერ ნიეარაძე — ლექსები
41. მერაბ აბაშიძე — სიტყვა ბეშმარიტი. მოთხრობა
60. თეიმურაზ აბულაძე — ლექსები
64. მანანა კოტბაიძე — ლექსები
66. შოთა ასანიშვილი — მოთხრობები
72. ზაალ ეგაღოლიძე — ლექსები
75. ლალი ყვარელაშვილი — ტელევიზორში ნანახი ფილმი. მოთხრობა
84. კონსტანტინე ამირიძე — ლექსები
87. ჯემალ დოგორჯგინიძე — ლექსები
89. კარლო ტაბაგარაძე — ჭუჩა სკოლასთან. მოთავრდება. მოთხრობა

წერილები

111. ლევ ოზეროვი — შოთა ნიშნიანიძე და მისი პოეზია. თარგმნა გიორგი მაჭუტაძემ
117. როსტომ ჩხეიძე — ზნეიოზრივი მაგალითი
124. აასაი მინდიაშვილი — „სულის სამშობლოს“ ძიებაში
132. მანანა კვაჭანტირაძე — „რატომღაც მინდა, უფრო მოვჭყურდეს“...
139. მურმან თავდიშვილი — სევდით განათებული
142. ავთანდილ არაგული — ხილოვანი, დიდები და პატარები
146. გიორგი ავალიანი — სანანთი — პოეტური შთაგონების წყარო
149. ლალი ცეროცაძე — სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის და ბილოვნება

ახალგაზრდა მეცნიერი „ციცარში“

155. ნინო ჭაჯაია — „შენი სიბერე, სიახლე ორგის“

მორის ფოცხიშვილი

უკანმოუხედავად

შენი დარდი ძილშიც არ მასვენებდა
და მაინც არ მიძებნია სხვა ბედი,
არ მინდოდა შენი განაწყენება,
შენთან დავრჩი, მაგრამ ახლა წავედი.

სამოთხეში სული რომ არ მიძლებდა,
აღარც ეტლით, არც რა ოქროს
კარეტით,
არ მინდოდა შენი გამოღვიძება,
ავდექი და... ფეხაკრეფით წავედი.

იქვის ჩიტი რწმენის სიმს
ათრთოლებდა,
რის აღმასვლა, რა გზა, რა
შეხვედრები, —
არ ვისურვე შენთან გამოთხოვება,
მივდივარ და უკან არ ვიხედები.

დისკო

დრო რომ ფეხზე მეკიდა,
სად დავკარგე ის დრო, —
ცისკრის დისკოტეკიდან
მომაქვს ენების დისკო.

უპირველეს ყოვლისა,
მომაქვს მწუხრის სინით,
ჟინი ერთად ყოფნისა,
ერთად როკვის ჟინი.

გულო, უნდა დაგეუყივლო,
მკან აულგრძელთა მაკნედ, —
თუ აიხლია საჭირო,
აისხლი უნდა გავცეთ!

თუ რისია საჭირო,
ერთად უნდა ვრისკოთ,
ყირაც უნდა გავჭიმოთ...
დისკო! დისკო! დისკო!
ოქროს საწმისს, ცხადია,
ვერ გავატანთ „არგოს“. —
დარდი ისევ დარდია,
ჩანგი ისევ ჩანგობს.

ვისკი ისევ ვისკია,
ტვისტი ისევ ტვისტობს, —
წლებო, რა გიკისრიათ,
ლამის ვერ ცნობთ თვისტომს.

როგორ გამოჩანაგეთ,
გზნება როგორ მიქეთ, —
გულო, პასუხს არ აგებ
არაფერზე იქნებ?

რა სიხარბით ვეხვევით
შუქით სავსე ხის გობს, —
ხელებით და ფეხებით...
დისკო! დისკო! დისკო!

თქვი, ვის ემორჩილები,
ვის აღმერთებ, ვის მტრობ,
ფრჩხილებით და კბილებით...
დისკო! დისკო! დისკო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის დრო, ფრთებს თუ ვერ გაშლი,
წასულია ის დრო, —
სიყრმის დისკოტეკაში
სიბერეზე ვფიქრობთ.

ბუშტენავ, იჭვიი დაჭრილო,
ვეღარავინ გიხსნის.

თუ სისხლია საჭირო,
უნდა გაცეთ სისხლი
თუ რისკია საჭირო,
კიდეც უნდა ვრისკოთ.
შორს, სიკვდილის აჩრდილო, —
დისკო! დისკო! დისკო!

დაჭინება

სულ მტკვარი და სულ იორი,
ოღონდ არა — „სუფლიორი“,
არ ა!
სულ გრეში და სულ გელათი,
ოღონდ არა „ბუმერანგი“.
არ ა!
სეფე სიტყვა, სეფე თანი,
ოღონდ არა „რეგერანსი“.
ა ა ر ა!
ნამდვილ მტერთან ნადი მტრობა,
ოღონდ არა „მეგობრობა“,
ა ر ا!
გული თუნდაც გასკდეს დარდით,
ოღონდ არა „მასკარადი“.
ا ر ا!

წინააღმდეგობა

ოგი ხაბლოდა ყველას,
ზურგს შეაქცევენ
სწორედ ამიტომ.

რადგან ამაღლდა ერთობ,
დაამკირებენ
სწორედ ამიტომ.

ის შეიყვარა ყველამ,
სწორედ ამიტომ
მოიძულებენ.

მაა ახსენებენ ყველგან,
დავიწყებენ
სწორედ ამიტომ.

[redacted]

მაინც რით სჯობს, არ ვიცი.
ეს ახალი იმ ახალს, —
ეს ახალი დაიცდის,
იმ ახალს კი ვინ ნახავს.

ზურგის ქარი, პირქარი.
იცხოვრა თუ იწვალა,
ის ახალი იქ არი,
ეს ახალიც იქ წავა.

„შერეკილები“

ვ წასულა და ვინ მიდის,
ვ გაუშლია ფრთები, —
მე ენაკვალე პრიმიტივს
პრიტიული გზნებით.

მივდოდით და მივედით
და ეს ვარსკვლავებს ვწვდებით
შერეკლების იმედით,
შერეკლების ნებით.

არის აზრი და იდეა,
არც რა თავი და ბოლო,
და თუ მიზნამდე მიდიან,
შერეკილები მხოლოდ.

შერეკილივით ბრიალებს
მზე და ყვავილობს კორდი,
შერეკილებო, იარეთ!
შერეკილებო, სწორდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მწვალებლური გალობა

თავს დაგჩხავის თითქოს ვიღაც.
ხედავ, ბოლო მოგეღო. —
ჩუმად უნდა ყოფილიყავ
და ნმა არ ამოგეღო.

მიწა უშენოდაც ბრუნავს.
მზეც უშენოდ ამოდია,
შენთვის უნდა გეეღურტულა
გალიაში გამოზრდილს.

იწყები და არ ილევი
და სათქმელაკ არ ილევ.
გ ა ლ ი ლ ე ი!
გ ა ლ ი ლ ე ი!!!
გალი...
გალი...
გა... ლი... ლე...

დინოზავრის ნაკვალევი

პეტრე ჭაბუკიანის დინოზავრი, ვხედავ,
მაშინ კი არ მომკვდარა, აი ახლა კვდება!
ირევიან კითხვები, ნეტა, რატომ ჯავრობ,
ვის ნაკვალევს მიჰყვები, თავად დიდო მგზავრო?!

ვაი, რაც შენ იარე, იფიქრე თუ სწერე,
ნეტა, ვინ აღიარებს, ამ ცოტა ხნის მერე?!
ვინ ეურდნობა მოაჯირს, აზრს ვინ მიგდებს ბანზე. —
ნეტა ვინ აღმოაჩენს შენს ნაკვალევა ხვალ-ზეგ?!

არა დინოზავრებით, არც ცოსმიურ მტვერით,
შენიანთანა მგზავრებით იამაყებს ერი.
წყალწითელა ხმაურობს, გულს იოხებს მღვიმე. —
ნუ დაჰკარგავ, მამულო, ვიფაცების იმედს!

როგორც ჭითი და როგორც ამბავი

სიკვდილის შემდეგ
პოეტს, რომელსაც
ლექსი არ რჩება
დაუსტამბავი,
მე დამაეჭვებს მისი მგოსნობა,
როგორც ჭითი და
როგორც ამბავი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოტია იოსელიანი

ნოველები

ჩემი თეატრი

1960 წელს ჩემი ნოველების წიგნი გამოვიდა (მანამდე საბავშვო მოთხრობების კრებული მქონდა გამოცემული). სერგო ზაქარიაძეს წაეკითხა და ჩემი გაცნობა მოინდომა. ერთი რომ ამხედდამხედა, ეს კი მკითხა: შენ დაწერეო?

მხრები ავიწურე და თავი დავუქნიე.

ამ ნოველებში ისეთი დიალოგებია, ამის დამწერი პიესას დაწერდაო.

ბატონო სერგო, დიალოგები რას მიშველის, თეატრში ორჯეროკ არა ვარ ნამყოფი-მეთქი, ვუთხარი, — მაგრამ არ იყო მართალი, მას აქეთ სინდისი მქენჯნის...

თბილისში და ქუთაისში არა, მაგრამ სოფელში მქონდა „ჩემი თეატრი" და მყავდა ჩემი მსახიობი და რეჟისორი — ჭუკა შვანგრაიე.

ის და მისი და ბებიამ გაზარდა. ჩვენგან შორს, მთლად სოფლის ბოლოში ცხოვრობდნენ. მექმეშეებს ეძახდა ,ბებიაჩემი იმ უბანს (ასე ეძახდნენ, თორემ მე მექმეშე კი არა, ქოშიანიც არავინ მინახავს). ჭუკა ჩემზე უფროსი იყო, თანაც, როგორც ვთქვი, მოშორებით სახლობდნენ და მისი ბავშვობისა არაფერი ვიცი. ქუთაისში ემუშავა ერთხანს, თეატრში. თურმე, რაიმე ეპიზოდური როლია თამაშიც კი ვერ მოასწრო, ფილტვების სისუსტით დაავადებულიყო (მოგეხსენებათ, მაშინ რა თავზარდამცემი იყო ეს ავადმყოფობა) და ისევ სოფელს დაუბრუნდა.

უკვე სცენის მტვერნაყლაპი და „მოწამლული" ჭუკა ჩვენი კლუბის გამგედ მუშაობდა. გამგედ, თორემ, მე შენ ვეტყვი, სხვა ვინმე გააჩნდა საგამგებლო და საუფროსო. გამგეც თვითონ იყო, მოადგილეც, მსახიობიც, მხატვარიც და ყველაფერი, ვინც კი „თეატრს" სჭირდებოდა.

ჩვენი კლუბი სოფლსაბჭოს შენობაში იყო. ეს ძველი, ოთხოთახიანი ხის ოდა, ერთ დროს ქვითკირის პალატზე წამოედგათ და მაღლა საბჭო და ფოსტა ნოეთავსებინათ, ქვეკით — კლუბი და ბიბლიოთეკა.

ბიბლიოთეკას ორი მომცრო ოთახი ეჭირა. კლუბს მოზრდილა „დარბაზი" სცენით, რა თქმა უნდა.

სკენიდან კარი პირდაპირ ეზოში გადიოდა და თუ შიგნით სივიწროვე სულს გხდიდა, კულისებად მეზობლების ეზოებიც რომ მოგენდომებინა, არავინ დაგიშლიდა.

„დარბაზის" შუაგულში ბოძი იდგა,

ბოძზე ძველი რელსი იდო ზემო სართულის ხის იატაკის საწყლურად, ქილიშებს (ქვედა იატაკის კოჭებს) იკავებდა. „დარბაზს“ დაშლილი, აგურის ოღროჩოღრო იატაკი ჰქონდა და გრძელი, უზურგო ფილკამები იდგა. სცენა მავთულებზე „ზორტებით“ ჩამობმული, ერთმანეთზე გადაკერებული ნალოზუნგარი წითელი ფარდა ფარავდა.

აი, აქ დაიწყო ჭუკას თეატრალური შემოქმედება და აქ „გაშალა“ ფრთები მისმა ჭეშმარიტმა რეჟისორულმა და მსახიობურმა ნიჭმა. ერთი დღე არ უცხოვრია მას თავისი „თეატრი“ გარეშე და არავის აამქეყნად მისთვის სიტყვიერი მადლობაც არ უთქვამს იმ საქმისათვის, რასაც მთელი სიცოცხლე შესწირა.

მისთვის ახვა ცხოვრება და სიცოცხლე არ არსებობდა. არც სახლი იცოდა, არც კარი, არც ეზო, არც გარემო. ბოლოს, კოლ-შვილს რომ მოეკიდა, ვერც ოჯახს გაართვა თავი... დაიბადა და ცხოვრობდა აცენსისათვის. ჩვენ გვეამოდა მისი ნიჭისა და თავგანწირვისა, თორემ, ის თავისას აკეთებდა. აკეთებდა მთელი ორსებით და არა იყო რა ამა ქვეყნად სხვა რამ მისი, თუნდაც დროებითი გატაკების საგანი, ან საჭიროებია და აუცილებლობის გამო ახვა საქმით გამოთიშვა (მერე სოფლიდან სადღაც წავიდა, ქუთაისში, მგონი, დახლში მუშაობდაო და, დარწმუნებული ვარ, ბოლოსაკ ის ძოუღებდა. ის რომ აკენაზე ყოფილიყო, ახლაკ კოცხალი იქნებოდა და კიდევ დიდხანს იცოცხლებდა).

კეთილშობილი ბიჭი იყო, ალალი და გულაჯწყალი. ცხოვრებაში გზაბნეული და სცენაზე მარტო თავისი კი არა, უბრი ახალი ბიჭების გზამკვლევი.

ეს ჩვენი სათემო, და ამ თემის კიდევ ს�ი პატარა სოფელი იყო ჭუკას ასპარეზი. აქ დაიწყო მისი მსახიობურ-რეჟისორული, მხატვრულ-მუსიკალური მრავალმხრივი ნიჭის „დიდება“ და ისე დამთავრდა, რაიონულ გაზეთშიც კი არსად ერთი სიტყვა არ დაწერილა.

შესაშური უანგარობით და ეშფოფლებით, თვითშეწირვით და ერგიულობით ყოფილებით დგამდა და დგამდა პიესებს, ერთი მუჭა მაყურებლის ტაშის საფასურად.

ახლაც თვალწინ მიდგას მისი „ნაცარქექია“. „ყვარყვარე თუთაბერი“ და „ქამთამბერის ასული“.

აფსუს, რომ ჭუკა პროფესიონალთაგან არავის უნახავს და ჩვენ რა ვიცოდით, რა ოქროს და განძის პატრონი ვიყავით.

თუმცა რატომ არა?..

მაშინდელი სათემო კლუბი რა იყო. უკეე მოგეხსენებათ და იმ პატარა სოფლებისა რა იქნებოდა... კლუბები კი არა, იმ სამიდან, მოგვიანებით, ერთში — გუბისწყალზე იყო პაწაწინა ბიბლიოთეკა და ისიც მოსახლისას დაქირავებულ ერთ ოთახში. მაგრამ ჰქონდათ პატარ-პატარა სკოლები. გუბისწყლის სკოლის ოდა-სახლს ორი მეტრის სიგანის აივანი ჰქონდა. სიგრძე ბარე ათი მეტრი კი ექნებოდა, მაგრამ ორივე მხარეზე „ჩამოეკრათ“ სამასწავლებლოდ და სკოლის დირექტორის კაბინეტად. შუაში რჩებოდა, ალბათ, დიდი-დიდი, რვა-ცხრა კვადრატული მეტრი ფართობი და საგასტროლოდ ჩამოსული „თეატრი“ რომ მოაჯირს მოხსნიდა, გადაიქცეოდა სცენად, რომელიც ერთი მეტრის სიმაღლედან გადაეკქეროდა ეზოს.

საღამოს ეზოში სკოლის მერხები ჩამოჰქონდათ და შენი სკამის ნომრის პოვნა გაგიჭირდებოდა, თორემ წარმოდგენასაც ნახავდი და იმ ღამეს ძნელად შესალევ ბავშვობასაც დაიბრუნებდი.

იქაურები ხომ დიდიან-პატარიანად მოიყრიდნენ თავს, ვასო კიკნაძე, (ახლა ცნობილი თეატრალური კრიტიკოსი), მდინარის გაღმა ახალშენიდან თანასოფლელებთან ერთად, მუხლამდე წყალში ოჩოფეხებით გამოდიოდა.

ოგნა იოსელიანი
ნოველისტი

სკოლის ეზო ეზოდ იყო ძალიან პატარა, თორემ „დარბაზად“ სრული ჩანდა. ჭიშკარი საბილეთო სალაროც იყო და სადარბაზო კარიც. სცენაზე ორი სკამი იდგა (თუნდაც ათი ყოფილიყო დრამატურგიულად გამიზნული) და ერთი პატარა მაგიდა. „ნაცარქექიას“ დევებიც იმ მაგიდას უსხდნენ და „ყამთაბერის“ მეფეც. ანთებდნენ ერთ ლამპას (პიესის მიზედვით შუადღე იყო, თუ შუაღამე), გაიკიდებოდა სვეტებს და კაბინეტებს შორის ის ნალოზუნგარი წითელი ფარდა. კულისებად პირველი და მეოთხე კლასები იყო (ორივეში შედიოდა კარი აივნიდან). დაარაწკუნებდა ჭუკა პატარა მაგიდის ზარს: ერთხელ... ორჯერ... სამჯერ და იწყებოდა წარმოდგენა.

აი, ასეთ „თეატრში“ ქმნიდა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ჭუკა ისეთ სახეებს, რომელიც ჩემი ხსოვნიდან არ წაშლილა და არც წაიშლება.

ვითომ რაო?..

გაუთვითცნობიერებელი ბავშვის პირველი აღქმა იყოო და იმიტომ?

რამდენი რამ გვეგონა ბავშვობაში გასაკვირი და მომხიბვლელი, თუმცა, მერე სხვა, უკეთესი რომ გვინახავს, ის კი არ დაგვიწყია, უკეთესი უკეთესად მიგვიჩნევია მაგრამ ის როდი გვითქვამს, რაკი ის პირველი იყო, ამიტომ ქვეყნის უკეთესიც უნდა ყოფილიყოო.

არა, ჭუკა შემოქმედი გახლდათ და ,ხალტურა“ არ იცოდა, რა იყო. მას ეს ოთხი „სცენა“ ჰქონდა და მისი დადგმაც ოთხ ღამეს სრულდებოდა. აქ რომ არ ეცხოვრა და გული და სული როლში არ ჩაედო, სხვა საცხოვრისი მას არ გააჩნდა. სად, რისთვის და ვისთვის ეარსება?

სოფელში კი არა, დიდ, ცივილიზებულ ქალაქებში მინახავს და ჩემი ყურით გამიგონია, მაყურებელი ბუტაფორიას როგორ გაატრიზავებს ზოლმე და ჩაიქრქილებს: „ვითომ მართალ დაისხა და დალია“, „ვითომ მართლა ხანჯალი იყოს“ (არადა, ზოგჯერ მართალია); „ვითომ მართლა მოკლა“ და „ვითომ მართლა მოკვდა“.

ჭუკა, დამეთანხმებით, რეკვიზიტებზე ხელმოკლედ იყო: ჩოხა-ახალუხს, ფაფალახს, ქამარ-ხანჯალს, ბუხრის ქედს და წუღა-მესტებს სოფელში ხანდახან ,ეკაკებისაგან თუ ინთხრეებდა“ ,ინ,ეკოპსაც იშოვიდა და რაიმე აუცილებელ რეკვიზიტსაც, თუ სოფელში მოიძებნებოდა. მოგეხსენებათ, სოფელში კეცი აკია, ქოთანიც და ქვიჯა-ქვასანყიც, მაგრამ ჩვეულებრივი. „ნაცარქექიაში“ კი დევის კეცია საჭირო. სადა აქვს ჭუკას იმოდენა კეცი, ცეცხლზე მიფიცხებული ნაცარქექია შებრუნებას რომ დაუპირებს და წაიქცევა; ისეთი კეცი, კაკი დაიტანოს და ისიც გახურებულს ვერ გამოუძვერეს, სანამ დევი არ შემოუსწრებს და არ გადაარჩენს.

ფირფიცარი აქვს ჭუკას კეცად, ასე, წელამდე რომ მისწვდება, ნაჯახით შემომრგვალებული (ამ დროს სკამებს და მაგიდას ერთ ყურეში მიდგამდნენ) და ეს „კეცია“ ,ოხშეყუდებული“ და „ცეცხლზე“ მიფიცხებული. ფირფიცარი შეღებილი ხომ არაა და არაა, კვამლით გალანჯული და გამურული მაინც იყოს.

შენ ხომ უნდა იქცე და იქცე ნაცარქექიად, ეს თეორი ფირფიცარი როგორ უნდა აქციო დევის კეცად, — „გაახურო“ და მას ქვეშ „გაისრისო“ ისე რომ სკოლის ეზოში, მსხლისა და ბალის ძირებში დაყუდებულმა მაყურებელმა არ დაგცინოს და არ გისტვინოს.

ჭუკა ახერხებდა ამას და სანამ ის ბლეყუ, მოუქნელი, ზოზობოსა დევი შემობრუნდებოდა და დაინახავდა, მანამდე ჩვენც გვწვავდა ეს დევის ცხელი კეცი და სანამ დევი „აგვაცლიდა“, სულიც გვხვდებოდა.

„ყამთაბერის“ მეფეს კი ურჩევდა სოფელში რაც უკეთესი ჩოხა-ახალუხი მოიძებნებოდა და წელზე ვერცხლის ქამარ-ხანჯალს არტყამდა, მაგრამ მეფის ოქროს გვირგვინი გვეჭირდა ჩვენს სოფელში ნამეტანი. არადა, კაპიკი იყო ამ უგვირგვინო მეფის ფასი. დაახვევ თავზე რაიმე ნალოზუნგარ წითელ ნაჭერს და ჩოხიანი ხონთქარი გამოგივა, ან შაპინშაჰი.

მუყაო უნდა გამოჭრა, გოგირდით

უნდა გათითხნო და გვირგვინად აქციო. მაგრამ სკენაცა და მაყურებელს შორის რომ ორკესტრის ორმო გვქონდეს კიდევ პო, პირველი სკამი კია სცენიდან ისე დაშორებული, კაცმა ჩაიაროს, მაგრამ, თქვენ ის თქვით, უადგილო ბავშვებს ნიკაპი ორი მეტრის სიგანის სცენის კიდეზე რომ გვაქვს ჩამოდებული, რაფაელის „სიქსტის მადონას“ ოქროს გვირგვინში რომ ვერ ცახლი იყოს გარეული, იმას გამოვარჩევთ უარქიმედოდ.

არ გინდა, ჭუკა შვანგირაძე, გოგირდით შეღებილი მუყაოს გვირგვინით მეფობა?

და თქვენ რა გგონიათ, თავიდან თუ იქედნურ ღიმილს იწვევდა მეფის დიდებულება, იწყებდა ჭუკა „ხელმწიფობას“ და მუყაოს ოქროდ აქცევდა... შეჭირვებულს რომ აღმოხდებოდა: რა პატარა ხარ, ჩემო სამშობლო, და რამოდენა მსხვერპლს მოითხოვო, მას აქეთ ვიცი, საქართველოში რა ძმიმე იყო მეფის გვირგვინი.

ეელესია დაარბიეს იმ წლებში ულერთოდ. იატაკის ფართო ფილაქნები წისქვილის სათავეში ჩაყარეს, შენობა საწყობად მოინდომეს და ხატები და შანდლები ჭუკამ აბოკა საფლავებზე. კარგი საქმე გვიქნია იმ დროის ათეისტურმა მოძრაობამ. განსაკუთრებით მოდელის სადღესასწაულო ანაფორამ. ჩვენი თეატრის მდგელი კი არა, ხელმწიფეც რომ ვერ დაიწუნებდა. საჭიროებისამებრ მას სცენაზე აღმოსავლური ჩაცმულობის და კოლორიტის შესაქმნელადაც ეიყენებდით. „ყვარყვარე თუთაბერში“ წისქვილში რომ თურქი იმალება, ის ანაფორით იყო შემოსილი და ყვარყვარე რომ კაკუტას და ქუჩარას ამარცვინებს და თვითონ ითვისებს, ის „განაი“ მოდელის ყვითელი ანაფორა გახლდათ.

ჭუკას ყვარყვარეები ახლაც რამდენი მხვდება და იმწამსვე დედამამშვილივით ვცნობ.

კინომ შემოუტია ჩვენს თეატრს და შეგვაიწროვა. შეგვაიწროვა ფიზიკურადაც. ჩვენ „დარბაზს“, ისედაც რომ თავი ჭერზე გვქონდა მიჭერილი, საპროექტიო აპარატურისათვის მორჩილი ოთახის ტოლა ჯიხური ჩამოაჭრეს (სახანძრო თვალსაზრისით, ფარა ცეცხლი არ წაეკიდოსო და თუ [illegible] ინც, კინომექანიკოსი ჯანდაბას, მაყურებელი არ ამოიბუგოსო.

თავიდან, იმ „უკონფლიქტობის“ დროინდელმა კინოსურათებმა ბევრი ვერაფერი დააკლო ჭუკას შექმნილ მართალ სპექტაკლებს. კი ვუყურებდით ფილმების პირმორღვეულ გმირებს, რომ ეგონათ, ბედნიერი ხალხი მხოლოდ უნდა იცინოდეს და მღეროდესო. მერე კი, სოფელში ბიჭები ათვალწუნებით იკრიჭებოდნენ...

გასაკვირი არ იყო?.. ერთი ფილმის დაგვიანებულმა სასიძომ, დაწყებიდან დამთავრებამდე, ვერ უთხრა ქალს მიყვარხარო. არადა, ყველანაირად ჰქონდა საქმე აწყობილი. მარტო მას კი არა, მთელ სოფელ-ქვეყანას. გალობდნენ, ლაღობდნენ, მარტო განებივრებული ახალგაზრდები კი არა, შვიდშვილიანი კაცებიც კი (ამ დროს ჩვენ, ბავშვებს, ჭინჭის ბურთი გვენატრებოდა).

რას ინატრებ ამქვეყნად, სულო და გულო, მაგრამ, რად გინდა... ერთ თანასოფლელს შეაგვინდა ცოლის შერთვა... და დიდი და პატარა, ბებერი და ბალღი, თავმჯდომარე და ბრიგადირი, მეზობელი და „ოფერშპე“, მრავალშვილიანი და უშვილძირო დასდევდა, უსაფრდებოდა, უყრავდა გზას სასიძოს, იქნება როგორმე ეს ერთადერთი თავსატეხი „პრობლემა“ გადაეწყვიტა და ეთქვა, მიყვარხარო...

ისეც ხდებოდა: ორი სვებედნიერი და აყვავებულ-აღზევებული მეზობელი „გადაეკიდებოდა“ ერთმანეთს, არა მე ვარ შენზე მდიდარი და, არა მეო. არადა, ეს ორი ჩირვეულობდა, თორემ ყველას თავსაყრელად ჰქონდა ქონება. და ერთი ტანჯს ყიდულობდა ჩუმად, ამ „მტერი“ მეზობლის შვილისთვის. მამამისს თავს მოვეჩარო და მეორე — თვითმფრინავს (მოგეხსენებათ, ომის

ოგნია იოსელიანი
ნოველისტი

დროს ტანკი და თვითმფრინავი საჭირო). მღეროდნენ ამაზე, იცინოდნენ, ოხუნჯობდნენ ეს სვეტდნიერი კოლმეურნეები და აწყდებოდნენ ერთმანეთს.

ჩვენც ვიცინოდით, რაღა თქმა უნდა... მაგრამ დიდხანს ვერა, მთელი დღე ყანაში და ჩაის პლანტაციებში ნაწვალებ უვახშმო ხალხს, ყველაფერი-ყველაფერი, მაგრამ სიცილი გვიჭირდა.

ომის ფილმები იყო და, წყდებოდნენ, იფუფქებოდნენ გერმანელები და ჩვენი არწივები იცინოდნენ.

ჭუკას ასეთები ვერაფერს დააკლებდა (მახსოვს, „დაკარგული სამოთხის“ ნახვის შემდეგ დადიოდა დიდხანს ჩაფიქრებული), მაგრამ ომის დამთავრებამდა გამარჯვებამ დაამარცხა, ზოგიერთმა ნაალაფარმა ფილმმა შეურყია „ტახტი“ და შემოახია ტახნე „სამეფო“ „ანაფორა“. „თეატრის“ შენობაც ნამეტანი შეილანძა. როდის დაეკეთმოდა თავზე, არ იცოდა. მოგვიანებით ააშენეს ახალი კლუბ-კინტორა, მაგრამ დარბაზი თავმჯდომარის კაბინეტის ქვეშით დაატანეს (პირველ სართულზე). თავზე კოლექტივის მესვეურები ისხდნენ. მთელი დღე ხალხი ფარეთობებში იყო, საღამოს იკრიბებოდა გამგეობა და ბჭობდა ჭირნახულის მოსავლიანობაზე, გეგმებზე და რაიონიდან დაცცახანებულებს, ზოგჯერ ერთი ფრაზის გაშიფვრისას შემოაშუალმდებოდათ. ქვევით კლუბში სართულებს ხის იატაკი ჰყოფდა, ჭუკას რომ „ეარტისტა“ და ზევით რაიმე შეშლოდათ? ამას ვერ დაუშვებდნენ. წელიწადში ერთხელ თუ საერთო კრებას მოიწვევდნენ, თორემ იყო ახალი კლუბი გამოკეტილი. იმ კედლებდაბზარული, ჩამოფხაჟებულ ძველში ებრძოდა გულ და ფილტვებდაბზარული ჭუკა თავისი „თეატრით“, მარტო საბჭოურს კი არა, მსოფლიოს კინოხელოვნებას.

რაღა თქმა უნდა, გაუჭირდა. ნამეტანი გაუჭირდა. ეს „მსახიობებიც“, რომ გაზრდი, რაღაცა სულს ჩაპბერავ და სცენაზე გასვლას ასწავლი, აქ, სოფელში რომ დაჯდეს და კოლექტივს მიაჩერდეს, არც ეს უნდა, დაპკრავენ ამ სცენაზე ადგმულ ფეხს და ან [illegible] და ინსტიტუტში გარბის, ან სამუშაოს ქალაქში ეძებს. ქალებსაც ხომ იაპონური ეროვნული თეატრითი, ბიჭები თამაშობენ. გოგოები რომ სცენაზე აიყვანო, გადაეხვიო და კოცნო, არ გინდა სცენიდან ძირს ფეხი ჩამოდგა? არადა, თუ როლი მოითხოვს, ჭუკას ღალატი არ შეუძლია, სიყალბეს ვერ ჩაიდენს! აქაც რამოდენა ოსტატობა გვჭირდება, ბიჭი-ოფელია დაარწმუნო დ მონასტერში მონაზვნად აღკვეცო, ბერად რომ იყოს, კიდევ ჰო.

წავიდა ჩვენი „თეატრის“ საქმე უკეღმა. ჭუკას, დარდზე დანა კბილს არ უხსნის და თუ რაიმე იშოვა, დალევს, ამა რას იზამს. ბოდმით გულგასივებულ მთვრალს, მთელი ღამეები რომ თვალს ვერ ხუჭავდა, სასადილოს წინ, ბეოლის ძირას ჩაეთვლინა. სოფლის კვიმატ ბიჭებს მძინარისათვის მაზუთით ულვაშები დაეხატათ. ნამეტანი გლახა მოსაცილებელია მაზუთი...

იჯავრა. მაზუთის და კუპრის წასასმელი არაფერი დაუშავებია ქვეყნისათვის. დარწმუნებული ვარ, იმ კვიმატმა ბიჭებმა ბოროტი განზრახვით როდი ჩაიდინეს: ვითომ, შენ მსახიობი ხარ და, ასეთ რამეზე, რომ გაიღვიძე, გაგეცინებათ.

მას მერე არ გაუცინია ჭუკა შვანგირაძეს...

არადა, სცენაზე რა იუმორის პატრონი იყო და რა გადამდები სიცილი იცოდა!..

მაინც ვერ ვამტყუნებ იმ მაკვარანცხ ბიჭ-ბუჭებს, მეც რომ არ გავცილებოდი ჩემს სოფელს, რაღაც-რაღაცები არ მენახა, ბოლოს სერგო ზაქარიაძის რჩევით და მხარდაჭერით არ გავდრამატურგებულიყავი, ვეჭვობ, მცოდნოდა ჭუკას მსახიობური ნიჭის ნამდვილი ფასი (ახლაც, ვიცი თუ არა, საკითხავია). მაგრამ რომ მივიხედ-მოვიხედე,

შეეხვდი არც ისე ხელწამოსაკრავ არტისტებს და რეჟისორებს, ვნახე მათი „საქმე ქმნილი“ და მოხიბლული მაყურებელი...

ერიჰაა!.. როგორ გავბედო ამის თქმა, თორემ ბევრი ამის ტოლფასი და არანაკლები მინახავს. უკრავს ხალხი ტაშს და მე თავს ჯორივით ვიქნევ. ვის მოეწონება სოფლური ტატის ასეთი საქციელი. ქალაქნებით თეატრში შემოგიშვებს, ზოგჯერ ლოჟაშიაც კი წამოგასკუპებს, შენ აგიღია თავი და ურწმუნო თომასავით აქიცინებ. აი, რას ნიშნავს უგნურს და უვიცს რომ თავის ადგილს არ მიუჩენ...

რუსთაველის თეატრში ჩემს პირველ პიესას ვდგამდით, ზოგჯერ მეც ვესწრებოდი რეპეტიციებს. ერთხელ, ერთ-ერთ სცენაში მინგოს ცოლი, მართა ბუბრის წინ მატყლს ჩეჩავს. საჩეჩელიც გვაქვს, ბუბარიც, მართაც გვყავს და მატყლიც, მაგრამ ჩეჩვა არ გამოდის... მაშინ იყო, ჩემს გვერდით ჩამომჯდარ ბატონ სერგოს რომ გადავულაპარაკე:

— ეს რომ ჭუკამ დაინახოს, ყველა დაგვწყვიტავს-მეთქი.

— ვინაა, ბიჭო, ეს ჭუკა ასე დაუზოგავი...

— ჭუკა, ბატონო სერგო, მსახიობია, რეჟისორი, მხატვარი, მუსიკოსი, რეკეზიტი... ჭუკაივ შვანგირაძეა...

— მაგი ყოფილა, რაც ყოფილა და მე არ ვიცი?..

— არა, ბატონო სერგო, შენ ბევრი რამ იცი, რაზეც მე წარმოდგენაც არა მაქვს, მაგრამ ის არა... ჭუკა მარტო მე ვიცი...

შეეხტი სცენაზე, მოვირთხი ფეხი ბუბრის წინ „სოხანეზზ“. მუხლებქვეშ საჩეჩელის ტერფები მოვიქცევ, კბილებზე ერთი საფთილე მატყლი ჩამოვაგე და ვწუწავ, ორივე მხარეზე ბეწვაბეწვა ვაბდღვნი, ვაცლი... ამ ორივე მუჭა ნაწეწს დავადებ ერთმანეთზე, ჩამოვაგებ ისევ ორმწყრივ მახათის სიგრძე კბილებზე ვაცლი გრძელ ბეწვს, მოკლეს, რაც არ გამომყვება, ნაგულად, კბილების მწკრივებშორის ვტოვებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავჩეჩე, გავაფუმფფულ, ამოვუფი მუჭას გადმორჩენილი ნაწეწი საჩეჩლის ფერდებს, ჩავუკეცე გრძელი ბეწვი, შეეატყუპე და ფთილა წვივსა და ბარძაყსშუა, მოკეცილი მუხლის ქვეშ მოვიქცევ, რომ დაიტკეცოს და დართვამდე არ დაიფანტოს...

— მავანი რას არ იტყვის, იქნებ მითხრას, მაგას მსახიობი და რეჟისორი რად უნდოდა, მატყლის ჩეჩვას ბებიაშენი გასწავლიდაო. არიან ენაკვიმატები, ბებიაჩეშს კი არა, იუმორისათვის ბებიამისს არ დაინდობენ. ალბათ ასეცაა, მაგრამ ყველა მსახიობი სცენაზე ვეჭ „ბარავს“ და „თოხნის“. არადა, მათ ბაბუებს ბარავ და თოხნა არ ეშლებოდათ და ბებიებს ჩეჩვა-დართვა, თუმცა არც საადუმლოდ შეუნახავთ და „გასაღები“ მიწაში არ ჩაუტანიათ.

მოსკოვის სამხატვრო თეატრში „სანამ ურემი გადაბრუნდება“ თარხანოვმა დადგა. მთავარი რეჟისორი — ეფრემოვი, პარალელურად „ოთელა ბრუნეონზე“ მუშაობდა. მანამდე არ ეცალა და გენერალურის წინ ჩემი პიესის დადგმა ერთად ვნახეთ.

ბევრი რამ არ მოგვეწონა, მაგრამ დეკემბერი მიწურული იყო, სპექტაკლი გეგმით უნდა გამოეშვით და მთხოვა: ახლა გავუშვათ და მერე მე მაცალე, ყველაფერს თვითონ გავაკეთებო.

თამბაქო გავაბოლე, მხრები ავიჩეჩე და თავი გადავაქნიე: მე კი, ბატონო, მაგრამ ეს ჭუკა შვანგირაძემ რომ ნახოს, რა პასუხს აძლევთ-მეთქი!

ეფრემოვს არ უთქვამს ამოდენა რეჟისორი და მსახიობი ვინაა, მე რომ არ ვიცნობო. იფიქრა, საქართველოში ალბათ ჰყავთ ვიღაც ისეთი, ვინც, სხვას თუ არა, ამ ავტორს საზომ-სამანად მიაჩნიაო.

გინდ მიძრახეთ და გინდ არა, უნდა გამოგიტყდეთ... მე კი.

ოტია იოსელიანი
ნოველისტი

ალიბა ნაბავდა და ძროხა დაბერა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედად, გუბისწყლის ოთხწლიანი, დაწყებითი სკოლა რომ დავამთავრე, იმავე წელიწადს გადაკეთდა არასრულად — შვიდ კლასად და სწავლა იქვე გავაგრძელე. საშუალო არც ჩემს სოფელშია. უნდა გადმოვიდე გვიშტიბში, ბებიასთან და იქიდან ვიარო წყალტუბოში. ასეც ვქენი. კი ხუთი ვერსი დილით უნდა გავიარო, ამდენივე — ნაშუადღევს (ჩემი ძმა ერთი წლით უმცროსია, ჯერ კიდევ მამიდასთანაა).

არ გამოვა ასე საქმე. სადღაც, ივნისში, გაბელთილ და ჟოლტამად წასულ ნაყანევს რომ დაკანჭავ, ბელტიბში და გოროხებში თესლს ჩაყრი და ორჯერ გადაჩოკნი, სთვლამდე კვიე ტარო ან ასწრებს გულის ჩადებას, ან არა. შემოა დგომიდანვე უნდა ვიღონო რაღაცა. კარზე რომ ხვნა-თესვა მოგადგება, მერე რას გაზდები.

დედაჩემი აქ აღარაა. იქით ჩვენ არ მივყვებით. ჩხუბობს, კიევს, წივის, ჩივის სასამართლოში: მუღმა შვილები წამართვაო. სასამართლო ჩვენ გვეკითხება. ჩვენ ქვას ვაგდებთ, თავს ვუშვერთ: არც მაგისთანა დედა გვინდა, თუ მამიდა არ გვინდომებს, არც ის. გვყავს ბებია, გვაქვს მამისსეულობა და ჩვენი საქმისა ჩვენ ვიცითო.

დედას ქმარი და გერები ჰყავს. აქეთ როგორღა დაგიჯდება. ჩამორბის მაინც საწყალი, რაღაცას ჩამოგვიტანს: ლობიოს, ჩაჩეს, ჩითის საპერანგეებს. ჩვენ წარბს არ ვუმართავთ. შეიშალა ქალი.

ჩვენი საქმისა ჩვენ კი ვიცით, მაგრამ ამას როგორი ხელის გამოღება უნდა?

ოდა-სახლი ძველისძველია, დარკილული წიფლის. დასავლეთის კედელი წვიმამ დაბრიცა და დაალპო. სახუთავი ჩამოცხავდა. სადაა საყავრე ხე-ტყე ან ყავარს ვიღა ხდის. ოთახებს ჭერიც არა აქვს, წვიმისაგან თუ არა, ღამით მთვარისაგან მაინც დაგვიფაროს. წაუთა სარს წვერი და ჩაინგრა მესრის ღობეები. მესერს მუხის, წაპლის ან მწიფე აკაციის სარი უნდა, სადაა...

ძროხას ბაგა უნდა და არის ძველი ჭერი, ხამზადის კუთხეში დავაგებ, მაგრამ ჩალაც არაა სამყოფი. რაღაცა ორი კაკალა ქათამი გვყავს, ხეებზე იბუდრებენ, როგორც აცივდება, კვერცნის დებას მიატოვებენ. ხის გვიმია ჩანგრეული, ცხრა საენიან ჭიდან წყალს იღებ, ეხეთქება სათლი კედლებს, გავარდა ფსკერი, მითხლიშინობს წყალი, ნახევარი არ ამოგაყვება. ბოსტანი შემოირღვა და შემოიტრამა... რა ვქნა, რას გავწვდე, რა ვიღონო... მთელი ღამე დამდევს მთვარე, ვემალები და ვფიქნებთ ასე კუკუმალულობიას „თამაშში“. თუ მთვარე დავაჯაბშმებულია, ან გადაბრუნებული, ვითვლი ვარსკვლავებს (იმ წლებში მართლა კარგად ვსწავლობდი ალგებრა-გეომეტრიას და ჩემი პოეზიისადმი დიდი სიყვარულიც იქიდან დაიწყო. პროზას სახუთავიც ჩამოლპობამდე და მოგვიანებით, რომ გადავზურეთ და ჭერი ავკარით, მაშინ ვეტანებოდი). იმ ვარსკვლავთმრიცხველობის დროს ჩამივარდა ხელში ერთი კვირით ადროსკვლური პოეზია. გადავწერე (ეოტდა მაკლდა, რომ სკოლის მეგობარს, ვახტანგ მეფარიშვილს, მამამისს წოგნებში ეპოვა და მაჩუქა).

ვისაც ხელში ნახევარი პური აქვს
და თავისთვის დასაჯდომი ყური
აქვს,
არც მონა ჰყავს და არც სხვას
ემონება,
იმას ქვეყნად რაღა დასაშდური
აქვს...

კი მარიგებს, ბებიაჩემივით, ომარ ხაიამი, მაგრამ არც „ნახევარი პური“ მაქვს და არც „თავისთვის დასაჯდომი ყური“, თორემ, ვინ მამაძაღლი დაემდურება ქვეყანას და წუთისოფელს.

არა, ჯერ „ნახევარი პურის“ საქმე უნდა გავახერხო რაღაცა.

დროა, ძმამაც აიღოს ხელში ბარი.

უნდა შეკუბგადგ ეზოს გულდაგულ დაკუმაკვებას. ბარი და ცული ძმაძეა. ზოწიფულ უკეთს ამ იარაღებით ბანგალეზიად შრომა. ყოველ წელიწადს. სალოსტნე ადგილის და. ვენახის გადაბარვა კაცისთვისაც ძნელია.

მოყანებულია ჩვენი ეზოს მიწა. ამდენი ხნის ღრმად დაუმუშავებელი და სარეველებისგან დაბინყვებული. უნდა გადაბრუნდეს ღრმად. ყოველი ბელტი უნდა ამოტრიალდეს და ზედაპირი ქვეშ მოექცეს. გაჭარის. გაშრეს. აწვიმოს. თოვოს. წყაროსა და დამუშავდეს. დაფუჩჩულდეს. ღრმა კვლები უნდა. რომ ეს წყალგაუმტარი თესლმიწა აყალო ფოდეს და გული გამოიშროს. ფეხვს. დროზე დათესოს. ბაკალა მზიანში სამკერ გულდაგულ გაინოხნოს. რომ ბალახი ჩაიწვას და მოსავალი მოვიდეს. შეიყაროს. ბოლოს და ბოლოს. ამ გამოცალიერებულ ადგილში ბერძნული და დაგენძდეს ოჯახი.

ზოგჯერ. უამინდობაში. ამბობ ოთხ ვერ ძოდის. ძმა ბიძაც დაადებს თავს და გაკვეთილების მერე. ბუთ ვილოგერტს. რომ გამოიკლის. ადალ ბარი უნდა. ისეთდა ბასავითებული. მაგრამ ეგეც ისე ვარ...

რაფაცა... ცოტა-ცოტა... თავიდან გაგიჭირდება... ბარაკანი. გაგიჭირდება. მაგრამ მერე საკმარ ჩაიარეკა ეკის. გახუნდები (ნამგზავის. გაბუოება კი არ გაკლია. მაგრამ ის სხვაა). შრომის. აცვლელ უნდა შემოიარეთ... შრომის. აცვლელ ხელს. ფანტვა ჭირს. ოთოვამ სიხარე ჩაჭირდეს. მიდექი და ირბე ბელები!

წვეტვანი უკეთესია. ცოტა წაოთველი. ფანტაჭირნლული თუ. კიდევ უკეთესი. ბარს ჩვენი ეზოს წვენე ტალანი ან. ფდება და ბიწაშიც ერთ დაკვრაზე ბადის. ერთ დაკვრაზე ბარს. თუ ბოლომდე ჩაიყვან და ამოატრიალებ. აყალო ნაკლებად მიეგობება. როცა წაშრება. ფარესია. დაედება — უნდა ვუშინდოთ ერთმანეთს ბარები. დრო მიაქვს. თუ გაგვალა — მოგვამა ჭირი. ბარაფეს გაბდება.

ბარიანია. ფაროთ და სქელ ბელტებად ვკვეთ. ბარეულენ და ვაოიალებთ. მაგრამ ერთი შენი ბარეულენ ... ბარით და გოჯა-გოჯა ვაბარებთ. ტალი მიბის. ნანტეხი უნდა გაამარილო და ხელსაგულებს. ისე აგალამად ვერ დაგიწყლულებს. მერე დაბერე. და გიბებრდება. გაგისქელდება გაგიმაგრდება მაგრამ. ვიფამ ... ფიფერი. თავიდან ყველაფერი ჭირს.

შაბათი შაბათია. კვირა მოვი დღე წინია და ზოგჯერ. თუ ამინდიანეულია (მამიდას. ეაცმა ან იცი. როგორ გადავურჩენით. გაკვეთის შენ გაგაცდენინებინ!). ორშაბათსაც ავამატებთ. მაგრამ ჩემი ძმა საღამოს უნდა გაიქცეს. მამიდა ისეთდა გულგეთენილი იქნება. სამშაბათამდე. იმ ბამეს ჯავრით ვერ გაათენებს. დაკარგესფენს. და აქეთ მოგვადგება.

ბიძაჩემი — შიო. გამოვიდა საკადმყოფოდან და ისიც გვეჩმარება. მგელივით მუშა იყო. მაგრამ ისლით ავადმყოფობდა. ხშირად მკურნალობდა (ადრე ჭიათურაში მუშაობდა. მიროში).

შემოდგომიდან შუა გაზაფხულამდე დიდი დროა. მართალია. ნოემბერ-დეკემბერში გადაბრუნებული მიწა ფუჭდება. დამიწდება. მაგრმ ერთხელ რომ ნოინძრევა და გაფხვიეიდება. ბალახი რომ ჩაკვდება. ჩაიგუდება და ჩალტება. მერე თოხითაც ილოდ და-ამორჩილებ.

მაგრამ არ გამოდის. შეუძლებელი ყოფილა. მთელი ეზოს. ისეც ასეთი ადებესკნელი და ვლერტაბალანეთ გაკეთული მიწის გადაბარვა! ამიტომ ბოჭ. გონიაო თურმე ბარი. კიდ. გუთანნ და ყველარიც კი — უფელ ბარაკი. ბანკ. ბრვენია. ეს. ამდენ ბანს თუარ ვიცოდი. ახლა ვიცი. მაგრამ ცოდნ. ვიქველის? „ბანეკარი ჰური" მაინც გიყი თუ „თავისთვის დასაჯდომი ყუთი"არა.

წაბდა ამინდები. წაიწყმეტ. ჩემი ძმა სამ კვირაში ერთხელ ... ბოდის ბიძაჩემმაც „მიოლატა". ...ლიო. და

ოთია იოსელიანი
ნოველები

უფროსს შვილით მესხეთში გადასახლდა. დატოვა ბებიას თითო ბავშვი. ძრხოა აკეთაა, არ იწველება. აწოვებს საუკუნს ქალი (ცარიელა ძუძუს, ს

ხანჯალი ამდენი ხანია რომ კარადის თავზე ეგდო და ქარქაში შემოალპა, ვიშაშვლე და ვჭრი, ვჩეხავ და წაქცეულს მერეც ძლივს ვარჩევთ. ქუჩეჩზე ვერ ვატეხავთ ღონიერ ტაროებს. გოდორს შენ დაძრავ? კალთებით მივთრევთ ნალიის კიბეზე.

გავძეძგეთ სასამინდე, დავდგით ჩალის ზვინი. რავა მეგონა, თუ დავზვინავდი. რაღაცა ისე მოხდა, ნაყურებიც არ ვიყავი, მაგრამ დადგმული ხომ მინახავს. მოვათრიე გრძელი, გრძელი აკაციის სარი (საზვინე სარის მოკრისათვის მეტყვეე აპალიე ლექვთაძე არ გვიქერდა), არ გინდა ამოდენა ნეული სარის დასობა? წავუწვეტე (რაღაც, ფოლადდალეული, ძველი ნაჯახი გვქონდა. მწიფე აკაციის გული ჰირს ულუნავდა), ჯერ მოკლე, მსხვილი სარი ჩავუშვი მიწაში ეროთი (ურო მაქვს. ბეზობელს ჭილოფები დავუქსოვე, ურო და გადანაპეური, ორმტკაცლიანი რკინის რელსი მომცა გრდემლად), მერე ავაყუდე ეს ვეება საზვინე და ამ ნასარავში ჩავუშვი. გვერდზე როცა ვსხეპავდი, ტოტი რომ შევაკერი, ქვეეთი გოჯა ჯდა დავუტოვე, იმაზე ჩამოვკიი ურო და გავამაგრე. შემოვუწყვე ირგვლივ (წყალი რომ არ შედგომოდა და ჩალა არ დაელპო) ბჟოლის ნამურაი გაჯაჯღული მოკლე ტოტები, ზედ ნაჩალარი და სოიას ნაცეხვი დავაყარე. დავაგდე კონა ჩალა და სარზე ცალი ხელით ჩაფრენილი, შევდექი ფეხით. მაწვდის ძმა, ვითრევ კონას ჩალის კუნაულებით, მივუტან თავს კეტის ძირას და შევდგები წიხლით. ვუვლი წალმა (მარჯვნიდან მარცხნივ) და მივდივარ ზევით და ზევით. კინალამ ცას მივუწვდინე ხელი... შევუკარი ზვინს თავი კაპიჭით. ურმის ბორბლის გაცვეთილი რკინის სალტეც გვქონდა, დადანაბამში გახსნილი, კინალამ გადმომიყოლა იმის ათრევამ. ჩამოვაცვი „ქუდზე", დავეკიდე კონების ბოლოებს და ჩამოვსრიალდი ძირს.

გვაქვს ჩვენც „ნახევარი პუერი" და ბებიას (ამჯერად) წითელ... წითელს კი არა, მოჭირებულჩალისფერ ეროთა. „მთელი" ის კი არადა, ... გამოვუზოგავთ, შეიძლება ვერც მოვრჩეოს. თუ რაიმე გადაგვრჩა, გავკეთდით. გავყოდით. ფულის საქმე არაა?

რა ვქნა, მამიდაჩემი რომ მამიდაჩემია, ვერც იმას შევაჩერდები ხელებში და, მით უმეტეს, მამინაცვალს ვერ მივდგები კარზე, ლუკმა წამიტეხე-მეთქი.

მაგრამ საითაც გავიქეცი, იქით წავიქეცო, მე მჭირდა და მჭირს.

გვიანი შემოდგომაა. ნაწვიმარი, ჟინჟღლავს, ძალი არ გაიგდება გარეთ. სამზადში ვართ. ტყეში ერთი კონა შეშა ნამალეადგ მოვჭერი, მოვათრიე და მხარგადატყავებული ვჩეხავ. ბებია უშუაცეცხლოდ არ ვარგა.

ახლა მე და ჩემი ძმა ერთ კლასში ვართ. წყალტუბოდან დაზუზული დაბრუნდით, მერე ეს შეშა, წყალი და ხვალისთვის გაკვეთილები. მაგრამ სწავლის საქმე აწყობილი გვაქვს. ძმა კითხულობს „ვეფხისტყაოსანს". მე ვჩეხავ, ვაპობ, ვთლი, ვაკერებ ჯღნებს, ვგდებ ტარს ნაჯახს, წალღს, ბარს, თოხს... მახათის ყუნწის გახვრეტა მიჭირს, სადგისი ოლია. სათლს გამოვაკარი ფსკერი, მაგრამ სანამ ცხელი გუდრონი არ ამოვავლე, წყალი არ დაკავდა...

შევაკიზინეთ ცეცხლი და ეს მშიერი თოთო ბავშვიც გახალისდა, უკლო ტირილს. ბებიამ კეცი გადაადგა. მე ისევ ვჩეხავ, დილისთვის ვამარაგებ. ძმას ხელში გაშლილი საიუბილეო „ვეფხისტყაოსანი" უჭირავს, კერიასთან მიქუზული, რამდენი შეთბა, იმდენი უმატებს ხმას. თანდათან უკეთესად მესმის, მაგრამ ამ პოემის ყოველი ფრაზა ნთელი როგანია და მარტო გაგონება არ კმარა. ის-ის იყო გავამეორებინე: პირსა იხოკდა, გაპყრობდის ნახოკსა ვითა ნაფოტსაო, რომ გარეთ რაღაცამ იხუვლა, მოადინა რეკვა!

ეზო გაყეყილია შემოდგომის წვი-

ოთია იოსელიანი
ნოველეტი

მით, რა უნდა დაანარცხო ზედ, რომ ასეთი ბრაგვანი მოიღოს. იბღავლა ძროხამ, მაგრამ რა იბღავლა! დანაკლავზე რომ საქონელი დაადგება, მხოლოდ მაშინ იცის ასე თავგანწირული და გულ-ღვიძლამონთხეული ბღავილი.

მამოვცვივდით. შენს მტერს და ორგულს, ჩვენ დასანახავი დავინახეთ!

ჩვენი ოთხი ქვის ბარჯგზე შეყუდებული ნალია, გადაეჭივა თავისი მოვალეობის შესრულებას, თუ რა ღმერთი გაუწყრა, წაქცეული და ქვევით, გადასწვიმებლად სიმშრალეში შებმული ძროხა დაუტანია.

ჩვენ ბღავილთან ძროხის ბღავილი მაინც რას მოვიდოდა. მას მხოლოდ თავისი უბედურება აყვირებდა და ჩვენ: ნალია, სიმინდი, თვითონ ძროხა, ხბო, ურძეო თოთო ბავშვი და, ვინ მოთვლის...

იკივლა ბებიამაც. ბებიას ხმა ჰქონნდა! ზოგჯერ, რომ ვერ გაგვაგონებდა, ისეთს „დასჩხავლებდა“, სოფლის კიდიდან კიდემდე აწვდენდა, მოცვივდა კუთხე-მეზობელი. რა გინდა რომ ქნა. მიწას გართხმული ნალიის დაფეხვილ ფესვებში დაცვენილი ჩვენი ოქროსფერი წყრთა ტარიები, ოქროს და ოვალ-მარგალიტს რომ გვერჩია, ტალახში ყრია და საძირკველს გარეთ დარჩენილ ძროხის თავს, ლაფაროში არშინი ენა წაუგდია.

დაგვექცა ასე ტანჯვითა და წამებით აშენებული ქვეყანა და მოგვიყოლა ქვეშ!

— არიქა, ძროხა გმოვთრიოთ რაიმეფრათ და დავკლათ. იქნება ხორცით რაღაცა ისარგებლონო, — იყვრია ითნა შვანგრიაძემ — მეცეცხლურმა მეზობელმა. გრიგოლ ბაბუამ რაღაცა კეტები თვითონ გადმოიტანა, თუ იმავე ნალიის ფიცრები გამოაძრო, გადაუკეტეს ჭვავში და ლაფში ჩაწოლილ წელჩაღუნული საძირკვლის თავს. მიეშველნენ ცალხელა ბიქტორა ლექვთაძე და შოთა ჯოჯუა და ენაწაგდებული, წელგაწყვეტილი ძროხა რქებით გამოთრიეს.

ძროხა მაკეა, მოსაგებადაა და ამისი ან ხორცი რავა იქმევა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეზობლებმა იწუხეს, ივიფრენეს და წავიდნენ. რას იზამ, ღმერთი თუ არ გწყალობს, კაცმა რა გიყოს...

ვტირით და ვვივით, მოვთქვამთ სასიმინდეს, სიმინდს, ძროხას, ხბოს, ჩალის ზვინს, ჩვენს გაჩენას...

ბედი არ გინდა? ძროხას მაშინვე მაინც გაეცხო სული, ენაწაგდებული და ზურგგადატყაული აგდია და კვნესის და ოხრავს, იუდას გულს დაუთუთქავს. ან როგორ მიატოვებ, ან ამის ყურებას რა გაუძლებს.

დადგა ნათელი ბებიაჩემის უდიდებულეს სულს და ჯირსა და ვარაღში მის მარადიულ გაუტეხლობას.

ჩაუჯდა ამ გარეჯგვილ, მაკე ძროხას, წკნელი რომ არ დაგვიკარებია, ხბო არ წაახდინოსო, ახლა ხორცადაც რომ არ ვარგა, და დაუწყო შელოცვა...

სახელითა: მამითა, ძითა და სულითა
წმიდითა!..

ანი იძრა, ბანი იძრა;
მიწა იძრა, ცანი იძრა;
წყალი იძრა, მთანი იძრა;
ხე იძრა და ქვანი იძრა.
მოძრავი იძრა,
უძრავი იძრა.
იძრა და დადგა, დადგა და
დაისადგურა!
იძრა და დადგა, დადგა და
დაისადგურა!
იძრა და დადგა, დადგა და
დაისადგურა!..

რა იძრა? იძრა კი არა, საცოდავი მაკე საქონელი ბელურასავით მარეჯგვა ამოდენა მუხის ნალიამ, შიგ იმდენი ნედლი სიმინდი რომ ეყარა და მრგვალი, ტყვიასავით კრამიტი რომ ეხურა.

არადა, უზის ბებია თავგადაგდებულ მომაკვდავ პირუტყვს და ულოცავს. თუ გასარესილი და გარეჯგვილი არაა, მკვდარს უფრო გააცოცხლებ, ვინემ ამ საცოდავად მოსრილ მაკე საქონელს.

„სახელითა მამითა, ძითა და სულითა წმიდითა...“

ულოცავს და ულოცავს, ულოცავს, ულოცავს და... ენა არ შეატანინა პირში! რავა დავიჯერებთ, ცრემლით თვალდალუმპულებს გვეჩვენება, გვგონია. გადის ხანი და გადმოთეთრებულ თვალებზე ქუთუნო ეფარება. გათავდა ალბათ და მადლია, დაისვენებს მაინც, მაგრამ ისევ ახელს და ხუჭავს!

ბებიაჩემივით ვიწერ პირჯვარს, ვიჩოქებ ტალახში და შევტირი მამაზეციერს: გადმოიხედოს, გადმოიხედოს ერთი წუთით, ხომ ვიცი ჩვენსავით არავის, ამ დედამიწის ზურგზე, არ უჭირს და სადაა, საით იყურება. და ძროხამ თავი გააქნია, ფეხი გააფხარკალა და ამოიხვნეშა — არ ვიცი, სული მოითქვა თუ განუტევა.

— არიქა, ნუ გაგვიმეტებ, მაცხოვარო, ცასაც ნუ ჩამოგვანგრევ თავზე, ისედაც ქვეყანადაქცეულებს! შენი სამყოფელი და საუფლო მაინც დაინდე, სვეტი თუ გამოუგდე ჩვენ ნალიასავით, არ გინდა მერე ზედ ჯდომა? — აქეთ მე ვამუნათებ მამაზეციერს, იქით ბებია: „სახელითა მამითა და ძითა და სულითა წმიდითასა...“

...და მოხდა სასწაული! იმავე საღამოს, იქვე, ჭინჭყოში ჩაგდებულმა განწირულმა ძროხამ თავი აიღო და მარილიანი ხელი აგვილოკა.

არ ვიცი, ლოცვამ უყო, ბებიას რწმენამ და ჭირთან შეურიგებელში ხელისყოფამ, თუ ნალია როცა დაეცა და დარეჯგვა, საძირკველი რომ წალეწილი იყო, მიწას დაეყრდნო და ... ხე, სადაც ძროხა დაიტანა, მაღლა დაიჭირა, რომ მთლიანად სოხანეზე არ დაესარგალებინა... კი გადარჩა და!.

გადარჩა და არ ვიცით, თუ ღმერთი იყო, ის ნალია დამმაგრებინა და არ წაეკეცა, მაგრამ სასწაული კი მოხდა, ხბოც არ წუხდენია.

ჩვენ კი მივდექით, იმ ღამეს და ამ წყალ-ტალახში, ნანგრევებში, ჭერებში, მორებში, ფიცრებში, ფუნებში და კრამიტებში ვხიკეთ, აქეოლებულებმა, ჩვენი ოქრო ტაროები, იმის წონა ოფლი რომ გვქონდა მისთვის მიწაში ჩაკვრილი და ოდაში, იატაკზე ვყარეთ, ხელიდან ხელში რომ არ მიეკემდა კაცისშვილი.

მერე დურგლობა დავიწყე, რა მექნა, იყო სხვა ბაზ?

გადატეხილი ქვის ბარჯგები ხის ბოძებით უნდა შემეცვალა (აქეთა, რომელ მხარეზეც წამოსულიყო, მეორეც მოეტეხა. იქითა ტრი კი იდგა. საძირკველი წამოეღო, ბარჯგები რომ არ წამოპყოლოდა). ხეს კიდევ ხეზე დაადებ და კედლებს აიყვან, მაგრამ დამტვრეულ კრამიტს რით შეცვლი...

ოდის ყავარი თავზე მქონდა ჩამომპალი, ის არ მეყოფოდა?..

ღმერთის გამოცხადება

კაცისშვილი არ დაიჯერებს, მაგრამ ასე კი იყო და...

ნალიის ქვის ბარჯგებს ახლა სადღა იშოვი, ვიღა ტეხავს სამმეტრიან ქვას და ვიღა ოლის, ან ვის სჭირდება. არადა, სასიმინდის ბარჯგი თუ ქვისა არა, მუხისა მაინც უნდა იყოს. მიწაში ღრმად თუ არ ჩასვი და ქვით არ მოტენე, ისევ წაიკეცევა. ღრმად ჩაფლავ და ლაფაროდან წყალი შეეფინავს, დალპება. ძირეული, მწიფე, მსხვილი აკაციაც შეიძლება, მიწაში მუხაზე ნაკლებად როდი გაძლებს, მაგრამ ზევით, სიმშრალეში არ ვარგა, დარკილავს და დააფოტორებს, რამდენად გამძლეა საწვიმარში, იმდენად უვარგისია სიმშრალეში (თუგინდ ძველ მთვარეზე მოუერი).

ჩვენი გასაჭირი ვინ არ იცის და,

ოტია იოსელიანი
ნოველისტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიძაჩემმა (დედაჩემის ძმამ — იაშამ) როგორღაც ქუთაისის სააგურედან ორას ორმოცდაათი ცალი ბრტყელი „მარსელის“ კრამიტი გვიშოვა და თვითონვე მოგვიტანა საბარგო მანქანით.

ორას ორმოცდაათი „მარსელის“ კრამიტი კარგია, ოთხასამდე ქართულ მრგვალ კრამიტს უდრის. მრგვალ, გაგობილ კრამიტს ერთს ქვევით რომ დაუდებ, მეორე ზევიდან უნდა გადაამახო. ბრტყელს ცალ კიდეში აქვს ვიწრო ღარი, ფრთაზე ფრთა წაეფარება და ხვავიანია. მაგრამ კრამიტის გამოსაწვავი შეშა სადღა იყო, მაზუთით და ქვანახშირით აცოდვილებდნენ. გეგმა ექნებოდათ გადასაპარბებელი და გამოშრობა-გამოხმობას ვინ აცლიდა. ხუმრობდნენ ხუროები: საუკეთესო კრამიტია, თუ სიმშრალეში იქონიებო. ჩემი ბრეზენტის საპირიანი ფეხსაცმელივით, წყალს ღრუბლივით იწოვდა და თუ წვიმა (გამონაკლისების გარდა) ვერ დაშლიდა, ნაწვიმარზე რომ ერთი მაგრად წაეყინა, იჩონჩებოდა. ზედ გავლა ხომ არ შეიძლება და არ შეიძლება, ფქვილივით წავა.

მადლობა ღმერთს, ყინვა ჩვენში იშვიათად იცის, თოვლიც. რა ღმერთი გამიწყრება, ფეხს რავა დავაკარებ!

ჩვენი ოდა რომ გადავხუროთ (სამი ოთახია, აივნებით) ორი ათასი ასეთი კრამიტი მაინც უნდა. ორას ორმოცდაათი ცალი, ერთი ფარდის (სახურავი ოთხფარდიანია) ნახევარს თუ ეყოფა და თუ არა, მაგრამ რაც გაქვს, იმას უნდა დასჯერდე.

ასეც ვქენი, გადავხადე ყავარი წინა ფარდს. წინა ფარდს იმიტომ, რომ ჩრდილოეთითაა და უფრო მალე ლპება. სამხრეთს მზე ზამთარშიც აშრობს.

ფრთხილად, ფრთხილად ვაცალი ყოველ ნაწეპა ყავარს. ზოგს წელი აქვს ნალურსმნთან დაფოტორებული, ზოგს თავი და ბოლო. რაც გადაიხადა და რასაც კრამიტი არ გაწვდება, ამ ძველში უნდა ამოირჩეს და ეს ერთი ფარდი მაინც შეკოწიწდეს.

კრამიტს და ყავარს, თუ ლარძაყინები (ნივნივები) ვარგა, ფინი უნდა. ფინი თხმელისაა, რბილი ხეა, გასაფლეულად მარჯვე, ლუსმანი ორლად გადის, მაგრამ იოლადაც ლპება. თხმელისთვის და ლუკუზოსთვის იქნება არ დაგიჭირონ, სარად, ხარდნად და სხვა რაიმე მასალად არ ვარგა. ლაშის წყლის პირებზე, ჭინჭყოიებში იცის თხმელამ მეტწილად გახარება. შეშად ჩეხავენ, ძნელად თუ იშოვი ისეთ შხვართალა, სწორ და გრძელ ნაზარდს, თუ თავიდან ბოლომდე არა, სახურავს ნახევარზე მაინც გაწვდეს. მერედა, რომ ვიშოვო, ხერხში ვინ „გამიტარებს“, ან სადაა. ნაჯახით უნდა გაჩორკნო ორივე მხარე და სანამ ნედლია, მანამდე თუ დააპედებ, ლურსმანი ძველიც რომ იყოს, ჟანგიანი, გავა.

სკოლაშიც ჩაოხრებული მაქვს საქმე. ტყეში ხომ ვერ იკითხავ „ვეფხისტყაოსანს“ და სახლის თავზე. ასტრონომიით კი ხარ ცას შუბლმიბჯენილი, მაგრამ ასტრონომია ერთი საგანია და ისიც მეთერმეტე კლასში გადიან რაღაცას გაკვრით, ზერელედ. ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია და განსაკუთრებით რუსული და გერმანული ენები არც თხმელნარში და არც სახლის თავზე არ ისწავლება. საღამოს კერიასთან, (ამ ძველ, დამპალ ფინებს ვუძრავ ცეცხლს), რაღაცას წაიბეჟუტრებ, მაგრამ დილით წელს ვერ იღებ. ხუთკილომეტრიან გზას რომ დაადგები, ისიც ზამთრის წყალ-ტალახში, პირველზე კი არა, მეორე კაკვეთილზეც გაგვიანდება.

მასწავლებლები გვყვანან გულისხმიერნი, ჩვენი ცოდვით იწვებიან: სკოლის დირექტორი, საუკეთესო აღმზრდელი და ადამიანი — ოთარ მხეიძე. ქართულის — ქეთევან ბალანჩივაძე, პედაგოგად დაბადებული. ალგებრა-გეომეტრიის — გრიშა ფანცხავა. რუსულს თავიდან პოლიკარპე კინწურაშვილი გვასწავლიდა, ძველი გიმნაზიელი, ენის კარგი მცოდნე, მაგრამ რად გინდა, აყარე კედელს ცერცვი, ჩემს თავში შედის რაიმე? ტვინი კრამიტე-

ბით, ყავრებით, ფინებით და ლუსრსმნებითა მაქვს გამოტეხილი, რუსულის და გერმანულის კი არა, ქართულის ადგილი არ მრჩება.

ქარი ჩვენში როდის არაა, მაგრამ ეგრეალა დეკემბრის ბოლოს. ამოვარდა, მაგრამ რა ამოვარდა! საბა რომ ეპალიკონს ეძახის, რაღაც იმაზე უარესი ქარტეხილი. ძირეული ხეები დათხარა. კრამიტიანი სახლებიდან ჩამოყარა პირველ-მეორე მწკრივები და დაკირული მუხურები (ზღუდეები) გადაანგრია...

მიადგა ჩვენს ბურულიან სამზადს... ბურული, მოგეხსენებათ, ისლისაა. გაჭირვებისას ლაჟაშსაც ახურავენ, მაგრამ ლაჟაში დიდხანს არ ძლებს. ისლი დიდებულია, თუ თავის დროზე სქლადაა დახურული, დროთა განმავლობაში ხავსს მოიკიდებს, გადარუხ-გადამწვანდება, ხავსის ქერქს გადაიკრავს და შეიძლება ას წელიწადს გაძლოს.

ადრე მავთული სად იყო, მით უმეტეს, უფანგავი. ლარძაყინებზე დახურვამდე ხომ ჯოკით სქლად დააფენდნენ, (ხურვისას ზედ რომ შედგები, ისლი არ ჩატყდეს) ისლს რომ გაშლიდნენ, ზევიდან ისევ ჯოკი უნდა დაედოთ, რომ ქარს არ წაეღო. ამ ქვედა და ზედა ჯოკებს კაპიჭით (ტრიფის სახეობაა) ჭკრავდნენ და მერე ზედ ახალ წყებას გაშლიდნენ, ისლის ძირებს ჯოკს გადაეფარებდნენ, რომ არ დამპალიყო და წელს ხელახლა ზედა ფინზე დაუკრავდნენ... მაგრამ კაპიჭის წკნელი რამდენ ხანს გაძლებს, თუნდაც არ დაწვიმოს და დაათოვოს. მით უფრო, რომ, ეშრალი, მარილივით იმსხვრევა.

და მოდგა და მოდგა გრიგალი. უბერა და უბერა. უჩინა თავი სამზადის ბურულს და ორი ქვრა სული არ ჩაუთქვამს, სანამ პირწმინდად არ გადაბადა.

ჩადგა და დაუშვა წვიმა, დაგვისხა წყალი კერიაზე.

ახლა რაღას შვრები!

ოდა გადახდილია და გვაწვიმს და გვაცოვს, მარტო ჩვენ კი არა, ჩვენ სარჩო-სამადაგებელსაც. ნალიმ ხომ ეგრე ჭამა ჭირი და მოგვამა.

ეს სამზადი გვქონდა, სადაც თავს ვაფარებდით, ჩვენ თავს რას დავეძებთ, ძმაო... ეს რომა რომ მკვდრეთით აღგვიდგინა.... ქრისტეს აღდგომა არ გამკვირვებია ისე, და ხბო — ხომ მთლად ზეციდან იყო ჩამოსმული. ძმის დაბადება არ გამხარებია ისე, როგორც მისი ქვეყნიდ მოვლინება. ოდაში არ შეგაყვება ძროხა, თორემ რას არ შეიყვან, თუმცა იქ არ დაწვიმს, თუ?

ხბო?

ხბოს ლოგინში შეიწვენ და შენს გაბელთილ საბანს გადაფარებ, მაგრამ ძროხა გადაირევა უხბოოდ, რა სასწაულებრივად ჰყავს გაჩენილი ამქვეყნად.

ახლა მითხარი შენ, თორემ ამდენ ხანს ბატონი ყოფილხარ.

ისლი სადღა. ეწრებში ყოფილა ერთ დროს საისლეები, მაგრამ მე არც მახსოვს, ტრაქტორებს გადაუტრიალებიათ იქაურობა და ახლა ლარივით გაპიმული. ჩაის პლანტაციებია. ჩვენი სოფლის ქალები ფილიდან საღამომდე სიცელით და ტკარცალით რომ თავზე დაჰმღერიან და დაჰგალობენ.... კრეფენ „მწვანე ოქროს“ ფილაუთენია, შუადღეს და საღამო ბნელში. შაბათი არ იციან, ეკვირა და ეერაფერით გული ვერ გაიძღეს, ღამითაც არ უნდათ წელი გამაართონ... (ყოველ შემთხვევაში, მაშინდელ კინოფილმებში ასე მინახავს. ჩვენი სოფლის „თეატრში“ უჭირდათმხოლოდ ჩაის მკრეფავ ქალებს, თუმცა ეპისს და სპეტჩების მიხედვით, უნდა ეკისკისათ და ელაღობათ).

მაღლაკში დავდიოდი, ბებიის დასთან — ბაცია ბებიასთან (ნესვი და საზამთრო იცოდა იქ კარგი. ჩვენთან ვერაფერი შვილი იყო. რაღაც ორიოდე ყვაპს თუ გამოისხამდა, ფერი იმას არ უკარგოდა და გემო). ბეკნარას რომ გადავივლიდი, ლაშეს იქით წყალტუბეს

ოგია იოსელიანი
ნოველისტი

(მდინარეა) პირების ვრცელი საყანე-ბიდან გავიდოდი ბერბოგირზე, აეუყ-ვებოდი ნაწისქვილარის ფერდს, დავა-დგებოდი რკინიგზას და ჩვენი და მაღ-ალის ჩაის პლანტაციების გამყოფ ოღოს (ღელეა) ქაცვის, კვრინჩხის ჩარ-გვებში და ეკალ-მაყვლის ბურდებში დავინახავდი აგერ-ეგერ ამომძვრალ ხუთ-ათ ღერ ისლის წვერებს. ერთ ადგ-ილზე თუ ერთი მუჯა იქნებოდა, კარგი ნახერიანი ეთქმოდა.

ამ ჩირგვებში, ძეძვებში და ბურდებ-ში ჩიტი კურკანტელს ვერ გიიტანს, ისლის კონებს შენ დაგანებებს!

ისლის კონა ჩალის კონის ტოლა არა და, იმხელა მაინც უნდა იყოს, ცალი ხე-ლე ვერ შემოაწვდინო. და ამისთანა ორასი კონა არ ეყოფა ჩვენ სამზადს გა-დასახურავად. ამდენს, ძველად, მიმდგა-რი, ეკალ-მაყვლისაგან გაწმენდილი სა-ისლეები რომ ჰქონდათ, მაშინ ვერ ჭრი-დნენ. წინა წლისას ინახავდნენ, ძველს ახმარდნენ და როგორღაც იოლად გა-დიოდნენ.

ჩვენ რა ვქნათ!

ჩაიქნევ ყველაფერზე ხელს და დაჯ-დები სახლში, მაგრამ სადა გაქვს სახ-ლი, ბერი და სახურავი.

იქნება იმდენი მაინც მოგვახერხებია, ძროხის საბამი ბაგა გადავფაროთ. ხბო, თუ დედაა, მუცელქვეშ დაიყენოს. მა-გრამ არც ეს გამოვა, გამოწოვს და ურ-ძო ძროხა იგივეა, რაც უსახურავო სა-ხლი.

დავადექით გზას, არ დაადგები და შენი ნება ყოფილა. წვერწატეხილი ნა-მგალი გრიგოლ ბაბუამ გვათხოვა. მინდორში ძროხის საბამი გრძელი ტო-ულო-ბაწარი წავიღეთ. ზამთარია, ბა-გაზეა საჭონელი თავმიკრული. გვი-რჩეთ წელში დაჟანგული ბაბუასე-ული ხანჯალი და გავსწიეთ.

მივედით.

სადაა ისლი. სადღაც-სადღაც, ბურ-დოებში ისრებივითაა ჩარჭობილი, მა-გრამ ძირი არ უჩანს. წვეროკინებს ან ...ან მიწვდები, ან მარტო ღერები რად გინდა. ისლს ძირზე ◆ აქვს ფოთოლი. გრძელი, ბბრეშუმივით ◆ სრესალა, თე-თის სიფათე, დანშბივით ◆ ...ალა და ისაა, სახტბავზე ◆ ...ალა ...ლდება და წყალს ქვევ... არ უშვებს. მთავარი ფოთოლია და ...ულ არ უჩანს, ისეა დანთქმული ხლსტესა და ეკალ-ბარდში. რკინიგზის ◆ პირებზე, კბოდეები რომ ჩამოუჭრიათ ◆ და, ღელის პირზე წყლიდან თუ მიუდგები. ...ძეძვ-ების ძირებში, ხელის შესაძვრენად ეკალს და ქაცვს თუ არ შეუშინდები, წაავლებ მარცხენა მუჯას ფესვებთან, როგორმე შეაპარებ წვერწატეხილ ნამ-გალის პირს და გამიჭრი, იქნება სისხ-ლის ფასად ერთი ბუჩქა გამოძვრინო. კონას ამისთანა ასი უნდა და ჩვენ სამ-ზადს ორასი კონა არ ეყოფა.

დაღლას, ეკალებზე ხელის და ტკივის. ხევას რას დავეძებ, ისეთაც მალარიანი და სისხლნაკლული ვარ და ამდენი ის-ლი რომც მოიძებნოს, სისხლი ...ა შე-ყოფა...

არსებობს შრომის ეიეცლი — ...ზარ-ტი, თუ რა დაერქმევა ამ ამბავს. დაღ-ლება, დაიღლები, გასავთდები, და-დაწყდები წელში, დაიღრეკ ...ფლად... და თუ ქანცგაცლილი მაინც არ დაის-ვენებ, არ გამართავ წელს და მუხლს, არ ჩახრი, მერე იწყება ტკივილების, დაღლის და დადაქანცვის გაყრუება. და-ადღლის გადმოღლა, გადაქანცვის გად-მოქანცვა. ღმერთი არ გაგიწყრეს, და არ შეისვენო, არ გაახსენო თავი, არ ჩაი-მუხლო, თორემ თავს ვეღარ აიღებ. უნ-და მიეძალო და მიეძალო, უნდა მი-წვე და მიაწვე საქმეს და ბოლომდე არ მოეშვა, ბოლომდე არ გამართო წელი, თორემ ვეღარ მოხრი. ბოლომდე არ მოღუნო მუხლი, თორემ ვერ გამარ-თავ. და მერე ასევე სულმოუთქმელად გასწიე სახლისკენ, არ შეჩერდე, საწო-ლამდე მიაასწარი. მიხვალ, დაშვავდები. ძვალი და რბილი გაერთიანებული გაქვს, თუ ვინმე პირში დაიეჭილს ჩა-გიდებს, თორემ კრიჭას ვერ გახსნი და ძალაყინით ვერაფერ გადაგაბერუნებს.

კურკანტელა, ასკილი, დათვის მსხა-

ლა და დათვის ვაშლა, კუნელი და ერთგან ზღმარტლის ჩირგვიც ვნახეთ, ბარე ოცდაოთხი ცალი ესხა, მგლის საფანტის სისხო... გზადაგზა წაჩხოტე ეს ტყის ხილი, შეიყარე პირში და გაძვერი ბგელის ხვრელში. ოფლისა და სისხლისაგან რომ დაიცლება, მერე რაღას იზამს, რაც აღარ იქნება, რა გამოვა.

წყალი აგერ, ოღოში, რძესავითაა — სვი, ვინ გიშლის...

საღამოს ბინდიც რომ დაგვაწვა ამ გლეუულ, ძველტყაევა მხრებზე, გამოვძვერით ბუდეებიდან და თავის ალება მოვინდომეთ, მაგრამ ბუდეებში მძრომელივით წელში მოკაკუნები კი დავრჩენილვართ, თორემ კაი თხუთმეტი კონა ისლისთვის მოგვიყრია თავი.

თხუთმეტი კონა (კარგი კონებია) იმდენს გადახუარავს, ძროხა კი არა, ხბოც გადაიწვიმებს.

წადება არ გინდა? სამ ვერსზე მაინც ვართ სახლიდან. ღამდება. აქ რომ დავსახლდეთ, ამის დამტოვებელი ვართ? ოფლს ვინ დაეძებს, სისხლის ფასად გვიღირს ყოველი ღერი ისლი და ეს რომ აქ დავტოვოთ და დაგვეკარგოს (მეტი რომ არაფერი, მშიერი საქონელი გაოცვავს) გინდა შენი სისხლი დაულევია, კაცი იქნება თუ პირუტყვი, და ჭინდა ამისთვის ერთი ფურცელი დაუკლია.

ჩალა, თუ გამომხმარია და მშრალი, ერთს კი არა, რომ გიჯირდეს, ორ კოსასაც გაიგდებ მხარზე, ბაწარს ან წყრილს გამოდებ წელზე, დაიშაგრებ ბურგზე და წაიღებ. ისლს, მართალია, სიმძრნის ჩალის არც სიგრძე აქვს და ეგრეაც მორჩილია, მაგრამ ისლია; წყობილოდ ლაგდება და ღერები, ბურის ღერებივით სრიალა და ერთმანეთის მეუბნელია, ჩალასავით ფორფოტე და ფურფუშელა კი არაა; მით უმეტეს, ნედლს, ორი კონის მეტს ასაწევად ვერ შებედავ. წასალებადაც ძნელია. ქვევით, ერთ მესამედზე ხომ ფოთლები აქვს და ძირი მსგავი გამოუდის. წვერი ყველა ერთი სიმაღლის არაა და კონა მაღალი კონუსივითაა. ორი კონა ერთმანეთზე სრიალებს და ბაწრითაც რომ შეკრა, მაინც გაცურდება. ჩვენ, ეგვაქვს წასაღები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატარებელი მიდის. შორიდან ისმის მისი წვიელ-კივილი და კოთკოთი. საბარგო იქნება, გუმბრინის მადანი მიაქვს.

მატარებელი კარგია. ლიანდაგებზე დადის. ჩვენ რომ აკაციის ორი მომცრო სარი მოგვრთო, გავდოთ რელსებზე, დავაწყოთ ზედ თავშეკცევით ეს ჩვენი ისლის კონები, დავაკრთ ბაწრით და ჩავებათ, ნაწისქვილარის ჩაფერდებამდე ხომ მივასრიალებთ.

ნედლი სარები ამ გლუვ, გაფერილ, ფოლადის ლიანდაგზე ისე გასრიალდება, ნეკა თითით გაათრევ. რაღმე ერთი კილომეტრით მოვიმოკლებთ გზას... თან, რაც უნდა გიჭირდეს. მაინც ბავშვი ხარ. თუ სამგზესაც აკეთებ და თან „თამაშობ“ ორნაირი მოგება გაგვს — ბავშვობა ბავშვობად შეგრჩება და ისლი, სახუარავი, ძროხა, ხბო და რაც თავისთავად...

არიქა, ღამდება! მატარებელი სანამ ახალ ქუთაისში არ ჩავა, რკინიგზა ჩვენს განკარგულებაშია. აბა მიდი, სარი და კეტი, ისლი და ბაწარი, „ცხენი“ და „მათრახი“, სირბილით, თორემ, რა იცი, მატარებელია, რომ მოინდომოს, რას არ იზამს!

მივედით ნაწისქვილარის ფერდთან და ასევე სასწრაფოდ გადმოგაყარეთ კონები და სარები, გავათავისუფლეთ ლიანდაგი. ბაწარი გაუხეხია, ერთგან შუამდეა ჩაჭრილი. რას იზამ! აბა, ასე გეგონა, ყველაფერი შეგრჩებოდა? „თამაში“, „კუნტრუში“, გზის შემოკლება და თხუთმეტი კონა ნედლი ისლის ერთბაშად გამოფრიალება რომ მოგინდომე?

ახლა ისევ შეუსვენებლივ უნდა დავაწყოთ ესენი, ისევ თავშეკცევით, ამ კეტებზე დავაკრთ ბაწრით. რა ოქმა უნდა, ამოდენა ტვირთს ხელში ვერ

ოტია იოსელიანი
ნოველები

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიჭერ, ამის ძალა ვინ მოგცა. საზიდავად ეს ორი სარიც გეყოფა, მაგრამ ბოლოებში ბაწარი (ბაწარი გრძელია) უნდა ჩაბა. მიწაზე რომ დაჯდები და წაწვრილებულ კისერზე გადადებ, ორივე ბეჭზე უნდა გადაგწვდეს, მაგრამ, რა ძალა იქნება ის ძალა, თუკი ცარიელი ფეხზე ვერ დგები, ასეთი ტვირთით მუხლს რომ გაგამართინებს. პატარა ჩემს ძმასაც უნდა „მოვპარო", ჩემკენ მოვიჩოჩო, მე ერთი წლით უფროსი ვარ.

როგორ გინდა რომ ადგე? ბაწრის საბეჭურში კისერს რომ ჰყოფ დაოთხილი, ნაუღელი, ჯანდრაკი ხარივით ეღელს რომ შეუდგება... სარგებ, რა თქმა უნდა, ხელს არ ახლებ. თუ წელი იტანე, ტვირთი საბეჭურს თავისთავად აჰყვება.

ვერაფრით ძვრას რომ ვერ უზამ, წვივებზე უნდა იტაცო ხელები, წელს ხელებიც უნდა შეაშველო და ამოჰყვე წვივებს, მუხლამდე ძალიან ჭირს. თუ ავირისთავებზე ხელისგულები დაიჯანე, სანახევროდ წამომდგარი ხარ. კისერს ჩაგჭრის ამ დროს ბაწარი, რაკი ჯერ კიდევ ბეჭებზე არა გაქვს მოდებული. კისრის მალებზე ცეცხლს წაგიკიდებს, მაგრამ ამას საბოლოოდ წელში გამართვამდე უნდა გაუძლო, მერე თოკი ცეცხლს მხრებზეც გადაიტანს და ტკივილი კი არ შეგიმსუბუქება, მაგრამ მარტო კისერი არ გაწუხებს და, როცა ბევრი რაიმე გაწუხებს, გჭრის, გსერავს და უმწიფარ, თოთო ძვლებს გამტვრევს, ბოლოს და ბოლოს, ვეღარ ართმევ თვალს ამდენ უსაშველოს და შენს გზას ადგები.

ესე იგი, შრომის ცეცხლისა, თუ აზარტისა არ იყოს, ბევრი და მრავალმხრივი გვემისაგან გეწყება სხეულის გაკრუნება, როგორც ცემა-ტყეპისას. პირველი გარტყმა გტკივა, მეორეც, მესამეც... ჰა, ჰა, მეოთხე-მეხუთე და, თუ ღონივრად გიჟაჟუნებს, ვინც ამ საქმეს გიშვრება (აბა, ისე არც გეტკინება), ბოლოს და ბოლოს, დაგარტიანებს და მერე მოდგეს და იმტვრიოს ხელები, შენ არაფერი გეყურება და... ასევეა შრომით თავის გალახვაც.

რაღაც სასწაულით, წელს-ოდ-ოდ ეწორდ, მაგრამ ვეღარ იძვრი, გგრნია, მიწაში ჩაჰკიავხარ ამ სიმძიმეს, სანამ ორივე ფეხზე დგახარ, მუხლებიც არ ტკაცუნობს. მაგრამ ხომ უნდა დაიძრე, ბოლოს და ბოლოს, სანამდე იქნება ასე გაშეშებული? ხერხემალზე იცის ცეცხლის ჩაყოლა, მაგრამ სანამ სწორად დგახარ არაფერია და სელის დროსაც გამართულად, გაჯგიმულად უნდა იარო, ვითომ ვინმეს ეშტიმებოდე და ებრიქებოდე. იცოდე, ოდნავ რომ მოიღუნო, მეტად ვეღარ გაიმართები და გვერდზე რომ გადაიხარო, ხერხემალს ჩაგიშლის ამოდენა ტვირთი. ნაბიჯს რომ გადადგამ, ცალ ფეხს რომ დაეწვები და თანაც გაშეშებულს ხომ ვერ გადაიტან, წინ უნდა წაიხარო, მაშინ იცის ძვლებმა ტკაცანი და ჭრიალი, მაგრამ ურემი დაზურგული ჭრიალებს, ცარიელი ურმის ჭრიალი, რა ჭრიალია.

რკინიგზის გადაღმა თავდამართია, აქ, ნაწისქვილარის ფერდობზე — აღმართი და დაღმართი, არც ერთი არაა წალმართი, მაგრამ უსაშველო ტვირთის ქვეშ აღმართი სჯობია, თუ ვერ ახვალ, გაჩერდები მაინც. დაღმართში წყალჩამდგარმა მუხლმა რომ ვერ გაგიძღოს, წახვალ და წახვალ...

გზა!... გზა თუ ჰქვია ამას, რაღაც ნაურმალი ოღროჩოღრო ჩაქანებაა და მეტი არაფერი. მოლად უნდა მიატოვო, ფეხდგმებს, გარდიგარდმო ჩამოჭყვე. ფრუზილად, ფეხი არ გადაგიბრუნდეს ნაფიზდალში და ორფოხში, თორემ კოჭში „ამოგვარდება! დაიჯეკი მერე, მაგ ისლის კონებს ზევიდან და როგორი ასაწევია, იმასაც ნახავ.

ასე გირჩევნია, სანამ „მსუბუქადა" ხარ და ყოველი ნაბიჯი გამოზომილი გაქვს! როგორც კი გაივაკებ, იქვე ბოგირია. ახლოსაა ბოგირი და როგორმე ბოგირამდე, ერთი... ორი... სამი..: ოთხი...

პატარაც კიდევ... კიდევ... კიდევ და, რა გინდა, შე მამაცხონებულო, ჩამოვა-

კებამდე აგერ ნახევარი ქე გამოიარე, კიდეე ნახევარიც და, ბოგირზე ხარ, მართალია, ბოგირი ცოტა შემაღლებულია, მაგრამ იქაურობას რომ გასცდე და ბეკნარას მინდორზე მისვლას ელირსო, სანახევროდ ისიც ამრეცია. იმას ზევით კიდეე გელის ალმართ-დალმართი... რა გინდა რომ ქნა, საქართველო მთაგორიანი ქვეყანაა. შენ რომ გიჭირდეს, ამიტომ, ღმერთმა დაიფაროს, რომ მთა და ბარი გასწორდეს.

არ დაისვენო! დასვენება დასვენებას მოგთხოვს. მუხლში, ხერხემალზე, კისრის მალებში და ბეჭების ძვლებზე ცეცხლი გიკიდია, ცეცხლწაკიდებულ კონა ჩალაზე ხელეურ თივას რომ მიაყრი, ისე ბოლავს და ფუტავს, ალი აღარ ჩანს. ასე იცის და ახლა, ამ ბოგირზე რომ ჩაეფეხვო, დილამდე ვერც გაინძრევი, ბაწრის საბეჭურს ვერ გადაიძრობ, ასე ტანიკებზე აპეურებგამონასკვული ხარივით ეგდები წყაროწყილი და ფაცურს ვერ იხმ.

უნდა გადაცდე ბერბოგირს და ადგე ხელისგულივით სწორ ნაყანებს. ნაურმალ გზას ნაყანები სჯობია. გზაზე, ურმის თვლის ნორდალში და ხარის ნაფეხურში გადაგბერუნდება კოჭი და მერე რა გელის. გითხარი.

ბედი შენი, რომ წამშრალია, თორემ მაშინ გენახა, ახალი ნაწვიმარი რომ იყოს, მუხლამდე წახვიდოდი და ცარიელაც ვერ გააღწევდი. ისლი კი არა, ბაწარი, ხანჯალი და ნანათხოვრები ნამგალიც იქვე რომ დაგეტოვებინა.

გაგიმართლა, საშენო ამინდია, ვარსკვლავები ანგელოზის თვალებივით დაგაყურებს, ღმერთი შენთანაა და ნუ გეშინია, გაგაძლებინებს ერთხანაზე.

საერთოდ არ გაჩენილიყავი, შენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა, მაგრამ გაჩნდი და, რა შენი ბრალია... იმ ცხონებულ მამაშენს რომ ბრმა ნაწლავი გაუსკდა და პატრონს მიბარდა, სანამ შენ ჩაგსახავდა, წინა ღამეს გახეთქოდა, მაღლს იზამდა. მაგრამ იცოდა, რას გაპირებდა და გიმტრო, თუ?

აბა, რა გინდა, ვის რა პასუხს თხოვ. დედაშენი მეორედ რომც არ გათხოვილიყო, ამ ისლის კონას ერთს ვერ ასწევდა. არაა მაგის ქალი დედაშენი, და რა ქნას? წაჰყოლოდი იმ შენს მამინაცვალთან, ანაა ურიგო კაცი, იქნება ქე მოეტეხა ლუკმა და სადმე ღამის გასათევიც მოეცა, თავზე რომ არ ეწვიმებია და „ვარსკვლავთმრიცხველობა“ მოგეშალა.

არ ქენი, ბაბა, და, შენ თავს დაბრალე. ჯიუტი ხარ, ლეურჯი, თავის ნათქვამ, ჯორზე რომ შეჯდები, კაცაშვილი ფეხს ვერ ჩამოგადგმევინებს. შეგიძლია თუ არა, ხარ მართალი თუ არა, შენსაზე დგახარ. შენი ჭირი და სნება გირჩევნია, სხვის ლხინს და დროს ტარებას.

ან რა სხვა იყო დედა და მამინაცვალი, რავა, ჯერ არ გათხოვილა ქვრივი და მამინაცვალს არ გაუზრდია გერეები?! რა ციხე-დარბაზების პატრონი შენ მყავდი? მაქვს მე მამისეულობაო, რომ წაგდე ენა სასამართლოზე. რა ვიცი, მაინცდამაინც მაშინ გადაირიე, თორემ როდის იყო. შენი ლაპარაკი და ტლეკინი ვინმეს სმენოდეს. რა იყო, რომ ამოიგლიჯე გული, დაკარგე ჭკუა, დაჰკარი ფეხი, დაავლე ძმას ხელი და სახლში გამოიქეცი. გამოიქეცი, თორემ, განძით დატენილ ზანდუკებს ითვისებდა ვინმე და ფეხად მოუსწარი. თქვენი ეზო ისედაც ერთი სამოსახლო იყო. ახლა სამადაა გაყოფილი და ერთი მესამედია შენი. ჰო, ის უმცროსი ბიძაც — ვეჩელიე, ქუთაისშია და არ ინდომა თავის წილი, თორემ ხენი და თესვა რომ შეძლო, საამისო არაფერი გაგაჩნია. ერთი მაგიდაა მამაშენის ნაყიდი მამიდაშენის ფულით, ერთი რკინის საწოლი, ზამბარებიც არა აქვს, ფიცარზეა ლეიბი დაგდებული და მამიდა შენ და შენ ძმას თავშექცევით რომ იმ საწოლზე გაწვენთ, თვითონ იმ მაგიდაზე იშლის ქვეშაგებს. ღამე საწოლია და დღე მაგიდა. ექვსი სელის სკამი აქვს მამიდაშენს, ორი ხელი სასტუმრო ლე-

ოთია იოსელიანი
ნოველები

იბ-საბანი და ორი კარადა — ტანსაცმლის და ჭურჭლის, კედლის ხალი და ფარდაგი. შენი იღბალი, რომ არ გათხოვდა, თორემ ამეებსაც მზითვად წაიღებდა. მაშინ ჩალა უნდა დაგეგო და ზემოდან თივა დაგეხურა.

მიდი, მიდი! ვისაც თავისუფლება, საკუთარი ციხე-გალავანი და კოშკ-გოდოლი უნდა, მკლავიც უნდა ერჩოდეს.

მიდი! ოფლისა და სისხლის დაუღვრელად დამოუკიდებლობა არავის დაუმკვიდრებია.

არ შეგიძლია, არ ვიცი მე! აქამდე ხომ მოათრიე როგორც იყო, ამ ნაყანებს ხომ გამოკედები? აგერაა ა, ლაშ. აწი მინდორზე, ჭყუტა მსხლამდე და საადურამდე „არ შემიძლიან“ ითრიოს. იქიდან მინდვრის თავამდე ხომ მთლად გათავდები და მერე — „მთლად გათავებამ“. ბოლოს ამოგხდება მაგ გაწამებული სული, აბა რა მოგიგია და, მერე იმ „გაწამებულმა, ამოხდილმა სულმა“. ეზო რომ გამორჩდება და ჩაძაღლდები, მერე — „ჩაძაღლებულმაც“. ცოტა კიდევ... ცოტა კიდევ... და ალაგედან სახლამდე კი რაღაა, შინა ხარ!..

მეორე კვირას მთლად უთენია მივდივართ, ნამგალი საღამოს გავლესე, ნანჯალიც. ძონძებისაგან ხელთათმანივით რაღაც გამოვბუჯეთ, ცოტა ბამბაც დავატანეთ. ასო ბურდებში ძრომის გამოცდილებაც გვაქვს, მაგრამ რკინიგზის პირებზე წინა კვირას გავაწყალეთ, ისლის ნასახიც აღარაა. ქვეყით-ქვეყით უნდა დავუყვეთ ოღოს, იქ მოიძებნება რაღაცა, თუმცა რკინიგზას დავშორდებით. ლიანდაგებზე, ჩვენ რომ ვიცით, ისე თუ მოვაწყობთ, ნაწისქვილარამდე თუ გინდა, საკუთარი საბარგო მატარებელი ვყავდეს. დღეს თუ ქვეყით დავუყვეთ, ალბათ ახალი წისქვილის სათავემდე ჩავალთ და მერე ჯერ იქიდან ამოტანა და რკინიგზამდე მოღწევა არ გინდა?

ისლი ოღოსნაპირა ეწრებზეა, ზოგჯერ ეკალ-მაყვალს და ბურდებსაც კი გამოქცევია და მუჭა-მუჭაა დაჭყლეტილი წითელშიწა ბორცვებზე... ისე, ბერ ნებაზე რომ გაზრდილა, ბალიცტამანც ნახერარები ვერაა. ხლსტეებში და ღიჭიანში სინესტეც მეტი აქვს და, ბარდებით არ დავიჩრდილო და დავიჩაგროო, მაღალიც იზრდება. ძეძვებში ძრომაზე კი არ ვამბობთ უარს, მაგრამ ამ დაგვალულსაც ვამატებთ და უფრო მომსხო კონებად ვკრავთ, ბოლოებში ერთობ გამსხვილებულია, ამის დამაგრება სარებზე ძალიან გაჭირდება, თუმცა ეს მერე არ გვეყოფა თავსატეხად? ახლა რაც გვჭირს, ჯერ ამას მოვუაროთ.

მივსდევთ ოღოს ნაპირებს და ვაყენებთ ფეზზე კონებს. დალოცა ღმერთმა, ღელეა, სადაც დაპკრავ ფეზს, იქ გადაატტები. ორივე მხარეზე მუსრს ვავლებთ ჩვენი სოფლის თუ მაღლაკელების ისლს... ნაშუადღევს ცა ღრუბლებით აითოხნა და ქარმაც შემოკრა. არაა ეს კაის ნიშანი, იცი, მარა რას იზამ, ხელს აიფარებ თუ? ახლა მუხლზე თოვლიც რომ იყოს, არ გაეწმენდება და ღრუბელი და ქარი გიკვირს? ღმერთწინაშე, ქვენა დილიდანვე სიჩსილებდა, ჩვენ კი თავს ვიტყუებდით, ვითომ ვერ ვამჩნევდით.

კარგი და, რომ გაწვიმდეს, რა წყალში ვარდები! ამ ოღოში, რომც მოინდომო, როგორც ტაშტში, ისე გაგიჭირდება თავის დახრჩობა, იქით, ბერბოგორთან კია წყალტუბას წყალი ღრმა, მაგრამ იქამდე თუ მიდი და ისლიც მიიტანე, ნახეკარი გზა გავლილი გექნება და მერე თავს რომ შეელიო, ამდენ ნაწვალებს ვის უტოვებ!

მოვსცხეთ და მოვსცხეთ, დავიგლიჯეთ, დავიდღლიზეთ, არც ჩვენ ჩაგვიდევს ფეზი, მაგრამ თუ სადმე ისლის ღერი დავლანდეთ, არც ის მოვასვენეთ. მოვეჭერით, მოვთიბეთ, მოვმკეთ...

თვალსა და ხელს შუა შედამდა, ვითომ, ჩვენი ვარაფდინი, ჯერ არ უნდა დადამებულიყო, მაგრამ მოაქეს და მოაქეს წანწალა ქარაშოტს კუპრის კვამლივით ღრუბლები და ზვინავს ჩვენ თავზე ცის თავანს. ჩამოაბნელა, ჩამოა-

ლუსკუმა და წვიმამაც დაუშვა. ბებიას მოესწავილი ხამშალეს, გვერისტით ნაკერი ბლუზა-შარვალი გვაცვია, ეს დაგვიფარავს? ამას ვინ დაეძებს, ცხრამეტი კონა შეკრული გვაქვს, მეოცეს აღარაფერი გვიკლია. ეს მეოცეც უნდა შეიკონოს, წვიმა კი არა, ღვარცოფი რომ მოვარდეს და ჩვენც ისლიანად წავგიღოს, ოცი კონა ხუმრობა ხომ არაა? თხუთმეტიც შინა გვაქვს და ძროხას, ხბოს, ბებიას და ჩვენ, მამიდაც რომ მოვა ბუბისწყლიდან შაბათ-კვირას, ყველას გვეყოფა სახურავად.

ესეც ასე, ოცი კონა ისლი გვაქვს აგერ და წვიმა და ქარი ძვლებში გვატანს...

წითელმაწა ეწერი ატალახებით ატალახდება, თუმცა რომ ჩაეფლო და ფეხი ვერ ამოგლიჯო, ამას არ იზამს. ნირხატია, მაგრამ აყალონარევია და თქვენთ ღრმად გულის გამოლპობა არ იცის, ზევით გადაირეცხება. თუ მაინცდამაინც წარღვნა იქნა, ღელისკენ დაკნინება აქვს, საწრეტი ხრამები აქვს, ზედ რომ გადაალაჯებ, იმოდენა, მაგრამ ამ ნეღლი, სველი ისლის თრეცა თქვენ შენ. ასეთ ამინდში ბერბაგირამდე ცარიელა თუ მიაღწევ, თორემ ბერბაგირიდან ბეკნარას მინდვრამდე ნაყანები თარაზოში გასწორებულს ჰგავს. რაც უნდა კოკისპირულმა ასხას, წვეთს არ გაიმეტებს იქვე მოჩჩხრიალე მდინარისთვის. შორს, სამგურალის და გორმაღალის მთებში თუ არ წვიმს და იმან არ აადიდა და არ აამღვრია, წყალტუბოს თბილი წყაროების თავნაყარი მდინარე კამკამად მოედინება და ჩვენ სოფელში ნაპირებზე ტბები დგას. როცა მთებიდან ნიაღვრები მოსცდება და ფაცრის თავში მიწისქვეშა მდინარეები შემოიპრება, ამ ეაკეზე მიხვეულ-მოხვეული კალაპოტები წყალს ვერ ატარებს, მდინარე დიდდება, ამოდის ზევით-ზევით, ნაპირებზე „ზღვა" ხვდება და მინდვრის ბოლომდე (ლაქაშაც შიგ მოიქცევს), ნახევარ კილომეტრზე მაინც გადაიჭიმება. ამ რძესავით თბილ მდინარეს ნაჩეევი თევზი მღვრიე, ცივ წყალს, დიახაც, თაკლოს და ნაყანებში, მინდორში და ლაშვების, წყალსატევებში კობრები [illegible] დაშლიგინებენ. დავდევდით [illegible] ნაჯახით, კეტით, ხანჯლით და ბევრჯერ არცთუ უშედეგოდ.

ახლაც კაი დელგმას აპირებს... თუ აქ, ოღოს ნაპირებზე კარავს დავიდგამთ, ისლით გადავხურავთ და დავსახლდებით, თორემ ამ თავსხმაში აქედან ცარიელაც ვეღარ გავაღწევთ. ცარიელა კიდეც რომ გავაღწიოთ, რად გვინდა, უისლოდ შინ მაინც არ მიგვესვლება. იქაც ტბორი იქნება, ჩვენს სამზადში და რა განსხვავებაა? ალბათ გამოდარებამდე უნდა ვეყაროთ აქ. მადლობა ღმერთს, აქეთ, ტყე რომ დაერქმევა, თვალსაწიერზე ისეთი არაფერია და ჩაის საკრეფად მგლები ჯერჯერობით ვერ იცლიან, ასე შევიწროებულებს თავიანთი მგლური სადავიდარაბოც ჰყოფნით.

აკვლდნენ გრძელტევრისკენ ტურები (სახელი აქვს შემორჩენილი გრძელი ტევრისა, თორემ მინდორია, ფერმის საზაფხულო სამოვრები) ყალუზე დაგვიყენეს თმა (რაც უნდა იყოს, მაინც ნადირი ჰქვია).

გამოლენჩებულს მიშვერილი მაქვს ცისთვის დატებული პირი და ვითომ ცივი, ტკაცუნა წვიმა კი არა, ბალიშა კანფეტები ცვიოდეს... ფეხებზეც ალარ მკიდია ქვეყანა. ყველაფერი დაღუპულია, არსაიდან ხსნა არაა და წყალს ჩვენი ისლიანად ისე მივყავართ, ხავსიც არსადაა, რომ წვავპოტინოთ.

ყველაფერს აქვს საზღვარი (გალაკტიონი ამბობს: თვით უსაზღვროებასაც) ჩვენ არც ფიქრი დაგვიკლია, არც ჯავრი, არც საქმე, არც მცდელობა, მაგრამ გაგვიჩნდა უსაზღვრო უბედურება და ურტყი უსახურავო კედელს თავი.

კოკისპირულს მივყავართ, თორემ ჯერ დაღამებულიც არაა, კიდევ იცნობს

ოტია იოსელიანი
ნოველები

კაცი კაცს და, აგერ ურემი არ მოკრიალებს!? გადაირევი და დაკარგავ ჭკუას, ამა რა მოგივა!

ზედ მოგვდგა. თუ რაიმე უნდა გვჩვენებოდეს ახლა, ხარ-ურემი უნდა გეჩვენებოდეს, შენი ერთადერთი მხსნელი, მაგრამ ღმერთი გამიწყრეს (ვითომ არ მყოლოდა გამწყარალი და განრისხებული), თუ ამაზე ოცნება გამებედოს. ვინ მომიშავებდა ურემს ამ შეღამებულში, თავსხმაში, სადღაც დასაკარგავში, ოღოს ნაპირებზე წყალწაღებულს და ზღვას გატანებულს.

ა, ბატონო, აგერ უღელი ხარი, ცარიელა ურემი, ცოტა შელანძღული ქეა, მარა ოც კონა ისლს კი არა, ორმოცდაათს, ასს წაიღებს.

და ზედ ფაფანაკრამოწეწწყული, გალუმპული დათიკო ზის, სილაგაძე.

შემირიგდა უფალი (გამწყარალი რომ მყავდა ის მიკვირდა, თორემ შერიგება რატომ უნდა გამკვირვებოდა), თვითონ გამომეცხადა. დაილოცა მისი სამართალი, მაგრამ რაღა დათიკო სილაგაძედ მოინდომა გამოცხადება, ეს ვერაფრით გამიგია. თუ არ უნდოდა გვეცნო, მაინც შეეშალა. დათიკომ არ იცოდა, ჩვენ ვინ ვიყავით. ჩვენგან შორს ცხოვრობს. ცალი ფეხი სტკივა, ძლივს დაათრევს, ხარ-ურემი მისთვის ფეხებიცაა. ჩვენს ორღობეში წელიწადში ერთხელ თუ მოუხდებოდა გავლა. მე და ჩემი ძმა ორღობეში და გზა-შარაზე როდის ვისხედით, ხან საით გადაგვისროდა აებედი და ხან საით. გარე მეზობლებს უკირდათ ჩვენი ცნობა, სანამ საბოლოოდ სახლში არ დავმკვიდრდით, და დათიკომ რა იცის, მაგრამ ჩვენ წისქვილში გვინახავს, თუ გზაში შეგვხვედრია, ვიცნობთ.

ეს რას მომატყუებს, მამაზეციერია, ჩვენს სახსნელად არის ჩამობრძანებული და დაუჩემებია, დათიკო სილაგაძე ვარო.

კი ბატონო, დათიკო დაირქვი, რა მენაღვლება, მაგრამ როგორც ახლა დათიკოს ვუყურებ, ისე გიყურებ და უეჭველად ვიცი, ვინცა ხარ!

— ვისი ხართ, ბაღნებო?.. — სასაცილოდ და სადღესასწაულოდ ჩვენ გეკონდა საქმე და თვითონ კი, [illegible] ბათ, შემატყო, ვერაფერს გამომაპარებდა და იმ ღვთიური ღიმილით გამომიტყდა.

შეკეთილი, ვისიც ვიყავით, ვინც ჩაიღგა ფეხი ჩვენ ცოდვაში ჩვენი გაჩენისათვის.

— ოჰ, შალიკოს?.. დაადგა ნათელი...

— კი, ბიძია, იმის შვილები ვართ...

— რო დაღამდა, სახლში არ მოდიხართ?

ვითომ არ იცოდეს ამ ეშმაკმა! წასასვლელი მაქვს და არ მივდივარ?

მე ჩვენ ნაოფლარ კონებს შევხედე: რომ გადაგვიგლიჯე სახლის სახურავი, მიგვაყენე ამ ძეძვებში და ეკალბარდებში ისლს და გვადინე სისხლი, ახლა ამას გვატოვებინებ, თუ რას ფიქრობმეთქი.

— დაიყარეთ მაგიც აგერ, დაიჯექით ზეით და წევიდეთ. რო დაღამდა, ვერ ხედავთ?..

ისე ამბობს, ვითომ თავისით დაღამებულიყოს და თვითონ არაფერ შუაში იყოს. გულმა რაღაცა რეჩხი მიყო, ღმერთი კია, მარა დაჯექით ზეითო, ასე არ თქვა? ამას მამაზეციერიც არ იტყოდა.

ვაყრიან! ბურთიკით ვთამაშებთ ამოდენა გაზუზულ ნედლ კონებს. დათიკო გვართმევს და აწყობს კოხტად და ლამაზად. წამში ყველაფერი მზადაა. უფალი თავისი ხარ-ურმით და მარჯვენით შენთანაა და რაა ამქვეყნად, რომ დაგაბრკოლოს.

— ე, წევიდეთ, ბიძია... — „ბიძიე“ და „ბაბუე“ რავა ეკადრება ჩემგან, მართლა დათიკო ხომ არაა, მაგრამ ასე ინება და...

— აჰ, არა, ბიძია!..

— შამოჯექით... აპა, აქ ხვარ გავათენებთ... — რავა მთლად დათიკოსავით ლაპარაკობს, ვინმეს მართლა ჩვენი სოფელი ეგონება.

ურემზე დაჯდომას როგორ გავბე-

დავთ, ისევ რომ გაგვირისხდეს და ეს კონებიც ძირს ჩამოგვიყაროს?.. არაფერი დამიშავებია, მეგონა, და ქეფაანა თავზე დამაქცია და ახლა რომ თქვას, ამ წყალ-ტალახში ხარები არ გეცოდებათო!.. არ ეთქმის თუ?

— ჩვენ არა, ბიძია, აგერ კოფოსთან ბრჩხილას ჩავკიდებთ ხელს, თუ მანდამანიც...

— მე ურემზე ვიჯდე და თქვენ, ბაღნებმა, ფეხით ლტატყუნოთ? მუხლზე იქნება ახლა ლაფი, ნამეტურ ბერბოგარიდან!

„არაა ეს ღმერთი, ეშმაკია და უნდა გვაცდუნოს. არადა, ცოტაა ცდუნება და გაუძლებ?“

— ჩქენ, ბიძია, ფეხი რომ გტკივათ!.. — ვამართლებ ვითომ მის ურმით მგზავრობას, მაგრამ თან იმის გაგებაც მინდა, ასე უეცრად რომ დაკარა ფეხი და ციდან ჩამოფრინდა, ხომ არ დაავიწყდა დათიკო რომ ძლივს დაკოჭტარობს?

— მე, ბიძია, ფეხი მტკივა, ჭკუა კი არა, ამხელა გზაზე, ამისთანა წაწყმენდილ ამინდში ფეხით გარონინებ? — მთლად დათიკოსავით ლაპარაკობს. ვინც არ იცის, არც დაეჭვდება.

დაგვსხა, შენ ხარ ჩემი ბატონი, ურემზე ხოხბის ჭუჭულებივით, თუ გინდა ისლის კონებშიც ჩაძვერი, არც კი დაგწვიმს, მაგრამ ისლის კონებიდან ცას რაფერ ვუყურო და პირჯვარი რაფერ ვიწერო? მაწვიმოს, მათოვოს, ფეხად ჩამოვიდეს ზესკნელი, რას დამაკლებს!

რავა მჯერა, მაგრამ მოვდივართ და... ძოდგლაფუნობს ეს ხარები ნამდვილივით და აშხეილებს სახრეს უფალი დათიკოსავით.

ჭიშკართან მივედით. აგერ, გზაში ჩამოვყრით, ამისთვის კიდევ ამ დელგმაში ღმერთის შეწუხებას ვინ გაბედავს, მარა გიჯერებს ვინმე?

— ჭიშკარი გამოღეთ რამეფრათ... — აქეთ გვეხვეწება.

— მოვაფრიალეთ, რასაკვირველია, ირის კიდემდე. შემოაჭრიალეს ეზოში, ძერგის თავი არც ბოძისთვის [illegible] არც ჭიშკრის ლაფათინისთვის!.. [illegible] წამოდგებდა!

ზედ თავგადაგლეჯილი სამზადის ლაფარასთან მიგვიტანა, თვითონვე ჩამოგვაცლეკინა. ოთხ-ოთხი დავდგით ერთად ჩალის ჩერგელასავით, თავი მუჭა ისლით შეგვაკვრევინა, ქარი ვერ წაქცევს და ასე უფრო ჩქარა გაშრებაო. ნედლი რომ დახუროთ, შემჩვალება იცის, დალპებაო და რომ შევეპატიჟეთ, ტყემლის არაყი გვქონდა ერთი ნახევარი ბოთლი, კურცხლებს წაყრევინებდა კაცს, არაფრით არ ჰკნა.

— არა, ბიძიებო, შეწუხება და ამნაირი რამე რავა შეიძლებაო...

— წუხა ძალიან, ღამის ცისიერში იქით დანგრეული ნალია და აქეთ, სამზადის თავზე შავი, გამჭვარტლული ჭოკებილა რომ გალანდა, ვითომ მართლა დათიკო სილაგაძე ყოფილიყოს და მანამდე არაფერი ცოდნოდეს, შემოაბრუნა ხარები, აცოდვილდა ურემზე და წავიდა.

— რა თქმა უნდა, გავყევით. არაფრით არ შვრებოდა:

— სობელი ხართ, გაცეცებული, ჭიშკარს მე მივიგდებ, ამელამ ღიაც რო იყოს, რა ჩამოვა... — მაგრამ ახლა თავი ჭუდში გვკონდა, ისლი ეზოში გვედგა ჩარგვალებად და კიდეც რომ გაგვრისხებოდა, ისევ ოღოს ნაპირებზე წაიტანდა?

— გადახრიგინდა ჭიშკართან ქვებზე ნამდვილი ურემივით, ჩვენი თვალის ასახვევად სახრეც გადაუჭირა ხარებს და ერთხანს გვესმოდა ხარების ტალატში დგაფუნი და ურმის ყრუ ჭრიალი, მარა ჩვენ რომ აღარ გვესმოდა, მართლა დათიკო სილაგაძისას ხომ არ წავიდოდა, ისიც ამ თავსსმაში. ღრუბლების ზევით არ ერჩია?

ოგია იოსელიანი
ნოველები

ოცდახუთი წლის მერე შევხვდი ნამდვილ დათიკოს.

წყალტუბოში აფთიაქის გამგეედ მუშაობდა მამაჩემის მობიძაშვილე, ფორიკა. მის კაბინეტში შემოჩაკუნდა, რაღაც წამალი ვერ ეშოვა და ნამეტანი მოკრძალებით დადგა კართან. ორივე ხელით რაღაც ნახევი ქაღალდი ეჭირა. მე თვალებგაბრწყინებული მივაჩერდი, მას კი ეუხერხულა და უკან გაბრუნება დააპირა: ვითომ, სანამ ფორიკა ჩემთვის მოიცლის, გარეთ დაველოდებიო.

— შენ დათიკო არა ხარ! — ღმერთის გამოცხადებასავით გამეხარდა, რავა, არ გამომცხადებია მისი სახით თუ!..

— კი, ბატონო... — გაიღიმა მორცხვად, შეჭირვებულად.

— ფორიკა, თუ რაიმე გაგაჩნია, რომ იცით გაჭირვებულისთვის შემოსახვა. თუ შენ არა, მითხარი, სად იქნება, ვის ექნება, თუ არა, გადამყიდველებში მიმასწავლე, იქ ხომ ნაღდად ვიშოვი და დათიკოსთვის რაღაცა გამახარხარებინე, — შევეხვეწე ბიძაჩემს.

— რეზა წუხდები... — მოერიდა დათიკოს. ჩემს გამო სულ არ აპირებდა იქ გაჩერებას და მე რომ სიხარულით ცას ვეწიე, ვერაფერი გაიგო.

— შენგან მიდგია სული, დათიკო, შენითა ვარ, რომ ვარ და რა გიკვირს, შე ოჯახაშენებულო. მობრძანდი, დაბრძანდი, მართლა ხომ არაფერი გაწუხებს, სახლში როგორა ხართ, ხარ-ურემი?.. — მივაყარე და მივაყარე. ამხელა სიხარულზე კი არა, ისედაც სულმოუთქმელად ვაყრი, საფანტივით.

— რა პატივი გეცი ამნაირი...

— რა იყო, მართლა, ჩანაია?.. — გაუკვირდა ფორიკასაც. ასე, კაცზე მიფეთებული არ ვუნახივარ („ჩანაიე" ისე იცოდა სიტყვაში, მოსაფერებლად).

— მაგას რა ენა-პირი იტყვის, მარა... დათიკო!..

— ბატონო.

— თვითონ ბატონო, ბატონო, — ვიცურო კაცო და, რა ვიცი... ღიმილი ხნის წინ ერთ ზამთრის წვიმიან ღამეს ოლოსპირებიდან რომ ოცი კონა ისლი წამოგვიღე მე და ჩემ ძმას, მაგი რავა არ გემახსოვრება?

დათიკო ჩაფიქრდა.

— ახლავე გეტყვი... ოცდახუთი წელი იქნება... წაწყმენდილი ამინდი იდგა, ცა ფეხად ჩამოდიოდა...

გაელიმა, ისევ ისე, მორცხვად, მოკრძალებულად, შეჭირვებულად.

— რომ არ მაგონდება...

— ა, ასეთი ფაფანაკი გეზურა, ხარურმით იყავი.

— ფეხი რომ მიჭირვებს საქმეს, ხარურმით მიხდება სიარული...

— ჰო, რა თქმა უნდა, მაგრამ ჩვენ კი ღმერთივით გამოგეცქადე და...

— ი ღმერთი გამიწყრეს, თუ მახსოვდეს...

— დათიკო, იმის დავიწყება რაფერ შეიძლება.

— ჩვენ მოშორებით ვცხოვრობთ და მაშვინ შენ ბაღანე იქნებოდი...

— ოხუთმეტი წლის ვიქნებოდი...

— ხოდა, იქნება ქე გეშლები ვინმეში.

— აჰ, არავითარ შემთხვევაში!

— ან არადა, თუ გადაგეყარეთ, მიე უფრო, უამინდობა იყოო, ასთე არ ბძანე?

— სიცივე, წყალ-ტალახი, ქვეყნის ჩამოქცევა.

— ხოდა, გამოგიძღვანიებდით, აპა, რავა იქნებოდა.

— ჩანაია, იქნება მართლა სხვა იყო,

— ვერც ბიძაჩემმა ფორიკამ, გაიცინ რამე.

სხვა იყოო?

ალბათ არ ახსოვს, იმიტომ, რომ დათიკო არ იყო?!.

პირველი ს

უნდა გადახვიდე ყოველგვარ საზღვარს და სამანს: ცრემლის ზღვას რომ აყენებ და ახარობ შენ განწირულებს, ვითომ შენი ბუნებისთვის შეუფერებელ სისხლსაც არ ერიდები. მეგობრებს შეაძაგებ ერთმანეთს, ძმებს წაჰკიდებ და შენ გამო შვილი დედ-მამას არ ინდობს, რამდენი მენახოს, იმდენი შენი თავი გახმა. კაცის ისედაც ტანჯული და გაუხარელი წუთისოფელი რამდენი შენ გაგემწარებინოს, იმდენმა იმათმა ცოდვა-ბრალმა კაითხოს!

შენ რაცა ხარ, მე მასწავლი?

შენ მომესვ და მომილიე, შენ გაშარე ჩემი სისხლი, თაკარა მზით ტვინამოდუღებულს შენ წამართვი საჩრდილობელი და წყალწყლებულს ნავთი დამასხი და ცეცხლი წამაკიდე.

იმთავითვე, როგორც კი შენი მსახვარული ხელი წამაკიდე, ჩვენი ოდის კედელზე შპალერად გაკრულ გაზეთის ქაღალდზე (მთელი დღე წელში გაწყვეტილ, რომ მთელი ღამე თვალი არ მომშახუნინე) წითელი ფანქრით მიეაწერე: იმის ოჯახი დაიქცა, ვინც მადლი თქვას სიყვარულის-მეთქი.

ესეც შენ! ჩემი პირველი ლექსი იყო შენდამი მოძღვნილი. მიიღე თუ არა საკადრისი!

რავა მეგონა, თუ სინდისში ვერ ჩაგაგდებდი და პატარას მაინც არ მისაშველებდი. ამაზე მთლად გადარიე და რაღაცა ბებიაჩემის ნაქსოვი და გვერდსტით შეკერილი ბლუზა-შარვალი მქონდა, ისედაც ხორცი მიჩანდა, ეკლებში და ბუერდებში ნაძრომიალებს, მთლად შემომაგლიჯე ტანზე.

სიყვარულო!...

არ გამაგონო შენი სახელი!

ტურდღელი არ ბუერბილისე ლაშებმორღვეული, ენაწაგდებულ მწევრებს. როგორც მე შენ, თუ სადმე წინდაწინ დაგლანდე, გველის ხვრელს ვითხრი და ქვესკნელში მივძვრები.

შენგან მჭირს, რაც მჭირს.

ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს ეშველა. მიწაც მოვხანი, სახლიც გადავხურე, ნალიაც გავმართე [illegible] ხლი ახალიც ავაშენე, [illegible] ვენახიც. წიგნიც ვიკითხე და, რომ გამიჭირდა, ჩემიც დავწერე, მაგრამ შენ ვერაფერი მოგიხერხე. ბლუზა-შარვალიც გავიხერხე. ერთი კი არა, ორი ხელიც. წუღა-მესტებიც... რად გინდა მერე, შენი გადამკიდე მაინც შიშველ-ტიტველი ვარ, უსახლკარო და მიუსაფარი. ველად გაჭრილი და ტყეში უჩრდილო.

სიყვარულო!

არ მიხსენო შენისახელი. მზარავს. ოროსავით მხვდება თავში და მარეტიანებს. ყელში დანაგაყრილი ხარივით მაზმუვლებს და მაბღალებს.

ჯერ იმთავითვე, შე სინდის-ნამუსზე ხელაღებულო, რამდენი გეხვეწე, გემუდარე და გეაჯე. არა, ის როდის გათხარი, რაღაცას, როცა ფეხზე დავდგები, პატარა წელს გავიმართავ, შენს წილს, რაც მმართებს (რატომ მემართა არ ვიცი, როდის გესესხე!) შენ-ლებიდაგვარად, ნელ-ნელა გადავიხდი. ქვეყანა ხედავს ჩემ გაჭირვებას, მგონი ღმერთმაც ჩემზე გული მოიბრუნა, საცაა ომიც დამთავრდება, იქნება ორი ანბანი ვისწავლო, რაიმე ბზას დავადგე... არა, დადგომას. ნუ მოუცდი, რაიმე იმედი გამოილანდოს, იქნება რაიმე საშველი განჩდეს და ნუ მიზამ, ნუ დამახრჩოს, ობოლი ვარ, პარტახი... ა, (გვიხსენი გულისპირი) პერანგი არ მაცვია და პერანგის ამხანაგი. ნუ დაიდებ ჩემს ცოდვას, ცოდვა-ბრალი ისედაც ბევრი გაწევს კისერზე. ნუ მომჭერი თავს, ქვეყანაში ნუ გამომაჭენებ, მედოს ეს შენი ვალი, კიდევ პატარა ხანს, მაცალე ორ დღეს, მაცალე და მერე იქნება თავნი მოგებით გადაგიხადო-მეთქი.

რაო, რისი შეგეშინდა? რომელი წამართმევი და წამგლეჯი, უპირული და გამქცევი მე ვიყავი. ასე რომ წამელიტა და წამიფცქვნა, არც ისე გაძაღ-

ლებული ვიქნებოდი. რას წაადგე ენა: მე ვარ თავიდათავვინ, ჩემით იწყება და მთავრდება ადამიანიო, მე ვარ თვითონ იმედი, ხსნა, რწმენა, საწყისი და სასრულიო, თუ ხსნას ეძებ, ჩემში უნდა ეძიოო! მეფე რომ მეფეა, უჩემოდ მათხოვარიაო, სიმდიდრეც მე ვარ და ოქრომკედით ნაქსოვი დიბა-ატლასიცაო. რამდენად გიჭირს, იმდენად მეტი უნდა გადამიხადოო. მდიდრისა და ბედით განებივრებულისაგან უფრო ცოტას ვიღებ, შენისთანა გაჭირვებულს და წყალწაღებულს სულს ვზდი და ვამდიდრებო!..

კაი-კაი, ბრტყელ-ბრტყელი, მაღალფარდოვანი სიტყვების რახარუხი კი გიყვარს. ბროლის კოშკებს უგებ უსახლკაროს და გაჭირვებულს უხვევ თვალს, აბა დალხინებულს იმღენს რას გამორჩები, მაგრამ ისე აშენდი შენ, მე შენი აშენებული და აღზევებული არავინ მენახოს.

არა, რა იყო მაინც, სულის ამოთქმა რომ გეცლია, დაიქცეოდა ქვეყანა? თუ იმის შეგეშინდა, ამ ჯირიანს და წელში გაწყვეტილს რა აცოცხლებს, ფეი არ გაფშიკოს და ჩემი ვალი და ვაზში არ გაიყოლოსო?

მაშინ, იმ ღლაპმა კი არა, აგერ, აქამდე იმღენი მიწვალია, მიტანჯია და მინახავს — თავი ორასი წლის მგონია, წუთისოფელი ისე მეცლება ხელიდან, შენთან ვერაფერი გავაწყვე. სვამ ჩემს სისხლს და ვერ ძღები.

წადი, ძმაო, შეგარგოს ღმერთმა, მომერიე და გიძახი ბაბას, ბურთიც შენია და მოედანიც, რომ გიჩივლო, ვისთან გიჩივლო, მოსამართლეც შენა ხარ და მსაჯულიც. ჩემი ნება რომ ყოფილიყო, შევცდი, გგონია? იმთავითვე არ ვიცოდი რა მუხთალი და ვერაგიც იყავი, თუ?

ყველაფერი ვიცოდი და, მით უმეტეს, ვიცი, მაგრამ შენ ხელში ბრძენი უვიცია და მიხრწნილი ბებერი — ბავშვი.

სახსენებელი არ მინდა შენი, არაფერი მინდომებია შენი ზიარი და შენი ვალიდან რომ ვერ ამოვედი!

მერედა, ეს რა იცი? რაკი ცხოვრებამ გაქვს გაჩენილი და კაცობრიობაც ბევრ შეეყარე, შეეყარე, დასანანებელ ლე, დაყარეს და დაბარბაცებ, ბარემ ნურაფერს გააგონებ და ნურაფერს დაანახებ. პირიქით, სხვისი ხმის გაგონება არ უნდა, თორემ ვისი მსგავრალიც გახადე, „მისი“ იმაზე მეტი ესმის, ვინემ ეუბნებიან და „მისის“ იმასაც ხედავს, რაც არ გაიჩნია.

საბრალო მხოხავს გამოასხამ ფრთებს და დაანავარდებ ლაჟვარდებში...

და შენ რა გგონია, რატომ შვრები ამას? მერე თეთრი ღრუბლებიდან რომ გადმოაგდო და დაანარცხო მიწას. მიწაზე რომ იყოს და იქვე დაეცეს, ასე შეიძლება არაფერი იტკინოს. მთავარზე რომ დასეირნობს და მზეზე ხელებს ითბობს, იქიდან რომ გადმოასკდება და დაანთხევს ტვინს მიწაზე, იმას საფლავის გათხრაც არ უნდა, დამწვარ-დახრუკული თვითონ იმარხება.

დაიფრთხავ ხელებს და ეძებ ახალ საკბილოს.

აბა, რა იყო „ის“? ერთი ბალეული, გამსლეული, საცოდავი არსება. მისი შეყვარება და მისთვის ჭკუის დაკარგვა კი არა, სხვადასხვა სოფლებიდან რომ რაიონის საშუალო სკოლაში თავი მოვიყარეთ (ერთხანს კარგაძალი ვიყავით, მერე შემოგვეცალა და თერთმეტი კლასი, თორმეტმა დავამთავრეთ) ერთხანს არც შემინიშნავს. რას დაინახავდი. აღარ იყო საწყალი და...

ისიც არ გითხარი? ნავთგადასხმულს და ცეცხლწაკიდებულს რომ წყალში მაგდებდი, სკოლის მერხზე სიყვარულობია, ჩვენს დროში, როგორ შეიძლება. ყოველნაირად რომ საქმე აწყობილი მქონდეს და ამის მეტი არაფერი მაკლდეს, ეს მაინც რომელ წესში და კანონში წერია-მეთქი? შენ ძველი დრო და ყრუობა ხომ არ გგონია და ან მე ასე გაუნათლებლად რატომ მთვლი-მეთქი?

ვერაფერი შენთან ვერ გავაწყვე.

ოგნა იოსელიანი
ნოველები

ვერც უახლესი ჯურის სამართლით, ვერც ჩემი უბედურებით და ხვეწნა-მუდარით, რომ გამიმეტე, გამიმეტე. რომ ამაღე ხელი, ამაღე. რომ შემჯექი და გამაჭენე, ძირს ფეხი აღარ ჩამოგდგამს.

რამდენი ვიუჩრე და ვიოჩნე, იმდენი ზურგი ამიჭრელე და მირტყი ფერდებში დეზზე. სიკ! გამაცალე, დამაოსე და დამამონდილე.

შენ რომ მაშინ ქვეყანას მიხატავდი და მპარდებოდი, რაც ქვეყნად ბედნიერ ადამიანს უარსებია, მათი ბედ-იღბალი, რომ ერთმანეთს მიუმატო, იმ აღთქმულს ნახევარი არ გამოვა. იმასთან, სამოთხე ჯოჯოხეთად მოიჩვენება ადამიანს.

იმთავითვე ვიცოდი, ბედს რა განებივრებულიც ვყავდი, შენც იმისთანა ჯიღას დამადგამდი. სიყვარულს ბედნიერი რომ გაუუბედურებია, ეს კი ვიცი და მისი სიამე ვინმეს შერჩენოდეს — მაგნაირი არაფერი.

მივჩერებივარ გამოლენჩებული, დამპალი ყავრის ღრიჭოებში ჩამოწვარ-თულ მთვარის უთვალავ „ხელს“, როდის დამავლებს, „ამიტატებს“, თვალ-ღიას გამაძვრენს სახურავში, ღილამდე ფრთამოუღლელად დამაფრენს.

თითქოს ყური ტუჩზე ჰქონდეს მიდებული, ისე ვემუსაიფები, რაკი მგონია, „ისიც“ თავისი სახლის კრამიტების ჭუჭრუტანებიდან უცქერის მთვარეს, და რაკი ორივე ერთ წერტილს მივჩერებივართ, იქ ვხვდებით ერთმანეთს. პაემანზე რომ წასასვლელი ხარ, რა ეშმაკი დაგაძინებს და მოგასვენებს. იქა გვაქვს — ღამის მნათობზე აშენებული ციხე-ქალაქები და იქვე ვცხოვრობთ.

ჯანდაბას ყველაფერი, თუ აქ არა, იქ ხომ ვარ მდიდარი და აქ თუ არა, იქ ხომ ვარ ბედნიერი.

ისე მიცვალე მხარი, ყველაფერი პირიქით მეჩვენება.

ეს დარკილული წიფლის ღრიჭო ყველები რომ არ ჰქონდეს ჩვენს სახლს, რა მეშველებოდა? მჭიდრო ჭერი და წყალგაუვალი კრამიტის სახურავი რომ ეხურნოს (ოდას პირი და ორი ვიწრო ფანჯარა ჩრდილოეთით აქვს მიქცეული), მთვარეს და ვარსკვლავებს ოთახიდან თავის ღღეში ვერ დავინახავდი... თურმე რაში ყოფილა საქმე და არ ვიცოდი თუ ეს „საჭირო“ იყო. თურმე არაფერი ხდება შემთხვევით და ყველაფერი ისეა მოწყობილი, როგორც უნდა იყოს.

ადრე რომ მთვარე ჩამოჰყოფდა ასე გრძელ, უსახსრო „ხელებს“, ტანზე მიფოთიალებდა და მაშინებდა, თურმე ცოტა მოიცადე და ნახავ იმ „ხელებით“ გულში როგორ ჩაგიკრავს და სიყვარულით და ალერსით გაგთანგავს.

მე რომ ზეცაში, მთვარეზე და ვარსკვლავებზე მაქვს მთელი ზაფხულის არდადეგებზე პაემანი, „იმის“ სოფლის მხარეზე ჩემი სახლიდანაც არ ვიხედები, ვინმემ არაფერი იაზროს („იმას“ რომ ჩემი გამოისობით ფრჩხილისოდენა წყენა შეხდეს, ამ ქვეყანაზე მაინც არ მედგომება). გვაქვს ჩვენ ჩვენი თავშესაფარი და საპაემანო ადგილები, მისი სოფლის ორღობეებში არ ვიტანტალო და ვინმეს რაიმე ეჭვი არ გავუჩინო.

თუ ვეღირსე და პირველი სექტემბერი გათენდა, ხომ ვეღირსე, თუ არადა, ახლა სიკვდილიც არაა ძნელი. და, ღმერთო კი მომკალი, ისე რა მომკლავს, მთვარე, ვარსკვლავები და პლანეტები მაინც არ დავისაკუთრო. ამ მიწაზე მაინც რა ხეირია, სულ არ ვიწუხებ უმისობას, იქნება უკეთესიც იყოს...

წერილს როგორ არ გავუგზავნიდი, ვინმეს რომ ხელში ჩავარდნოდა!.. ან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რასაც მე „იმას“ მთელი ღამე ველაპარაკებოდი, რა ქაღალდი დაიტევდა! ზღვა დაშრებოდა, მელნად რომ მეხმარა.

გათენდა შავი და ბნელი სექტემბერი. ერთმა ჩემმა ერთგულმა მეგობარმა — იუდამ, წერილები გადმომცა: აი, ეს შენს სატრფოს მოსწერეს... რა გაგიჭირდა, ორი სიტყვა შეგეთვალა, ქვეყანა დაიქცეოდა? რამ გაგიცვა გოგოზე ასე გულიო...

მე გამიცვდა გული! — რომ დამკრა ტვინში ცივად და ფეხის ფრჩხილებამდე გამიარა (მას აქეთ არ გავმთბარვარ), ჩავბარდი პატრონს, გავათავე ერთი სიკვდილი, მოვეჭამე ჭირი ქვეყანას

სიყვარული!..

არ მიხსენოთ მისი სახელი!

არა, ერთხანს მაინც ეცალა ... მაშინვე, ჩასახვისთანავე ღალატით დაიწყო...

ჯერ ან დაწყება რა იყო, რა დასაწყები იყო, მაგრამ რაკი არ მოისვენა, გაიჩინა უსაშველო და გაგვიჩინა, ერთხანს, სანამ ერთად ვიყავით, ერთმანეთის მეზობელ მერხებზე, მანამდე მაინც მოეცადა, მაშინ მაინც ყოფილიყო უცოდველი და წმიდათაწმიდა. გვესეირნა ერთხანს იმ ცარიელ მთვარეზე, მაშინ მაინც არ დადიოდა ზედ კაციშვილი, დავიჯერო ავატალახებდით?

არა და არა. საითაც გავიქეცი, იქით წავიქეცი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუტა გაგუა

ნუ დამაბერებ

უფალო, ისე ნუ დამაბერებ,
ისე ნუ დამთმობ, სულო ბებერო,
რომ ვაზს, შვილივით ნაზარდ-ნაფერებს,
უკანასკნელად ვერ მოვეფერო.

ნუ დამაბერებ ისე, უფალო,
რომ უსიცოცხლო, ჩლუნგი, გულცივი,
ყველაფრისაგან თავისუფალი,
კაკლის ჩეროში ვეგდო კუნძივით.

ნუ დამაბერებ, უფალო, ისე,
რომ გაუნელდეს წყურვილი სისხლის
და მოქნეული ხანჯალი ზიზღით
მტერმა ქარქაშში ჩააგოს მყისვე.

სიცოცხლეს, მძიმე ტვირთივით სათრევს,
მე მირჩევნია, უფალო, თეთრი,
დაბერებამდე ერთი დღით ადრე
გაჰენებული სიკვდილის ეტლი...

მათ იოცნებონ მზიან ამინდზე,
ვისაც ენებოს. მე არ ვაპირებ.
...სული საცაო, ხორცი სამიწე
გვედრის, უფალო... ნუ დამაბერებ.

უსასრულობა

მიქელანჯელო. „სიქსტის კაპელა“

ცხარე კამათი
მქონდა ღმერთთანაც,
ასჯერ დავგმე და ასჯერ ვილოცე.
უსასრულობა მსურდა ტილოზე
ერთხელაც
ფუნჯით გადმომეტანა.

ამ ფერებს-მეთქი,
არც ერთი არ ჯობს —
თეთრს შევუხმე მზისფერი, მაგრამ
თოვლის ფიფქივით გადნა და გაქრა —
ვერ შეეგუა
ოთხკუთხა ჩარჩოს.

უსასრულობამ
ჩაყლაპა წლები
და მოვიხადე, როგორც სახადი:
კოცონს მივეცი ჩემი ნახატი —
არც სული გათბა
და აღარც ძვლები.

ქარს გავატანე
მუჭა ნაცარი...
და, აი — ჩემიც მოვდა ჯერი.
მე ვატიკანის ავწიე ჭერი,
ავწიე წმინდა
პეტრეს ტაძარი.

ფერებს ფერები,
დავადე აოფა,
ლამის გამტეხა და დამაბერა,
მაინც შევქმენი სიქსტეს კაპელა,
ოღონდ სულ-ხორცი
არც მაშინ გათბა.

რა წამს ნიღაბი
ავხადე ვნებებს,
მოურჩენელო ტკივილო ჩემო,
მე ავახედე სამყარო ზემოთ
და შევაძრწუნე
მონაც და მეფეც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე, ვისაც დღემდე
ქვეყნის ვალი მაქვს,
ისე გავედი ლეღვის ჩეროდან,
განძს ვიპოვიდი სადმე, მჯეროდა,
ვიხედებოდი
ფეხქვეშ მალიმალ.

ბევრი ვიარე —
გზა და ბილიკი
ვერ დავიმოკლე ღმერთამდე მაინც,
ამოდ დავშვრი: პირაქეთ რაიც
მეგულებოდა,
დარჩა პირიქით.

და, ჰა, რაღაცამ
გამიპო გუგა
გზის გასაყართან. მე განგებ ზანტად
მიმოვიხედე — არავინ ჩანდა.
და დავიხარე —
გაცოცდა უკან.

გადავდგი ფეხი —
ამხედა ცერად
და კვლავ გაცოცდა... შუქი დასავლის
იწრიტებოდა, და ელდასავით
ყოვლისმხილველის
ვიგრძენი მზერა.

ქარი აწვენდა
ბუჩქებს ლაღობით,
მზე ჩადიოდა, და ზამთრის ცივი
მისრიალებდა გრძნეული სხივი —
ველს ამრთელებდა,
ორად გაყოფილს.

და ვთქვი: — ამ დღიდან,
ბრძენო ბუნებავ,
რაც უნდა იყოს, ისე ჩავუვლი,
თითქოს გდებულა ეშმას შაური
გზის გასაყართან,
ჩემს საცდუნებლად.

ის, რაც ღმერთამდე
ამოკლებს მანძილს
და ქვა-კირივით ამაგრებს ფუძეს,
განძია-მეთქი, ნაპოვნი უცებ,
საკუთარ სულში
ნაპოვნი განძი.

გედის სიმღერა

გურამ ახათიანის ხსოვნას

წინასწარ იგრძნო,
რომ დარჩა წელი —
ორი თუ სამი. წყალობა ღმერთის.
სამი თუ ორი. სიცოცხლე ერთი.
ძლივს გაიმართა —
იტკინა წელი.

ასე სინათლის
მატულობს ფასი,
ასე მოკლდება დღე იმედების,
როცა მღერიან თეთრი გედები
საღამოისას
ბინდისფერ ტბაზე.

ასე ვარსკვლავის
შორი ჭიატი
კრთება თვალებში, როგორც უარი.

წინასწარ მიხვდა. რა უტყუარი
შეგრძნება ჰქონდა,
რა იშვიათი.

ხელი დაავლო
მჩატე ჩემოდანს
და გაიხურა კარები ღამის,
რომ ერთი გენიც ცოდვილი მამის
საგვარეულოს
გადასცემოდა.

სული შთაბერა —
გაჩნდა ყვავილი,
უსათნოესი. მაგრამ ქალაქმა
სალაპარაკო ვეღარ ალაგმა —
არ ეთმობოდა
ბრბოს სახრავივით...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იმ ღამეს — ზანტად
წვებოდა ნისლი,
იმ ღამეს — სისხლად დაღვრილი
მთვარის
ნაპრილობევი დიოდა მტკვარი:
სარეკვიემო
დღე ახლოს ჩანდა.

და, აი, ისიც —
მოვიდა. მძიმედ
განიხვნა თითქოს დასავლის კარი:
მზე ჩადიოდა და წეწდა ქარი
უკიდურესად
დაჟიმულ სიმებს.

შეწდობასავით —
ოცდაცამეტი
წლის წამებული ჯაბუკის, მეფის
გადმოსცქეროდა მაღლიდან ჯვარიც,
როცა აღმოხდა —
მორჩა. წავედი.

წავიდა... ჩუმი
და გამთიშველი
უცებ მინავლდა დღეგაფანტული.
...სიცოცხლე გაწყდა, როგორც
მავთული,
ხელში გვიჭირავს
დენი შიშველი.

●

„—ოჰ, გასკდა თავის ქალა!..
დღეს — უსათუოდ დღეს —
გავეპარები ქალაქს —
თავს შევაფარებ ტყეს.

გადაწყდა!... ვიდრე მოთოვს,
ალბათ სიცოცხლედ ღირს
წიგნი — ფოთოლ და ფოთოლ
წასაკითხავი — ტყის.

თავი რომ ვიგრძნო კაცად,
თუმცა ძალიან ჭირს,
ყელზე გამობმულ ბაწარს
გადავკვნეტ, როგორც ჭიას...

რა სჯობს იქ ხისქვეშ გდებას —
მომკალი, ტყევ, თუ მკლავ,
როგორც ფოთოლი კვდება
და იბადება კვლავ“.

ასე ფიქრობდა კაცი,
წლები მისდევდა წლებს...
დღეს — ტყის მახლობლად — აწვიმს
საფლავში იმის ძვლებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექსპონატები

ზურაბ ქოფიანიძეს

მუზეუმების მყუდრო დარბაზებს
  რომ ამშვენებენ ძველი ნივთები,
მოღწეულია ჩვენამდე დროის
  და ისტორიის ლაბირინთებით.
აი, ეს ჯამი, აი, ეს კვერთხი,
  და ეს ამფორა და ქვის მაგიდა
ამოღებული არის ოდესღაც
  ჩვენი წინაპრის სარკოფაგიდან.
ამ თაროებზე, ამ კარადებში,
  წარსულის შუქი დღეს რომ ანათებს,
ინძინავს ჩვენს ტკივილს და ჩვენს სიხარულს,
  ბედნიერებას და სიამაყეს.
მაინც რა იყო, წინაპარს ჩვენსას
  ეს მიწა, ერთი ციცქნა ედემი —
რა სხვანაირი ეშხით უყვარდა
  და რა სხვაგვარი თავგამეტებით.
მაშინაც, როცა მტერთან ვიბრძოდით,
  მაშინაც, როცა გუთანს მივსდევდით,
მაშინაც, როცა ნინოს მოჰქონდა
  კაპადოკიით ჯვარი ქრისტესი.
მაშინაც, როცა ბერად ვეყუდეთ
  და ტანზე ჯვალო გვეცვა სამოსად,
მაშინაც, როცა უკვდავი შოთა
  აგვირისტებდა „ვეფხისტყაოსანს“.
სიკვდილს ამაყად უცქერდა თვალში
  მეფეც, ხუროც და აკვნის გამთლელიც,
ექ, შორს, წარსულის მრუმე ღამეში.
  ასიათასი ბრწყინავს სანთელი.
მათ ცხელი გული მისთვის მიჰქონდათ
  ისე, ვით მსხვერპლი მიაქვთ ბომონთან,
სამშობლო იყო მათი ოლიმპიც,
  მათი ჯვარცმაც და მათი გოლგოთაც.
ღუდამ ახსოვდა ყველას, ყოველთვის
  ქვეყნის უღელში ვინაც შეება,
რომ არ არსებობს იუდასთვის
  არც შებრალება, არც მიტევება.
მუზეუმების მყუდრო დარბაზებს
  რომ ამშვენებენ ძველი ნივთები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოღწეულია ჩვენამდე დროის
და ისტორიის ლაბირინთებით.
გამოიარეს მეწყვერიც, წარღვნაც
და ჯოჯოხეთის შავი ქვესკნელიც
და მაინც გვახვევს თავბრუს სურნელი
ფერგადასული პალიმფსესტების.
ახლოთ ზეიმიც, ახლოთ სისხლისღვრაც,
ახლოთ გლოვაც და ახლოთ ხარებაც,
ყველა სახსოვარს და რელიკვიას
დღეს სხვა ფასი აქვს და ელვარება.
აქ ყველაფერში ჩვენი სისხლია,
აქ ყველაფერში ჩვენი სულია,
აქ, ამ ნივთების მოსახილველად
კაცობრიობა მოვა სრულიად.

რა სიმშვიდეა, ქალბატონო!

რა სიმშვიდეა ქალბატონო,
რა სიმშვიდეა,
ნიავმა წყნარად გადაფურცლა
ძველი რვეული,
თითქოს შებრუნდა დრო და წლები
უკან მიდიან,
მოგონებები მოფრინავენ
სიზმარეული.
მოლისფერ ტბაში გამოცურდნენ
თეთრი გედები
და დაიწინწკლა ზეცის სარკე
სისხლის მარჯნებით,
მაშინ უფლისწულს და დედოფლის
გვირგვინს ეძებდით
და მოკვდავთაგან ვეღარავის
ვეღარ ამჩნევდით.
ის თქვენს ქუჩაზე დადიოდა
სახით მშუხარით
და თოვლში მდგარი მხოლოდ თქვენზე
ფიქრში თბებოდა,
სულ ერთი სიტყვა, სიტყვა მაინც
რად არ უთხარით,
გეთქვათ და თუნდაც ჯოჯოხეთში
წამოგყვებოდათ.
ო, რატომ მისი გულის ფეთქვა
არ მოისმინეთ,
რად არ იხილეთ მშვენიერი
მხარე, ლამაზჩა,
სადაც ცხოვრობდა და ებრძოდა
ქარის წისქვილებს
და არაფერი ლექსის გარდა
სხვა არ დამარხეს,
კი იყო, იყო დიდი ხნის წინ
ეს ყველაფერი,
მაგრამ წარსული გრიგალებმა
თოვლში დამარხეს.
ნუთუ თქვენ ტირით ქალბატონო,
არა, ცრემლები
სულ არ შეშვენის თქვენს ღირსებას
და სიამაყეს.
ახლა დაგნათით მილეული
მთვარე თითბერის,
გობელენებზე მოიწყინეს
თეთრმა ვარდებმა,
მთელი სამყარო იფარება
თოვლის ფიფქებით.
არც თქვენ და არც მას აღარავინ
შეგიყვარდებათ.
ხომ არ შეგცივდათ, ქალბატონო,
ხომ არ შეგცივდათ,
წინ ჯერ გზა გელით იქეთ, სადაც
ზეცის კიდეა,
ჩამოდის თოვლი განუწყვეტლივ
ბარდნის ზეციდან,
ჩამოდის თოვლი, იბინდება,
და სიმშვიდეა.

ტელეფონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ავადა ვარ და ვარ მარტოკა
ამღვრეული მაქვს ფიქრით გონება
და უსასწველოდ მწყურია ახლა
ადამიანის ხმის გაგონება,
ნეტავ შემეძლოს ზეზე ადგომა
და განქარვება წამით ამ სევდის,
რამ დაადუმა ეს ტელეფონიც,
არავის როგორ არ გავახსენდი.
დილით მეზობლის გოგონა მაინც
შემოფრთხიალდა, როგორც ოფოფი.
დარეკვა სურდა, სხვა რა გზა ჰქონდა
შეწუხდა ჩემი ავადმყოფობით.
გადასარეკი გოგოა თუმცა,
ეღეს გარეგნულად გოგოს არა ჰგავ
და თავის ტოლ ბიჭს ერთი საათი
გამბურძგლა, ისე ელაპარაკა.
ვარეთ კი ცივა და რახანია
ქარებმა მიწა თოვლით შესულდრეკ
გადავირეკი, რა მემართება,
ამ ღლაპის როგორ უნდა შემშურდეს.
ზვალ, როცა უკვე კარგად ვიქნები,
(ეუნდა მიშველოს ძველმა რეცეპტმა)
მთელი ქვეყანა ერთად დარეკავს
ხვალ, როცა წუთით აღარ მეცლება.
ახლა კი მარტო, ნერვებაშლილი
ლოგინში ვწევარ, როგორც ნაცემი
და არავინ ჩანს მთელ დუნიაზე
ჩემი გამგები და ხმის გამცემი.
მოდის საღამო, ჩუმი და ცივი
და კვლავ ამღვრეულ ფიქრში
ვეფლობი,
დასწყევლოს ღმერთმა, რა დაემართა,
რამ დაამუნჯა ეს ტელეფონი.

ზღვიდან დაღლილი ბრუნდება ნავი

დაცხრა მშფოთვარე ტალღების ზვავი, ზღვიდან
დაღლილი ბრუნდება ნავი, გარინდებული ბინდში ყოველი
და მაგნოლია სულ ახლოს ჰყვავის.
ცაზე ჰკიდია მთოვარე თითბრის, როგორც ნატეხი
ელვარე სიზმრის, ისასმენისფერ ღრუბლებად წყნარი
ანგელოსების გალობა ისმის.
და ფერთა თბილი შერევა ფერში, რადაც მშობლიურს
აღვიძებს ჩემში, ციდან ჩამოღვრილ სინათლის ჩქერებს
მინდა შევუდგა ორივე პეშვი.
რად მენატრება ეს წუთი ხშირად, ცხოვრებაც ზოგჯერ
რატომ ჰგავს მირაჟს, და ერთდროულად რად მინდა ვიყო
ცაშიც და აქაც ლურჯი ზღვის პირას.
ან ამ მშვენიერ წამებს რა ჰქვია, ან ნაპირიდან მონაბერ
ნიავს, რადაც ძვირფასი და მახლობელი დაუბრუნებლად
საოთკენ მიაქვს.

დაბრუნება

ჩემი სიტყვების საგანძურიდან
ყველაზე ძვირფას სიტყვას მოგიტან,
ის იბადება ტანჯვის მორევში
ისე, ზღვის ქაფში ვით აფროდიტა.
ის შემოდგომის ცაზე გაკრთება,
როგორც მირაჟი, ანდა ზმანება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და იგი ალბათ ჯერ შენთვის ნათქვამ
არავის სიტყვას არ ემგვანება.
ყველა დარში და ყველა ავდარში
ამ სიტყვას სულში ფრთხილად ვარწევდი,
საოცარია ამდენი ხანი
ან კი უთქმელად როგორ გავძელი.
იქნებ იმიტომ, შენსკენ მარები,
რომ გრიგალებმა ბევრჯერ დამცადეს
და სულს ვითქვამდი ფრენით დაღლილი,
ვით ალბატროსი გემის ანძაზე.
მე მოვიხადე ყველა სახადი,
რაც კი არსებობს, თითქმის უკლებლად
და ბოლოს მივხვდი, თურმე უშენოდ
არა აქვს აზრი თავისუფლებას.
და მე ვბრუნდები, ჩემს ცოდვილ მზერას
სამარადისოდ შენზე ვაჩერებ,
შენ კი ან კალთა გადამფარე,
ან მომიკვეთე და შემაჩვენე.

მამის გახსენება

მე თავს ვიკავებ, მე რომ ავტირდე ენგური ცრემლით უნდა ადიდდეს და ჩამოემხოს ზეცის გუმბათი თავზე მწვერვალებს — კარიატიდებს.

დღეს რომ რეკენ და ხმა გაბზარვიათ, ეს შვიდი საყდრის შვიდი ზარია, მათგან უშგულში ყველაზე მაღლა, ცის სიახლოვეს დგას ლამარია.

ვერ მოერია, მამა, ბუნებას შვილების რწმენა და ერთგულება, ბარში დაგტოვე, მაგრამ მე მაინც შენი აჩრდილი აქ მეგულება.

სადაც მრისხანე მთათა კრებულის შუაში ზხარა ჩანს დიდებული, სად კოშკებია ჩვენი წინაპრის და საფლავები ხავსმოდებული.

ჩვენ კაცები ვართ და საწუხარი ზოგჯერ ერთმანეთს ვეღარ ვუთხარით, იქნებ იქ მაინც მოგწვდეს ჩემი ხმა და დების ცრემლი გულდამთუთქავი.

მზე ეფარება ქედებს დასავლით და დარდი გულზე მაწევს ქვასავით. ვიხრჩობი, გნატრობ და შველას ვეძებ, მაგრამ ნუგეში არ ჩანს არსაით.

მერაბ [illegible]

სიტყვაჯ ჭეშმარიტი

1.

ჩემი მშობლიური სოფელი იმ ტომის ხალხმა დაარბია, რომელთანაც ახლა ვცხოვრობ. მე ბავშვი ვყოფილვარ და ტყვედ წაველყვანილვარ (თუ ბავშვი ეთქმის 12 წლის ბიჭს). ჩემს თვალწინ დახოცეს ჩემი მშობლები, ჩვენს ჭოხს კი ცეცხლი წაუკიდეს. მე იმას გადავურჩენივარ, რომ უცხო ტომის ერთ-ერთ ასისთავს შევბრალებივარ, როცა ცეცხლმოდებული ჭოხისკენ ვიწევდი ჩემი მშობლების ცხედრების გადასარჩენად. მერე მახსოვს რომ შემკრეს, ცხენზე დამაკრეს და ასე მატარეს სამი დღე-ღამის განმავლობაში ტყესა და ღრეში... როცა ამ სოფელში ჩამოვედით, სხვებთან ერთად ბორკილი დამადეს და ჯურღმულში ჩამაგდეს.

მე ერთ თვეზრწვერა მოხუცს მივეკედლე, რომელსაც ყველანი მოწიწებით ექცეოდნენ. მისთვის ბორკილები არ ეკმარებინათ და მსხვილი ჯაჭვით მიებათ კედელზე. მოხუცთან სიახლოვე იმიტომაც მსიამოვნებდა, რომ ერთადერთი სხვი, რომელიც საიდანღაც რაღაც სასწაულით იპარებოდა ჯურღმულში, მას ანათებდა და მოხუცი კი ჩვენ გადმოგვცემდა მისგან არეკლილ სინათლეს.

იდგა მოხუცი, გვიღიმოდა და ანათებდა. მხოლოდ მაშინ შეიკრავდა შუბლს, როცა ჩვენს გვერდით მყოფი ტუსაღი, შუახნის კაცი, სახელად — ქარვა, ყვირილს მორთავდა — ბარემ დაგეხოცონო. მე თითქმის ყველა პატიმარს ვიცნობდი. მაგრამ მათგან ყველაზე მეტად გული და ქარვა დამამახსოვრდა.

ქარვას ამ ტუსაღს იმიტომ ეძახდნენ, რომ დატუსაღებამდე ქარვით ვაჭრობდა, მაგრამ გაკოტრებულიყო, თავი მონად გაეყიდა. მერე, გამოსასყიდი რომ მოეგროვებინა, პატრონისთვის მიეტანა, პატრონს გასცინებოდა და ეთქვა — ვინც თავი გაყიდა, ის თავს ვეღარაფრით გამოისყიდისო და არ გაეთავისუფლებინა. ქარვას პატრონი მოეკლა მისთვის სამუდამო პატიმრობა მიესაჯათ.

გოლა ნახევრად შეშლილი იყო (თუ მთლად არა), და ვიღაც უხილავს ესაუბრებოდა ხოლმე.

გადიოდა დრო. როცა ძალიან გვიჭირდა, ვმღეროდით და ამით თუნდ მცირედ მაინც ვიქარვებდით ტანჯვას. არ ვიცი, რა ძალა იყო ეს, რომელიც მოულოდნელად, ერთბაშად ყველას აგვმღერებდა ხოლმე.

ერთხელ, როცა სალაფავს გვირიგებდა, ზედამხედველმა ჩურჩულით გვითხრა — ხვალ ზეიმია სოფელში და 10 კაცს გაუშვებენო.

ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედო საპატიმროს.

ყველა ჩურჩულებდა და რაღაცას იმედოვნებდა. მხოლოდ კედელზე მიკრული მოხუცი იდგა დინჯად.

— ნეტა ვის გაუშვებენ ხვალ, ნეტა ვის! — ცახცახებდა ქარვა.

— შენ მაინც არ გაგიშვებენ — ღვარძლიანად უთხრა გოლამ.

— შენ რა იცი? — დაიღრიალა ქარვამ.

— ვიცი. ხომ მართალია? — ჰკითხა მოხუცს შეშლილმა.

მოხუცს არაფერი უთქვამს.

— საიდან იცი-მეთქი? — დაიგრგვინა ქარვამ.

— ვიცი!

ქარვა გოლას ეცა, ხელები კისერში ჩაავლო და მიწაზე თავის რტყმევა დაუწყო.

— არ გაგიშვებენ... არაა!!! — ჰკიოდა გოლა.

მეორე დღეს სოფელში მართლაც ზეიმი იყო, მაგრამ არავინ გაუთავისუფლებიათ.

2.

— ხუთმა წელიწადმა გაიარა ასე. მე და მოხუცი ხშირად ვსაუბრობდით. ის ყოველთვის შვილი იყო და ალბათ ეს თუ მაძლებინებდა იმ ჯოჯოხეთში. ერთხელ, როცა ვკითხე, რისთვის გვტანჯავდნენ ასე, მან მითხრა:

— საბრალონი არიან, შვილო. არც კი ვიცი, რა ეშველებათ მათ.

— ვის? — გამიკვირდა მე.

— ვისაც ჩვენ აქა ვყავართ გამომწყვდეული.

— საბრალონი ისინი კი არა, ჩვენა ვართ!

— ჩვენ განვიწმიდეთ შვილო... ისინი კი სამუდამო სატანჯველისთვის არიან განმზადებულნი.

ამ ბოლო დროს მე ისე აღარ მჯეროდა მოხუცისა, რადგან სატუსაღოში ბევრი ისეთი რამ ვნახე და ვისწავლე, რაც მის მოძღვრებას ყირაზე აყენებდა, მაგრამ არაფერი მითქვამს.

— აქედან გასვლა თუ მეეღირსა, მერე მე ვიცი მაგათი — თქვა ქარვამ.

— მაინც რას იზამ? — მკაცრად კითხა მოხუცმა.

— ცეცხლს წავუკიდებ! გადავწვავ! დავბოცავ! — იკივლა ქარვამ.

— სირცხვილი შენი! — თქვა მოხუცმა — მათ ხომ გაუხარდებათ კიდეც, ეგ სიტყვები რომ გაიგონ!

მე გადავწყვიტე შეეპასუხებოდი მოხუცს, მაგრამ უცებ ერთმა ამბავმა მიიპყრო ჩემი ყურადღება: მზის სხივი უკვე აღარ ციმციმებდა ჭუჭრუტანაში, მოხუცი კი მაინც ანათებდა. ეს რომ დავინახე, შიშის ოფლმა დამასხა. მივხტიდი მის მუხლებთან და ვთქვი:

— ძალიან მინდა თავისუფლება.

— კარგი! — თქვა მან მცირე ხნის დუმილის შემდეგ და დაამატა — მე მალე დგებოვარ, შვილებო!

არავის გაუცინია. ქარვასაც კი, რადგან ის მოხუცს დიდ პატივს სცემდა.

მეორე დილით მართლაც დაგვტოვა მოხუცმა. მისი დამძიმებული ცხედარი ორმა ზედამხედველმა ჩამოხსნა კედლიდან, გარეთ გაიტანა და დამარხა. იმავე დღეს მეც დავტოვე საპატიმრო. ზედამხედველებს, რომელთაც მოხუცის დამარხვა ჰქონდათ დავალებული, ის ასისთავიც ჩამოჰყვა, მე რომ ერთ დროს სიკვდილს გადამარჩინა.

მან დიდხანს მიყურა, მერე ბრძანა წამოვეყვანეთ და მეც ჯიკავ-ჯიკავითა და სიცილით გამომგდეს გარეთ.

როცა მზის სხივები თვალებში მეცა, სახეზე ხელები ავიფარე!

3.

ასისთავმა სოფლის თავთან წარმადგინა.

ეს იყო კუშტი, ჰაღარაწვერიანი შუახნის მამაკაცი.

— ეს არის? — იკითხა მან.

ასისთავმა თავი დაუკრა.

— მშობლები გახსოვს? — მკითხა სოფლის თავმა.

უარის ნიშნად თავი გავიქნიე (ვიგრძენი — ასე იყო საჭირო).

— ტყუი! — მკვახედ თქვა სოფლის თავმა.

—მართალია, ტყუის! — დაუმოწმეს უხუცესებმა.

— არა მგონია — შემპარავად თქვა ასისთავმა — ეს ხომ სულ პატარა იყო, როცა წამოვიყვანეთ.

— ახლოს მოდი — მიბრძანა სოფლის თავმა.

მივუახლოვდი.

მან ორივე ხელით მიმიზიდა და დიდხანს მაშტერდებოდა თვალებში.

უცებ სახეზე გაოცება გამოეხატა. იმ წამსვე ხელი გამიშვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთხანს დუმდა, მერე თქვა:

— ძალიან უცნაური მზერა აქვს. ასეთი რამ ჯერ არ მინახავს. ან დიდ ბედნიერებას მოუტანს ჩვენს სოფელს, ან დიდ უბედურებას.

— ჩემთვის მოგებარებინათ! — თქვა ერთმა, მთლად თეთრწვერა მოხუცმა.

ყველამ მას გადახედა.

— ჰო, შენგან სიკეთის მეტს რას ისწავლის! — ლმობიერად თქვა სოფლის თავმა — მაგრამ არა მგონია, მსახურად გამოგადგეს...

— მსახურად აყვანა არც მიფიქრია. მოწაფედ გავიხდი... თუ ივარგებს.

— კეთილი — თქვა სოფლის თავმა და შუბლი შეიკრა — შენი ნებაა... მაგრამ... ბიჭის საფასური კი უნდა გადაიხადო!

4.

ასე გავხდი მოხუცი აზურის მოწაფე. მას დიდი წიგნთსაცავი ჰქონდა.

პირველად გავოცდი, როცა სქელი პაპირუსებით გამოტტენილ ოთახში შემიყვანა. იგი მოთმინებით დამატარებდა ვრცელ ოთახში და მიხსნიდა, სად რა პაპირუსი ინახებოდა. მე ჯერ წერა-კითხვაც არ ვიცოდი ხეირიანად და თავს უმწეოდ ვგრძნობდი, მაგრამ სულ მცირე ხანში ავითვისე ის სიბრძნე, რომელსაც სანთელივით აშუქებდა მოხუცი. დილიდან-საღამომდე წიგნებში ვიყავი თავჩარგული. აზურს უხაროდა ჩემი ამგვარი გულმოდგინება, მაგრამ რამდენად ცდებოდა მაშინ, როცა მორჩილ და მოკრძალებულ მოწაფედ მთვლიდა. ჩემს ბედკრულ მეგობრებზე ფიქრი, რომლებიც სატუსაღოში იტანჯებოდნენ, წამით არ მცილდებოდა. მაგრამ ვგრძნობდი, რომ არაფერი შემეძლო და ბრაზს ისევ პაპირუსების კითხვით ვიკლავდი. სამი წლის შემდეგ მე უკვე ბევრი რამ ვიცოდი სწავლულთა სამყაროდან. აზურთან განყენებულ თემაზე საუბრის დროს თავს ვიკავებდი ჩემი აზრი გამომეთქვა ზოგიერთ საკითხზე, მაგრამ სამაგიეროდ იმის, რაც შევისწავლე, ჩემებურად ვაშუქებდი და ეს ძალიან უხაროდა მოხუცს. მე კი ამ დროს ვუყურებდი ამ დიდ ბერ მტკიოდა, რომ ის იმ სოფლის მფლი იყო, რომელმაც თავისუფლება წამართვა. ერთ დღეს, მან, თითქოს ჩემი გულისნადები ამოიკითხაო, გარეთ გამიხმო, სავარძელში ჩაჯდა და საუბარი გამიბა.

— აი, შენ უკვე განსწავლული კაცი ხარ — თქვა მან — მაგრამ ვგრძნობ, ყველაფერს არ ამბობ, რაც გულში გიდევს. მითხარი, რას ფიქრობ ღმერთზე?

მივხვდი, რომ მას ვეღარ მოვატყუებდი და ამიტომ გადავწყვიტე სიმართლე მეთქვა.

— უსამართლოა ღმერთი, მამა აზურ!

იგი ერთხანს დუმდა, მერე ამომხედა:

— ჰო, მაგრამ, განა რწმენა ღვთისა ხსნა არ არის ადამიანისათვის?

— მე მგონი, პირველ ყოვლისა, ღმერთის იმიტომ სჯერათ ადამიანებს, რომ ყოველისშემძლეს გარდა სამართლიანიც ჰგონიათ. ის კი მხოლოდ ყოველისშემძლეა და არა სამართლიანი.

— და მაინც, ჩვენ უნდა ვიწამოთ ის ისეთი, როგორიც არის, არა?! — თქვა მოხუცმა.

— დიახ, მივუგე მე — მე მძულს იგი, თუმცა მაინც ვაღიარებ!

— გძულს? — თვალები გაუფართოვდა აზურს.

— რა თქმა უნდა! ან როგორ შეიძლება ღმერთის სიყვარული!

აზურმა თავი ჩაჰკიდა.

— მაშ, ღმერთი გძულს?! — იკითხა მან მცირე ხნის დუმილის შემდეგ.

მე არაფერი მითქვამს.

იგი წამოდგა და თავისი საძილე ოთახისაკენ გაემართა.

მეორე დღეს დილაბინდზე ადგა მოხუცი, სიტყვის უთქმელად ჩაალაგა ბარგი და... იმის შემდეგ აღარ მინახავს.

5.

ვიცოდი, მოხუცს დიდი ხანია გადაწყვეტილი ჰქონდა უცხო ქვეყნებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყარიბოდ წასვლა, ჩემმა სიტყვებმა კი ეტყობა, თავისი გადაწყვეტილების სისწორე განუმტკიცა.

მეორე დღეს, წიგნთსაცავში, მაგიდაზე პერგამენტი ვიპოვე, რომელზეც ეწერა:

„სოფელსა ამას ვტოვებ გულმშვიდა, მივემგზავრები შორეულ მხარეს.“

გუნებაშეცვლილი ჩამოვჯექი სკამზე.

უცებ კარზე ვიღაცამ მაგრად დაბრახუნა.

გავაღე.

ჩემს წინ გზირი იდგა.

— აზური შინ არის?

— არა და ალბათ აღარც დაბრუნდება — ვთქვი ნაღვლიანად — გუშინ დილას ადგა, ბარგი ჩაალაგა და წავიდა... აი, დღეს რა ვიპოვე მაგიდაზე... — პერგამენტი გავუწოდე.

გზირმა პერგამენტს თვალი გადაავლო, მერე მე შემომხედა და მკითხა:

— შენ რად არ წაგიყვანა?

—არ ვიცი, — მივუგე და მშვიდად შევხედე.

— ჰმ! ბებერი სულელი! — ამოიწვმუტუნა მან — არადა, როგორ გვჭირდებოდა ახლა!

— მაინც, რად დაგჭირდათ? — ვკითხე მე.

— ეს შენი საქმე არ არის! მკვახედ თქვა მან — თუმცა... — იგი ჩაფიქრდა — წამოდი!

— სად?

— სოფლის თავთან!

— სოფლის თავთან რა მესაქმება?! — ვთქვი ოდნავ შემკრთალმა.

— იქ გაიგებ! — თქვა მან და ხელი კარისკენ მიბიძგა.

6.

სოფლის თავი მრისხანედ მიმზერდა დაფანჩულ წარბებს ქვემოდან.

— მაშ, დაგგტოვა შენმა მასწავლებელმა — თქვა მან ბოლოს.

თავი დავუკარი.

— კარგი. ახლა გავიგებთ, ისწავლე თუ არა რამე ამ ხნის განმავლობაში!

— და მან მაგიდაზე დადებული, გრაგნილი მომაწოდა — გვითარგმნე!

მე გრაგნილს დავაკვირდი. ნაწერი ბერძნული იყო. ჩვენს მეზობლად მცხოვრები უზარმაზარი ტომის მთავარი ხარკის ვაღებას ითხოვდა სოფლისგან. წინაღმდეგ შემთხვევაში აკლებით იმუქრებოდა.

— სიტყვა-სიტყვით ვთარგმნე ყველაფერი.

ერთხანს დუმილი ჩამოწვა, მერე ყველა ერთხმად ალაპარაკდა.

— სიჩუმე! — დაიგრგვინა სოფლის თავმა.

სიწყნარე ჩამოვარდა.

სოფლის თავი ყველა უხუცესს ცალ-ცალკე ეკითხებოდა.

მისი კითხვა მოკლე იყო:

— ომი თუ ხარკი?

თითქმის ყველა წინაღმდეგი იყო ხარკისა.

— მაშ, ომი! — თქვა მან მძიმედ — მეც ამ აზრისა ვარ!

იგი მცველებს მიუბრუნდა:

— ელჩი ხომ არ გაბრუნებულა?

— არა!

— შეიპყარით და თავი მოჰკვეთეთ! თქვენ კი — მიმართა ასისთავებსა და ათასისთავებს — სოფლის საზღვრებთან განალაგეთ ლაშქარი. მტერი ალბათ დღე-ღღეზე შემოგვიტევს, პასუხი რომ არ მიუვა.

მე მივუახლოვდი სოფლის თავს.

— რა გინდა? — მკვახედ იკითხა მან.

— ნება მომეცით, მეც დავიცვა სოფელი!

— შენ? — დაკვირვებით შემომხედა მან და ხმაში სიცბო ჩაუდგა — არა, შენ ხმლის კაცი არა ხარ. ისევ შენი ყოფილი მასწავლებლის სახლს დაუბრუნდი. მოუარე მის დანატოვარს — ხმა გაუმკაცრდა მას — ისე მოიქეცი, რომ იქნებ ჩვენმა სოფელმა გიშველოს კიდეც. ახლა კი, დამტოვეთ.

ყველანი უხმოდ გამოვედით კარვიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7.

შინ დავბრუნდი. მოსალოსნდელ ომზე ვფიქრობდი. ის, რომ ომი გარდუვალი იყო, მტკიცედ მჯეროდა. მწყინდა, რომ სოფლის თავმა ჩემი დახმარება არ ისურვა. თუმცა, არც კი ვიცოდი, გამეხარდებოდა თუ არა ჩემი დამმონებელი სოფლის გამარჯვება. ომი მალე მობეზრდა თავისი დევური ფეხებით და ცეცხლი და რბევა მოიტანა. ჩემი სახლი გორაკზე იდგა. აქედან გაუსვლელად ვხედავდი, როგორ იწვოდა სახლები, იჩეხებოდა ვენახი, კიოდნენ ქალები, გმინავდნენ მამაკაცები, ჰიხვინებდნენ ცხენები და დიოდა, დაუსრულებლად დიოდა სისხლი. ბოლოს, ჩემს სახლამდეც მოაღწია ომის ხანძარმა. ეზოში ვიყავი, როცა კიევილი მომესმა. იმ წამსვე კარებიც შემოგლიჯა ვიღაცამ. ჩემს წინ ტანსაცმელშემოფლეთილი ქალიშვილი აისვეტა.

— დამმალე! — ცხარე ჩურჩულით წარმოთქვა მან.

ამ დროს ეზოში ვიღაც ახმახიც შემოიჭრა. მას სახე და ხელები სისხლში ჰქონდა მოსცრილი. ზურგს უკან დამალული დანის ტარი მოვსინჯე. ახმახი ჩემს დანახვაზე შედგა, ხმალი იშიშვლა და ჩქარი ნაბიჯით გამოემართა ჩემსკენ. მე ქალიშვილს მაჯაში ხელი ჩავავლე და მისი ფეხებისკენ ვუბიძგე. ქალიშვილმა შეჰკივლა და დაეცა.

ახმახი შედგა. შემომხედა. მერე, ამღვრეული თვალები შეავლო ქალიშვილს. ხმალი ჩააგო და ძვირფას ნადავლს ხელ-ფეხი გაუკრა.

— ვინა ხარ? — მკითხა ბოლოს, როცა საქმე მოითავა.

— ამ სოფლის მტერი! — მივუგე მე.

ახმახმა მძიმედ ამოისუნთქა და წყალი ითხოვა.

მაშინვე გამოვუტანე ცივი წყლით სავსე ხელადა.

მან ხელადა მოიყუდა და სმა დაიწყო.

კისერზე გამალებით უხტოდა ხვანჩი.

შიგ გულში ჩავკარი ბასრი დანა.

ახმახმა ერთი კი ამოიხოროტინა და პირიდან სისხლის ნოხვევი დაეცა ძირს.

— ესეც შენ — წყალი! — ჩავილაპარაკე მე და ქალიშვილს მივვარდი.

იგი გონწასული ეგდო.

თოკი შევხსენი, ხელში ავიყვანე და სახლში შევედი.

8.

ქალიშვილი ნელ-ნელა გონს მოეგო. იგი 16-17 წლისა თუ იქნებოდა.

ჯიშიან, მაღალ მკერდზე, რომელზეც კაბა მთლად შემოფლეთოდა, ორი ატამივით აჯდა, ორი ვარდისფერი, მკვრივი ძუძუ.

მან მკერდზე ხელი აიფარა.

თვალი მოვარიდე.

ერთხანს ასე ვიჯექით.

— მადლობთ — თქვა ბოლოს — შენ რომ არა — და თვალებიდან ცრემლი წამოუვიდა.

მივედი და თავზე ხელი გადავუსვი.

იგი შეკრთა და ხელზე ხელი დამადო.

— მე მზია მქვია — თქვა მან.

არაფერი მითქვამს: მსიამოვნებდა მასთან ყოფნა და სიჩუმე.

— მე მზია ვარ, სოფლის თავის ქალიშვილი — გაიმეორა მან.

სახტად დავრჩი.

— შეენ?

— ჰო!

უფრო ახლოს მივედი მასთან და თვალებში ჩავხედე. იქ მხოლოდ შიში ამოვიკითხე, მეტი არაფერი.

— გეშინია?

მან თავი დაიმქნია.

— რისი გეშინია, ის უკვე მკვდარია — ვუთხარი და ხელი ეზოსკენ გავიშვირე, სადაც ახმახის გვამი ეგდო.

ვიცოდი — მას ახლა ჩემი ეშინოდა. მაგრამ ეს არც იყო გასაკვირი. თვითონაც ვგრძნობდი, როგორ ვიწოდი ერთიანად ვნებისაგან.

სახეზე ხელი მოვისვი.

მერაბ აბაშიძე
სიტყვაკ ბეშმარიტი

— ნუ გეშინია — ვუთხარი და გვერდით მივუჯექი.

მან ჩემი ხელი მოიშორა და ადგა.

ის ზურგშექცევით იდგა ჩემგან, სახე ხელებში ჩაერგო და ტიროდა.

— მაინც, როგორ მოხდა ყველაფერი? — ვკითხე მე, როცა თავს მოვერიე.

— სახლში მარტო ვიყავი... ვიღაცამ იყვირა — თავს უშველე, სახლი იწვისო... მე გარეთ გამოვვარდი. გარეთ ის დამხვდა — ძრწოლით გაიხედა ეზოსკენ. — მთელი გზა მოვრბოდი... მერე შენც იცი!

— მამა სად იყო?

— მამა სოფლის თავში ებრძოდა მტერს.

— კარგი, რაც იყო, იყო — ვთქვი და მზერა მოვწყვიტე — მე ახლავე მოვალ.

გარეთ გავედი, ახმახის გვამი ბუჩქებში დავმალე და შინ შემოვედი.

მზია ისევ ტიროდა.

— ნუ ტირი — ვუთხარი და ახლოს მივედი მასთან.

მან ტირილი შეწყვიტა და შემომხედა.

—ნუ ტირი — გავიმეორე მე, თუმცა ის აღარ ტიროდა.

ერთხანს ვდუმდით.

მერე ხელით მისი შიშველ მკერდს შევეხე.

— შემიბრალე! — თქვა მან.

ამ სიტყვებმა უფრო გამახელა. გამახსენდა კუშტი, უდრეკი სოფლის თავი.

ვუყურებდი ქალიშვილს და თავბრუ მესხმოდა.

მე პირველად დავღვარე ადამიანის სისხლი და ქალთანაც პირველად ვიყავი ისე ახლოს.

გაშმაგებისაგან ლამის გული გამსკდომოდა.

ხელი ჩავავლე გულისპირში და ერთი მოქნევით შემოვაძარცვე კაბა.

ის ჩემს წინ იდგა — დედიშობილა და თავმოდრეკილი.

მივედი, ხელში ავიტაცე და ტახტისკენ წავედი.

ტახტზე რომ დავაწვინე, ვიგრძენი, მასაც როგორ გაშმაგებით უცემდა გული.

9.

მეორე დღეს სოფელში სრევამ იკლო. მტერი ნაძარცვით დატვირთულ ცხენებზე სხდებოდა და შინ წასასვლელად ემზადებოდა.

მალე მათ დასტოვეს სოფელი.

ირგვლივ სულიერის ხმა არ ისმოდა. თითქოს მჯლად ჩამკვდარიყო სიცოცხლე. მაგრამ ეს თურმე მოჩვენებითი იყო. გადარჩენილები ბლოვით უბრუნდებოდნენ გაძარცვულ, გაპარტახებულ კერიას და დაღუპულებს დასტროდნენ. მამაკაცების ორი მესამედი ამომწყდარიყო. მრავალი ახალგაზრდა ქალი მტერს გაეტაცა ან ნამუსი აეხადა და მოეკლა... ირგვლივ გოგირდისა და დამწვარი ხის სუნი იდგა.

მაგრამ აი, გამოჩნდა სოფლის მოედანზე მარცხენა ხელში დაჭრილი, ღაწვგაჩეხილი სოფლის თავი და მის გარშემო წრე შეკრა ხალხმა. მე და მზიაც ხალხში ვიდექით. ერთხანს სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. ბოლოს სოფლის თავმა ხელი აიქნია და დაფლეთილმა დროშამ იელვა ხალხის თავზე. ის ხელიდან ხელში გადადიოდა მანამ, სანამ ტარზე მარწუხივით არ შემოეკვო სოფლის თავის თითები.

— დროშა ვერ წაიღეს! — ამოიხრიალა მან.

ხალხი აჩოჩქოლდა, მაგრამ ისევ მალე დაწყნარდა.

— რა გითხრათ ხალხო! — მძიმედ თქვა სოფლის თავმა — დავმარცხდით. მტერი ხარკს ითხოვდა...

— მერე, მიგეცათ! — იკივლა ვიღაც დედაკაცმა ბრბოში — აკი წაიღეს! ისედაც წაიღეს! თანაც ასმაგად.

— ჰო, წაიღეს! — ძლივს ამოთქვა სოფლის თავმა — ვერ დავიცავით ჩვენი სარჩო-საბადებელი! მაგრამ ახლა რა ვქნათ? სიცოცხლე ხომ გვინდა?!

— სიცოცხლე გვინდა. შენ აღარ გვინდიხარ! — იყვირა ვიღაცამ.

ხალხი აჰყვა ამ ხმას. იგი ერთხმად გუგუნებდა. ჭექდა, ბობოქრობდა და ზავთობდა.

— მაშ, ამოირჩიეთ სხვა... უფრო ღირსეული! — ამოიხრიალა სოფლის თავმა და განზე გადგა.

ხალხი დადუმდა.

— ცცოი ავირჩიოთ! — იყვირა ვიღაცამ.

— ცცოი, ცცოი! აჩურჩულდა ხალხი — ივარგებს ცცოი?

— ეგ ერთადერთი იყო, ვისაც ომი არ სურდა! — იყვირა იმავე ხმამ — ცცოი იყოს ჩვენი წინამძღოლი, ცცოი!

ხალხი ახმაურდა. ყველა ცცოის სახელს გაიძახოდა.

ხალხს სახეგაფითრებული ასისთავი გამოეყო. ის, ის ასისთავი იყო, ვინც ბავშვობაში სიკვდილს გადამარჩინა და მერე ტყვეობიდანაც მიხსნა.

სოფლის თავი მივიდა მასთან და დროშა ჩააბარა.

ცცოიმ არც კი შეხედა მას, დროშა ჩამოართვა, ემთხვია, სახე გაუმაცარდა, თვალი ხალხს გადაავლო და სამად სამი სიტყვა გამოსცარა:

— იყავ ნება თქვენი!

●

ხალხი დაიშალა, მხოლოდ ყოფილი სოფლის თავი, მე და მზია დავრჩით მოედანზე.

მზიამ ხელი ჩამავლო და მამასთან მიმიყვანა.

მამამ შეხედა, თუმცა არაფერი უთქვამს.

— ეს ჩემი ქმარია, მამა!

ყოფილი სოფლის თავი დუმდა, მერე თავი ასწია და სილა გააწნა ქალიშვილს.

მზია შებარბაცდა, მაგრამ თავი შეიკავა და მტკიცედ გაიმეორა:

— ეს ჩემი ქმარია!

— მერჩივნა, მოეკალით! — თქვა მამამ.

იგი მიბრუნდა და ბარბაცით წავიდა.

— მამა! — დაუძახა მზიამ.

მიმავალი ერთი წამით შეჩერდა, მობრუნდა... ხელი ჩაიქნია და გზა გააგრძო.

— დაეწიე! — მითხრა მზიამ — დაეწიე, დააბრუნე!

— არა — ვთქვი მე — ის ძალიან ამაყია.

ვიდექით და ვუყურებდით, ბინდში როგორ უჩინარდებოდა ჩვენი ყოფილი წინამძღოლი.

ამის შემდეგ იგი აღარ გვინახავს.

●

შინ მივედით.

მზია საავდრო ღრუბელივით მოღუშულიყო.

— ნუ დარდობ! — ვუთხარი მე — ყველაფერი ღვთის ნებაა.

მზიამ ამოოიხრა:

— საწყალი მამა!

არაფერი მითქვამს.

— ახლა რა ვქნათ? — იკითხა მან.

— რა უნდა ვქნათ? — შევუბრუნე კითხვა — თქვენი სახლი დაიწვა, დედა არა გყავს, მამამ სოფელი დასტოვა... რა უნდა ქნა? ბედს უნდა დავმორჩილდეთ, მზია. მეც ობოლი ვარ... მაგრამ, არა გვიჭირს რა. როგორმე გავძლებთ.

— ჰო, უნდა გავძლოთ — ჩურჩულით თქვა მან.

— მთავარია, ერთმანეთი გვიყვარდეს — ვთქვი მე.

მას არაფერი უთქვამს.

მისი დუმილი საეჭვოდ მეჩვენა.

— იქნებ არ გიყვარვარ?

მზიამ შემომხედა.

მერე გაიღიმა.

— ესე იგი არ გძულვარ — ვთქვი მე — ასე რომ, გავძლებთ!

10.

ნელა გადიოდა დრო. ერთი წლის შემდეგ ქალიშვილი შეგვეძინა, რომელსაც კატაი დავარქვით. კატაი თეთრი იყო და მზიასავით ლურჯთვალება.

ერთ დღეს, როცა ბანზე ვიჯექი და

ბავშვს ვეთამაშებოდი, კარზე ვიღაცამ დააბრახუნა.

გავაღე; ჩემს წინ გზირი იდგა.

— სოფლის თავი გიბარებს — მძიმედ თქვა მან.

— შემოდი, დაიღოცე — ვუთხარი და არყით სავსე ჭიქა მივაწოდე.

გზირი შემოვიდა, გვადღეგრძელა და გადაჰკრა.

— წავიდეთ! — ვთქვი მე და სახლიდან გამოვედით.

— რა ამბავია? — ვკითხე გზაში გზირს.

მან ბეჭრები აიჩეჩა: — მიხვალ და გაიგებ!

ცცოო მაღალ სავარძელში იჯდა და ღიმილით მიმზერდა.

— რასა იქმ, როგორ ცხოვრობ? — მკითხა მან ბოლოს — გავიგე, შვილი შეგძენია.

— დიახ.

— რა დაარქვით ბალღს?

— კატაი!

— გოგოა? — ცოტა არ იყო დამცინავად იკითხა მან.

თავი დავუქნიე.

— ღმერთმა გაგიზარდოს! მაგრამ... ვაჟებზედაც უნდა იფიქრო. სოფელს ვაჟკაცები ჭირდება, იცოდე!

ჩუმად ვიდექი.

— შენ, ალბათ გინდა გაიგო, რისთვის დაგიბარე?

თავი დავუკარი.

— ჯერ ერთი იმისათვის, რათა მეთქვა, რომ დიდი უმადური კაცი ხარ!

— რატომ? — ვკითხე მე.

— მე რომ არ ვყოფილიყავ, შენ ეხლა ცოცხალი არ იქნებოდი!

მე მის წინ დავემხვე და ხელზე ვეამბორე.

— ეგრე, ეგრე — თქვა მან — მაშ, შეეთვისე ჩვენს სოფელს?

— სხვა რა გზა მაქვს.

— ასე არ უნდა თქვა — მითხრა მან რბილად — თუმცა, მე მაინც არ მემდური ალბათ, არა?

— თქვენი წყალობით მიდგას სული.

— ისე ხომ არაფერი გეკერძოს? — ხომ არავინ გავიწროვებს?

— არა! — მივუგე ოდნავ გაკვირვებულმა.

— გახსოვდეს, რომ შენი პატრონი მე ვარ — თქვა ცცოომ — მაგრამ შენც უნდა დამეხმარო!

— რაში? — ვკითხე მე.

— ეჰ, რა ვიცი! — თქვა მან — საქმე ბევრია. ხომ იცი, სოფელი ჭრელია... ჰოდა, დანაშაულიც ხშირია სოფელში, ხან კაცს მოაკლავენ, ხან ქალს გაიტაცებენ, ხან ცხენებს გალალავენ ხოლმე. მე ასეთ საქმეში ისეთი თანაშემწე მჭირდება, ვისაც ვენდობი, გესმის?

— მესმის! — ვთქვი მე.

— ჰოდა, თუ გესმის, ჩემს სამსჯავროში მოადგილედ დამინიშნიხარ. შენ საქმეებს მოისმენ და მე მომახსენებ. მერე ერთად გადავწყვეტთ. ხვალიდანვე შეუდგები საქმეს.

— ხვალე?

— ჰო! სოფლის სამსჯავროში მიხვალ და მომჩივნებსაც იქ მიიღებ. ახლა კი, გასწი შენს კატაისთან! — გაიღიმა მან და ბეჭზე ხელი დამკრა.

11.

მეორე დღეს უკვე საქმეს შევუდექი. მრავალ სხვა წვრილმან საქმესთან ერთად ერთი შედარებით მძიმე საქმეც შემხვდა: ერთ ღარიბ სოფლელს ქალი დაუნიშნავს, სანამ ქორწილს გადაიხდიდნენ, ქალი სხვას, მდიდარ კაცს შეჰყვარებია და მოუტაცნია. ახლა ღარიბი გლეხი იმუქრებოდა, — საცილე დამიბრუნოს, თორემ მოვკლავო. შეკატკვე, სისხლისღვრა უნდა მომხდარიყო, ამიტომ ეს ამბავი იმ დღესვე მოვახსენე ცცოის.

— ყველას გამოუძახეთ! — ბრძანა სოფლის თავმა.

როცა მომჩივანიც და მოპასუხეც გამოცხადდა, ცცოომ ღარიბს კითხა:

— მაშ, ქალი შენი დანიშნული იყო?

— ჰოდე! — მიუგო ღარიბმა — მთელი სოფელი დამიმოწვეს!

— რად მოიტაცე ქალი? — ჰკითხა ცცოიმ მდიდარს.

— არ მომიტაცნია. ქალს მე ვუყვარდი და წამომყვა კიდეც!

— მართალია? — კითხა ცცოიმ ქალს.

ქალმა თავი ჩაჰკიდა.

— მართალია თუ არა? — გაიმეორა ცცოიმ.

— მართალია — ამოთქვა ქალმა.

ღარიბი გაშრა.

— ტყუის! — იყვირა მან.

მდიდარმა ზიზღით გადახედა;

— კი მაგრამ, როგორ მოხდა, რომ სხვის მიერ დანიშნული ქალი სხვას გაჰყვევი? — კითხა ქალს, სოფლის თავმა.

— რა მექნა, შემიყვარდა!

— შენ მაგის სიმდიდრე შეგიყვარდა, სიმდიდრე! — იყვირა ღარიბმა.

— ეს ქალი ჩემი ცოლია — თქვა მდიდარმა—ნეტა რას შედავება ეს კაცი?

— ეგ ქალი არავისი ცოლი აღარ არის — თქვა მკაცრად ცცოიმ — ფიცის გამტეხსა და მოღალატეს ჩემს სოფელში არა ესაქმება რა. მან დღესვე უნდა დასტოვოს აქაურობა.

ქალი წაბარბაცდა.

— სად უნდა წავიდე? — ჩურჩულით იკითხა მან.

— საცა გინდა! — მოკლედ მოჭრა ცცოიმ.

— მარტო?

— რატომ მარტო — და ცცოიმ მდიდარს გადახედა — აკი გაყავს ქმარი. შეუძლია გამოგყვეს. ოღონდ თან ერთ გროშსაც ვერ წაიღებს.

მდიდარი უცნაურად დაიწმახნა.

— მეეე... შენი სახელის ჭირიმე...

— ჰო, რაო?

— ნუ მიზამ მაგას შენი ჭირიმე, აბა როგორ მოვწყდე სოფელსა!

— მაშ ცოლს მარტოს უშვებ?

მდიდარი დუმდა.

— შენ რაღას იტყვი — მიუბრუნდა ღარიბს სოფლის თავი — წაყვები?

— ჰოდე! — მიუგო ღარიბმა.

ქალი აქვითინდა.

ღარიბი მივიდა და ხელი ფეოდორეულად შეაბო.

— წავიდეთ! — თქვა მან.

მე გაოცებული ვიყავი ცცოის ბრძნული განაჩენით; მან ყველას თავისი კუთვნილი მიუზღა. მდიდარმა ქალი დაკარგა, ქალმა — სიმდიდრე, ღარიბმა კი თავისი დაიბრუნა. მაგრამ რაც მთავარია — მოშუღარნი ერთმანეთს განერიდნენ და სისხლი აღარ დაიღვრებოდა.

ასე დამთავრდა პირველი დღე.

12.

მეორე დღეს უჩვეულო ამბავი მოხდა. ჩემთან მოვიდა ახალგაზრდა ქალი, რომელმაც მითხრა, ხუთიოდე წლის წინ მამაჩემი დაიპირეს და მას შემდეგ აღარ მინახავსო... მაქვს თუ არა უფლება, ვნახოო. ამ ამბავმა სახტად დამტოვა, რადგან მეგონა რომ იმ დროს, როცა სოფელს სხვა ტომი დაესხა თავს, პატიმრებიც გაანთავისუფლეს და თან წაიყვანეს.

მე ცცოის მივაშურე.

— ჰოო! — თქვა მან — რაო, რაზე ზის მამაჩემიო?

— მეზობლის საქონელი გაუტაცნია. მაგრამ მე ახლა ერთი რამ მინდა გკითხო.

— თქვი!

— მაშ, ტუსაღები არ გაუთავისუფლებია მტერს?

— არა, საპატიმროს ვერ მიაგნეს.

საპატიმრო მართლაც მიუვალ ადგილას იყო.

— ხუთი წელი — თქვა ცცოიმ ჩაფიქრებით — მგონი, შენც ხუთი წელი იჯექი არა, ჯურღმულში?

თავი დავუქნიე.

— კეთილი — ამოიოხრა მან — ნახე ის პატიმარი, თუ ჭკუაზე მოვიდა, გაუშვი. არადა... დატოვე! შენს სინდისზე მომინდეა ეგ საქმე.

ვერაჯ აბაშიძე
სიტყვაკ ჟეშმარიტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სატუსაღოში ბნელოდა. მე ნელა ჩავდიოდი კიბეზე. თან ყურებში თითებს ვიცობდი, რომ ამდენი ხალხის ერთობლივი გმინვა არ გამეგონა. ტანში მაჟრჟოლებდა. მაგონდებოდა ის ტანჯვა, რომელიც ამ კედლებში გავიარე და ეს უფრო მიდუნებდა სხეულს. ერთი პატიმარი მეცნაურა. მას გრძელი წვერი და ამღვრეული თვალები ჰქონდა. მეცნაურა-მეთქი ვამბობ, თორემ უფრო იმიტომ მივაქციე ყურადღება, რომ ჯაჭვები ლამის დაეწყვიტა, ისე იშვერდა ჩემსკენ გამხმარ ხელებს.

— რა გინდა? — ვკითხე მე.

— ვერ მიცანი, ძმობილო! — იბღავლა მან — ქარვა ვარ, ქარვა! არ გახსოვარ?!

— ჰო, მახსოვხარ, — ვუთხარი მცირე ხნის დუმილის შემდეგ — რა გინდა, ქარვა?

— სინათლე მინდა! — იბღავლა მან — მზე და ჰაერი! ერთი ღღით მაინც! მერე თუნდ მომკლან!

მაშ სხვებიც ჰყვნენ.

— ვეცდები, შეგიმსუბუქოთ ტანჯვა — ვთქვი მე — გოლა სადღაა?

— გოლა მოკვდა — თქვა ქარვამ — ბედნიერი გოლა!

ისევ ატყდა ღრიანცელი.

ყველა ჩემსკენ იშვერდა ხელებს და რაღაცას მევედრებოდა.

გაბრუებული ვიდექი და ისე ვიტანდი ამ შემოტევას.

ბოლოს, გზა განვაგრძე.

როგორც იქნა, ზედამხედველებმა მიაგნეს იმ კაცს, რომელსაც მეზობლის საქონელი გაეტაცა.

იგი ნეხვში ამოთხვრილი იჯდა, თვალები ფართოდ დაეღო და რაღაცას ბუტბუტებდა.

— შენ ხარ ესა და ეს... — ვკითხე მე.

— ჰო! — თქვა მან და შეეამჩნიე, შიშით როგორ მოებრიცა სახე.

— ადე, თავისუფალი ხარ! — ვუთხარი მე.

იგი ერთხანს გაუნძრევლად იჯდა. მერე თავი გაიქნია და თქვა:

— რა სთქვი?!

— თავისუფალი ხარო, გეუბნება — დაუტატანა ზედამხედველმა.

უცებ პატიმარმა საზარელი ხარხარი მორთო. მე თვალით ვანიშნე ზედამხედველებს. მათ ხელი წაავლეს მას და წამოიყვანეს. ყურში ეკლად მესობოდა ეს ხარხარი, როცა ირგვლივ ამდენი ადამიანის გმინვა ისმოდა.

როცა გარეთ გამოვედით, მე კარგად დავაკვირდი მას.

ეს იყო უზომოდ გამხდარი, მაღალი კაცი, რომელიც თანდათან ეჩვეოდა სუფთა ჰაერსა და მზეს.

— გიხარია? — ვკითხე მე.

მან უაზროდ შემომხედა.

არაფერი მითქვამს, ისე გავწიე სახლისკენ.

13.

შინ მივედი თუ არა, წიგნთსაცავში ჩავიკეტე. ჩემი ფიქრები პატიმრებს დასტრიალებდა. რამე უნდა მეღონა. ეს ხალხი, მართალია, მეტწილად დანშაულეები იყვნენ, მაგრამ ისეთი დანაშაულიც არ ქონდათ ჩადენილი ღვთისა და კაცის წინაშე, რომ ცოცხლად დამპალიყვნენ ჯურღმულში. მორე დღეს ცცოის მივაშურე და ჩემი აზრი ვუთხარი ამის შესახებ. იგი წარბშეკრული მისმენდა. ხანდახან თუ ამომხედავდა ხოლმე თავისი გამჭრიახი თვალებით.

— მაშ, შენ ამბობ, რომ მათ უკვე მოინანიეს თავისი დანაშაული? — მკითხა ბოლოს.

— დიახ! — მივუგე მე.

— იქნებ გეჩვენება?

— კარგს იზამდი, თუ წახვიდოდი და თვითვე ნახავდი მათ ყოფას. ამ ხალხს ახლა ერთიღა აქვს საცნებო — მზე და ჰაერი.

— ცოტა ხანში სხვა რამეც რომ მოუნდეთ? მაშინ რა ვქნათ?

ჯიუტად გავიქნიე თავი.

— კეთილი! — თქვა მან — რაკი თანაშემწედ დაგნიშნე, უნდა დაგიჯე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო კიდეც ზოგი რამ. მაგრამ... — აქ მას ხმა გაუმკაცრდა — ყველა შენს აზრს ვერ დავეთანხმები. შეარჩიე პატიმრებში 10-12 ნაკლებად დამნაშავე, ვინც უკვე დიდი ხანია ზის და გაუშვი. ჯერჯერობით ეს ვიკმაროთ.

— მაგრამ ტუსაღები სამასამდე არიან!

— თორმეტი-მეთქი! — ხმას აუწია მან — ვნახოთ, როგორ მოიქცევიან სოფელში.

— ისინი სოფელში დარჩებიან? — ვკითხე მე.

— ჰო — თქვა სოფლის თავმა. — მათზე იქნება დამოკიდებული სხვა პატიმრების ბედიც. თუ კარგად მოიქცევიან, მერე სხვათაც გავანთავისუფლებთ. თუ არა და — მან ხელი ჩაიქნია — განწირულნი ყოფილან!

●

მთელი ათი დღე მოვანდომე პატიმრების საქმეების გადასინჯვას. ბოლოს ავარჩიე 12 ყველაზე ნაკლებ დამნაშავე. მათ შორის მხოლოდ ერთი იყო მკვლელი — ქარვა. მაგრამ ქარვა უკვე 17 წლის პატიმარი იყო. როცა პატიმრები ჩემს წინ ჩაამწკრივეს, მე ასეთი სიტყვით მივმართე მათ:

— სოფლის თავმა და უხუცესთა საბჭომ, ჩემი შუამდგომლობით, თავისუფლება მოგანიჭათ. მაგრამ იცოდეთ, რომ ამიერიდან თუნდაც მცირე დანაშაულსაც კი აღარ გაპატიებენ. ამავე დროს თქვენზეა დამოკიდებული თქვენი მეგობრების ბედი. თუ პატიოსნად იცხოვრებთ და ყველა დაინახავს, რომ საშიში ხალხი არა ხართ, შემდეგ მათაც განთავისუფლებენ. არადა, ყველაფერი ძველებურად დარჩება. ახლა კი გასწით... სოფელმა უკვე შეგირჩიათ საცხოვრებელი სახლები. მართალია, ისინი მთლად კარგი არ არის, მაგრამ ცხოვრება შეიძლება.

პატიმრები ერთხანს გაოგნებულნი იდგნენ. მერე ერთბაშად ახმაურდნენ... ისინი ტიროდნენ, ერთმანეთს ეხვეოდნენ, ჩემსკენ იწევდნენ, უნდოდათ ხელზე მმთხვეოდნენ. მხოლოდ ერთმა მამაკაცმა თგანი არ ინძრეოდა. ეს იყო ქარვა. მე მივედი მასთან და ღიმილით წავკარი ხელი.

გაშტერებულმა შემომხედა.

— რას მიყურებ! — ვუთხარი მე — გასწი! თავისუფალი ხარ!

●

რამდენიმე თვემ გაიარა ამ ამბის შემდეგ. ტუსაღებს პირი არ შეურცხვენიათ. ისინი ბეჯითად შრომობდნენ. მხოლოდ ქარვა ვერ იქცეოდა კარგად. მას ყველგან შეხვდებოდით, თქვენსკენ მოწყალებისთვის ხელგაშვერილს, მთვრალსა თუ ფხიზელს.

ერთხელ, სახლში რომ ვბრუნდებოდი, გზაზე ფეხმორთხმული შევნიშნე იგი. ღობესთან იჯდა, წინ ხელადით ღვინო ედგა.

მივედი.

წამოიწია, დამლოცა და ისევ მოწყვეტით ჩაჯდა.

— რას სჩადი, ქარვა? — ვკითხე მე.

— რასა?

— რასა და მათხოვრობ, თავს იჯრი... არა გრცხვენია?

— ხო არაფერს ვაშავებ? — იკითხა მან სლოკინით.

— ამაზე მეტი რა უნდა დააშავო? გზაზე დამჯდარხარ მოწყალებისთვის!

— სხვა რამე თუ არ შემიძლია?

— სხვას თუ შეუძლია, შენ ვითომ რაო?

— სხვას ჩემდენი არ უტანჯია.

— ეეჰ, ქარვა! განა მე კი არ ვიტანჯე?

— იმდენ ხანს არა — თქვა მან — მე ძალიან დიდხანს მტანჯეს.

— ჩვენს თავს ჩვენ თვითონვე ვტანჯავთ ხოლმე. ქარვა!

— ჩვენ არა!

— მაშ ვინ?

— ღმერთი გვტანჯავს, ღმერთი, აი ვინა!

მერაბ აბაშიძე
სიტყვაგ ბეშმარიტი

— მერე, მათხოვრობით ებრძვი ღმერთის უსამართლობას?

— ეეჰ! ღმერთთან ბრძოლის თავი მე ვინ მომცა. უბრალოდ, სხვა აღარაფერი შემიძლია, რა ვქნა? თუ გინდა მომკლათ, მე ხელის განმძრევი აღარა ვარ!

ერთხანს ვუყურებდი მის გალეულ, გაყვითლებულ სახეს, მერე ხელი ჩავიქნიე და სახლისკენ გავაგრძელე გზა.

14.

რამდენიმე დღეს მეხსიერებიდან არ ამომდიოდა ქარვას თვალები. ეს განწირული კაცის თვალები იყო. სწორედ ეს მიკვიდა. განწირულება ამბოხებას ბადებს ხოლმე. ხოლო ამბოხება? საიდან უნდა გაჩენილიყო ამბოხის გრძნობა ამ მრავალტანჯული კაცის სულში? ან ვის აუმბოხდებოდა იგი? ჰო, აკი თქვა — ის ღმერთს ადანაშაულებდა თავის ტანჯვაში. მეც ეს მაოცებდა: პატიმრობას თითქოს მორჩილი უნდა გაეხადა იგი. ის კი, პირიქით, გაავდა და ამბოხდა. და დარწმუნებული ვარ, მაშინ, გზაზე, შინ მიმავალს რომ შემხვდა, ყველასა და ყველაფრის დაღუპვის სადღეგრძელოს სვამდა ქარვა.

ქარვაზე ვფიქრობდი მაშინაც, როცა სოფლის სამრეკლოზე ზარების რეკვა ატყდა. სასწრაფოდ ჩავიცვი და მოედანზე გავვარდი. მთელი ხალხი იქ დამხვდა — მკაცრი და მდუმარი. სოფლის თავიც იქ იყო. სამრეკლოზე ქარვა იდგა და გაშმაგებით არისხებდა ზარებს.

ბოლოს რეკვა შეწყდა.

მდუმარედ ვუცდიდით, რა მოხდებოდა შემდეგ.

— აი, თქვენც მოხვედით! — დაიყვირა ბოლოს მან, — გამარჯობათ თქვენი, ხალხო!

ხალხი დუმდა.

— მე აქ დაგიძახეთ, — ბღაოდა ქარვა — რათა სამაგიერო მოგიზღათ ყველას! თქვენ! თქვენ ღმერთსაც! თქვენ ხატებსაც! თქვენ წინაპართაც და შთამომავალთაც!

არავის ამოუღია ხმა.

— რას გაჩუმებულხართ! — იბღავლა მან — გეკვნტათ ჩემსავითა ბედნის ჯაჭვები... ასე არ გაჩუმდებოდით ახლა კი... ახლა მე მინდა მხოლოდ მოგაფიქრთხოთ... თფუ!!!

ხალხი ერთ წამს აჩოჩქოლდა, მერე ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

ამ შეფიქრთხებით ქარვამ უფსკრული გაითხარა თავისა და სიცოცხლეს შორის. სოფელი ამას არავის აპატიებდა. მაგრამ სოფელი ამავე დროს ქვეგამხედვარი იყო და იცოდა, რომ ქარვამ თვით მიუსაჯა თავის თავს სიკვდილი ამ შეურაცხყოფით, და ახლა მშიერი მგელივით ელოდა, როდის დაიღვრებოდა ქარვას სისხლი მისივე ნებით, რომ სოფლის თავმოყვარეობას ცოტათი ამით მაინც მოფონებოდა.

ქარვა კი აგვიანებდა.

ეტყობა, მას აშინებდა გადამწყვეტი ნაბიჯი და ამით თავს იკრიდა სოფლის წინაშე. მე შემებრალა იგი.

— ქარვა! — დავუძახე მე.

— რა იყო! — იღრიალა მან.

— გახსოვს მოხუცი, ჩვენთან, საპატიმროში რომ იყო... მზის სხივი მხოლოდ მას ანათებდა იმ წყვდიადში!

— მახსოვს! — იყვირა მან—მერე რა?

— რას იტყოდა ეხლა ის მოხუცი?

ქარვა დუმდა.

— ის მოხუცი არაფერს გეტყოდა — ვიყვირე მე — მაგრამ გულში ალბათ ჩემსავით იყვირებდა — გადმოხტიო!

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

— წყეულიმც იყავით! — იღრიალა ბოლოს ქარვამ და გადმოხტა.

მას მიწამდე არ დაყოლია სული.

●

მეორე დღეს ცცოისთან გამოვცხადდი.

— რას იტყვი იმაზე, რაც გუშინ მოხდა? — მკითხა მან.

მხრები ავიჩეჩე.

— შენ კი ამბობდი, ვენდოთო!

— დანაშაული მას არაფერი ჩაუდენია, — ვთქვი მე — უბრალოდ, ძალიან გამწარებული იყო.

— ეგ პასუხი არ არის — თქვა ცცოიმ — ვხედავ, შევცდი, როცა დაგიჯერე.

— ბოლოსდაბოლოს, ის უკვე მკვდარია — ვთქვი მე.

— ეგ სხვანაირად არც იქნებოდა.

ერთხანს სიჩუმე ჩამოწვა.

— რას გაჩუმებულხარ? — მოუთმენლად მკითხა მან.

— რა უნდა ვთქვა?

— მე დადაწყვიტე ალარავინ შევიწყალო!

შევცბი.

— ჰო, რას მიყურებ! მაშ, გინდა სოფელი აირიოს?!

— ერთი კაციით ხომ არ შეიძლება სამას კაცზე მსჯელობა. ეს სწორი არ იქნება.

— არც ის იქნება სწორი, სამასი პატიმარი რომ გამოვყარო სოფელში!

— რატომ სოფელში? წავიდნენ, საცა უნდათ.

— მტერი გავიმრავლო? ბრიყვი ხომ არ გგონივარ?

— თქვენ ხომ დამპირდით...

— დაგპირდი, დაგპირდი — მოუთმენლად აიქნია მან ხელი — ახლა კი გადავიფიქრე, ხომ თვითონ ნახე, რა თვალებით გვიყურებდნენ დანარჩენი პატიმარყოფილნი, როცა ქარვას გვამი დასამარხად მიქონდათ. ჰო! ეს როგორ დამავიწყდა — იტაცა მან — დღესვე ჩავაყრევინებ მაგათ ყველას უკანვე.

გაშტერებით შევყურებდი.

— რას მიყურებ? — თქვა ეჭვიანად — ხომ არ უთანაგრძნობ?

— მეც ერთი იმათგანი ვარ — ვთქვი მე.

— შენ, ჯობია, ფრთხილად იყო — თითი დამიქნია მან — ახლა კი შინ წადი და სანამ არ გიხმობ, გარეთ ფეხი არ გამოდგა!

ბარბაცით გავშორდი იქაურობას.

15.

გარეთ გავედი თუ არა, ერთ-ერთი ყოფილი ტუსაღი დავინახე. იგი ჩრდილში იდგა და ვიღაც მოხუცს ელაპარაკებოდა. მივედი და ცალკე გავიხმე.

გამომყვა.

— ახლავე აიბარგეთ ეროვნულ-ეროვნულ ... ვუთხარი ხმადაბალა — ... ... ამხანაგებიც. ცეროის თქვენი უკან დაბრუნება სურს.

შიშით შემომხედა.

— რას მიყურებ? — ვუთხარი მე — არ გესმის, რა გითხარი?

იგი სწრაფად გამშორდა.

●

შინ მივედი და წიგნთსაცავში ჩავიკეტე.

არ ვიცი, რამდენი ხანი გავიდა ასე. ჩავთვლიმე.

კარზე ბრახუნმა გამაღვიძა.

კარი გავაღე.

ჩემს წინ გაფითრებული მზია იდგა.

— სოფელში ხანძარია! — თქვა მან.

გარეთ გავვარდი.

თითქმის ნახევარი სოფელი ცეცხლში იყო გახვეული.

მივხვდი — ეს პატიმრების ნახელავი იყო. ეტყობა, გაქცევის წინ სოფელს ცეცხლი წუკიდეს.

— შინ შევიდეთ — ვუთხარი მზიას.

შინ შესვლა ვერ მოვასწარით, რომ ცხენების ფლოქვთა თქარათქური მოგესმა.

ოთხმა ძლიერმა ხელმა ძირს დამანარცხა, შემკრა, ცხენის უნაგირზე მიმაბა და ასე მიმათრიეს სოფლის მოედანზე.

მოედანზე სახეშეშლილი სოფლის თავი იდგა და ხანძრის ჩაქრობას ხელმძღვანელობდა. საშინელი ხმაური იდგა. რამდენიმე კაცი სამრეკლოს უტრიალებდა გარშემო, რომელიც მთლიანად გახვეულიყო ცეცხლში. ქალები კიოდნენ, ბავშვები ტიროდნენ, ოფლში გაღვრილი მამაკაცები ხეობიდან წყალს ეზიდებოდნენ. სახლები ახლოს იდგა ერთმანეთთან და ამიტომ ერთბაშად წაჰკიდებოდათ ცეცხლი. მოედანი ცეცხლისმფრქვეველი გველეშაპივით ალყაშემორტყმულ კუნძულს გავდა.

ჩემს დანახვაზე ცეცხლის კიდევ უფრო გაუფითრდა სახე.

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს ა ბ ა ზ ი ნ ი
ინტერვიუ ბ ე ს ტ ე ბ ი ტ ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დატკბი შენი ნახელავით! — მიმითითა ატირებულ ქალებსა და ბავშვებზე.

— ეს ჩემი ნახელავი არ არის — ვთქვი მე.

— მაშ, რატომ არც ერთი ყოფილი პატიმარი აღარ არის სოფელში? სად წავიდნენ? იქნებ გაფრინდნენ?

— არ მეგონა, თუ ყველაფერი ასე მოხდებოდა — ვთქვი მე — მაგრამ რა არის ეს ხანძარი იმ ტანჯვასთან შედარებით, რასაც ისინი განიცდიდნენ?

— ამართლებ კიდეც? — თქვა ცცოიმ.

— არა — ვთქვი მე — მაგრამ მებრალებიან კი.

— ესენი კი არ გებრალებიან? — ისევ ქალებზე და ბავშვებზე მიმითითა მან.

— ეგენი ხვალ ახალ სახლებს აიშენებენ.

ცცოი წამით ჩაფიქრდა, მერე თავი შეიქნია და ცხენოსნებს რაღაც უთხრა.

წამოყვანეს და ჯურღმულში ჩამაგდეს.

16.

თვალები ნელა შევაჩვიე სიბნელეს. ჯურღმულის იმ კუთხეში, სადაც ჯაჭვებით მიმაბეს, არავინ იყო, მოშორებით მჯდარი უცნაური არსების გარდა, რომელიც კაკალს ამტვრევდა და მშვიდად შეექცეოდა. მე კარგად დავაკვირდი მას. იგი პატარა ქონდრისაკაი გახლდათ, უზარმაზარი შუბლითა და ღრმად ჩამჯდარი, ჭკვიანური თვალებით. კაცუნა დაკვირვებით მიმზერდა, მერე გაიღიმა, მოვიდა ჩემთან და მითხრა:

— მე ბასრი მქვია... შენ?

არ ვიცი, რატომ დავიბენი. ჩემი სახელი ვუთხარი.

— აა! — თქვა მან — მაშ ეს შენა ხარ!

ვერ გავიგე, რა სურდა ამით ეთქვა.

კაცუნა ისევ კუთხეში დაჯდა, ფეხი მოირთხა და კაკლის მტვრევა განაგრძო.

— მაშ, მოყვასის სიყვარულისთვის დაგიჭირეს! — დამცინავად თქვა ძმა. არაფერი მითქვამს.

— შენს ადგილას უფრო ჭკვიანურად მოვიქცეოდი — განაგრძო მან — ცცოის კი არ ვთხოვდი მათ განთავისუფლებას... არა, მოვიდოდი საპატიმროში, ვიტყოდი, რომ სოფლის თავის ნებას ასრულებ, და ყველას გამოუშვებდი ბნელი ღამით... შენც თან წაყვებოდი და გაშორდებოდი სოფელს. შენ კი — მან ჩაიხითხითა — მსაჯულობა მომინდომე!

— ვინა ხარ? — ვკითხე ჩახრინწული ხმით.

— მეე? არ ვიცი... ზოგი ჯადოქარს მეძახის, ზოგი გიჟს... ისე კი, ძალიან დიდი ხანია, აქ ვზივარ. არც მინდა აქედან წასვლა. თუმცა ბევრჯერ შემეძლო აქაურობისთვის თავი დამეწია. შენც მახსოვხარ, თუმცა არასოდეს გინახივარ.

— მაინც, როგორ შეგეძლო აქედან თავის დაღწევა? — კკითხე მე.

— ჰმ! სრულიად უბრალოდ! — თქვა მან — დავაკაკუნებდი სატუსაღოს კარზე, დარაჯები გამოიღებდნენ, ვეტყოდი რომ ზედამხედველი ვარ, სალაფავი უკვე დავურიგე ტუსაღებს და... წავიდოდი!

— მერე, დარაჯი ვერ დაინახავდა, რომ ზედამხედველი არა ხარ?

— ვერა — დამაჯერებლად მითხრა მან — სწორედ მაგიტომ მეძახიან ჯადოქარს. სწორედ მაგაშია ჩემი ძალა.

— რაღაც არ მჯერა! — ვთქვი მე.

— ჰოო! — თქვა მან უცნაურად. იმ წამსვე გონება დამებინდა, ყურებმა შუილი დამიწყო და ჩემს წინ მზია აღიმართა.

— შენ! აქ! — დავიყვირე მე.

მზიამ დაბნეულად მიმოიხედა, მერე მომვარდა და სახე ჩემს მკერდში ჩამალა. მთელი ძალით დავიძაბე. მსურდა ჯაჭვები დამეწყვიტა და ხელი მოგეხვია მისთვის. ეს შეუძლებელი აღმოჩნდა.

— დაწყნარდი! — ჩურჩულებდა მზია.

ცრემლები წამსკდა. ხმამაღლა, მოთქმით ვტიროდი.

— კმარა — თქვა მზიამ. ყურებს არ დავუჯერე. ეს ქონდრისეკაცის ხმა იყო.

იმ წამსვე ხიბლი გაქრა და ბნელში გავარჩიე სევდიანად მომღიმარე ჯუჯა.

— დარწმუნდი? — მკითხა მან.

განადგურებული ვიდექი და ერთიანად ვცახცახებდი.

— ვინა ხარ, სატანა? — ვკითხე მე.

— არა! — თქვა მან — აკი გითხარი — ბასრია მქვია-მეთქი. ჯადოქარსაც მეძახიან, გიესეც. მე კი ადამიანი ვარ. აი, ეს კი არ ჯერათ.

— მაშ დაგვეხმარე, თუ ასეთ ძალას ფლობ! ჯადოქარი ხარ თუ ადამიანი!

მან გაიცინა.

— რატომ იცინი? — ვკითხე მე.

— იმიტომ, რომ დაგვეხმარეო თქვი და არა დამეხმარეო. შენ ახლაც სხვაზე ფიქრობ. წმინდანი ხომ არა ხარ, ჰა, ძმობილო?

— წმინდანობას ბევრი მიკლია, მაგრამ...

— მაგრამ რა? — თქვა მან — სხვისი ცოდვები გინდა იტვირთო? ისე კი დიდი უცნაური კაცი ჩანხარ. აბა, როგორ შეგეძლო მაგნაირი სულის პატრონს მსაჯული გამხდარიყავი?

— შენ ამას ვერ გაიგებ!

— მე ყველაფერი მესმის... — თქვა მან — შენ იტყვი, რომ ხალხის დახმარება გინდოდა, მაგრამ ეს სისულელეა.

— რა არის სისულელე?

— მსაჯული მხოლოდ ღმერთი შეიძლება იყოს.

— ცაში კი, მაგრამ მიწაზე სხვას ირჩევს ხოლმე თავის ნაცვლად.

ჯუჯამ გაიცინა:

— მაშ, ღმერთის ხელდებული გგონია თავი?

არაფერი მითქვამს.

— მაგრამ აკი შენ ღმერთი გძულს?! — თქვა მან — აკი უსამართლოდ მიგაჩნია იგი!

— შენ ესეც იცი — ვთქვი მძიმედ — მაშ, ეშმაკეული ყოფილხარ.

— ეგ არ ვიცი — დაფიქრებული თქვა მან — მაგრამ ერთი რამ ... [illegible] გითხრა: ადამიანი ღირსია თავისი ხვედრისა. მაშ, მე რატომ უნდა ჩავერიო ღვთის ნებაში? ვინ მომცა უფლება გავუმჯობესო ან გავაუარესო ადამიანის ხვედრი? აი, შენ პატიმრებს უშველე და სოფლიდან გააქციე. მათ კი სოფელს ცეცხლი წუკიდეს. რატომ არ იფიქრეს, რომ ამით შენც გავნებდნენ? ახლა შენ იტანჯები მათ ნაცვლად.

— ისინი განუსჯელნი არიან — ვთქვი მე.

— მერე, განა ღირს განუსჯელთათვის თავის ატკივება?

უმწეოდ გავიქნიე თავი. ჯუჯას ლაპარაკი აღუღებულ ტყვიასავით მეწვეთებოდა ტვინში; მაგრამ მას არ შეეძლო ჩემში წაეშალა ის გრძნობა, რითაც ადამიანი არაადამიანისაგან განსხვავდება.

როცა ეს ვუთხარი, მან ისევ გაიცინა.

— მეც კეთილი ვარ — თქვა — იცი თუ არა, რომ ამ საპატიმროში ძილს მე განვაგებ?

— როგორ თუ ძილს? — ენის ბორძიკით ვთქვი მე.

— აი, ისე... ვგრძნობ რომ პატიმრები ძალიან იტანჯებიან. მე რომ არ ვიყო, ვერც ერთი მათგანი ვერ შეძლებდა ძილს. მე ვაფხიზლებ და ვაძინებ მათ.

— მაშ, სატანა ყოფილხარ?! — ვთქვი ისევ მცირე ხნის დუმილის შემდეგ.

— ცდები — ამოიოხრა მან: — მე ის კაცი ვარ, ვინც ერთ დროს ტანჯვით სიგიჟის ზღვრამდე მივიდა. გაანგარია ეს ზღვარი, შეეცურა სიგიჟეში და შემდეგ სრულიად უვნებელმა ამოყვინთა იქიდან. ასეთი იყო ჩემი ხვედრი. ალბათ ღირსი ვიყავ ამისა. ამიტომ არ ვწუწუნებ. არც არავისი ხსნა მინდა, არც არავისი დასჯა. ეს არის და ეს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

როცა გავიღვიძე, ჯუჯა ისევ კუთხეში იჯდა. მოშორებით ხმაური ისმოდა. ეს ზედამხედველები არიგებდნენ სალაფავს. მალე ისინი ჩვენთანაც შემოვიდნენ.

— აჰა! — თქვა ერთმა და ჯამით საჭმელი მომაჩეჩა.

— როგორა ხარ? — მიუბრუნდა მეორე მათგანი ჯუჯას და მასაც ჩაუსხა ჯამში ოსპის წვენი.

— რა მიჭირს — თქვა ჯუჯამ — გარეთ რა ამბებია?

ზედამხედველმა რაღაც უჩურჩულა ყურში.

მალე მათ დასტოვეს ჯურღმული.

ჯუჯა მდუმარედ ხვრეპდა ოსპის წვენს. მე ჭამა არ შემეძლო.

— რაო, რა ამბავია სოფელში? — ვკითხე ჯუჯას.

— არაფერი — თქვა და კოვზი გალოკა — ყოველ შემთხვევაში, ისეთი არაფერი, რაც ჯერ არ მომხდარა.

— მაინც, რა მოხდა?

— ის, რომ ხალხი შენს სიკვდილით დასჯას მოითხოვს. გონიათ, ცეცხლი შენი ბრძანებით გაჩინეს ტუსაღებმა.

— ამას ველოდი კიდეც — ვთქვი ჩაფიქრებით.

— ნუ გეშინია — თქვა მან — ამას მე არ დავუშვებ!

ისე დაბეჯითებით თქვა ეს, რომ დავუჯერე. თუმცა არ ვიცოდი, როგორ უნდა ვეხსენი სიკვდილისაგან.

— ამაზე ნურც იფიქრებ — თქვა მან — მე ახლა ერთი რამ მინდა გკითხო!

— მკითხე, — ვთქვი მე.

— მე ვიცი, რომ შენ აზურის მოწაფე ხარ. აზურს წიგნსაცავში ქონდა ერთი პერგამენტი. წითელი ფერისა. ხომ არ იცი, სად ინახება იგი?

— არა! — ვთქვი გაკვირვებით.

— მაშ, მე გეტყვი — თქვა მან — ის შენახულია ბოლო თაროზე. სულ განცალკევებით. შიგ ჯადო სიტყვა წერია.

— მაინც, რა წერია ასეთი?

— ჯერ ეს მითხარი — თქვა მან — იცი თუ არა, რა არის ყველფერზე და ყველაზე ძლიერი რამ ამქვეყნიერ ... საც ღმერთთან აიგივებენ?

უხმოდ გავიქნიე თავი.

— სიტყვა! — ჩურჩულით თქვა მან — გესმის... სიტყვა!!!

— მერე? — ვკითხე მოუთმენლად.

მან შემომხედა და უგულოდ ჩაიქნია ხელი.

— წყლის ნაყვაა შენთან ლაპარაკი, მაგრამ მაინც გეტყვი: — იმ ჯადოსნურ პერგამენტში წერია, რომ როცა ადამიანი ფიქრობს, უნდა ეცადოს, თავისი შინაგანი ხმა ლუწი რაოდენობის ასოთაგან შემდგარი სიტყვით დაადგინოს.

— ამით ის ძლიერი ხდება. მისი აზრი გამქვირვალე წყალივით იდენს იმ არხში, რომელიც კეთილი ნიადაგისკენ იკვლევს გზას... ხოლო ამ ნიადაგში მოხვედრილი თესლი არასოდეს დაიკარგება. თუმცა ეს უბრალოდ არ ხდება... ასეთი ფიქრისთვის დროა საჭირო. მაგრამ როცა ამას მიაღწევ, ვერაფერი დაგიდგება წინ. შენ აღზევდები ბოროტსა ზედა და ეს იქნება ჭეშმარიტი ძლიერება.

კიდევ დიდხანს მელაპარაკა ჯუჯა. მის ლაპარაკზე მე ძილი მერეოდა, სხეული მიმძიმდებოდა და მალე ჩამეძინა კიდეც.

●

უცნაური სიზმარი ვნახე. თუმცა ამას სიზმარს ვერც დაარქმევ. მე ᲕᲬᲘᲭᲠᲝᲑᲓᲘ. სიტყვები თავისით იბადებოდნენ ჩემს გონებაში და მღვრიე ჭოსიდან გადმოსულნი ციცინათელებივით ბრწყინავდნენ ბნელში. ურიცხვი პაწია ნაპერწკალი ირეოდა ირგვლივ. მრავალი ციცინათელა წყვილად დაფრინავდა და ცისფრად ციმციმებდა. ეს ლუწსოებიანი სიტყვები იყო. დაწყვილებულ ნაპერწკლებს შუა გაბმულ სიმზე პატარა მახვილი ეკიდა, სიმბოლო ძლიერებისა. ამავე დროს ვგრძნობდი, რომ ეს წარმოსახვა იყო და მეტი არაფერი. მაინც უზომო ნეტარებას განვიცდიდი. ხანდახან ვერკვეოდი ბურა-

ნიდან და ვხედავდი ჯუჯას მოღიმარ სახეს, რომელიც კუთხეში იჯდა და თვალებგაფართოებული მომჩერებოდა...

— გაგეღვიძა? — ჩამესმა ბურანში.

ყურს არ დავუჯერე: — ჯუჯა იცინიდა. გულიანად, ხმამაღლა ხითხითებდა ჯუჯა.

— რა მოხდა? — ვკითხე მე.

— ოჰ, რა სასაცილოა ადამიანი! — თქვა მან, როცა სული მოითქვა — მე შენ მოგაბეზეუე! — თქვა მერე მტკიცედ.

— რატომ? — ვკითხე მე.

— მინდოდა კიდევ ერთხელ დავრწმუნებულიყავ ადამიანთა უბადრუკობაში. მინდოდა კიდევ ერთხელ მენახა, რამდენად დიდია სიტყვის ძალა და რამდენად პატარა ადამიანი. და აი... კაცს სასიკვდილო საფრთხე ემუქრება, ის კი თავის შინაგან ხმას და სიტყვას უსმენს... ჰოი სიტყვავ! — სახე გაუფითრდა მას — რა დიდია შენი ძალა და რა დიდი ხარ შენ, რომელსაც ბრძენნა ღმერთი გიწოდა!

იგი ერთხანს დუმდა.

— მე შემეძლო უფრო გამეწვალებინე — თქვა ბოლოს — მაგრამ ეს არ მსურს: ისე კი, იცოდე — ჯადოსიტყვა არ არსებობს, არ არსებობს აზიერის წითელი პერგამენტიც. ახლა კი — მან მბრძანებლურად შეიქნია ხელი — ძილი!

●

როცა თვალი გავახილე, თვალწინ ისევ ჯუჯას სილუეტი გამოიკვეთა.

— დიდხანს გეძინა — თქვა მან — განა მადლობელი არ უნდა იყო ჩემი?

— რისთვის?

— იმისათვის, რომ ბურანში გამყოფებ ამდენ ხანს. მართლა, რა დაგესიზმრა? — ეშმაკურად იკითხა მან.

— არაფერი — ენის ბორძიკით ვთქვი მე.

— სტყუი — წარბი შეიკრა მან — და ისიც ვიცი, რატომ სტყუი.

— რატომ?

— იმიტომ რომ სიზმარში ნახული ადამიანები მეტად ძვირფასნი ხარ შენთვის. შენ მზია და კატა ... ...ია.

არაფერი მითქვამს.

— ვიცი, ძალიან გიყვარს ისინი — თქვა მან და მომეჩვენა, თითქოს ამოიოხრა — მაგრამ არა უშავს. შენ გულიდან ამოიგლეჯ და დაივიწყებ მათ.

— არასოდეს! — ვთქვი მე და ვიგრძენი, როგორ შემეკუმშა გული.

ჯუჯამ უცნაურად შემომხედა.

— ფუჰ, ძუძუმწოვარა! — თქვა მან, თუმცა ხმაში სირბილე ეტყობოდა. მერე მოვიდა ჩემთან და მითხრა:

— განა არ იცი, რომ სიყვარული აძაბუნებს ადამიანს?

— არა მგონია — ვთქვი მე.

— არა მგონია! — გამომაჯავრა მან და რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ მე მინდოდა შური მეძია ამ უცნაურ არსებაზე, ვინც ასეთი ძალაუფლება მოიპოვა ჩემზე და დაცინვით ეუთხარი:

— რა იცი შენ სიყვარულზე, ჭინდრისკაცო?

იგი გაშეშდა, სიბრაზისაგან სახე მოეღრიცა, მაგრამ იმავე წამს დაეუფლა საკუთარ თავს და თქვა:

— შენ კი, იცი რამე?

— სიყვარული ის ცეცხლია, — ვთქვი მე — ყველაფერს რომ წვავს თავის ირგვლივ და ციცაბო გზით უკვდავების მწვერვალისკენ მიემართება.

— ვითომ? — აგდებულად იკითხა მან.

— თუმცა, შენ ამას ვერ გაიგებ

მას ისევ მოეღრიცა სახე, ისევ აიქნია ხელი და ამჟამად უკვე შემზარავი ხმით იკივლა — ძილი!!!

17.

ამგვარ ძილ-ბურანში გადიოდა დრო. ჯუჯა წამით არ მაცლიდა გამოფხიზლებას. გავიღვიძებდი თუ არა. საუბარს გამიბამდა, კითხვებს მომცემდა, მერე ხელს მბრძანებლურად შეიქნევდა და მეც ისევ ვიძინებდი. მაგრამ აი, ერთ დღეს, ჩემი გამოღვიძების შემდეგ, კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რგა ხანმა გაიარა, ჯუჯას კი სიტყვაც არ დაუძრავს.

— ეს დღეც მოვიდა — თქვა ბოლოს.

— რა დღეა ასეთი? — ეკითხე მე.

— ეწინა სიკვდილით დასჯის დღე — მან უცნაურად შემომხედა.

ამ დღეზე აქამდე არც მიფიქრია, რაგინდ საოცრად არ გეჩვენოთ ეს. ჯუჯამ მაშინ ისე დამაჯერებლად მითხრა გადაგარჩენო, რომ თავი უკვე გადარჩენილად ჩავთვალე.

— გადაგარჩენ კიდეც — თქვა ჯუჯამ, თითქოს ჩემი ფიქრი ამოიკითხაო — მაგრამ ერთის პირობით!

— გისმენ! — ვთქვი მე.

— შენ მთელი ხალხის წინ უნდა განაცხადო, რომ მოყვასის სიყვარული სისულელეა და ადამიანი ღირსია იმ ხვედრისა, რომელიც ერგო!

— ესე იგი ისინი ისევ ასეთ დღეში დარჩებიან? — ხელი გავიშვირე პატიმართა სადგომისკენ.

— ჰო!

— ასეთ პირობას ვერასოდეს ეღირსები! — ვთქვი და გული შემეკუმშა — მირჩევნია მოვკვდე!

— ეჰ, თავიდან ყველა ასე ჰიკჰიკებს — დამცინავად თქვა ქონდრისაკაცმა — მაგრამ მერე...

ამ დროს ტუსაღების სიმღერა გაისმა. ჩემთვის ნაცნობი სიმღერა... მეც ბევრჯერ მიმღერია იგი გაჭირვების ჟამს.

— ჰმ, სულელები! — თქვა ჯუჯამ. მაგრამ მომეჩვენა, რომ ეს რბილად თქვა, თითქოს ვიღაცას ეალერსებაო. იმავე წამს ხმაური შემომესმა. ზედამხედველები მოდიოდნენ ჩემს წასაყვანად.

ისინი შემოვიდნენ, ჯუჯას მიესალმნენ და ჯაჭვები ამხსნეს.

— გასწი! — თქვა ერთმა მათგანმა და წინ გამიგდო.

— მეც მოვდივარ! — გაისმა კუთხიდან ჯუჯას ხმა.

ზედამხედველებმა გაკვირვებით შეხედეს, მერე ერთმანეთს გადახედეს და რატომღაც ერთხმად წარმოსთქვეს — წამოდ!!!

●

სოფლის მოედანზე უამრავი ხალხი შეყრილიყო. მოედნის შუაში უზარმაზარი კუნძი იდგა, რომელთანაც შორიდანვე დავინახე ნიღაბაფარებული ზორბა ჯალათი ნაჯახით ხელში. იქვე იდგნენ ცცოი და უხუცესნი. ზედამხედველებმა ხელები გამიკრეს და კუნძთან მიმათრიეს. ჯუჯა, რომელსაც რატომღაც არავინ აქცევდა ყურადღებას, უკან მოჰყვებოდა ზედამხედველებს და ხალხს აკვირდებოდა. ისიც დასასჯელ ადგილას შედგა. ცცოიმ განაჩენი გამოაცხადა. ვიღაცის კივილი მომესმა. მზიას ხმა ვიცანი და შემაყრჭოლა. უკვე აღარ მჯეროდა ქონდრისაკაცის დაპირება.

უხეშად დამადებინეს თავი კუნძზე.

მე ჯალათს შევყურებდი.

უცებ — ჰოი, საოცრებავ! ჯუჯამ ჯალათს ნაჯახი გამოართვა და მომიახლოვდა.

— თავს როგორა გრძნობ, მხსნელო! — ჩაიქირქილა მან.

ისევ მომესმა მზიას კივილი.

— დამკარი! — ვუთხარი მე — დამკარი არარაობავ!

ჯუჯამ ნაჯახი აღმართა.

თვალები დავხუჭე.

უცებ ბასრი ფოლადის დარტყმა ვიგრძენი კისერზე.

ვიგრძენი, როგორ დაიტკაცუნეს ძვლებმა და გავიფიქრე — აჰა, სიკვდილიც!

მაგრამ — თურმე ასე არ იყო.

ერთი წამის შემდეგ ისევ გავახილე თვალი საშინელი ტკივილით რეტდასხმულმა და... მოედანზე დავინახე... ჩემივე ტანი, რომელიც გადაჭრილი კისრიდან შადრევანივით ასხამდა სისხლს! ჩემი თავი კი, ანუ მე, ანუ ის ნაწილი, რომელიც ისევ აზროვნებდა, სუნთქავდა და იტანჯებოდა, ჯუჯას ფეხებთან ეგდო.

იგი დაიხარა, თმაში ხელი ჩამავლო, მაღლა ამწია და ჩემი თავი ხალხს დაანახა.

ხალხი დუმდა.

— ახლაც ფიქრობ შენს ტანჯულ მეგობრებზე? — ჩამძახა ჯუჯამ ყურში. ხმა ვერ ამოვიღე უდიდესი ტკივილისა და შეურაცხყოფის გამო.

— თქვი, რომ ყველა ადამიანი ღირსია იმ ხვედრისა, რომელიც ერგო!

— არა! — ვთქვი მე ჩურჩულით — — არა!

ჯუჯა დადუმდა.

ცოტა ხნის შემდეგ მკითხა:

— რას ისურვებდი ახლა, სანამ ძაღლებს მივუგდებდე შენს მძორს?

— იმღერონ! — ვთქვი ჩახრინწული ხმით.

უცებ, მართლაც შემომესმა ტუსაღების სიმღერა.

მე ჯუჯას მივჩერებოდი.

მერე — საოცრება მოხდა: ჯუჯას თვალიდან ნელა გადმოგორდა მრგვალი, მარგალიტივით მოციმციმე ცრემლი და ძირს დაეცა.

გონება დაკარგე.

როცა თვალი გავახილე — სამკვეთლო კუნძზე ვიჯექი.

ხელებით სხეული და კისერი მოვისინჯე.

მთლიანი და განუყოფელი ვიყავ — თითქოს არასოდეს შემხებოდეს ჯალათის ნაჯახი.

გარსშემოხვეული ხალხი თავისუფლებას მილოცავდა, ხოლო ჩემს მკერდში ჩაკრული მზია ხმამაღლა ქვითინებდა.

ხალხი მალე დაიშალა.

მე და მზია ისევ მოედანზე ვიდექით.

ირგვლივ მიმოვიხედე.

ჯუჯა წასულიყო.

— სად წავიდა? — ვკითხე მზიას.

— ვინ? — იკითხა მან.

— აი ის... ქონდრისკაცი, ვინც მიხსნა.

— გიხსნა? ქონდრისკაცმა გიხსნა? — თვალები გაუფართოვდა მას — აქ კი იყო მართლაც ვიღაც ქონდრისკაცი... როცა შენ კუნძზე დაგადებინეს თავი, ცცოისთან მივიდა და რაღაც უჩურჩულა... მერე გაქრა!

— როგორ, მაშ მე არ დავუსაჯეარ? — ვკითხე გოცებულმა.

მზიას თვალებში შეშფოთება ამოსდა.

— რას ამბობ... როგორ თუ დაუსჯიხარ?

— განა ჯუჯამ არ წამაცალა თავი! — ვიყვირე მე.

მზია შეშინებული მიმზერდა.

— რას ამბობ! — ჩაიჩურჩულა მან.

მე გამწარებით მოვყევი აქეთ-იქით სიარულს.

მივხვდი — ჯუჯამ კიდევ ერთხელ გამაცურა. მაგრამ სიტყვა კი შეასრულა: მართლაც მიხსნა სიკვდილისაგან.

— ტუსაღები? — ვთქვი ენის ბორძიკით.

— განა არ უსმენდი ცცოის? — თქვა მზიამ — მან ყველა ტუსაღის განთავისუფლება ბრძანა... მათ ალბათ უკვე დატოვეს სოფელი.

გაოგნებული შევყურებდი მზიას.

— ახლა კი წავიდეთ — თქვა მან — კატაი რახანია გველოდება შინ.

ჩვენ ნელა გავუყევით გზას.

გზაში ქონდრისკაცზე ვფიქრობდი; ნეტავ ისეთი რა უჩურჩულა სოფლის თავს, რომ სიცოცხლე მაჩუქეს, ჩემს მეგობრებს კი — თავისუფლება? ვინ იყო იგი? საიდან მივიდა? ან სად უნდა გამქრალიყო ასე უეცრად? ვნახავ ამიერიდან ოდესმე მას? ან რა დანაშაულისთვის იჯდა ნეტა იმ ბნელ, საზარელ სატუსაღოში? და მაშინ გამახსენდა მისი სიტყვები: „მე ის კაცი ვარ, ვინც ერთ დროს ტანჯვით სიგიჟის ზღვრამდე მივიდა, გაანგრია ეს ზღვარი, შეეცურა სიგიჟეში და შემდეგ სრულიად უვნებლად ამოყვინთა იქიდან. ასეთი იყო ჩემი ხვედრი. ალბათ ღირსი ვიყავ ამისა. ამიტომ არ ვწუწუნებ... არც არავის ხსნა მინდა, არც არავის დასჯა!“

დიახ, მან ნამდვილად მითხრა ეს სიტყვები. მაგრამ ახლა, როცა შინ ვბრუნდებოდი, ბევრჯერ გავიფიქრე ჩემთვის — ნუთუ მაშინაც მატყუებდა ის?

თეიმურაზ აბულაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლი

მთელი სიცოცხლე ჩემს სახლს ვეძებ,
ჩემს გადახურულს,
ვეძებ მიწაზე,
ვეძებ ცაში,
ვეძებ სივრცეში;
ვეძებ ყვავილში,
ვეძებ ხეში,
ვეძებ ბალახში,
უფრო კი სულში, სულში ვეძებ ჩემს ქოხს პაწიას.
მთელი სიცოცხლე დავწრიალებ სახლიდან სახლში,
ქარიდან — ქარში,
ციდან — ცაში,
მიწიდან — ხმელში,
რომ სადმე ჩემი კერა ვპოვო ამ ლიანც ხალხში,
სხვისი შემყურე რომ არ ვიყო მუდამდღე ხელში...

ჩემს სახლშიც ვეძებ ჩემს სახლს,
ჩემს ჭერს,
სანთელს, საკმეველს...
კაცმა არ იცის, — როდის მივალ ჩემს სამკვიდრომდე...
უფრო კი შენში, შენში ვეძებ ჩემს მყუდრო ბინას,
რომ შენს სიცოცხლეს ჩემთან ღამე გავათევინო...

სად?
ვინ?!
რომელი?!
რანაირად?!
როდის?!
საიდან?! —
წრიალებს ფიქრი, უსახლკარო, ქარიდან ქარში...
ძახილით: — სახლი! სახლი! სახლი! — გულქვა ღამიდან
მივიძურწები ისევ იმ ჩემს უსახლო სახლში.

როცა...

დაემგვანები უეცრად შეშლილს,
გაგიშტერდება უეცრად მზერა, —
როცა ა რ ა ფ რ ა დ შემოვა შენში
ეს ს ა ვ ს ე ო ბ ა...
და ბედისწერა
დარეკავს მწუხრის ზარებს, დარეკავს
და გაუსკდება გული შენს ცისკარს...
ეს სიყვარული და ნეტარება
როცა გაქრება...
და გადასისხლავს,
და გადაწამლავს,
და გადაგესლავს

ბაგეს შხამიან ბაგეთა კოცნა...
სიმწრით გამოზრდილ ოცნებას შენსას
საფლავს თვითონვე გაუთხრი როცა.

იდექ,
იმ საფლავს აღვარე ცრემლი

მარტომ,
სამძიმარს არ გეტყვის ზეცა.
არავინ მოვა მოთქმად დ ტკენასტ...
არავინ მოვა ლოცვად და კრძალვად...
თუ რამ გიშველის, — ისევე შენი
უსაშველობა გიშველის ალბათ.

წამი

მეუფეე ყოვლის!
განრიგავ ეამის!
მადლობას გწირავ! —
კვლავ ვიგრძენ წამი
სიხარულისა...
კვლავ ვიგრძენ წვეთი
წუთისა, როცა ახლოა ღმერთი!

ახლოა ღმერთი!
ახლოა სული, —
შემფარე ჩემთა ნაღვლიან დღეთა...

და დაწყეველილი და დათარსული
ბედი იმედის ლაჟვარდში ფეთქავს...

ახლოა სული!
მეცემა ღვენთი
ცის ოქროულში გამდნარი ღრუბლის...
მაგრამ იმ წამსაც ვგრძნობ: —
ჩემი ღმერთი
ამ წამს რომ წამსვე მომისპობს
მწუხრით...

სხვა მიწა... სხვა ცა...

სად კრთის ის ლოცვა...
ღამეს სად ათევს?
ოცნების ფრთებო, სად გაისრისეთ!
ვით ღამე ვნების ნატვრას ანათებს, —
მყუდრო სავანე მწყურია ისე...

შორეთებს უფრო აუცნაურებს
ფიქრი, —
აქ გაბმულ გმინვას რომ ისმენს...

ხმელეთის ხილვა ვით მეზღვაურებს, —
სულს ენატრება სხვა მიწა ისე...

უნდობარ ქარში ხელი ვის მივცე!
დღეა ურგები, კუშტი და მქისე
ვით ჩიტს,
მაღალი და სუფთა სივრცე, —
სულს სულ სხვა ზეცა სჭირია ისე..

ღმერთო, აღმადგინე მკვდრეთით

წუხელ,
ერთხელ კიდევ,
მოვკვდი ნეტარად...
ისე სიკვდილ-სიკვდილ ვცოცხლობ
შენთან...
შენი ნათლის ჩრდილში...
გკოცნი სანაწეროდ...

და ვკოცნი ქვეყანას...
მკორტნის იდუმალი შიში: —
შენს დაკარგვასაც უნდა შევეგუო?
რა ხარ, რა, — ასეთი კერპი,
გულო!!!
ამ მეხსაც უნდა შევეგუოთ? —
ღმერთო, აღმადგინე მკვდრეთით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ან...

ახლა ან ღვინით ამღვრევა ტვინის,
ან — ანანურთან გათევა ღამის...
იქ — გარდამწყდარი სიცოცხლე
ჰკივის,
აქ — უსიცოცხლო ოცნება ღნავის.

იქ — ჩუქურთმათა ფერვანი სხივი,
აქ — ყრუ წყვდიადში ხრიალი
ხრამის...
ახლა ან ღვინით ამღვრევა ტვინის,
ან — ანანურთან გათევა ღამის...

ერთარსება

ოორამ ჭემერტელიძეს

1.

წუთისოფელი დიდია, —
სიკვდილ-სიცოცხლის ჟამია.
ვინ თქვა: — წუთია სოფელი!
წუთი კი არა, წამია,
ამოულევი ვარამი,
ამოურწყავი შხამია;
ხანდახან ამოსუნთქვაა,
ხანდახან შვების წამია.

...ამხელა წუთისოფელი
არ ეღირება ფიორად, —
კაცი კაცს რომ არ უყვარდეს
და ელეოდეს იოლად.

2.

შენს წინ ნოვირთხამ,
შენს წინ ვილოცებ
და დავინახავ შენ'ში ჩემს თავს,
ჩემს თავს, — შენიანს.
გწვენია მართლაც ყოფნა, სიცოცხლე
და რაინდული სიყვარული მართლაც გშვენია!

შენია, შენი, — წყარო ანკარა,
რითაც სულს ითქვამს
ციხე-ბურჯი, შემოხაფრული...
ემაგ ლომური ტორი დამკარი!
და გაქცეული ჩემგან, — შენსკენ შემომაბრუნე!

სუფევა ერთარსს!
ფერთა თქრიალმა
გვათრთოლოს, სანამ ერთარსება დაგვეღუპება!
ასე მგონია, — შენ შენ არ ხარ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ხარ მთლიანად,
როდესაც შუბლი დარდის ღრუბლით დაგეთუთქება.

3.

ის ანგელოზი რამ დაგიღონა!
რომლის მტკივანი სიხარულით
მაღლა იწევდი!
დრო იყოს... —
ქვეყნის მოდარაჯე და მეცხოვნე —
რამდენ მომხვდურს და რამდენ წამგლეჯს დაამიწებდი!

წავიდა ის დრო!
ახლა ეგ სიახლი
გალიის კედლებს შეანთხიე
და იწრიალე,
მაგ რკინის წრეში იწრიალე, ნუგეშით მისით, —
ცა კვლავ იქნება!.. ცისკრის ზარი კვლავ იწკრიალებს!..

4.

მომენატრები, —
ჩემი თავი მომენატრება,
გნახავ, —
ჩემი ცა, ჩემი მიწა გამიხარდები...
არ მერცხვინება, არ მეხათრება, —
შენ მოგითრიო და განატრო ჩემი ნატვრები...

...კვლავ ერთმანეთი ვასიცოცხლოთ,
ერთად შევიტკბოთ
ეს დღე, ეს წუთი,
სანამ თალხით დავითალხებით...
გამოგეცლები მერე მე თვითონ, —
მე რომ მოვკვდები, ალბათ, შენში დავიმარხები.

5.

...ამხელა წუთისოფელი
არ ეღირება ფიორად, —
კაცი კაცს რომ არ უყვარდეს
და ელეოდეს იოლად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მანანა კობაიძე

●

ასე მგონია სიკვდილს ვაწყნარებ,
როცა ლექსების წერით ვერთობი.
ვქსოვ ბინდის ქსოვილს,
შიგ შავ რტოებს და
ალაგ ალისფერ ვარდებს ვანათებ.
შემოდგომებმა ნდომით აავსეს
სასაფლაოთა სველი ფერდობი,
ასე მგონია, დრო არ მეხება,
როცა ლექსების წერით ვერთობი.

●

ჩემი მარტოობა
ვერ შეიმოსება მონაზვნის ძაძებით
და კაცთა თვალწინ გამომწვევად
ვერ იფრიალებს
გლოვის დროშებად.
ჩემი მარტოობა
მწვანე და ცისფერი მდინარის წვიმაში
დგას და იღიმება,
გულში იკრავს ეკლიან ვარდებს
და აქვს სახე ჩვეულებრივად
მხიარული და ანთებული.

●

სიზმრებისთვის ყურისმგდებელმა
უნდა გალიო გზა, რომელიც
ყოველ ნაბიჯზე
მოითხოვს შენგან მარდ სიფხიზლეს,
შენ კი, მთთენთილს,
გარინდებისგან გივარდება თასი
ხელიდან;
სავსე რომ უნდა მიგეტანა
შენს შვილებამდე.

●

კიდევ კარგი, გული დაჰფარე,
მცინარ პირს და მცინარ თვალებს
გიმადლით, ღმერთო!
კიდევ კარგი, დაფერილი გული
დაჰფარე.
კიდევ კარგი, ფესვი, მიწას
ჩაჰიდებული,
მტკივნეულად მიწის მწოველი,
ყვავილების პირით დაჰფარე.
კიდევ კარგი, ბნელ მიწაზე
დააშენე ოქროს ბაღები.
კიდევ კარგი, ცეცხლის თონეს
მოლივლივე ზღვა გადაჰხურე,
მცინარ პირს და მცინარ თვალებს
გიმადლით, ღმერთო!

●

სად დავემალოთ,
წყლის ძირ, ტბის ძირ,
მდინარის ფსკერზე,
თუ შავ კლდეებში,
თუ წვიმიან გამოქვაბულში,
თუ ფასკუნჯის ოქროს ფრთის ქვეშ,
ანდა ენის ძირ...
თუ შავ ქვაში, თუ ცხელ ნაცარში?
რომელ წყალში გადავვარდეთ,
რომელ მიწას ამოვეფაროთ,
სად გავექცეთ ურჩხულის მზერას,
ზანტს და ლორწოვანს,
მის სისხლიან თვალს,
ყოვლისმხილველს,
გულამდე და კოპებამდე ყინულად
ჩამწვდომს,
სად გავექცეთ, რომელ წყალში
დავემალოთ
მის მწარე წივილს?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომ არ შევკრებულიყვნენ

არის ქვეყანა,
და ჩემი სახეც,
ვით ვარდთა შორის
ყარდაკეკა,
ჩანს ფერებურად.
არის ქვეყანა.
სიდიდე მისი
ჩემა სიმცირეა
არაა ერთის
და მემალება.
ზოდის თოკ-ოკ-ოკ,
სიმშვიერა დერეფანში.
შეშ... ნახერხი.
და ნ-ხერხში ჭრელი ქაღალდი.
ამაყოფილი ვარ
ზეცის ჭრ-ლია
საწყაოდან
მოძღვნილ წყალობით.

●

სული მოვითქვი.
და სიმშვიდის ყურის საგდებად
გავჩერდი გზაზე.
და შემეხო წმინდა საღამო,
ბედს შეჩვეული
და უშფოთველი.

●

გადაიფრენენ ფრინველთ გუნდები
გამყივან ქარში.
ქარისგან გვერდზე წაღებულები,
გადიჭრელებენ საკუთარ მინდვრება,
ციერს. მიწიერს.
მათი ერთობა.
ცრემლებია მგვრელი.
გულზე მსუბუქი მჭრელი კლანჭებით
დაგეკიდება.
ცა არის ვრცელი.
მიუსაფარი.
სად ჩანს კლდის წვერი?
სად შეიძლება სულის მოთქმა.
ერთურთის გვერდით.
ერთურთია მხრებზე
ჩამოძინება?

●

შაშვის ჯახჯახი
შავი ბინდიდან
გადმოცვივდება
და იბნევა ლალისფერ თვლებად...
და აღებს კარებს
თავიანი ქვეყნის წმინდა
ბრწყინვისას.
ვით ბეჭდის თვალი სხივოსანი
დედოფლის ხელზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შოთა ასანიშვილი

მუცელდაკაწრული ანგელოზები

საღამოობით, ზაფხულის ცხელი მზე რომ მიინავლება, ვენახიდან დაბრუნებული კაცი წელს ზევით ჩითის დამდნარ-გახუნებულ პერანგს გადაიძრობს. ეზოში მსხლის ძირას დაყუდებულ ონკანს შეუდგამს ფართო ბეჭებს და ფრუტუნ-ფრუტუნით გადაივლებს ცივ წყალს. მერე წელში გასწორდება, ვეება ხელის მტევნებს სახეზე ჩამოისვამს და თბილად გაიღიმებს. იქვე შორიახლოს ორი პატარა ბიჭი დგას, ორივე თავმოხოტრილი, მზეზე დაბრუჟული, დაკაწრული, შუქჩამდგარი იმედიანი თვალებით შესცქერიან მამას. მის ღონიერ კუნთებს თვალს არ აშორებენ და რაღაცნაირი, გამოუცნობი იმედით ივსებიან.

— რაგორა ხართ, ჩემო მოზვრებო? — იკითხავს მამა.

— ყოჩაღად, მამი! — ერთდროულად პასუხობენ.

— დედა ხო არ გაჯავრეთ?!

პასუხი იგვიანებს, თავჩაღუნულები დგანან, ღაწვებზე ოდნავი სიწითლე შეეპარებათ.

— ჰა, ცუდი სიჩუმეა! — წყრომა გაერევა მამის ხმას.

— ცოტათი, მამი. — ამოღერღავენ დაბღოტილები.

— გული არ მატკინოთ, შვილებო! — იტყვის მამა, ჯავრიანად ამოიოხრებს და კიბისკენ დაიძვრება. ხის ფართო აივანზე, ცალ კუთხეში მაგიდაზე სამხარია გაშლილი. კაცი სუფრას მიუჯდება. პირუჩუმრა მსუბუქად წაიხემსებს. სამზარეულოს კარის ზღურბლზე მდგარი ცოლი ყურადღებად ქცეულა, კაცის ყოველ მოძრაობას სიყვარულით ადევნებს თვალს.

გუმანით რომ მიხვდებიან, სამხარს მორჩაო, ბიჭები აივანზე აიძურწებიან, ერთმანეთს ეკვრიან დაკოხილები, კვირისთავებგადაცქვეპილები, ოდნავ მობეზულები.

მამა თვალმოწყურული ზის და გასცქერის მთელი დღის სიცხით გათანგულ ალაზნის ველს. აივნის კუთხეში მიყუჟული ბიჭები ერთმანეთს ქმუნჯებით არ ასვენებენ, ბოლოს, როგორც იქნება, უფროსი ამოღერღავს.

—მამი, — თითქმის ჩურჩულით ამოსცდება.

მამა განგებ ყურს იყრუებს.

— მამი! — ხმას აუწევს ბიჭი.

— რაო? — ამჯერად იკადრებს კაცი.

— სკივრი გავხსნათ, რა.

— ჰა?!

— გავხსნათ, რა, — იხვეწება ორივე.

მამა სევდაგარეული გამოხედავთ და იტყვის:

— გული რო მატკინეთ?!

— მეტს აღარ, მამი, — იფიცებიან დაბღოტილები.

მამა ერთხანს კიდევ ზის ფიქრიანად, ბოლოს წამოდგება, დარბაზისკენ გასწევს, ბიჭები ფეხდაფეხ მიჰყვებიან. დარბაზში სისუფთავე და სიგრილეა. მივლენ ხის ძველ, მამაპაპურ სკივრთან, გარშემო ერთი არშია ჩუქურთმა რომ აყრია. მამა თავსაფარს ფრთხილად გადააძრობს, თითებით ეფერება ხეში მოჭრილ ჩუქურთმას. ზოზინით

ახდის სახურავს. უცნაური ფორმის ლიდერინგადაკრულ ყუთს დასწვდება და ფრთხილად ამოიღებს. ბიჭებს ყინწები წაუგრძელებიათ, ლამისაა შიგ ჩაცვივდნენ. სკივრის დაკეტვასას მამა აფრთხილებთ:

— თავები მოარიდეთ, კიდე დაგჭრდებათ.

უცებ გასწორდებიან წელში. ახლა ლიდერინგადაკრულ ყუთს ჰამენ თვალებით. ოდნავ ამოწვეული თმა მოუთმენლობისაგან ყალყზე უდგებათ სულწასულებს.

მამა ფრთხილად დაკეტავს სკივრს. ისევ კოტტად გადაფარებს დიდუკრედებიან თავსაფარს, მერე ლიდერინგადაკრულ ყუთს დასწვდება და გარეთ აივანზე გამოდის. ბიჭები კვალში უდგანან.

კაცი ჯეჯიმდაფენილ ფართო ტახტზე ჩამოჯდება, ყუთს გვერდით მოიდგამს, საკეტებს გაიწკაპუნებს, გახსნის. ყუთში შვინდისფერი იტალიური აკორდეონი დევს, კაცის ყმაწვილკაცობის დროინდელი ძველი აკორდეონი.

ბალღების დახრუკულ სახეებს ოქროსფერი შუქი ემატებათ, სულ ოდნავ უნესტიანდებათ თვალები.

კაცს ერუანტელი დაუვლის სხეულში და ათასი მოგონებით სავსე, ნაზად გადაუსვამს კლავიშებს ხელს.

სულწასულები, მოკლეშარვლიანები, ტიტლიკანა ტანზე თოფ-იარაღ ასხმულები მამას აქეთ-იქიდან უსხედან, მოუსვენრად ცქმუტავენ. ერთი სული აქვთ, სანამ აკორდეონის ხმას გაიგონებენ.

კაცი აო ჩქარობს. მისთვის ინსტრუმენტის დანახვა მარტო მელოდიების გახსენება როდია, მთელი წარსული ცხოვრებაა! პირველ რიგში ნორჩი სიცოცხლის გახსენებაა, თავისი სიხარულით და ტკივილებით, ყველაზე გამჭვირვალე ნაწილის წრმოსახვაა, მისი არცთუ ისე გრძელი ცხოვრებიდან.

ბიჭების მოთმინება ილევა, და:

— მამი, დაუკარი, რა...

მამა გამოერკვევა, ღიმილით გადახედავს დაკაწრულ-დალილავებულებს, სახე უეცრად მოეკრუშება, და ეტყვის:

— აბა, აბა! ასე ტუტულებს, ასე შეიარაღებულებს, ასეთ-ისეთებს მე მუსიკას ვერ მოგასმენინებენ.

დაბღოტილები იმწამსვე წამოხტებიან და საბაზანოსკენ გაურბიან. გზადაგზა იხსნიან ქამარ-ხანჯლებს, ხის ხმლებს, პლასტმასის ავტომატებს, ლითონის დამბაჩებს. თან გაიძახიან:

— ჩქარა, დედი, ჩქარა!

დედას თბილი წყალი მზადა აქვს გადარეულებისთვის.

თხუთმეტიოდე წუთში საბაზანოს კარიდან ჯერ მაღალი, გამხდარი ოდნავ ქუთუთოებშეშუპებული, წერტილივით მრგვალთვალება გამოყოფს ბურძგლა თავს. მერე დაბალი, ბეჭებგანიერი და უფრო ხორციანი, ჯიქური გამოხედვით და შეუპოვრობით უახლოვდება მამას. ჭუჭყ-ტტვერ გარიდებულები, მოკლესახელოიანი თეთრი პერანგებით ნაცრისფერი მოკლე შარვლებით, ფეხზე მსუბუქი სანდლებით აქეთ-იქიდან ჩამოუსხდებიან მამას ფა მუსიკის მოლოდინში ანგელოზებივით გაინაბებიან.

— ეს უკვე სხვა საქმეა, — იტყვის მამა და დასწვდება შვინდისფერ აკორდეონს. ცოცდამ ამოიღებს, მარცხენა მუხლზე ჩამოიდგამს, თასმებს მხრებზე მოირგებს. ინსტრუმენტს გახსნის და წყნარად იწყებს ძალზე სევდიანი მელოდიის დაკვრას. რომლის სახელი ბიჭებმა არ იციან და არც კითხულობენ. ყურდაცქვეტილები, ოდნავ მხრებში მოხრილები, გარინდებულები შესაცქერიან მამას და კარგად თუ არ დაიკვირდით, სუნთქავენ თუ არა, გამოცნობა გაგიჭირდებათ.

სევდიანი მელოდია კარგა ხანს გრძელდება. კაცი ოდნავ თავმოღრეცით ზის და თვალმინაბული გატაცებით უკრავს. ბოლოს მამა დაკვრას ამთავრებს, ბიჭებს გადახედავს, დახრუკულები შეტოკდებიან.

ზურა ასანიშვილი
მოთხრობები

მერე ისევ მელოდია, უფრო ნაცნობი და მხიარული. ისევ გაქვავებული. გაწკრიალებული მოზვრები. სამზარეულოს ზღურბლზე დედა დგას. შესცქერის ქმარ-შვილს, ოდნავ მოკანკულ სახეზე სიამაყის და სიმშვიდის შუქი ადგას.

მესამე მელოდიის დაკვრას კაცი აგვიანებს, ოცნებაშია დაკარგული.

ერთხანს სიჩუმეა. მერე რომელიმე მოუთმენელი ითხოვს:

— მამი, „ქეთო და კოტედან“ კინტაური, რა...

კაცი სდუმს.

— კინტაური რა, მამი?!

კაცი გაიღიმებს.

— კინტაური თუ, ბაღდადური? — ეზუსტებს მამა.

— ხო მიხვდი, მამი?!

უკრავს მამა ღიმილით. მსუბუქად. მსხვილი მზედაკრული თითები ისე დატიან ჩაყვითლებულ კლავიშებზე, თვალი არ დაიჯერებს. მოზვრები ადგილზე ცქმუტავენ. ვერ მოუსვენიათ.

— რომელი იცეკვებს? — წყნარად კითხულობს მამა.

ერთმანეთზე ანიშნებენ.

ბოლოს გამხდარი, ყინტორა გადმოხტება. ოკრობოკოდ დაღრეცს ხელფეხს. წელში მოხოილი, სახე გვერდზე მოქცეული, ხელებით მიხვეტავს იატაკს. დაბალი საიდანღაც ჭრელ ბაღდადს გააჩენს, ძმას გადაუგდებს. ყინტორა დაიჭერს, წელში გასწორდება, თავს ზევით ბაღდადს გაკიბავს და მიდი: წეროსავით ფეხებს ეუსვამს, ეგრეხავს. გრეხავს და ეუსვამს. მამა ატაცებულებს ნელ-ნელა ამშვიდებს, მელოდიის ტემპს აგდებს და ჩერდება.

ერთხანს წყნარად სხედან ყინტორას სულის მოთქმის ელიან.

ბოლოს ბეჭგანიერი ითხოვს:

— მამი, „ყვავილების ქვეყანა?!“

მამას თხოვნის გამეორება არ სჭირდება. დაკვრას მაშინვე იწყებს. უკრავს რაც შეიძლება ფაქიზად, მომხიბვლელად. ის ერთი უთქმელი კაცია, მისი ჰკვიანური ზღაპრები ამ ჩაყვითლებულ კლავიშებიდან ისმის. ზოგი სევდიანად, სულის დაშუშხვამდე. ზოგიც — მხიარულად, ისიც სულის საზეიმოდ თუ საქეიფოდ. კაცს თან სჯეფა: მუცელდაკაწრულ მოზვრებს სულის კუნჭულში უწმინდეს მარაგს უგროვებს, რაღაც ხელშეუხებელ საგანძურს, ყველაზე ძვირფასს, ყველაზე სპეტაკს...

გადარეულები, დაბრუკულები, თავმოხტრილები, მუცელდაკაწრული ანგელოზები ჩამომსხდარან და არ იციან, როდემდე იქნებიან ასე მშვიდად, ასე შუშასავით გამჭვირვალენი.

მთვარე კი, დიდი ყვითელი მთვარე, თავს წამოჰპარვიათ, თუთის ფოთოლში გაკიდულა, იქიდან ტაბება მუსიკის ჰანგებით და პატარა ანგელოზების ცქერით!

ძველებური ტანგო

მთელ დღეს გადაუღებლად თოვდა. ჩამობარდნილი ხეები წელში იღრიკებიან. მთის კალთაზე შეფენილი შავი ძეძვითა და მოძველებული ტყრუშული ღობეებით მოხატული სოფელი ზღაპრულ სუფთაოს წააგავს. იშვიათად თუ გამოფრატუნდება სულიერი თოვლით სავსე ეზოში. აქა-იქ მშიერი ძაღლები ღაღაავებენ. ბროლისფერ სერებს ბინდი ეპარება.

გაკვეთილების ბოლოს ანეტა ერთხანს კოლეგებს ეჩურჩულა, მერე შინისაკენ აჩქარდა. ნაშიმშილევ, უხორცო, ფერმკრთალ სახეზე მაცდური შუქი ედგა. ოდნავ ამღვრეული თაფლისფე-

რი თვალების შუქით მიიკვლევდა მუხლამდე თოვლს.

დათოვლილი თავშალი აივანზე დაფერთხა. გაწეწილი წაბლისფერი თმა მხრებზე გადაიყარა და კარი მოღობარმა შეაღო. ოდნავ წაგრძელებული ოთახი ბუხაროში მოგიზგიზე ცეცხლის შუქითა და სითბოთი გავსებულიყო. ბუხრის პირას დაბალ სამფეხაზე პატარა მიტო იჯდა. ოდნავ მხრებში მოხრილს, წვრილი კისერი წაეგრძელებია, ცხვირი წიგნში ჩაერგო.

— ჩამოიქეცა ცა! — თქვა ანეტამ.

— ამაღამ თუ არ გადაიღო, ხეხილს დაამტვრევს, — ჩაილაპარაკა მიტომ.

— დაამტვრევს? — უაზროდ იკითხა ანეტამ და ხმადაბლა წაიღიღინა.

„ნეტავი რა ახარებს დედაჩემს? სამი თვეა ფრონტიდან არაფერი ისმის...“ — უკვირს მიტოს და თან არითმეტიკის ამოცანას ჩაპკრიკეტებს: „სამ ნაკვეთზე კოლმეურნეობამ ოცდახუთი ათასი ცენტნერი ჭარხალი აიღო. პირველ ნაკვეთზე ხუთი ათასი ცენტნერით მეტი მოიყვანა, ვიდრე მეორეზე. ხოლო მესამე ნაკვეთზე...“

— ჩაირბინე, საჩეხიდან შეშა ამოიტანე, — სთხოვა ანეტამ შვილს.

მიტო ადგა, პალტო წამოისხა, წელათრევით გავიდა გარეთ.

ანეტამ ოთახი მიაღაგა, მაგიდას თეთრი სუფრა გადაფარა. კარადიდან ლამაზი თეფშები გამოიღო, მაგიდაზე წყვილ-წყვილად ჩამოარიგა.

მიტოს შემოსვლისთანავე თვალში ეცა საზეიმოდ გაწყობილი სუფრა.

— დედი, რა მოხდა? — იკითხა და ცხვირამდე აკოკლავებული შეშა ბუხართან მიყარა.

— არაფერი, რა უნდა მომხდარიყო...

— ჰოოო... — გამოსცრა მიტომ და უკანვე გაბრუნდა.

ანეტა კვლავ ეახშმის თადარიგით გაერთო. ზედადგაზე გამურული ჩაიდანი შემოდგა. მაგიდის შუაგული ჩამიჩითა და ატმის ჩირით სავსე ბოლოს ვაზამ დაამშვენა. განჯინის ზედა თაროდან ქილით ლეღვის მურაბა გამოიღო. სამფრაბე პირთამდე გაავსო.

ოთახში ცხვირაწითლებული მიტო შემოვიდა. შეშა ბუხრის პირას კოხტად მიაქუჩა, ძველი პალტო კართან კაუჭზე ჩამოჰკიდა, წიგნი აიღო და ისევ სამფეხაზე ჩამოჯდა. შავგვერდებიან ჩაიდანს ცეცხლის წითელი ენები გამეტებით ლოკავდნენ.

— აეროპლანთ დეპეშა მიიღეს, — თქვა მიტომ და წარბებქვეშიდან გახედა დედას შავი, სევდიანი თვალებით.

— რა დეპეშა? — სხვათა შორის იკითხა ანეტამ.

— ვოგიას დაღუპვისა.

— საწყალი სოფო...

ოთახში ერთხანს სიჩუმე იდგა.

ანეტა სუფრის გაწყობას მორჩა. კუთხეებგაცრეცილ ძველ ტახტს თავსახური ახადა, ცისფერი პატეფონი და ფირფიტები ამოიღო. მივიწყებული პატეფონი შიგნით-გარეთ მჩერით გაპრიალა, შინ ნაკეთებ ტაბურეტზე შემოდგა. ამის დანახვამ მიტო მთლად გადარია, ხმა არ დაუძრავს, წიგნს დაჰყურებდა და მექანიკურად იმეორებდა: „სამ ნაკვეთზე კოლმეურნეობამ ოცდახუთი ათასი ცენტნერი ჭარხალი აიღო. პირველ ნაკვეთზე...“ ვერ იქნა, ვერ დაუდო გული ამოცანას. მზერა დედისაკენ გაურბოდა. ეჩვენებოდა: თეთრად გაქათქათებული მაგიდა უზომოდ გრძელი იყო, სადღაც, შორს, სივრცეში გარბოდა და ვარდისფერ ნისლში იკარგებოდა. მაგიდის ბოლოში ძლივს მოჩანდა დედა. ერთთავად რომ იცინოდა, მღეროდა. მაგიდაზე უამრავი თეთრი გვირილა ეყარა, შუაგულში წითელი კოცონი ენთო...

გარეთ კი ცა გულუხვად ჰყრიდა თეთრ, მსხვილ ფანტელებს.

უკვე კარგა შებინდებულზე ქუჩიდან დაიძახეს:

— ნატო, ნატულია!

ანეტა სტუმრებს აივანზე შეეგება. ოთხნი იყვნენ. აივანზე ფეხების ბრახუნით და გამომწვევი ხმაურით ამოვიდნენ, ოთახში უსიამოვნო სუსხი შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოიყოლეს. მოსულთაგან მიტო ორს კარგად იცნობდა. ოდნავ შესუქებული შინაბერა ქიმიას ასწავლიდა, კანშეღებილი, მჭლე — ფრანგულს. წითელტუჩება ქალსა და ჩია მამაკაცს პირველად ხედავდა.

საღამო მშვიდობისა თქვეს მოსულებმა, პალტოები გაიძრეს და მალევე გაშინაურდნენ.

— ქალბატონ ნატოს ჩემი სალამი! — გაიღიმა ჩია მამაკაცმა და დიასახლისს ხელზე ეამბორა.

— ოჰ, მატუშკი, როგორა ხარ? — მოიკითხა ფრანგულის მასწავლებელმა.

მიტო ფეხზე წამოდგა, ყველას მორიდებით დაუკრა თავი. მეორე ბუხარს მოშორდა, ტახტის კიდეზე უხერხულად ჩამოჯდა. სახე წითლად წამონთებოდა, გადაშლილ წიგნს უაზროდ დასცქეროდა: ასოები და რიცხვები ერთმანეთში აირიენენ, თითქოს ხელ-ფეხი გამობმოდათ და გადარეულები მალაყებს გადადიოდნენ.

„ნეტავი რას ზეიმობენ? დედაჩემს მაინც რა ღმერთი უწყრება?!“ — უკვირდა პატარა მიტოს.

— ოოო... ბუხარი ნამდვილი ეგზოტიკაა! — თქვა უცნობმა ქალმა და წითელი პომადით სქლად შეღებილი ტუჩები დაპრიალა.

ჩია მამაკაცმა, ძალზე შინაურულად რომ იქცეოდა, რაღაც მოიტანა ქაღალდში გახვეული. ანეტამ გახსნა. შებოლილმა ძეხვმა, ხორცის კონსერვებმა და ვარდის ლიქიორმა შეკრებილნი კიდევ უფრო გაამხიარულა.

მიტომ ერთი კი შეხედა ჩია კაცის მოტანილს და მაშინვე თვალი მოარიდა.

სტუმრები ბუხარს მიეფიცხნენ. ანეტა ერთხანს კიდევ ფუსფუსებდა: ძეხვი დაჭრა, თეფშზე მოხდენილად დაალწყო. ხორცის კონსერვი გახსნა, გააცხელა. ყველაფერს რომ მორჩა, სტუმრები სუფრასთან მიიპატიჟა. მერე შავი პურის ნაჭერი და ძეხვი აიღო, მიტოსთან მივიდა:

— ჭამე, შვილო.

— არა მშია.

— გამომართვი!

— არ მინდა, წავალ, დავიძინებ.

მიტო გვერდით პატარა ოთახში გავიდა. თან რამდენიმე აკვიატებული სიტყვა დაედევნა: ეგზოტიკა, ჭარხალი, ძეხვი...

პატარა ოთახში ძველი კარადა. ორი ჩალის სკამი და ორი რკინის საწოლი იდგა.

ციოდა.

მიტო ფანჯარასთან მივიდა. მინაზე თითით მოზრდილი ბურთისოდენა სიბრტყე გააპრიალა. ეზოში გადაიხედა. გარეთ ყველაფერი თეთრი და სპეტაკი იყო: ახლად მოსული თოვლი, მის ქვეშ ძველი თოვლიც, რომ მოდიოდა ისიც და ამაოდ რომ დასდებდა, ის ხომ უეცველად! თეთრი იყო ალუბლის ხეებიც, ვეება თუთის ხე, თხილის ბუჩქები, ბებერი ალუჩის დაფიფქული ტოტები უდროოდ აყვავებულს ჰგავდნენ. მეზობელ ოთახში კი — ეგზოტიკა, ძეხვი და წითელპომადიანი ტუჩები ცეცლის ალზე გამომწვევად ელავდნენ.

მიტო დიდხანს იდგა ფანჯარასთან. მეორე ოთახიდან დროდადრო დანაჩანგლის, თეფშებისა და ჭიქების ხმაურის ფონზე ქალების სიცილი ისმოდა.

მიტოს ძალიან მოუნდა ეზოში ჩასვლა, თხილის ბუჩქის ძირას ჯდომა, დალამდე იქნებოდა ღრმა თოვლში ჩაფუთვნული. დილით გაცრეცილი მზე გამოჩნდებოდა ცის კიდეზე და ნათელს მოჰფენდა არემარეს. საძინებელ ოთახს აივანზე გასასვლელი კარი რომ ჰქონოდა, უეცველად ჩავიდოდა ეზოში.

მიტომ ტანთ გაიხადა, ლოგინში ჩაწვა. ლოგინი სუტყვასავით ცივი იყო. საბანი თავზე წაიფარა. სქელი საბნის ქვეშ ოდნავღა ისმოდა ქალების სიცილი. მიტოს წასთვლიმა, დაესიზმრა: თეთრი, ფაფუკი თოვლით სავსე ტრამალზე რუხფარაჯიანი ჯარისკაცი მიბოტტებდა. ჯარისკაცმა უკან მოიხედა. ნაღვლიან გამოხედვაში მიტომ მამა

ცენო. ტრამალის შუაგულში შინ ნაკეთებ ტაბურეტზე ცისფერი პატეფონი შოპენის ვალსს უკრავდა. ჯარისკაცმა მხრიდან შაშხანა მოიხსნა. ორივე ხელით ცხვირწინ შეეულად დაიკავა. ქალივით მკერდზე მიიხუტა და ნელი რწევით წრეზე ვალსი ჩამოუარა. ქათქათა მინდვრის ცალ მხარეს სანგრებში გერმანელები ისხდნენ. მეორე მხარეს-ჩვენები. ყველანი გაოცებით უმზერდნენ მოცეკვავე ჯარისკაცს. მებრძოლებს დაღლილ-განაწამებ თვალებში საამო შუქი ჩასდგომოდათ. ამ საოცარ სანახაობას მიმქრალი მზე ოქროსფრად ავარაყებდა. მუსიკამ ტემპს უმატა. ჯარისკაცმა აჩქარებით იწყო ტრიალი, დაღლილობისაგან სახეზე ხვეთქი გადასდიოდა. არ იმჩნევდა, ოღონდ ასე მშვიდად მსხდარიყვნენ ჯარისკაცები სანგრებში. შებინდებამდე შეუსვენებლივ იცეკვებდა... სროლის ხმა გაისმა! ჯარისკაცი შეტორტმანდა, ინერციით ორჯერ კიდევ დატრიალდა და პირქვე დაემხო. ჯარისკაცის გაკვალულ წრეს სისხლის წითელი ზოლი გაჰყვა. მიტოს თვალწინ სხვადასხვა ზომის წრეები დატრიალდნენ. ცისფერი პატეფონი ისევ შოპენის ვალსს უკრავდა...“

მიტო პატეფონის ნემსის ხრიალმა გამოაღვიძა. საბნიდან თავი ამოჰყო, სინამდვილეს დაუბრუნდა: უკრავდნენ ძველებურ ტანგოს. სიზმრიდან გამოყოლილი უხლავი წითელი ძაფი ტანგოს რიტმს აჰყვა... სევდიანი მუსიკის ფონზე უცნობი ქალის სიცილი მოთქმასავით ისმოდა. ცივი სიცილი თხელი ყინულივით ამსხვრეოდა გათანგულ სივრცეში!

მიტოს სიხარულით გაეღიმა...

მეზობელ ოთახში პატეფონს მოსვენება არა ჰქონდა: ხან რას უკრავდნენ, ხან რას. უფრო ხშირად სევდიან, ძველებურ ტანგოს. მიტო გაუნძრეველად იწვა. ჭერს მიშტერებოდა. პატარა ოთახში სარკმლიდან თოვლის კრიალა ზედაპირზე ავარდნილი ვერცხლის შუქი შემოდიოდა. მიტო იწვა და გარკვევით ხედავდა: პატეფონს, უცხო ქალის წითლად შეღებილ ტუჩებს, ძეხვის ნაჭერს... მერე ინატრა:

„მოსულიყო ბევრზე-ბევრი თოვლი. მთელი სოფლის წელი თოვდეს მათ ეზოში ჩამოეყარა ცას. დილით ეზოში სახლის ნაცვლად, დიდი ქათქათა მთა ამოზიდულიყო. მიტოც ქვეშ მოჰყოლოდა, დედაც და მათი სტუმრებიც!“ მერე ამ ნატვრაშ შეაშინა, საბანქვეშ ჩაძვრა და გაინაბა...

გვიანობამდე ისმოდა მუსიკა და უცნობი ქალის ცივი სიცილი. გვიანობამდე იწვა თვალგახელილი მიტო. ბოლოს სტუმრები წავიდნენ. ერთხანს ყველაფერი გაქვავდა.

გაუთსვებლად ბარდნიდა. სოფელს ზამთრის მშვიდი ძილი ეძინა. სადღაც მამალმა იყივლა.

ბუხარში ცეცხლი მინავლულიყო. მაგიდაზე ვაზშმის ნამუსრევი მოჩანდა. საპშლის მაგვარი არაფერი გადარჩენილიყო. ბროლი ვაზაზე საცოდავად ეკიდო ორიოდე ატმის ჩირი. ცისფერი პატეფონის ნემსიანი თავი ყელგამოკრილ იხვის კისერივით ჩანდა რკინის შავ ხახაში.

მიტოს ყრუ ქვითინი მოესმა. შეკრთა, მიაყურა. მერე ლოგინიდან წამოდგა, შარვალი ამოიცვა, წუნარად გამოაღო შუაკარი და დარბაზში გავიდა. ანეტა ტახტზე დამხობილიყო და ტიროდა. მიტო ფეხაკრეფით მიუახლოვდა, მხარზე ხელი შეახო. ქალი მთელი ტანით ცახცახებდა.

— დედი, დედილო, — ქვეყნის სითბო დადევნა მიტომ.

ანეტამ ქვითინს უმატა.

— ადექი, დედი... დაიძინე.

ანეტა წამოდგა, ხელის ზურგებით თვალები ამოიმშრალა. შვილი მკერდზე მიიკრა და გაირინდა.

— უკვე გვიანია, წამოდი დაიძინე, — გაუმეორა მიტომ.

ანეტა შვილს შუბლზე ეამბორა და მის ნებას დაჰყვა.

დედა-შვილი საძინებელ ოთახში გავიდა.

გარეთ კი დიდი, თეთრი ფანტელები ცვიოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაალ ებანოიძე

ზენი სიმაღლე

ზენი სიმაღლე
შარავანდია გარეშე ვინ თქვა. —
გზას ია ანათებს
მარტობის უკუნ ღამეში...
გაალამბავი თუ გალამბა
ფარვანა ფიფქმა
და სათნოებად
ჩადგა თვალებში,
ცით ჩამოსული

ნათლის სვეტის
ფერვანი შუქი,
ამაქვეყნიურს ააჩქამებს
მდორე მდინარეს;
ერთი პირობაც:
აღდერდება ის ზარი თუკი,
დღემდე რომ
გულის მოსაკლავად,
თავს იმძინარებს.

●

სალბუნი სულთა და
მალამო იარათა —
ხავსიან ტყეთა მდუმარება,
წარსულს რომ მიანათე.
შედედდა წამი —
შეიძლება შეეხო ხელიც
და ამ დროს ჩქამი, —
სადღაც ფიჩხი
თუ გატყდა ხმელი.

ბროწეულებია ალარდენი,
ძახველის ცეცხლი.
ოქროსფერ თვლემას
საცხადით შეცვლის.

რას დარდობს
ახლა საიმედო,
დიმი,
როკითი, —
ერთხელ ნახვა რომ ურჩევნია
ასჯერ მოკითხვას?

ტყე ტაძარია,
იგი გულწრფელ ლოცვას მოითხოვს,
ვარდების შუქზე
უნდა სათნო მზერა მოითბო.

ხარისთვალების
მოლურჯო ფერით
განათლულია, აჯამეთო,
დუმილი შენი.

●

ოდეს გაუფსკრულდა
გზა — სავალი.
შუქიც ჩაკრიფა
შეღამებამ.

რა გატირილებს
ცუდ-მაშვრალო? —
ააგე ციხე
მიუვალი
და სიმძიმილი
ეუარე...

მერე ჩირიმიც
ააძრახე —
გაჩნდება ალი ლულისპირზე
და წკვარამი გაიბზარება.

შავანი იტყვის:
— ცნობა შმაგი,
შორიელის მოხმობას
ბეჭდავს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამამხედველა
გარდასულის მოსახილველად. —
ისე საამოდ
ვიგალობდა ჩიტი ნინველა.
და მე, ჩურჩულით გასამხელი
საკუთარ თავთან,
მინდა ყოველთა გასაგონად
ხმამაღლა გავთქვა:

პირ-ბამბა ნისლით
შებურვილი
სუფევა შენი,
რამეთუ კვალად მაშუქარობს.
პირჯვარა ვისახავ
და საზღაურთა მისაგებად
სიხარულით გასაკმევლები.

ტყის ყვავილობა

ტყეა ყვავილობა
ზარნიშია შენი ალმოსის
ნელაცხებელი — სურნელი მისი;

და ჩემს თვალებში
დამლა რჩება ამ საღამოსი
გახსენების და შეცნობის ღირსი.

ზამთრის იარებს
გაზაფხული დაფარავს ნისლით —
პრეიატორიულ
ოფორი საფენით;

და თუკი მაინც გამოქონავს, —
ატმების ალისფერ
გამოქონავს და
ხვნა არაფერი.

ლმობიერდება წნული თითების
დაგვიანებულ სახილის ნათებით;
მძიმდები ძველი ბაგლითებით
რიდებაც შენს ლავს ეკამათები.

მაინადიული მზის ფოსარკება
აკვარელებულ ტანზე ფერადობს;
გულო, ყოველივის ის მოგაკლდება
ოდესმე უნდა [illegible] მოგენატროს.

გვიანი სტუმარი

ეს — ვისი ბაგე ჩურჩულებს ბნელში?
ვინ იყო დღემდე პარტორობის ერთგული მონა?
კარზე უნებლივ მოყივნებულს მასპინძლად შევრჩი —
და ახლა თვალით ერთმანეთს ვზომავთ.

დათმობის წუთება არ ვუნთებთ სანთლებს,
ჩვენს შორის ერთ-ერთს
ვარდის ნაცვლად ეკლით მორთავენ;
ვისაც ეს კაცი ეჯება, მეც მისი მმართებს
და თუ წყალობას გაიმეტებს — გვიხსნის ორთავეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენს კალთაში მეგულება,
ყველაფერი მე რაც მინდა;
გაბლდეს ჩემი ერთგულება —
პირველი და მზერა წმინდა.

ეს მინდორიც — ფეროვანი.
შენს ცრემლზეა ამოსული;
მეფის, მონის, ხელოვანის
შენ გეკუთვნის ცაო სული.

სულის კოკას რახან ავსებ, —
სამყაროთა იგავი ხარ,
შეცვებულ ნაზამთრალზე
ხელში დროშად მიკავიხარ.

თვლემენ ვარდები ნატერფალზე

მზედაბინდული ამოჰყვება
საბრძანისები
ყამგადასულთა მოგონებას,
თუ კი ოდესმე
სამდურავთა ამომძრახველი
თავს შემახსენებს
და წარსულისკენ გამახედებს.

იქ, იმ წარსულში, ილანდები,
ხატება შენი
სინათლეა სახედ ქცეული
და გზა-ბილიკი
მოჩურჩულე ნაკადულია...

თვლემენ ვარდები ნატერფალზე
თუ ცოცხლობს კვალი,
ხარებისად მოსახილველი
და ცაგახსნილი
სიმღერებით შესამკობელი.

ვის გამოიხმოგ სიზმრის სახლიდან

თვალწვრილი შუქით —
ღამიეთის სხეულზე ბზარით
ბეძინებულებს
მიადგები საბალნაროებს.

ეპეი, ვისთან დაიძახებ,
ვის გამოიხმობ
სიზმრის სახლიდან?

საათნოდ მეტყველი
უნდა იყო,
რომ უცხოს გული გადაგიშალონ
და თითო თოკი —
თითო ბილიკი
სოფლის თავშარაა გამოაბან
სტუმრის გულისთვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლალი ყვარელაშვილი

ტელევიზორში ნანახი ფილმი

მოთხრობა

დილით ნუნამ ტელევიზორში სასიყვარულო ფილმს უყურა. თვითონაც მოუნდა, ვინმეს შეყვარებოდა. მოციცქნულ ოთახში დაჩუჩუნობდა და ფიქრობდა, მარტო მე ვარ, თუ ყველა ასეაო. ცუდ ხასიათზე არ იყო, მაგრამ გულით უნდოდა, ვინმეს ჰყვარებოდა. მეგობრის ახალშობილი პატარა უნდა მოენახულებინა. წინა დღეს ნაყიდი პაწაწინა საცვლები ამოიღო და უყნოსა. მოეჩვენა, ბავშვის სუნი ასდისო. თუმცა საცვლებს მაღაზიისა და ახლის სუნი უდიოდა. ისევ მოუნდა, ვინმეს შეჰყვარებოდა. ამ სურვილმა მთელი ოთახი ავსო. დაჩუჩუნობდა და გრძნობდა, ხელებიდან, ტუჩებიდან, თმიდანაც კი ენთებოდა თუ ეღვრებოდა რაღაც ნათელი, უდარდელი, ფარატინა...

ქმრისაგან ორი თვეა, რაც წამოვიდა. სანამ ერთად იყვნენ, ქმარი ნუნასადმი მაინცდამაინც თბილად არ იხარჯებოდა. მისგან მარტო მოკლე ბრძანებები „საღილი“, „სიგარეტი“, „გაზეთი“, ისმოდა. ნუნაც შეეჩვია და ისე აღარ წუხდა, როგორც პირველად. აკმეკდა, ლოგინს უშლიდა, სინათლეს უქრობდა და დილით სამსახურშიც ისტუმრებდა. ეს იყო და ეს. კარგა ხანია, ერთმანეთს ვეღარ ამჩნევდნენ. ნუნას ისიც გადაავიწყდა, დედაკაცი რომ იყო. მამაკაცებს გულმოყირჭებული. ცხოვრებისადმი ხალისს მოკლებული ქალივით უყურებდა. ოცდასამს კი ის იყო, გადაამბიჯა. თუ ვინმე ცალყბა ქათინაურს შეაწევდა, გაიცინებდა, და უკვირდა. როგორ გამოვიფიტეო. კინოშიც იშვიათად დადიოდა. რომელიმე შინაბერა, მეზობელს აეტორღიალებოდა ან ამხანაგ ცოლქმარს ჩაუდგებოდა შუაში მურმანის ეკალივით. კინოთეატრშიც ტყიურივით უყურებდა ყველაფერს: ეკრანს, ხალხს, კედლებზე გაკრულ სურათებს და ტკბებოდა, მთლიანად ნთქავდა საათნახევრით გადმოგდებულ ცივილიზაციას. კინოს შემდეგ სახლში შესვლა აღარ უნდოდა. ნაცნობებს დაემშვიდობებოდა და რუსთაველზე დაეხეტებოდა გვიანობამდე. მერე ქმრის ძმაკაცებს ენახათ და სახლში გამანადგურებელი პროცესი გაიმართა. ბრალი სულელური და საეჭვო ხეტიალი რუსთაველზე! „სადაც გინდა, იქ წადი, რაც გინდა, გააკეთე, ოღონდ ჩემმა მეგობრებმა არა-გნა-ხონ“, იუბეზებდა ქმარი. ნუნას არ ესმოდა, რაზე უყვიროდნენ, სწყინდა, თავს ვერ იკავებდა და ქმარს გაუმიზნავ, დამამცირებელ წინადადებებს ესროდა. მერე წინადადებებს მამიდას ნაჩუქარი სარკეც მიაყოლა და ყველაფერი ამით დამთავრდა. ნუნამ მოაგროვა სარკის ნამსხვრევები, ცოტა ხანს უყურა და ფრთხილად ჩაუშვა ნაგვის ვედროში. უცებ მოეჩვენა, საკუთარი ხელით მიმხრჩვალ თოთო ბავშვს სდებდა სამარეში. მთელი ღამე ენინი უკან გადაიწია და დაიყვირა. საავადმყოფოში სისხლის დენით მიიყვანეს. მაშინ მეორედ მოსცილდა ბავშვი. სანახავად მისულ მამიდას ყურში ჩურჩულით გაუმხილა მთელი თავისი ცოდვები და ბოლოს უთხრა,

ქმარს შენი ნაჩუქარი სარკე ვესროლეო. მამიდამ გაუცინა, თმაზე აკოცა და მესამე დღეს უშველებელი, მოჩუქურთმებული სარკე მიუტანა სახლში. ნუნას გულზე მოეშვა, მაგრამ იმ დღის შემდეგ საარავისო მეუღლის როლს ვეღარ ირჩევდა.

მერე მალულად დაიწყო სიარული. ეშინოდა, ქმრის ძმაკაცებმა არა მნახონო. ნეტიკილისას გზადაგზა ყველაფერს აკვირდებოდა, რაზედაც თვალი მიუწვდებოდა: ქვესა და ახალ აფიშებს, მტვრიან ვიტრინებს, ქუჩაში გამოტანილ სუვენირებს. სამხატვრო სალონში ნახატების წინ სათვობით იდგა, მოსწონდა, აფასებდა, შთაბეჭდილებებს წიგნშიც ჩაწერდა რაღაცას, მაღაზიაში ახალ წიგნებსა და ბროშურებს შეიძენდა. თავს იტყუებდა, არაფერი მაკლია ცხოვრებაშიო. ეგ იყო, რესტორანს რომ ჩაუვლიდა, დაღვრილი ღვინის, კერძების და სიგარეტის შემძღებული ოხშივარი თავბრუს ახვევდა. ენატრებოდა, ქმართან ერთად რესტორანში დამჯდარიყო, გრიალა, ყურისწამღები მუსიკა მოესმინა და ვიღაცის შემთვრალთვალებიანი მზერისათვის თვითონაც სალიდურად გაეღიმა. მესამე ბავშვზე რომ მოეშალა მუცელი, ექიმმა უთხრა, ნერვული ხარო. ნუნა წუხდა, არაფერზე ვნერვიულობ და რა ჯანდაბა მემართებაო. ბავშვი ძალიან უნდოდა. ზშირად სიზმარში ხედავდა პატარას, მკერდზე მიკრულს, თბილს, მოფართხალეს და ძალიან საყვარელს. საოცრად ნაცნობი და არაამქვეყნიური განცდა ეუფლებოდა. რომ გაიღვიძებდა, სიზმარის ნება-ნება, ნეტარებით იგონებდა და ეშინოდა, არ გავგიჟდეო. მეორე დღეს ძუძუები სტკიოდა.

ქმარი ვვიან მოდიოდა შინ და თუ ნასვამი იყო, ალერსიანდებოდა. ნუნა ალერსს უხეშად იცილებდა, ბავშვივით ტიროდა. ქმარი ხუმრობით დასცინოდა და სენტიმენტალურ გოგოშკას ეძახდა... ერთ დღე' ყველაფერი მოულოდნელად დამთავრდა. დილით, სამსახურში რომ ისტუმრებდა, ქმარს გამოუცხადა, შენგან მივდივარო. ქმარმა ლიმილით მოუჩეჩა თმა, მაგ პატარა თავში ასეთი გენიოსური აზრები საიდან - მოსულიხარ. ნუნამ უყურა, გაიცინა და შეტრიალდა. ქმარი რომ წავიდა, მშვიდად შეაგროვა თავისი ტანსაცმელი, მამიდას ნაჩუქარი სარკეც არ დაივიწყა, ტაქსი დაიქირავა და დედისეულ პატარა ოთახში გადაბარგდა.

იმ ღამესვე მოეჭრა ქმარი. ნასვამი იყო. ეხლავე მოკრიბე შენი ბარგი-ბარხანა და შინ წამოდიო, მტკიცედ, ყინჩად ესროლა ზღურბლიდანვე. ნუნა თავგანწირვით აეკრა კედელს, მკერდი წინ წამოსწია და აღარ მიყვარხარ, რა აზრი აქვს ჩემს იქ ყოფნასო. აქვსო, აქვსო ქმარმა უთხრა. მერე მისწვდა და ცხარედ აკოცა ტუჩებში. ნუნას თმა აეწეწა და ძლივს გაითავისუფლა თავი. ქმარმა კარი მოხურა და ისევ დაეტაკა. ძლიერი ბიჭი იყო. თავის-თავში ღრმად დარწმუნებული. წამოხვალო, ჟინინად ჩასჩურჩულებდა და ცდილობდა, საწოლზე წამოეწვინა ქალი. ნუნამ გამეტებულად ჰკრა სახეში ხელი და სანამ ქმარი გონზე მოვიდოდა, ისევ კედელს აეკრა მორიგი შეტევის მოსაგერიებლად. კაცმა თითებით ფიქრიანად დაიზილა ნიკაპი და საწოლზე მუხლებში ხელებჩაკიდულს ესია ამოსცდა გულჩაწყვეტილად, ნუთუ მართლა აღარ გიყვარვარო? ნუნას ტანში გაპბურძგლა, მკერდზე აუძუსთავები წამოებუშტა ცრუოლიანსგან. არაო, საცოდაგად ამოიკვნესა. თან ეშინოდა, არ გადამთქმეგნინოს. ქმარი ნელა წამოდგა, სარკეში თმა გაისწორა და იქიდან მალულად გახედა ცოლს. მერე ჯიბეებში ხელებჩაწყობილმა ოთახში რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა. ერთი ეიცქნა ოთახი იყო, იმის გავლა-გამოვლას რა უნდოდა და ნუნა ნატრობდა, ნეტა უშველებელ დარბაზად გადაიქცეს, რომ ამასობაში გონს მოვიდე და უარიც მტკიცედ ვუთხრაო. კაცი უცვ მოტრიალდა, განა არ ვიცი, დამნშავე ვარ, მაგრამ ოღონდ ეხლა წამოდი და მერე ყველგან წაგიყვან, კინოშიც, თეატრშიც, სადაც ხელს

დამიდებ. შენი ხმალი და ჩემი კისერიო, ხვეწნით ძიაყარა. იმწუთას კაცი იაფი იყო, როგორც მათი ქორწინების პირველ დღეებში — ლამაზი, ცინცხალი, იმედიანი და უზომოდ შეყვარებული. ნუნას გული გადაუქანდა. აკაკამებული თვალები ჰქონდა ქმარს, ოდნავ სიწითლეგარეული და ქუთუთოებშესვიებული. ულვაშებია ქვემოდან ატმიაფრად უღიოდა ბავშვივით გაბუსტული ტუჩები. ოთხკუთხა, ჩაჩვრეტილი ნიკაპიდან მამაკაცური სუნი მოეონავდა, ჰომიზოკანი და ყარაღური. ჰოო, ენის წვერზე დაეკიდა ნუნას, მაგრამ თან გამომწვევი სიჯიუტე და ცნობისწადილი კლავდა. უაზროდ უნდოდა, რაღაცა შეცვლილიყო, რაღაცა გადაადგილებულიყო ადგილებლად, უსიკვდილოდ. „ადიდმა“, „სიგარეტმა“ და „გაზეთმა“ დედაკაცური ენი გაუზარმაცა, უფრულობით დაუდღაბნა ყოველდღიურობა და ნუნას ქმართან კი არა, იმ უფრულობასთან ღარ სურდა გაეყო სარეცელი...

ბოლოს კაცმა სიგარეტი ჩაიკრო. ანაო. მუსლზე ხელი დაირტყა და კარისკენ უსიტყვოდ წავიდა. ნუნა გამაოგებულა ზეიმიდან.

კართან ქმარი მობრუნდა, იცოდე, მეტს ღარ მოვალ, შენი სისულელეები რომ მოიმთავრო, იქნება მაშინ მოგაგონდეს საკუთარი ქმარი და სახლიო, დაუტოვა და კარი გაიხურა. მელოდე, როცა მოვიდეო, გულში ჩაიცინა ნუნამ და სიგარეტებიანი საფერფლე ნაგვის ყუთში ჩაყაუფთავა...

...ახლა ხელა ღარავინ უშლიდა. ფეიერო. რამდენიც უნდოდა. ეცინრნა და ეხეტიალა. ნუნას ეგონა, აწი ქვეყანას დავიკონო. მაგრამ რატომღაც ჩაცხრა, გაზარმაცდა. ტელევიზორსღა უყურებდა გვიანობამდე. მერე სიგარეტის წევაც დაიწყო. მოწყენილობისაგან ეწეოდა. ნაფაზს დაარტყამდა, მამიდაა ნარუქარ სარკეში ჩაიხედავდა და საყვარელი ქმრის ყოველნაირად გამგები ცოლის პოზას დაიჭერდა. ერთ ვითომ ქმარსაც ეოლულებდა. უცებ დაფიქრდებოდა, უნებური გაორებისა შერცხვებოდა და გიგივით ახარაკანებოდა.

მეგობარმა ქალმა დაუკაკუნა გულის სამსახურში, ამოდი, ბავშვი ულ ნანარნუნას გაიძახისო. პატარას უნახობა არ იქნებოდა, თორემ ნუნა სიამოვნებით დარჩებოდა შინ. ნელ-ნელა გამოეწყო. სახუქარი და კიდუშუაეკავი ცხვირსახოცი გულმოდგინედ ჩაეცა ჩანთაში.

ქუჩა სველი იყო, ნაწვიმი. ინანა. აქეთობას ძაევ არ გაწვიმდეს, ქოლგა რატომ არ წამოვიღეო. ასფალტზე გუბეები ლაპლაპებდა და ჩაერში იაეთი ეუნი იდგა, წვიმას რომ მოჰყვება ხოლმე — ახლად მორწყული ქინძისა და სველი ფოთლებისა.

გაჩერებასთან არავინ იყო. მოპირდაპირე მხრიდან მოხუცი ქალი უახლოვდებოდა. მოხუცს ქოლგის დაკეცვა დავიწყებოდა და თავს ზემოთ შარავანდედივით მოსდევდა. ნუნამ გაეღიმა და ქოლგა დაკეცეთო, მხიარულად ჩაუჭუკუტეკა. საერთოდ, შესანიშნავ ხასიათზე იყო. გონებაში დილანდელი ფილმი წამოუტიტვიდა. გაახარენდა ფილმის შემდეგ რომ მოუნდა, ვინმეს შეპყვარებოდა. ღიმილით ჩამოიწორა ქვედატანი და ავტობუსის მოლოდინში ტროტუარზე გაისეირნა.

ანაზდად თეთრმა მანქანამ ჩაიქროლა ახლოს, გუბე ფინინშივით გადაჭრა და წყლის ჭუკუიანი ჭავლი ჩაერში აბურთავა. ია ჭავლი პირდაპირ ნუნას ქვედატანს ეცა და საგარეოდ გამიზნული კაბა ერთიანად დაუსვარა! მძღოლმა ყოყმანით დაამუხრუჭა მანქანა, უკან ფრთხილად დასწია და გადმოვიდა. მაღალი ბიჭი იყო, მზემოუკიდებელი სახე და შავქლიავისფერი თვალები ჰქონდა. სასოწარკვეთილმა ნუნამ ის კიდე შეუტეხავი ცხვირსახოციც გასწირა, მაგრამ დასვრილ კაბას რაღას უშველიდა. ამ დაბნეულობაში ჩანთაც ხელიდან გაუვარდა და ახლა ის გაუხდა თავში საცემი. ბიჭი ჩანთას მივარდა, სათუთად აიღო, დიდი, დიდი ბოდი-

ზეო, წაილუღლუღა. ნუნა გაბრაზდა. მაგრამ ბიჭის დანეული სახეს რომ შეხედა, სიცილი აუტყდა. სიცილმა გაამხნევა ბიჭი. ჩანთას რომ აწვდიდა, სად მიბრძანდებით, მე მიგიყვანთო, შესთავაზა. სახლში წავბრძანდებიო, უილაჯო ირონიით უთხრა ქალმა. არა, მე მიგიყვანთ, როგორც დგაზარალეთ, ისეც უნდა დაგაბინავოთო, დაიჟინა დამზარალებელმა. ნუნამ დასვრილ კაბაზე ჩანთა აიფარა და მანქანაში მორიდებით ჩაჯდა. ამა და ამ ქუჩაზე მიმიყვანეო, თხოვა. ბიჭს გაუხარდა და საჭეს ყოჩაღად მიუჯდა.

მეგობრის სახლამდე კარგა მანძილი იყო. ბიჭი ჩუმ-ჩუმად უყურებდა ნუნას, ეტყობოდა, თვალში მოუვიდა. გზადაგზა გამოჰკითხა ვინაობა. ქალმა უთხრა, ქმრისაგან ორი თვეა წამოვედიო. ტყუილი არ უყვარდა. ბიჭი ცოტა ხანს გაჩუმდა, მერე გაუბედავად შეეპარა, მეგობართან რომ შეხვალთ, დაგელოდებითო. კი ბატონო, ნუნაც დაეთანხმა; თუმცა, მანქანიდან გადმოდგა ფეხი თუ არა, იმ წუთში დაავიწყდა დაპირება.

მეგობართან კარგა ხანს დარჩა. აქეთ პატარას ეღეღუნა და ეფოფინა. იქით ცოლ-ქმარი გაიცინა, თავისი საჩუქარი გაშალა და ბოლოს, მეგობარმა აბაზანაში საპნიანი ჩვრით კაბაც გამოუტანეს. ოჯახის მამამ კონიაკი გამოიტანა, ისე ვერ გაგიშვებო. ეს ბავშვისაო, აკვნისაო, ოჯახისაო, კარგი თვალით დამნახველისაო და ნუნა საწოლიდან საკმაოდ შემთვრალი გამოვიდა. მანქანა რომ დაინახა, მაშინღა გაახსენდა პირობა. ბიჭი საზურგეს მიყრდნობოდა და სიგარეტს ხამუშ-ხამუშ ეწეოდა. ქალს არც მოუბოდიშებია, ისე ჩაჯდა. ბიჭმა უსიტყვოდ დაძრა მანქანა. ნუნას თვითონაც მოუნდა გაბოლება და მძღოლს თამამად თხოვა, მომაწევინეო. მანაც ისე გაუწოდა „კოლხეთის“ კოლოფი, სულაც არ გაკვირვებია. ნუნას სიამოვნებდა კონიაკის შემდეგ სიგარეტი და, ვინა ხარ შენაო, მადლიერებით ჰკითხა. მეეო, გაეცინა ბიჭს, — კიდევ კარგი, მოგაგონდით. ბეჭო მეკიო მომიგონდი, თორემ, მამე, [illegible] წამწამი მაქვს შენთან [illegible] გულში გაკკენწლა ნუნას. ისე კი მოაწონდა თანამგზავრი. უფერული იყო, იმედიანად ჩაჰფრენოდა საჭეს და ქლიავისფერ თვალებს საყვარლად აბდღვრიალებდა.

შუა გზაზე რომ გავიდნენ, ბიჭმა უკვე გაბედულად შეესთავაზა, ხომ არ გვეკაშმა საადმეო. ნუნამ წარმოიდგინა რესტორანი, მუსიკა, ხმაური და, შეიძლებაო, დათანხმდა. ბიჭმა რესტორანთან შეაჩერა მანქანა. ნუნამ სარეცელი გაისწორა თმა, თვალებზე გადაისვა ცხელი ხელი. აგზნებული იყო. შიშით არაფრისაც არ ეშინოდა.

რესტორანში სიგარეტის კვამლის ბუღი იდგა. მუსიკა გრიალებდა. ათასი ხმა ერთმანეთში წრისქვილის ბორბალივით გაბმულად ზუოდა. დასხდნენ და იდაყვებით მაგიდას დაეყრდნენ. სამი თუ ოთხი სუფრიდან ბიჭს ხელი დაუქნიეს, მოკლეკაბა, უძინართვალებიანმა ოფიციანტმა ქალმა უმალ წიგნაკი და ფანქარი მოიმარჯვა და, რას ისურვებტო, მომლოდინედ გაუჩერდა მაგიდასთან. ბიჭმა მენიუ შესთავაზა ნუნას, ამოირჩიეო. ნუნამაც საქმიანად ჩაიკითხა მენიუ და ისეთი რამეები შეუკვეთა, თვითონაც რომ არ ეამდა, რა იყო. „რას დალევტ?“ ისევ იკითხა ოფიციანტმა, თან ვიღაცების დაბახილს მოუთმენლად გაუქნია ხელი. ბიჭმა ისევ ნუნას შეხედა. ნუნამ ხელები გაშალა, სულ ერთიაო. ბიჭმა, თავის მხრივ, სუფრას სხვა რამეებიც დაუმატა და ოფიციანტმაც, ზნაჩიტ, ციცელა, კარტოფილი, მცვადი, გრემია, ჩაიბუტბუტა და სწრაფად გაშორდა.

გვერდით მაგიდასთან ორი მამაკაცი და ორი ქალი იჯდა. ქალები თავიანთი გახუნებული სახეებით, საგულდაგულოდ აფუფფულებული თმითა და სისხლისფრად შეღებილი ფრჩხილებით ვიტრინაში მივიწყებულ, მოდიდან გადასულ მტვრიან მანეკენებს ჰგავდნენ. მამაკაცებს მელოტი თავები, თეთრი, მაგარი

ებილები ჰქონდათ. ჰალუტუხები მოეშვათ, საკმლისაგან გაცხიმიანებული თითებით სასმელს აძალებდნენ ქალებს მაცდური ღიმილით. ესტრადაზე ნახვევრად შიშველი ქალი ინდური ცეკვის ელვეთებს ასრულებდა და არც თუ ურიგოდ. ნუნას უცებ მოეჩვენა, რომ ეს აფუთფუთებული დარბაზი მხრებზე დაეწვა თავისი ზუზუნით, სიგარეტის აკამლითა და უშველებელი, უუშველებელი არაობით. უნებურად ბიჭს ხელი მოუჭირა, რომ მისი იქ ყოფნა შეეგრძნო. ბიჭმა ალერსით შეხედა და რაღაცაზე თავი დაუქნია. ოფიციანტმა საკმლით დატვირთული ურიკა მოაგორა. ყველაფერი მაგიდაზე ფაქიზად დაალაგა. ბიჭმა მოიბოდიშა, ძალიან მშიაო და თონის პური პირველმა გადაიღო. ნუნამაც მორიდებით გასინჯა კერძები. ბიჭმა კონიაკით შეავსო ჭიქები და ნუნას მიუჭახუნა. დღევანდელი დღისა იყოსო. ნუნამ ყოჩაღად ასწია კონიაკიანი სასმისი, უცებ გადაჭარა და კონიაკმა გაიგუდა. ჩაერი აღარ ეყო ამოსასუნთქად. ბიჭმა თბილად გაიცინა, ცხვირი შეიჭმუხნა ხუმრობით და ლიმონათი მიაშველა. ნუნამ კარტოფილი გადმოიღო. ხალისით ჭამდა. ათასნაირად გადაზავებულ და გადაზელილ კერძებში მარტო კარტოფილი ეჩრმებოდა. ბიჭმა ი

ხარი, თვალებში შეგატყვე, არავისი ფეხები არ უნდა იყო... ვიღაცას ჩამოკარგვიხარ ამ უსასრულო მარათონში... დღეა აუცილებლად უნდა მეპოვნე... იმიტომ, რომ ტელევიზორში ფილმი ვნახე და სამი წელია, რესტორანში არ ვყოფილვარ.

ნუნა უცებ დაიღალა, მოიმჩვარა და თავის დაკმეულნილ ცხვირსახოცს დაეძგვანა. ბიჭს ხმა არ ამოუღია, იჯდა და რაღაცაზე თავისთვის ფიქრობდა, თითქოს ქალის ლაპარაკი არ აინტერესებდა. მერე ოფიციანტი მოიხმო და ანგარიში გაასწორა. წავიდეთო, ნუნას ალერსიანად, წყნარად უთხრა. წამომდგარს მკლავიც მიაშველა.

ნუნამ ნეტარებით შეისუნთქა საღამოს გრილი, მოტკბო ჰაერი. მთვრალი იყო. თავს დამბაზავედ გრძნობდა. ახსოვდა, რომ ბიჭს რაღაც აწუხებნა, მაგრამ რა, ეს უკვე მეხსიერებიდან ამოვარდნოდა. გონება ხან საოცარი სიცხადით უნათდებოდა, ხან ისევ ებინდებოდა. ბიჭმა ჩანთა უკანა სავარძელში გადაუდო და თავის გვერდით სარკმელი გააღო. ჰმაც არც ახლა იღებდა. ნეტავი რა ვაწყენინე... ალბათ, მომკლავს... მომკლავს და მომკლას, მაინც ზედმეტი ვარ ამ ქვეყანაზეო, მთვრალი კაცის ბოღმიანი ცდარდღეობით გაიფიქრა ნუნამ. შიშით მართლა არ ეშინოდა.

ქალაქიდან გავიდნენ. ფიზიკულტურის ინსტიტუტთან, წინა მხარეს ერომწყრივად ჩალაგებულ კორპუსებში ქმრის ბინა მოძებნა თვალებით. გაუჭირდა [illegible] შექნა ერთი. ალბათ ზე მელოდებაო. გაიფიქრა ნუნამ და ამ უცნობმა, უაიტყვო მოგზაურობამ უფრო იდუმალ საინტერესო სახე მიიღო.

წყნეთში ისე ავიდნენ, ერთმანეთს არ დაძახებიან. ერთი ვეებერთელა, ნიკრისფერი შენობის წინ შეაჩერა ბიჭმა მანქანა. ნუნას არც თავიდან უკითხავს, სადაო, არც ახლა, რადაო. მშვიდად გადმოვიდა მანქანიდან.

სახლში შშორისა და სიცივის სუნი იდგა. ბიჭმა ამომრთველი გადაატრიალა და უცებ მოაგონდა, [illegible] მწვარილი. მისი ხმა უკაცრიელ [illegible]ხა ჩამუქებულ კედლებში. ამ ხმამ გამოაფეზილა ქალი, გაფართოებული თვალებით შეათვალიერა იქაურობა. ბიჭმა ასანთს მოუკიდა. თან რომელიღაც აავარიელზე მიუთითა ნუნას, საკრველი ცივი იყო და თითქოა, სველიც. შშორის სუნი ეუკარდა ქალს, სიამოვნებით იაუნთქავდა. იაე ლამაზად იჯდა სავარძელში ეტყობოდა არაფრისაც არ ეშინოდა. ბიჭმა ანთებული ასანთელი გამოიტანა, დაბალ მაგიდაზე თლილ ჭიქაში ჩადო. ასანთელმა იქაურობა გააკაცილა და ალბარპალა. ნუნას უცებ საოცრად მოეწონა ბიჭი. დაღლილი, ცოტა მიმჭკნარი თვალები ჭქონდა, გარშემო ნაოჭებით გასაოთეფებული. ნუნას პირდაპირ ჩამოჯდა დივანზე, ახე ხელებში ჩამალა და კარგა ხანს ხმას არ იღებდა. ოთახში ქალის წყნარი, ნარნარა ხმა დაიარა. ნუნამ ყური მიუგდო. თავთოს მღეროდა. გაბაფხულდა, დამბრუნე ჩემი სიხარეო, რაღაც ამგვარს, გაკვეთილსა და მივიწყებულს. ბიჭს გაშლილ მუჭებში ჩაეკონა თავი და იაე ეამეზნა. იამღერა რომ დამთავრდა, კარადასთან მივიდა. თვალები სველი ჭქონდა სიცხიანივით. კარადიდან ბოთლი და ორი ჭიქა გამოიღო. ბოთლში არაყი იყო, ცივი და ხახიზრარი. ბიჭმა დაალბა და ეროთი მოყუდებით დაცალა. ნუნაძეც ფალია. ცდილობდა, არ შეეყუნტა [illegible] ენა. ნუნაო, წყნარად უთხრა ბიჭმა, აქ რად ამომეკვეთო...

ნუნამ არაფერი უპასუხა, თავი ჩაკიდა და სანთლის შუქზე შეხედნა, დაალა ტარაკანები დადოდნენ, მსხვილებიც და პატარაებიც. გულის ფეთქვა მიეგდო ყური. გული ეკეოდიდან ამოსულიო და მის თავლწინ ფართხალითა ტრიალებდა.

ნუნაო, იაეე გაუმეორა ბიჭმა. ქალის ეულონოდ დაშვებული ხელები ალო და ცივ ალებზე ალთუთად ჩამოსვა, აბა, მითხარი, საკვარელო, აქ რად ამომეკეთო...

— რად და... იმად. — გულთბილად, ნეგმბრულად გაუცინა ქალმა. მეტის თავი არცა ჰქონდა. სულ ერთი იყო, რას იფიქრებდა ბიჭი. თვალწინ განრისებული ქმრის სახე დაუდგა. „ოღონდ ჩემმა ძმაკაცებმა ა-რა-ვნა-ხონ", რაღაცა ჰქონდათ ამ წუთას საერთო ქმარსა და ამ ბიჭს. ორივე იგივეს უკრძალავდა, იგივეზე უქნევდნენ თითს „ეიეე". ოღონდ. ერთი ყვირილით, მეორე ალერსიანი, დამამცირებლად ალერსიანი ხმით...

...და ქალს ტკივილი შეეპარა. შეურაცხმყოფელი, სამაგერო-მიუზღველი ტკივილი... განა თვითონ კი უწყოდა, რად ამოკლავა უცხო მამაკაცს ამ უკაცრიელ ადგილში... არ უწყოდა და ეგონა, ბიჭი ამას მიუზღებოდა. ვერ კი მიუზღდა. ამოიყვანა თუ არა, დასვა თუ არა, ამღერა თუ არა ნუნა, მამრული ანგარიშიანი შეკითხვით ცხვირთან მიუტანა რესტორანში ის წყნდადელი წუთიერი სიმსუბუქე და სულმიშვებულობა, „ულგაჯანილობაც იქნება... ან უნდა მეყურებინა იმ ფილმისთვისო, გაიფიქრა გულდაწყვეტილმა.

მომლოდინე ირიბენი და მარტოობა იყურებოდა ყველა კუთხიდან. ტარაკანები შრიალით დაფხაჭუნობდნენ ნეტარან ოტაკაზე და მშიერ ყბებ ზლაზვინთ ატკაცუნებდნენ. ამ ფხაჭნია სიჩუმეს ვეღარ იტანდა ნუნა. ბიჭს ნუნაცა და წყალნდელი შეკითხვაც დავიწყებოდა და დავანზე გადაწოლილ ქერზე მიეტრეტინა თვალები. ბოლოს, კარგი სახლი გაქვსო, ზრდილობისათვის ამოთქვა ქალმა. დიანეს შემყარებული ბიჭი შეინძრა და რაო, რა გაქვსო, დაეკვეთით ჰკითხა. კარგი სახლი გაქვა-მეთქი, გაუმეორა. ბიჭმა ერთი კი შეხედა. მაგრამ არაფერი უთქვამს. იაკე ჭერა მიაშტერდა. ნუნაა გული ერეოდა, ტკივილისაგან საუთქლები ეწვოდა. არ უნდა მეყურებინა იმ კინოფილმისთვისო. თავში აკლავ გაეელვა. იმ ფილმს მეც კუუურ ფილმს, თითქოს გაეგოო, მოეოლდნელად დაიწყო ბიჭმა, ისეთი ხასიათზე დადგეო, მინდოდა, ვიღაცას შევყვარებოდი ...შენ რომ დაგაბარალე ბაბინაც ამაზე ვფიქრობდიო. დაკარგულა და გაიღიმა. რაღაცა იყო ... ... ნაღდი და ძალდაუტანებელი, ... გული ინტერესით შეუფრთხიალა. ნუთუ არავის უყვარხარ ასეთი მამაკაცო, გამოცოცხლდა ნუნა, უფრო იმიტომ, საუბრის ძაფი რომ გამოენასკვა.

— სამი წელია ცოლს გავეყარე... მეგონა, სითაც ქაუა გამკრავდა, იქით გაეფრინდებიოდი, მაგრამ... — ბიჭმა გაერევებით გადაყლაპა ნერწყვი და შეეყოუმანდა, გავაგრძელო თუ არაო, — ეა „მაგრამ" ყოფილა, რაც ყოფილა... წამოდგა, მაგიდასთან მივიდა, არაყი დაისხა და ერთი მოსმით დაცალა. — ცილანდელმა ფილმმა ესული ამიწეწა.. ავდექი და, რატომღაც, ყოფილ ცოლს მივაკითხე... დაეიგვიანე... გათხოვილა და ქმარმა გამიღო კარი... მაშინ ვიგრძენი პირველად, რომ აღარავის ვჭირდები თუ არ ამქვეყნად.

და ნუნამ და გაბაკვირად, დივანა გადაწოლილი დაღლილი, ნაღვლიანი, ჩამკვდარი ბიჭი უცებ ცოცხლად წამოხტა, ჩრდილებით მოპარპალე ოთახში ძველბიჭური, გემრიელი ბადდადური დაუარა, თან ქუჩის მივიწყებულ სიმღერას გაჰკიოდა; „ქუჩა-ქუჩა დადგიარ, ღამე შინ არ შავდგიარ, დედაჩემსა ჰგონია სულ ქალებში დავდგიარ... ჯან-ტიკოტიკო, ჯან-ტიკოტიკო, ჯანტიკოტიკო, ჯანტიკოტიკო..." არაქათმილეული. ბიჭი ტრიალ-ტრიალით დაეშვა დივანზე...

ნუნა შიშისაგან სავარიელში დაპატარავდა. მთელი სხეული დაუბუსუსდა და რაღაც გამყინავმა, უცხო გრძნობამ ფეხია ფრჩხილებამდე მტკივნეულად ჩაუარა. იმ წუთას ისეთი რამ განიცადა, რაც თავისი ცხოვრების ოცდასამი წლის მანძილზე არ უგრძნია. ეს იყო შიში, მაგრამ ბიჭისა კი არა, საკუთარი თავის წინაშე... ნელა ადგა, უჩუმრად ძიწვდა ხელჩანთას და ბიჭისკენ, ხომ არ შემაჩნიაო, რომ გაიხედა, ადგილზე გაქვავდა: ბიჭს მარცხენა ხელით ისაოწარკ-

---

ლალი ყვარელაშვილი
ტელევიზორში ნანახი ფილმი

ვეთით ჩაბღოჭა დივანის საზურგე. თავი უკან გადაწია და ქალს უყურებდა წარატანილი, მძულვარე, ცრემლიანი თვალებით. წაკალ მეო, ძლიან ამოიკვნესა ნუნამ, შებრუნდა კიდეც, მაგრამ ისევ მიტრიალდა, ხელჩანთა ადფიაც მიაგდო და თვითონაც არ უწყოდა რატომ, ბიჭს გვერდით მიუჯდა. მისი თავი მკერდთან მიიტანა და უცებ იგრძნო, ბავშვი, ნამდვილი ბავშვი უტიროდა მკლავებში, ნოოცნებარი, ნასათუთარი, ნასიზმრალი... ქალს გული საგულეში ჩაუდგა. თავი დიდად წარმოიდგინა. ბიჭს ისე ანანავებდა, როგორც პატარას, რაღაც საალერსოს ებუტბუტებოდა და ყასიდად უწყრებოდა. ბიჭიც თანდათან დაწყნარდა. ქალის მკლავებში მშვიდად, უშფოთველად ჩაეძინა.

ნუნამ ფრთხილად მიაწვინა ბიჭი დივანზე, თითის წვერებზე ადგა და როგორც კი ხელჩანთის ასაღებად დაიხარა, ბიჭმაც გამოიღვიძა. გამოიღვიძა კი არა, წამოიჭა და აბსოლუტურად ფხიზელი თვალებით მიმოიხედა გარშემო. ნუნა რომ დალანდა, აქ მოდიო, წყნარად დაუძახა. ქალმაც მორჩილად გასწია ბიჭისკენ და სავარძელში მის პირდაპირ მოიკალათა. ამ შუაღამისას სად გარბოდიო, ალერსიანად ჰკითხა ბიჭმა, იჯექი, ხომ არაფერს გიშავებო.

ნუნაც იჯდა. იჯდა, მაგრამ გონებიდან ვერ იშორებდა იმ სურათს, როცა დაღვრემილი ბიჭი მოულოდნელად წამოხტა და ცეკვითა და კიკვილიანი სიმღერით იქაურობა გააყრუა. ეს მისთვის ძალიან უცნო, ამოუხსნელი და მიუწვდომელი იყო. საკუთარი თავის რწმენას უკარგავდა, აგრძნობინებდა, რაოდენ პატარა, შეუფფერებელი იდგა რაღაც დიდის, გადაულახავის წინაშე.

...ისევ ბიჭმა დაიწყო ლაპარაკი, წყნარად, ფიქრიანად, — წელან რომ გკითხე, რად წამომყევი-მეთქი... მეც არ ვიცოდი, რად წამოგიყვანე, იმიტომაც გკითხეო...

— კარგი რა, კარგი რა, — უცებ აზავთდა ქალი. გულნატკენი იყო, ქვეშეცნეულად გრძნობდა, რაღაც [illegible] აქამდე უთქმელი უნდა [illegible] ვის, ვერ კი ახერხებდა. ბიჭმა უყურა. და ისევ შეავსო მივიწყებული ჭიქები. უთქმელად გადაკრა. ნუნამაც დალია. არაყმა უსიამოდ გააჟრჟოლა. კინალამ ამოაზიდა, მაგრამ ეაკვაცურად შეიკავა თავი. საფეთქლები აღარ სტკიოდა. გული ეწვოდა უცნო სახმილით.

...მერე გაცხელდა ოთახი. სიგიჟემდე გაცხელდა. მთელი სხეული თითქოს ერთ წამში დაუდნა და ბნელ იატაზე რძისფერ სითხედ დაეღვარა. ყველაფერა ცხადად, გაცილებით ცხადად აღიქვამდა. ნაცრისფერი ტარაკანები დაფრინავდნენ ოთახში ნაცრისფერ კოლოებთან ერთად და მყარალი, არყისსუნიანი ჰაერით წამლავდნენ იქაურობას. ვიღაცა იყო, გრილ, სველ ხელს შუბლზე ადებდა, ნუნაო, ჩასძახოდა და იმ ტარაკანებსა და კოლოებს აცილებდა. ...რამდენჯერ მოუნდა ეყვირა, ეკვლა. მაგრამ ეშინოდა ბნელ ოთახში მოწანწალე მარტოობა არ დაეფრთხო, ასე თავხედურად, ერთი ხელის გაწვდენიდან ნიშნისმოგებით რომ უქნევდა თითს...

...როცა გაეღვიძა, თავი უბრუოდა, მაგრამ დამშვიდებული იყო. აღარაფრის ეშინოდა. თვალწინ დილანდელი ფილმი ედგა. ბიჭი ისევ იმ ადგილას იჯდა. თვალები დაძაბულად მიეშტერებინა კედლისათვის, თითქოს რაღაც ტრაგიკულ სცენას უყურებსო. ნუნამ შეხედა, მერე მობრუნდა და ხელჩანთა აიღო. კართან რომ მივიდა, ბიჭმა ხელი მხარზე მორიდებით შეახო. ნუნა მოტრიალდა, კარგა ხანს მტრულად, ზიზღით უყურა, მტკიცედ, მშვიდად მისწია ბიჭი გვერდზე და გარეთ გავიდა. გავიდა და ვარსკვლავიანი ღამის სიმყუდროვე ეტაკა სახეში, ცინცხალი, ჭრიჟინებით აკრუალებული. ხელები აბუსუსებულ მკლავებზე გადაივლო, მანქანისაკენ არც გაუხედავს, ჭიშკრისკენ გაქანდა გაბედული გადაწყვეტილებით. მოსახვევი სირბილით ჩაირბინა და გზაზელა შეჩერდა. ღამის სიგრილეში

სუსხი იგრძნობოდა, კრიალა და გაუტეხავი. დაბლა მოციმციმე ზღვისავით გაწოლილიყო ქალაქი. რამენაირად უნდა ჩაეღწია ქალს იმ ქალაქში. ვერაფრით ვეღარ დარჩებოდა აქ. ჭრიჭინებით აკრუალებულ. სუსხიან უდაბნოში. ხელჩანთაში ფული მოისინჯა და მანქანაც დამუხრუჭდა ფეხებთან. ბიჭმა წინა კარი გამოუღო, დაჯექით, წყნარად შესთავაზა. ნუნამ კაბა შეიკეცა და მოწყვეტით ჩაეშვა სავარძელში. მანქანა ნელა დაიძრა ადგილიდან და უცებ გაგიჟებული გაიჭრა ქალაქის მიმართულებით.

ქალს უკვე აღარ ეშინოდა. ეშინოდა კი არა, აღარაფერზე ფიქრობდა, ტელევიზორში ნანახი ფილმის გარდა. ცალკეულ კადრებს ზუსტად აღიდგენდა და რატომღაც ქმარი აგონდებოდა, ქორწინების პირველ დღეებში რომ იყო, ისეთი. მანქანა ღრჭიალით უხვევდა მოსახვევებში, ბიჭს სახე განაკრისფერებოდა და დაგრძელებოდა. ქალაქს უახლოვდებოდნენ. ქალმა სპიდომეტრს და მერე საჭეს შეხედა. საჭის შუაგულში პატარა ბავშვის სურათი დალანდა, მსუქანი და ალალად მოღიმარის. „ვისი?“ სურათზე ანიშნა ბიჭს ქალმა. ბიჭმა სიჩქარე შეანელა, თვითონაც დახედა სურათს, „ჩემი სამი წლის გოგონაა... ამ თუქსუსმა დღეს, ბიძიაო, დამიძახა“, სიყვარულიანი გულისტკივილით აუხსნა ბიჭმა. ნუნას სული შეეხუთა რაღაც ჯუჭყიანი, უჩვეულო ტკივილისაგან. „გაიჩერე გა-ა-ჩე-რე!“ უცებ ისე ისტერიულად, არანორმალურად იყვირა, ბიჭმა მაშინვე მოწყვეტით შეაყენა მანქანა. ქალმა კარი ჯახუნით გამოაფრიალა, ბინძურ ბალახზე გადახტა და უკან მოუხედავად გაიქცა. მკერდზე და ლოყებზე ღამის გრილი ნიავი ეფოფინებოდა, კაბას ფეხებში უბლანდავდა, მაგრამ ქალი გარბოდა. ეგონა, მთელი ქვეყანა მოსდევდა, უკან. რათა თავისი გამოუსწორებელი უკვე შეგუებული შეცოდებები მოეხვია მისთვის უმწეო მხრებზე. კარგა ხანს ირბინა, სუნთქვა ყელში მოეჯინა, მაგრამ მუხლებში გამოულეველ სიმსუბუქეს გრძნობდა. ნიავივით მსუბუქად მიფრინავდა... იქ, რომელიღაც სახლში კაცი ელოდებოდა... იქ, სახლში კაცს სადილი, სამსახურში გასტუმრება, ბავშვი და ოჯახი უნდოდა... ო, როგორ არ ჰგავდა ახლა ის კაცი ამას, მთელ ქვეყანას ყაჩაღად რომ გადასდგომია და საჭესთან თბილად მოკალთებული მშვიდად აცხადებს, ჩემმა საკუთარმა სისხლმა და ხორცმა ბიძია დამიძახაო... თავის ბინძურ, არაფრის მქმნელ მარტოობაში აკი კინაღამ ნუნაც ჩაითრია... ქალმა მოიხედა და გვერდზე მანქანამაც ჩაუქროლა უხმაუროდ, სწრაფად, შემპარავად... სულ ერთი წამის, ერთი წამის აშბავი იყო... ნუნას თვალებმა იმ ერთ წამში ორი სხვადასხვა რამ აღიქვეს... ჭადრის ხეზე საშინელი ჯახანით მიმსხვრეული მანქანა და ფანჯრებჩაბნელებული შენობის სილუეტი, სადაც მისი ქმარი, მისგან მიტოვებული ქმარი ცხოვრობდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსტანტინე ამირიძე

●

ვინც წვალობს, ისიც დაშოშმინდეს,
                  და ვინც არა,
დაიწყნაროს მანაც ნერვები,
ნულარ ჩაყვებით
ლეგენდების ბნელ ლაბირინთებს...
აგე სურათი! —
დედა თავის პატარა ბავშვით —
გამოსული მიწის მწვანე,
ვრცელ აივანზე —
მაღლა ეწევა,
თითქოს უნდა ცას შეუხიდოს
ბავშვის სიცილი,
სულ ახლახანს გამოკვირტული...

დატირება

როგორ დამტოვეთ ლაღო მინდვრებო,
როგორ გამიქრით დღე-ღამეს შუა,
რა უცნაურად და უეცრად გაუჩინარდით
რა დამირჩინეთ —
                  მხოლოდ ჩრდილები,
თქვენი ტანიდან გადმოხეთქილი —
რომლებიც ახლა ჩემი ძილის ღრმა ხეობებში
დაძრწიან და დატანტალებენ...
აქ, ამ ამღვრეულ სანახებში,
                  ამ წყალ-ქალებში
რამდენჯერ თვალი შემისწრია,
ანდა მერეც — ჩავსაფრებივარ,
მაგრამ ყოველთვის
დამფრთხალან და გადაკარგულან, —
                  ისე პირწმინდად —
მათი ფერის ანაბეჭდებიც
არ დასტყობიათ
კლღის ქმეზს, და შიშველ ჯაგნარებს.
გადახვეწილან,
თითქოს სუნი იცეს ნადირის.
ახია ჩემზე —
მე დავთოფე, დაკრილები მე მივატოვე,
სხვა ტალღებსა და სხვა სივრცეებს გავეთამაშე,
ტყის მწვანე კორომს ვამჯობინე ვრცელი ტრამალი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცი აეე მოიქცეოდა?
ახია ჩემზე!..
ეხლა შორიდან
ვუყტვენ ფრთხილად,
სვენებ-სვენებით,
და ხელს ვუშვერ მოსატყუებლად
როგორც ჯერელ კვიცებს
გაქსუებულ რემის პატრონი.
ბებერ, გამოცდილ ცხენთა რკალში რომ მოქცეულა
და ქაფის ცეცხლით,
ველურ ჩიხვინით
მის წინ დგამენ სიფრთხილის კედელს
თითქოსდა ამით აშინებენ: — ამ ხაზს აღარ გადააბიჯო,
იქ ახვა ქარები მწყემსავენო
სხვა ქვეყნის ღრუბლებს...

აღობილია თქვენსკენ ავალი,
ჩემი აიზმრის მწვანე მინდვრებო,
ბოლოდ თქვენი ჩრდილები მოჩანს
და მათი სიო.
როგორც ძველი სიმღერის ბგერა,
ჩემი ფიქრების ფარღალალა
კართან მოაღწევს
და სასოებით — ფრთების შრიალით, —
ნაწვიმარაა და ველ კალთებზე ელამუნება.

ხილვა

ჯერ მზეთუნახავ ბალახებივით —
მიწის ქერქს რომ ამოხეთქავენ,
მტვერს გადაყრიან,
და ცას შეხედავენ,
იაე ამოწეულიყვნენ პატარა ხელები,
ღამის სივრცეში,
თითქოს მთვარეთთან გასაფრენად ემზადებოდნენ.
ხოლო ისარი ამურია
ეს-ეს იყო იფურჩქნებოდა...
ზემოთ კი —
მწვანედ გადმომდგარი აორდის გარშემო,
ფრთებდაკეცილი, რამდენიმე მომცრო ვარსკვლავი
სევდიანად ჩამომჯდარიყო.

●

მაშინვე, როგორც გაზაფხულდება,
როგორც კი მწვანე ამოხნავს მიწას,
ხეები რომ გადმოყრიან ველ ბარტყებს გარეთ —

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და დილის სიო
პირველ ვარჯიშებს რომ ჩაუტარებს.
გუგულების ხმათა თანხლებით —
მე სევდა მიპყრობს.
ეს. ახლაც გაზაფხულია,
ალბათ დილის რვის ნახევარი.
ყველ ბარტყებს — კვირტებს — მოუთავებიათ
თავ-თავის საქმე
და მზის სხივებს ელოდებიან.
გუგული კი ისევ გალობს, გალობს
და ეს გალობა,
ამ ადგილება, ამ ხოდაბუნებს
განსაზღვრული დროით მაშორებს —
მუდამ იქით მიქერეკება
ნისლის კოცონი რომ ჩანს მთების მდუმარ მწვერვალზე.
მე მესმის მისი შორი ჰანგები,
მისი რიტმები რომ ფეთქავენ,
ჩუმად იწვიან
მელოდებიან,
ძალ სიმღერას რომ შევუერთდე,
მაგრამ იქამდე გრძელი გზაა,
გრძელი, უჩინო.

●

„სიყვარულზე დაწერე სიმღერაო“ —
ძილში რაღაც ხმამ ჩამომძახა.
მე შევკრთი, —
როგორ უნდა მოვქცეულიყავ?
დიდხანს, ძალიან დიდხანს ვფიქრობდი,
ყველა კუნჭულს,
ყველა მხარეს მზერა ვუსწორე
და მაშინვე
ყველაფერი, რაც იყო ირგვლივ,
სიბნელის კედელს მიეფარა, გადაიკარგა,
მხოლოდ იმათი ჩრდილების კუდებს
მოვკარი თვალი...
მერე იქითკენ ავიღე გეზი —
დედაჩემთან ახლო ჩამოვჯექ,
როცა ჩრდილები და სიზმრები
გადაიფანტნენ
მეც გამეღვიძა,
და დედაჩემის საფლავის ქვაზე
ჩემი ცრემლის წვეთი შევნიშნე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

წევს ნანავი
როგორც ტბა,
ღამის სიბნელით და ნისლებით ჩამობინდული.
შიშით ვეღარ გავკარებივართ.
უნდა დილამდე მოვითმინოთ:
გაიღვიძებს, გაფაჩუნდება,
და თუ ცოტა მივუახლოვდით —
მოგვეფერება, მოგვათბუნებს.
როგორც ფური
თავის ლამაზ, ერთგულ ბოჩოლას
კიდეც აგვლოკავს
მოგვიმტკიცებს,
თბილ და აავსე ჯიქანს მოგვიშვერს.
ჯერ კი ღამეა
და შიშით ვერ გავკარებივართ.

ჯემალ დობორჯგინიძე

●

სისხლი, რომელიც ჩემში ჩაღვარე,
სული, რომელიც ჩემში შთაბერე,
ფერი, რომლითაც შეგიღებივარ,
აზრი, რომელიც შენ შთამაგონე,
მაძლევს ამ სახეს.
ამ სისხლს რომ დაღვრი,
სულს რომ წაიღებ,
აზრს რომ დაჰბინდავ,
ფერს გაახუნებ,
მე ისევივე შევიქნები
ზუსტად იმ სახის
რაიც ვიყავი.

●

დავამხსვრიეთ ყველამ ჩანგი
მოგონილი მოტივებით,
შეგვრჩა სტვირის ერთი ჰანგი,
ძველებური მოტირებით.
ვაოგხებით გვიკჭერს მრევლი,
ძარტო ღოცვით რაოა ვარგოთ?
ეამოსოგეა გვინდა ცრემლის,
წრფელი ცრემლიც არ დავკარგოთ.

ნიჭი ამსხვრევს ყველა ბორკილს
დაძლევს ყველა საჯილდაოს,
მთებმ ერთი „შინა ორგილ“...
მთებო ერთიც „საჯიდაო!“
დავამსხვრიეთ ყველამ ჩანგი,
მოგონილი მოტივებით,
შეგვრჩა სტვირის ერთი ჰანგი,
წინაპართა მოტირებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლტოლვა

„ბეგა დიდარე ჩემი,
თუთა ბუმა ჩემი,
ხვიჩახვიჩა ბურიცხეფი
და დო ჯიმა ჩემი.

(ხალხური).

გაყრილან ჩემი დედა და მამა,
მზე დედაჩემი, მთვარე მამაჩემი,
მზე რომ მთელი დღე შემომციცინებს
ღამით ქურდულად დამხედავს მთვარე,
ზოგჯერ სრულებით არა ჩანს იგი,
ვინ იცის ვისთან ვახშმობს და ხაროობს?
...და ვარსკვლავები ჩემი და-ძმები,
ტირიან, ღამით ეძებენ მამას,
შეგხვედრიათ ციცინათელები?

— ჩემი და-ძმების ცრემლებია.
მზე დედაა ჩემი, მთვარე მამა ჩემი,
გაყრილან ჩემი მშობლები
და ახლა ჩემი ცოდვით სავსენი,
ერთურთს სირცხვილით ვეღარ ხედებიან
და მარტო მიწა-ადამიანი
ვოცნებობ ჩემს ლამაზ და-ძმებზე
...და კოსმოსისკენ მიილტვის სული.

ურბანიზაცია

ძაგძაგებს
ბერი ბუხარი
უკანასკნელი
ამოსუნთქვის
წამი
აშინებს.

...და იქ, ქალაქში,
სოფლად
დაყრუებულ
ბუხრების
კვამლი
ყველა
ერთად
ამოდის.

უნდა მოხვიდე!

უნდა მოხვიდე,
უნდა მესტუმრო,
ამ მარტოობას გადამარჩინო!
უშენოდ ერთ წამს ვერ გავძლებ თურმე.
გავხდები ლეში — სავის არჩივი.
უნდა ავიკრა გუდა-ნაბადი,
და ღამე ვიცე თავს ვით კომბალი.

უშენოდ აბა რა მაბადია?
ლოყები — მწუთხე ცრემლით მომბალი,
შუბლი-ფიქრების ჯოგის ნაწოლი,
თვალები — სულის ჭები დამშრალი
უნდა მოხვიდე, სიტყვავ, მესტუმრო,
ამ მარტოობას გადამარჩინო!

კარლო ტაბატაძის 50 წელი შეუსრულდა. „ცისკრის“ რედაქცია მწერალთასაინ მეგობელთან ერთად გულითადად ულოცავს მწერალს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს.

ქუჩა სკოლასთან მთავრდება

(მოთხრობა)

ჩვენი ქუჩა. როგორც კი ოცდამეერთე კორპუსს გასცდები, ერთბაშად უხვევს და ზედ სკოლის წინ მთავრდება, აქ მთავრდება ქალაქი და იწყება ხეტყუები. ბუჩქებით და მინდვრებით... წარმოიდგინეთ მთის ფერდობი, რომელზედაც მიაკლავნება მოახფალტული ქუჩა: ცხრა და თექვსმეტსართულიანი თეთრი სახლებით, აქ ბეები ჩემი ბნისა, ბევრიც შემდგომ დარგული, — ტანდაბლები და ბოყოლეები. ესაა თბილისის ერთერთი ახალი მიკრორაიონი.

ამ მიკრორაიონის მშვენებაა ჩვენი სკოლა. — ოთხსართულიანი თეთრად შეფეთქილი შენობა, ნათელი საკლასო ოთახებით, დიდი სპორტიული დარბაზით, სადაც თავისუფლად შეიძლება ითამაშოთ კალათბურთი, ფრენბურთი. მინი ფეხბურთიც კი... ახლა საკქო დარბაზს ან ეკითხავთ? ეს შენობა სწორედ მაშინ აგება, მე რომ ექვსი წლისა გავდი. პირველ სექტემბერს დედაჩემმა წამიყვანა სკოლაში. სწორე გითხრათ, არც მაინცდამაინც მეხალისებოდა. მაგრამ ასეა საჭიროო. უნდა ისწავლოო.

ეზოში ჩემს მომავალ ამხანაგებს უკვე მოეყარათ თავი. მაშინ შევხვდი პირველად დათო მასხულიას და ანზორ მეზურინიშვილს. ამბრაზაშვილ გუიოას და ჯაჯა იაშვილს სამავლო ბაღიდან ვიცნობდი. ჩავშეკრიგდით სკოლის წინ და კარის გაღებას დველოდეთ. მასწავლებელი რაღაცაზე ესაუბრებოდა მშობლებს. მე კი კარს მივჩერებოდი და ეფიკრობი. ნეტა არ გაიღებოდეს-მეთქი. რატომღაც პირველად ძლიერ შემეშინდა, თუმცა მაინც ტრესებდა, რა ხდებოდა სკოლაში. მასწავლებელი საუბარს რომ მორჩა. სახელურს მისწვდა. მაგრამ კარი არ გაიღო, მთელი ძალ-ღონით დაეჯაჯგურა. „არა, არ გაიღებას!“ გამიფლავა გუნებაში. კარი მართლაც არ გაიღო, შეგნიდან ეიღა ქალმა ხელით გვანიშნა. მერე კარიდან შემოდითო, დაწყვილებულები წაგვიყვანეს, სკოლას შემოგვაკარეს და უკანა კარიდან შეგვიყვანეს. საშველი არ ყოფილა-მეთქი, გავიფიქრე მაშინ, რად უნდა სკოლას ორი კარი?

ასე გავხდი მოსწავლე. მალე მთელი სკოლა იცნობდა ჩვენს ხუთეულს! მეექვსე კლასში გადასვლისას, განსაკუთრებით ჩვენ სამს: მე, გურიას და დათოს, უკვე მოხვეული გვქონდა უვიცების, ცელქების და, რაც მთავარია, უსატრონობის სახელი. ჩვენ კი არც ისე უსატრონოები ვიყავით: მამაჩემიც და დედაჩემიც „ელექტრომაპარაგში“ მუშობენ, მამა მწნეხველი ტექნოლოგია, საამქროს უფროსი. დედა კი დამბარისხებელი, ზის კონვეიერთან და ტრანსპორტიორი ნაკეთობები რომ მოდის, მათ ათვალიერებს, წუნდებულს გვერდი ყრის, კარგს კი შემფუთველი საამქროსკენ აგზავნის. ამავე ქარხანაში მუშობენ დათოს და ვაჟას მამები. ვაჟას მამა ინჟინერია, ხოლო დათოსი — ამწეობი ზეინკალი. გურიას მამა მძღოლია, ერთ დღეს რომ „იკარუსზე“ ზის, ორ დღეს ტაქსს დაკვრილებს. ანზორს მამა არა მუაეს, დედა კი, მგონი, მუსიკოსია. ვაჟას და გურიას დედებიც მუშობენ, ვაჟასი — რომელიღაც საპროექტო ბიუროში, ხოლო გურიასი — უნივერმაღში.

დათოს ოჯახი წვრილშვილიანია, ხუთი დამბანი არიან! მათთან ყოველთვის მხიარულობა და თავისუფლებაა, გვკოტრიალდებით ხოლმე იატაკზე და გიყვარდეს ჩუკუ-ჩუკუს და რუ-რუს ძახილი, თან ზღაპრებს ეუვები და ბავშვებიც გულისყურით მისმენენ. როგორც კი თენდება და ჩვენი შობლები სახლიდან გადიან, მარტონი ვრჩებით, მერე სკოლისა და მასწავლებლების ანაბარა ვართ, ხოლო გაკვეთილები რომ მოავრდება, ეჰეი-იქით ფანაურდობთ, რა გვენაღვლება! გაკვეთილების გაცდენაზეც არ ვამბობთ უარს. მაგრამ ერთიმ

სახიფათოა, შეიძლება მილიციას ჩაუვარდე ხელში, ატედეს ერთი ამბავი, მერე მშობლებს დაიბარებენ... მაგრამ. აბა, ვინ არ გაბარული სკოლიდან, მით უმეტეს. როცა სახაბი გაკვს.

მათ მეტაკას ხანდაზმული ქალი გვაწყვეტლდა, პენსიონერი, ძალიან უცარცა. ხშირად ავადმყოფობდა, გაკვეთილებიც გვიცდებოდა, მაგრამ შემცცლელი არავინ ჩანდა. ერთხელ ვუცადეთ, ვუცადეთ და რომ აღარ მოვიდა, ეზოში ჩავედით. მზეგნიერი მზიანი ამინები იდგა. ბალმა ყველი თბილინი და მამადავითი მოჩანდა, ფუნიკულიორზე ტრამვაი ადი-ჩამოდიოდა. ერთხანს გავაკვირდით, მერე წარმოვიდგინე. რომ კარუსელში ვიჯეკი და ციბრუტი-ვით ვტრიალებდი, ბიბეს მივუბრუნდი და ვუთხარი, მოდით, ფუნიკულიორზე გავიფრინოთ-მეთქი. გავფაცრინოთო. დამეთახმნენ უცბად და მე. ვაუ, გურიკა. დათო და ანზორი თავვე დავეშვით, მალე მეტროპოლიტენში ამოვეკიანი თავი, უნდა გენახათ. რა ფლეი ეიუკვი — აწყვეტილი ბბორებივით მიკუნტრუშობდით.

საბაგირო ჯზის კალთამ გრიალით გადაუტრალა სახურავებს, მერე ფერდობზე შეფენილ ფიჭვის კორომს და სულ მალე პარკში აღმოჩენდით. ცხელოდა და, უპირველეს ყოვლისა, ნაყინი მოგვიხდა, შევაგროვეთ ფული, ვისაც რამდენი გვქონდა, ნაყინი ეიუდიეთ და ხეივანში მიმავალ ბილიკს გავუყვეთით.

— ბიბეკი, მოდით პლანეტარიუმში შევიდეთ! — იყვირა ვაუამ.

გურიკას ისე შეეშინდა, კინაღამ ნაყინი გაუვარდა, მიმოიხედა და რომ დარწმუნდა, არაეითარი საშიშროება არ მელოსო, თქვა: პლანეტარიუმში რა გვინდა, კარუსელით გავიფრენრნომი. ეს ბზარი ყველას მოგვეწონა და აღმართს შევუყეკეთ, მალე დიდი წრიული კარუსელიც გამოჩნდა, მართალია, გაგანია სწავლის პერიოდი იყო და ყველა გაკვეთილებზე უნდა ყოფილიეო, მაგრამ იმხელა რიგი დაგვხვდა. გაოცდებოდით, ბავშვები მწკრივად იდგნენ, ექსკურსანტების ჯგუფნენ. ის იყო გურიკამ ხამმანეთისაკენ მოიმარჯვა და რიგში ჩადგა, რომ ჩვენი ცხელი ბიჭი მოგვიახლოვდა, ჯინსის შარვალი ეცვა და თმა მოშეებული ჰქონდა.

— კარუსელის ბილეთი გინდათ? — ჩკითხა გურიკას და პასუხსაც არ დალოდებია, დასძინა: — ვერ ხედავ, რა ამბავია, აქ ბილეთს აიღებ?! წამოდით, ურიგოდ ჩაგსვამთ კარუსელში.

— წავიდეთ! — თქვა თავდაჯერებით გურიკამ, რიგიდან გამოვიდა და ბიჭს მიჰყვა. თანეზებივით ავედექვენი.

რადაც ჯიხურს მივუახლოვდით, ბიჭმა აქ დამელოდეთო, ხამმანეთიანი გამოართვა გურიკას და წავიდა. ჩვენ ერთხანს კარუსელს მივჩერებოდით და იქ მჯდომთ ხელს ვუქნევდით, ვიცინოდით. მერე ბიჭი მოგვიახლოვდა, ბილეთებს ჯიხურსაც შეშველებოდა, რამ, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ბიჭი არსად ჩანდა.

— მოგვატყუელა, ფული დაგვცინცლა! — ოწინასწარმეტყველა ვაუამ.

„დაუჯერებელია, — გამიელვა გუნებაში,— როგორ შეიძლება სამი მანეთისათვის იცრუო, ალბათ კარუსელის გაჩერებას ელოდაო". დაველოდეთ კარუსელის გაჩერებას, გურიკას დაეა პირს არ უხსნიდა, კისერი წაეგრძელებია და ჰქეთ-ეიეთ იხედებოდა.

—მოვა მოვა! ეუცილებლად მოვა, როცა გინდა მოვიდეს, ეუცილებლად მოვა, არ ჩანდა ცუდი ბიჭი". კიბეზე დავეშვით. თვალი უკან მრჩებოდა: — აი, ახლა დაგვეწეეთ, აი, ახლა შემოგვაბეგს: „ბიბეკო, სად მიდიხართ, ბილეთები არ გინდათ?!"

იმ ღამით ვეღარ მოვისვენე, სულ ის ბიჭი მედგა თვალწინ, ხან დანას გვილერებდა და ფულს გვთხოვდა. ხან დაბეულ-ჩამოძოინძილი მთხოვრობდა. „ნეტა რა უჭირდა ახეთი?" ვფიქრობდი და ძალიან მინდოდა ის ბიჭი ბკვიანი და კეთილი ყოფილიყო. დილით, სკოლაში ზახასხელლად რომ გავემზადე, მამას ვთხოვე, სამი მანეთი მომეცი-მეთქი.

რისთვის გინდათ? ეს მეტისმეტი იცით მშობლებმა: „რისთვის გინდა, სად მიგაქვს, არავის ნისცე, რა უნდა იყიდო?" რომ გეთხოვ, ალბათ, მჭირდება, თუ მოტყუეეს მინდა, ამაზე ადვილი არაფერია, ვიტყვე: მინა ჩაიმსხვრა, ყვავილები უნდა შევიძინოთ, ბილეთოფეკისთვის წიგნები უნდა შევიძინოთ. ან ფარდები ხაკლათ ოთახისთვის-მეთქი. ახლა ფულს ყველაფრისთვის აგროვებენ. მამა წუთით ჩაფიქრდა, მერე დიდი ხასოებით ამოიღო ჯიბიდან სამმანეთიანი, გამომიწოდა და გამაფრთხილა, ტუალეტბრალოდ არ დახარჯო.

შესვენებაზე გურიკა და ვაუა დავიმარტოხელ. ფული შევაფიალე და თავმოწონედ შევკაცე: ის ბიჭი შემხვდა და მომეცა-მეთქი. რაზელი ბიჭი, ეიეი ხომ არ ხარო. ან, გუშინ უუნიკულიორზე ბილეთისთვის რომ მიეეცითმეთქი. გაოცებულები შემომცქეროდნენ, არ დაიჯერეს, ვერც მიხვდნენ, რაში მჭირდებოდა ეს ცხელ-ცხელი ტუალეტი, ბოლოს მკითხეს, სახლში მოგაკითხო?

— ხახლში რათა? — ავიჩეჩე მხრები. — ნე და მამა ნუხელ ნათესავთან წავედით, მეტროში შეეხვდა, სად გაიპარეო, მიხაკვედურა და ფული დამიბრუნა, თუ არ გჯერათ, მამაჩემს ჩკითხეთ!

ბიბებმა ოეკნეულოდა გადახედეს ერთმანეთს, მაგრამ ბუფეტში ჩავიდეთ და რაღე ვიყიდოთ-მეთქი რომ ვთქვი, სიამოვნებით დამთანხმდ-

ნენ. მართლაც, შეხვენებაზე ნამცხვარი ვიჭიდედთ და გემრიელად შევიჭეშეთ.

— ეგ დღეი ცმაუოდილი ვიყავი, განსაკუთრებით იმით, რომ „მაღალი“ შეგვრჩა და უცნობი ბიბეის სინდისი გამოვიხიდეთ. მაგრამ კოკა ყოველთვის ხომ არ მოიტანს წყალს?

სვანეთი რევაზ მარგიანის ხელოვნებაში ერთ-ერთ ადგილს ინაზავს. ამ ადგილს ბევრ ადამიანთა ფანტაზიაზეა ალბათ მიღული მონოგრამა-ფიზიოგნომია. ბევრიც დაწერილია ამაზე და ამდენნაირ. ჩვენ ამ შეხედულებათა მბილო�d ის ლექსები მიმოგიხილეთო, რომლებშიც ავტორის მიერ განსაკუთრებული ძალთა არის ბანცდილი შუბლიური კუთხე.

რ. მარგიანის პირველი პოეტური ცდები სვანურ თქმულებებსა და სიმღერებთანაა დაკავშირებული. სწორედ შუბლიური კუთხის ფოლკლორული მოტივების და ეველაზე უფრო კი მარგანელთას ზეადარული სახის ლექსში გამოკვეთამ გაუთქვა რ. მარგიანის სახელი ჯერ კიდევ ოცდაათიან წლებში, ჩაეაეენა იგი ახალგაზრდა ნიგიერ ქართველ პოეტთა რიგებში.

სვანეთის მთელი თქმის გამოძსახველ მრავალრიცხოვან ლექსთაგან რ. მარგიანის პოეზიაში შეიძლება გამოეყოთ ცალკე ციკლი სოფელ მულახზე. პოეტი განსაკუთრებულ სულიერ სიახლოვეს გრძნობს შუბლიურ სოფელთან, რაც დიდი სიცხადეით ჩანს ლექსებში: „წყლის უსაფუთოდ“, „მულახში ერთი წყალია“, „ეახსოვს ეწყვინე გელდას ბაეია“, „ჩემი ამბარა სწყალი, ხახლი“, „ეხეე გელდა, გვაოდ“, „ეფიანეხი — ჩემი სოფელი“ და სხვ.

დიდი ხნით შუბლიურ სოფელს მოშორებული პოეტი წინასწარ განიცდის იმ სიამოვნებას, რაც მულახში ჩასულს ელოდება, ფიქრით უკვე დასტრიალებს ბავშვობის და ყრმობის ადგილსამყოფელს, შოამორეფნით აღადგენს და ლექსის პწკარებში აცოცხლებს:

წ�უსაფუოდ მულახს გაეჩნდები,
თვალს გავაყოფენ მულახრის ბალაზე,
რომ სათიბების ენახო ფარჩები
და ეეიმბრო მათს სილამაზეს.
მას შეეესრულოვს, რაც მინატრია,
ჩემს მეგობრებთან ერთად ბავეელი,
ჩემი მეფეობი ისე მაკლია,
როგორც ოდესაც სვანეთს მარალი,
(„წეს უსაფუოდ“).

მშობლიური სოფლის ფერთა და ხმათა გაჩუმეორებელი სიმფონია, რ. მარგიანის ლექსში „მულახი — ჩემი სოფელი“ დაწეებული სოფლის ელდოვანი შეეოგარეთა და დამთავრებული ამბარა ბავშვეეთ, ე

მაგრამ სულ მეფამ დამტკბარი.
მეულეხი — მთვბზე ხნიერი.
მარადი ჭაბუკურ იერით
სულ კალდზე უფრო მაგარი.

ამბოელვებელია ლექსი სვანეთის ერთ-ერთ ყველაზე მაღალმთიან სოფელ ბადიშზე, სადაც, ვინ იცის, რა დროიდან, ადგილობრივ მკვიდრ ავალიანებს დასაცავად ებრძოლ ხანარების ყველაზე ძველი თარგანი „ბადიშის ოთხთავი". ხანკოური ხელისუფლების ნლებში ბადიშელებმა ძველი მთავრობის გადასცეს. რ. მარგალნი ლექსს „სოფელი ბადიში" უძღვნის ოთხთავის მეცნიერულად შესწავლის ერთ-ერთ მეხვეურს ალადმეკის აკაკი შანიძეს, რომელთანაც ერთად უმოგზაურია ამ სოფელში. მასპინძელ სოფელს ასე მიმართავს რ. მარგალნი:

„შენთან მოვდივარ მოების ბადიში,
შენსკენ მიხმობდნენ მამა-პაპანი,
ნისლის მანდილში სუნთქავ ადიში
და მზიბლავს შენი ძველი ზღაპარი.
დღესავით გახსოვს დრო ეფრინდელი,
ზაეი, მწარე და მაინც დიდებული,
შენ ისე ჩახსარ, როგორც გიდელი.
ცოცობო კლდეზე ჩამოკიდული.
ო, შენი ყანა რარიგ მცირეა,
მაგრამ გფარავდა მუდამ მამელი,
და შენც ქვეყნისთვის შეგიწირია
განძი ათას წელს გადამალული.

ალბათ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ მურმან ლებანინისთვის განსაკუთრებით მაბლობელი აღმოჩნდა სვანეთის თემა. ზუსტი და მკაცრი, ამავე დროს გაფაციცებული თვალით ნილულია ეს ხატება: „ამწია, ამწია კალთები, ვეება, ვეება ხარები," „ფიქალი მერქანივით დფიცრული, კირი თოვლისფერად გამომწვარი", „მიწიღამაზი და ღარიბი! უმშვენიერესი ხასელები! ულამაზესი გვარები! მდინარეები ჩქარები", „ქალები ჩუმები და წუნარები, კაცები ცოტა ამაიები!", „ზრდილი და ხალმიანი ბავშვები, კაი მოტირალი ქალ-რძალი, კაი მოკართული მამკვრები" და სხვა.

სვანეთთან პოეტის პირველი გაცნობა მესტიის რაიონის სოფელ ეცერში ხდება და უკვე ნანახით აღფრთოვანებულს მაშინვე უკმაოსიოსა რა ყურობს. „სულ მინდა მოველი სვანეთის ნაბეა", ამბობს იგი და „იკადება":

ხალდეს ჭალაში ჯინვეს ავფრენ,
ალმა შეეყვეთი ბადიშის ჩრდილებს;
სხვას თე ეროფერს, სხვას თე ეროფერს,
ორს ხომ ვისწაელი „ზარსა" და „ლილეს".

მ. ლებანიძე განსაკუთრებული სიცხადით გაინიცდის სვანეთის მოსახლეობასთან სულიერ სიახლოვეს, დიდად ახარებს, რომ ეს ადამიანები „სულით ხორცამდე ჩემი ხალხია":

მინდა ჭუნერის ხნიანე გავფრენ
სვანური სიმხნე სულში ვიგულოდ.
მინდა გავიარეე მინდა გავლოიმდე,
მინდა გავფაცდეო, მინდა გავსვანდე.

მ. ლებანიძის კიდევ კიდევდან მოველია სვანეთი, ყოფიერ უშგულს, ყოფილა ბადიშს — თეთნულების ძირთან, განსაკუთრებული შთაბეჭდილებანი ოფეულ ხალდეში მიუღია. პოეტი, რასაკვირველია, მანამდე იცნობდა ხალდეს ტრაგიკულ წარსულს, მის სისხლიან ისტორიას და ეი, „ეკოოზეო ხალდეს სევდით ალავსებს ლექსს:

ვით ირმის რქები მონადირის ქოხს,
ანუ ეშვეები გარეულ ტახის,
ვით ძველი თოფი ძველ ესპარულ ნოხს, —
„ჩვენის კოშკები უშგულს და ლახირს;
„შენ რქამოტეხილის მგავხარ ნეკერას, შენ ვინ დაგტოვა უკოზეოდ ხალდეგ?!" სინანულია დაყოლებს ამ სტრიქონებს პოეტი.

ხალდეს ძნელებდი წარსულის უსიამოვნო ანარეკლი რომ ნუთიათ დაალნინებს, პოეტი მალევე შეიგრძნობს თანამედროვეობის სასიკეთო ძვრებს და სევდა კანონზომიერი სიხარულით იცვლება:

მაგრამ დღეის დღეს ბეგგუნეგ „ლილეს",
არცა ხვალის ღღეს, გაპკურეგ მოუდედ,
ლეტეგ ლანქერეთი გახეხილ ტრინეს
ისევ ჭალიანარ ანწვილის ბუდედ.

პოეტმა „ოთხთხრობა გურამ ჩეგიანზე" დიდი სიყვარულითაა გამთბარი. ადამიანები, ცხოველები, სულიერი თუ უსულო საგნები, ერთ ყინულოვან მასაგან გადაბმულ-შედფილაბული ხუთი მწვერვალის — თეთნულდის, ჭანდას, ალალმას, პუშკინისა და რუსთაველის პიკების თაიგული, იმათის შუა ნელ-ნელა ამოცოცებული ბუნ — ყოველივე ეს ინგგარ პოეტურ პასაჟებს ქმნის, რომელთაც სვანეთში ყოფნის გარეშე ვერასოდეს შეკმნიდა პოეტი.

მ. ლებანიძე აღტაცებული გვაცნობს პოემის გმირს: „ის იყო ჩუმად — მშვენიერი ოცი წლის სვანი, ან დიდი-დიდი ოცდაორის — ხმას არ იღებდა", „ენინ გვიზის გურამ ჩეგიანი, ოცი წლის მაბვრი", „ის დაყრდნობილი წერაკაენს ფრთხილად, პანტეერასავით ამაყნის ლბილად" და სხვა.

გურამ ჩეგიანის სახეში მხოლოდ კონკრეტული პირი არ უნდა იგულისხმებოდეს. პოეტმა ამ სახეში საერთოდ სვანეთის მთების დაბადებული და აღზრდილი ჩვენი თანამედროვე ახალგაზრდა კაცის ძირითადი ტიპიური ნიშნები განაზოგადა და ეს გააკეთა ფიალ სიყვარულით, განცდით, რეფლუნებით, რის გამოც მხატვრულმა სახემაც შეიძინა განსაკუთრებული დამაჯერებლობა და სინანატეფ.

ასეთია, მოკლედ, ახალი სვანეთის თემაზე დაწერილი პოეტური თხზულებების საერთო იდეურ-თემატიკური რეალობა, სამი ქართველი პოეტის ნაწარმოებთა მიხედვით.

ლალი ცერცვაძე

სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია და ხელოვნება

მეცნიერება, ფილოსოფია და ხელოვნება წარმოადგენს შემეცნების ძირითად ფორმას, სამყაროს ხაზოგადოებისა და თვით ადამიანის გარდაქმნის აუცილებელ ფაქტორს. მათი განვითარება პარალელურად მიმდინარეობდა. მეცნიერული პროგრესი ხშირად პირობებდა ხელოვნების წინსვლას, რასაც ნათელყოფს იტალიური რენესანსი, რომელმაც ათასწლეულის დაგვიწყებულ ბერძენ-რომაელთა ანტიკურ ხელოვნებას ახალი ღირებულებითი აზრი მისცა და ამ პერიოდისათვის აღმავალი მეცნიერული მონაპოვარი გამოიყენა. ხელოვნების გამომსახველ საშუალებათა საზღვრების გასაფართოებლად. განსაკუთრებით ფერწერასა და არქიტექტურაში. ეს გავლენა იმდენად ძლიერი იყო, რომ ლეონარდო და ვინჩი ფერწერას განსაზღვავდა, როგორც მეცნიერებას. ხელოვანნიც, თავის მხრივ, პირობებდნენ მეცნიერების წინსვლას მხატვრულ ქმნილებათა იმ უდიდესი ზეგავლენით, რომელიც ხელს უწყობდა მეცნიერული აზრისა და მეცნიერების ფანტაზიის განვითარებას.

პირველად განმანათლებლებთან დაისვა საკითხი მეცნიერული პროგრესის უარყოფითი გავლენის შესახებ ხელოვნებასა და საზოგადოებაზე. ჟან-ჟაკ რუსოსა და დენი დიდროს შეხედულებანი იმ დროისთვის გაუგებარი რჩებოდა. ძნელი იყო წარმოედგინათ ის შორსმჭვრეტელობა, რომელიც დიდროს შემდეგ სოციალურ ბრძოლებში არის გამოვლენილი: „ბუნებიერი რაჰაა ეკონომიური მეცნიერებანი, მაგრამ ისინი აუხებენენ ზნე-ჩვეულებებს. თვალწინ წარმომდგებიან ჩვენი შთამომავალნი ჯიბეში გამოთვლითი ტაბულებითა და ხელში საქმიანი ქაღალდებით. უკეთ დაკვირდით და მიხვდებით, რომ ნაკადი, რომელიც ჩვენ გვხიბლავს, გენიალობისათვის უცნოა".

საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ ხულ უფრო ხშირად გვხვდება დაინტერესება ხელოვნების ბედის საკითხით. თავიანთ შეფოთებას გამოთქვამენ შილერი, გოეთე, და რომანტიკოსები, რომლებიც თვლიან, რომ ბურჟუაზიული დამოკიდებულება უარყოფით ზეგავლენას ახდენს მხატვრულ შემოქმედებაზე.

სამეცნიერო ტექნიკური პროგრესსა და კაპიტალისტურ საზოგადოებას შორის წინააღმდეგობის მიზეზების ახსნას ვხვდებით კ. მარქსთან.

მე-19 საუკუნის კრიტიკულ რეალიზმში ახლებურად დაისვა ადამიანისა და მის ქმნილებათა საკითხი. ბალზაკმა თავის ნაწარმოებებში აჩვენა, თუ როგორ იქცევა მხატვრული კულტურის ნაწარმი ყიდვა-გაყიდვის საშუალებად. ადამიანისათვის სანუკვარი აზრები, გრძნობები, რწმენა, სპეკულაციის საგანი ხდება. მაგრამ გამოსავალი, რომელზედაც ცდილობდნენ მოეცნახათ პასუხი, რა თქმა უნდა არ იყო სრულყოფილი. დღეს ალბათ ძნელად მოიძებნება ადამიანი, რომელიც გაიზიარებს ლ. ტოლსტოის აზრს, რომ „რადგან მეცნიერებასა და ხელოვნებას ადამიანისათვის მოაქვს უფრო მეტი ზიანი ვიდრე სარგებლობა, ამიტომ უკეთესია თუ ისინი საერთოდ არ იქნებოდნენ". კრიტიკული რეალიზმის კვალდაკვალ სხვა ლიტერატურული მიმდინარეობებიც იჩენენ თავს, არსებულთან უკმაყოფილონი ცდილობენ ხელოვნება ჩამოაშორონ ცხოვრებას და მას დამოუკიდებელი ავტონომია შეუქმნან.

კულტურის კრიზისის ერთ-ერთი თეორეტიკოსი ჰუიცინგი შემდეგნაირად ახასიათებს ამ პერიოდს: „კრიზისული ცნობიერება მე-19 საუკუნეშიც არსებობდა, მაგრამ იგი არ იყო გაბატონებული — დეკადენტური განწყობა, უმთავრესად, ლიტერატურული მოდა იყო. მომავლის რწმენა ადამიანებმა მე-20 საუკუნეშიც — პირველი მსოფლიო ომის შემდგომ პირველ წლებამდე შეინარჩუნეს. მხოლოდ ამის შემდეგ მოიცვა ცნობიერება კულტურის

კრიზისმა, ამის შემდგომ გაზდა იგი კრიზისული" (ე. კოდუა — ისტორიის საზრისის საკითხისათვის. 1976 წ.).

სხვათა დღეკანდელობისა გარდასული პაროკებთან სწორედ იმაშია, რომ მან საკუთრივ გამოაშკარავა ის სულიერი კრიზისი, რომელშიაც აღმოჩნდა დასავლეთის კულტურა.

მე-20 საუკუნეში წარმოშობილმა აზრმა ხელოვნების „სიკვდილის", „განადგურების", „კრიზისის" შესახებ რამდენიმე ეტაპი გაიარა. ჩვენი აზრით ამის მიზეზია მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია და მისი ზეგავლენა ხელოვნებაზე. როგორც ზემოთქმულიდან ნათლად ჩანს, მანქანიზაციის გაძლიერების საშუალება ჭარბობს ტექნიკისტურ ოპტიმიზმს. ენაზოთ რა დამოკიდებულება არსებობს მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციასა და ხელოვნებას შორის.

ამ პრობლემასთან დაკავშირებით არსებობს სამი ურთიერთსაწინააღმდეგო თვალსაზრისი. პესიმისტური შეხედულება, რომელიც გამოხატავს შეშფოთებას და უარყოფით დამოკიდებულებას მეცნიერულ რევოლუციისადმი, მის ზემოქმედებაზე ადამიანსა და კაცობრიობის ბედზე. ამის საწინააღმდეგო თვალსაზრისით, მეცნიერულ ტექნიკური რევოლუცია წარმოადგენს თანამედროვეობის, სოციალური და სულიერი პრობლემების გადაჭრის საშუალებას, და კიდევ თვალსაზრისი: რომელიც არა ერტო აღნიშნავს წინააღმდეგობას მეცნიერულ ტექნიკური რევოლუციასა და ბურჟუაზიულ საზოგადოებას შორის, არამედ ამ წინააღმდეგობის დაძლევის გზებსაც ეზიარებს.

ითქმის საუკუნეში რაც აშკარად დაირღვა წონასწორობა მეცნიერებასა და ხელოვნებას შორის და ხასრნი სულ უფრო და უფრო მეტი სიძლიერით იხრება მეცნიერების მხარეს. თითქოს გასაგები იყოს ის დიდი ინტერესი მეცნიერებისადმი, რადგან იგი გარკვეულად სოციალურ საფუძველზე იდგა — მეცნიერების წინსვლა ბიძგს აძლევს მატერიალური წარმოების განვითარებას. ეს კი სოციალური ცხოვრების ქვაკუთხედს შეადგენს. მაგრამ ის დიდი მიზეზები, რომლითაც მეცნიერებამ XX საუკუნეში სვლა დიწყო, იმ ფუნდამენტალურმა აღმოჩენებმა, რომლებმაც გაამდიდრეს ნამყაროს სურათი, ღრმა კვალი დატოვა კაცობრიობის აზროვნებაში. მეცნიერებას ურიცხვი გულშემატკივარი ეზიარა. ჭერ ფოტოგრაფია სახვი ხელოვნებას დაუპირისპირდა, შემდეგ კინომატოგრაფზე დაამყარეს იმედები, ხოლო ტელევიზია, რაღა თქმა უნდა, სიკვდილს უქადდა თეატრს. მაგრამ საკითხი ასეთ სერიოზულ ფორმა ვერ ეიღო. პატრიქმი აღნიშნავდა „ახლა ხელოვნების საყოველთაო ათვალსაწიერების დრო..." ეს სკეპტიკიზმი გადაიზარდა ტენდენციაში, რომელიც „ცივილიზაციის სახელითაა ცნობილი და რომ[illegible] ხელოვნების მნიშვნელობას [illegible] ანდენდნენ მეცნიერების როლის ამბოლუტიზაციას. ეს ტენდენცია გასცილდა დასავლეთის საზღვრებს და ჩვენამდეც მოაღწია. აქაც საკმაოდ მოიძებნა მეცნიერები, რომლებიც უარყოფდნენ ხელოვნების მნიშვნელობას და აცხადებდნენ: „პოეტები სულ უფრო ნაკლებად ფლობენ ჩვენს სულებს, ჩვენ ვცხოვრობთ გონის შემოქმედებით და არა გრძნობით". (ერეული „ფორმულები და სახეები", მოსკოვი, 1961 წ. გვ. 175).

დაისვა კითხვა — აქვს თუ არა ხელოვნებას ჩვენს საუკუნეში არსებობის უფლება — გაიმართა კამათი, რომელიც დასავლეთში გამოვლინდა „ორი კულტურის შესახებ" დისკუსიაში, ჩვენთან კი 60-იან წლებში „ფიზიკოსებისა და ლირიკოსების" პაექრობითაა ცნობილი.

საყურადღებოა, რომ ფიზიკოსები შეშფოთებული იყვნენ იმ გაუთვალისწინებელი შედეგების გამო, რომელიც შესაძლებელია მოჰყვეს მათ აღმოჩენებს. მათ წინაშე დაიხვა მორალური საკითხი: რამდენად მიუღებელი კაცობრიობის წინაშე დანაშაული? ნამდვილ მეცნიერ-მოქალაქის წინაშე დაიხვა მორალური პრობლემა; თანამედროვე ფიზიკის თვალსაზრისო წარმომადგენელი ბ. ბორი წერს — „ტექნიკური შედეგებისაგან რაოდენ მოცილებულადაც არ უნდა გამოიყურებოდეს ჩვენი სამეცნიერო, იგი მაინც წარმოადგენს ოგოლს ადამიანთა საზოგადოების ბედის განმსაზღვრელ მოქმედებებსა და გადაწყვეტილებათა ჯაჭვში".

აღსანიშნავია, რომ „ფიზიკოსებისა და ლირიკოსების" დისკუსია თითქმის დამთხვდა საბჭოთა კიბერნეტიკის აყვავების ხანას.

კიბერნეტიკა რა თქმა უნდა სრულფასოვანი მეცნიერებაა, მაგრამ რატომ გაზდა იგი გაანდიდების საგანი?! შესაძლოა იმიტომ, რომ კიბერნეტიკამ უამრავი დაარიგები განაჩინა (ცხარგეზლობო ტექნიკური მეცნიერებათა დოკტორის გრეკოვის სიტყვებით) „ელექტროფიზიკრირი გამოთვლითი მანქანები, „ჭკნინა" საკმაოდ კეთილხარისხიან მუსიკას, „წერენ" (ალ კიდევ საშეალო) ლექსებს, ჭკნიან დეკორაციული ხელოვნების ორიგინალურ ნიმუშებს და ავტორი ამას თვლის მეცნიერების შეკრულ ხელოვნებაში.

შეეკითხეთ ბავშვეეთით და საკითხი ასე დაუსვამ: — რამდენად საჭიროა ეს შეკრა მეცნიერებისა ხელოვნებაში და არის კი ეს შეკრა? ჩვენ მიგვაჩნია, რომ ასეთი შეკრა უარყოფითი მოვლენაა და დამღუპველი ხელოვნებისათვის. იქნებ უფრო ზუსტი იქნებოდეს, ავტორს

რომ ეთქვა, მეცნიერება შეითავსებს ხელოვნებასო. ანდა: უფრო ზუსტად მეცნიერება შეიცვლის ხელოვნებასო. რატომ გამოიჩინა ავტორმა სიფრთხილე, იქნებ იმიტომ, რომ მართალია „მანქანები ქმნიან საკმაოდ კეთილშობილნიან მუსიკას“. მაგრამ ჯერ არც ბახის, არც შოპენის და არც სტრავინსკის მსგავსი არ შეუქმნიათ — „წერენ (ჯერ კიდევ საშუალო) ლექსებს“. მაგრამ განა რუსთაველის ან პუშკინის პოეზიას გაუპატიურებიან?

შესაძლოა სხვა მიზანი დასახეს მანქანების შემქმნელებმა — ნუ შეიწუხებთ თავს საშუალო ლექსის წერით, მანქანა შესძლებს ამასო? ამ შემთხვევაში ეს იგივე იქნება, რომ ადამიანს უბრძანონ არ იმღეროს! არ იტიროს! უბრძანონ, რომ არ უყვარდეს.

ადამიანზე, ეროი და იგივე ნუსხი აგებულია, ეროი და იგივე სტრუქტურის მქონე ვითარება არ აბდენს თვისობრივად მუდამ ეროი და იგივე ხასიათის გავლენასა და შთაბეჭდილებას. ამიტომაც კანადები უნდა იყოს, რომ შეუძლებელია წარსულის გამოცდილების საუფეველზე შეკიმუშაოთ რაღაც ისეთი მითითებები, რომელთა მიხედვით „დაშაადებული“ პროფუტკები აწმყოსა და მომავალშიც მუდამ სრულფასოვანი, ახალი ლექსის ღირებულებისა იქნებიან. ადამიანთა ინტერესების ცვლილება ანალიზობებს ეწმიდა ალკმადი ვითარების სტრუქტურის ცვლილებას. ამიტომაც შეუძლებელია ლექსის წერის მუდმივ კარგი ინფორმაციებიან, ანუ „ალგორითმის“ შემუშავება. ხოლო, ცხადია, რომ მანქანა ამგვარი „ალგორითმის“ გარეშე ვერ იმუშავებს“. (ზ. კაკაბაძე. წერილები). ამიტომ ყოველი ახალი „შემოქმედების ნიმ“ მას უნდა მიეცეს ახალი პროგრამა. უნებურად გვახსენდება ეკზუპერის „პატარა უფლისწულის“ საუბარი ნულის შეცვლელი ანებით მოვაჭრისთან, რომელმაც აუუნესა უფლისწულს, რომ ეს ანი კეთრის განმავლობაში ადამიანს უზოგავს ერ წუთს. „მე რომ თავისუფალი ორმოცდაცამეტი წუთი ნქონდეა — გაიფიქრა უფლისწულმა — მე უბრალოდ წყაროსთან წავიდოდი“.

იქნებ გავიხსენოთ, რომ ადამიანის აუცილებელი სულიერი მოთბრენილებაა „წყაროზე წასვლა“ და როგორი უნიკრსალური მოაზროვნე მანქანაც არ უნდა შეიქმნას, იგი ვერ შეცვლის ადამიანს. ადამიანს მანქანისაგან განსხვავებს ემოციურობა, ინტუიცია, ნების თავისუფლება. მისთვის ნიშანდობლივია ის, რომ გონებაში ერთმანეთს შეეხაცვლება ემოციური და რაციონალური, რომელთა გამოცალკევება ერთმანეთისაგან შეუძლებელია. მათი ერთობლივი მოქმედება შემოქმედ ადამიანში იწვევს „განათების“ ეს „განათება“ ადამიანის შემოქმედების თავისებურებაა.

მანქანა იღებს დაპროგრამირებულ ბანალურ ადამიანის ცხოვრების დაპროგრამირებულ ... იძლევა. ადამიანი თავისუფალი ნების გამამხაგეთია. ადამიანის საქციელი მისი „მე“-ს გამომმხატველია, ის ირჩევს, მისი არჩევანი მისი მიზნით არის გამარობებული. შეუძლებელია ადამიანის გაგება თუ არ გვეოფილიზენენთ მასში არჩევანის გაკეთების უნარს. აღსანიშნავია, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, რომლებიც ბუნების ობიექტურ „ანონებს“ ადგენენ, არ ძალუძთ ეუსახლონ ადამიანის ნების თავისუფლების საკითხს.

დარვინი სიცოცხლის ბოლო წლებში ამბობდა, მას რომ შეეძლოს თავიდან დაიწყოს ცხოვრება, ის შეეცდებოდა შეეანარჩუნებინა აკტივობა ტვინის იმ ნაწილაკებისათვის, რომლებიც დაკავშირებულია ესთეტიკურ გემოვნებასთან. „ამ გემოვნების დაკარგვა — წერის ის — ბედნიერების დაკარგვის თანაბარია და შეიძლება უარყოფითად მოქმედებს გონებრივ მონაცემებზე, უფრო კი ზნეობრივ თვისებებზე, რამდენადაც ასუსტებს ჩვენი ბუნების ემოციურ მხარეს“.

რა მდგომარეობაა სადღეისოდ? როგორი ხასიათისაა ურთიერთკავშირი ხელოვნებასა და მეცნიერებას შორის: შეიცვალა წარმოდგენა მეცნიერების როლზე, საზოგადოების სოციალურ კულტურულ განვითარებაში უნდა აღსდგეს დაკარგული წონასწორობა ხელოვნებასა და მეცნიერებას შორის. მაგრამ დასავლეთის მეცნიერები თავის პოზიციებს ძნელად თმობენ. ამერიკელი კიბერნეტიკოსი ლონსდელ ანუი თავის სტატიაში „პროგრამირება როგორც ხელოვნება“ იმ აზრს ატარებს, რომ მეცნიერებას უნდა დაეკვეშდებარის ხელოვნებისა და კულტურის ყველა ფაქტორი.

ერთ-ერთი აქტუალური ამოცანა, მეცნიერული ტექნიკური რევოლუციის პერიოდში, არის ადამიანის აღზრდის პრობლემა. არც თუ ისე დიდი ხნის წინათ არსებობდა აზრი, რომ როგორც კი ადამიანთა მასა იქნება მატერიალურად დაკმაყოფილებული, ის აუცილებლად, მთელ თავის ძალას მოახმარს სულიერ განვითარებას. მაგრამ ახე არ მოხდა.

პიროვნება და საზოგადოება — ეს პრობლემა, დღეს განსაკუთრებული სიმწვავით დადგა. შრომის ავტომატიზაციის პროცესის შედეგად, ადამიანმა შესაძლებელია დაკარგოს თავისი პიროვნების განფეშერმენტის გარეცდა. საკუთარი ინდივიდუალობის შეგრძნება. საფუძველს მოკლებული არ არის იმ ფილოსოფოსთა მტკიცება, რომლებიც თვლიან, რომ ბიოლოგიური ეკ-

ლალი ცერცვაძე
საბჭოთა ტექნიკური რევოლუციის და ხელოვნების

საერომენტები ჭმნიან საშიშროებას ზემოქმედება მოახდინონ ადამიანზე სამხედრო მიზნებით.

რამდენადაც ინტენსიური და ღრმა ხდება ადამიანის შემეცნების ბიოლოგიური კვლევა, იმდენად მეტი შეშფოთება და პრობლემებიც მწვავე ხდება და ეს არის გასაკვირი, რომ ადამიანზე ექსპერიმენტებთან დაკავშირებით წარმოქმნილი ეთიკური საკითხები ფართო განხილვის საგანი გახდა.

ასეთი სინამდვილის მიმართ, ცხადია, ხელოვნება გულგრილი ვერ დარჩება და მის ცალკეულ დარგებში, ყველაზე მეტად კი ლიტერატურაში, ასახავს ეს ვითარება. მაგ. ფიტ პედლერისა და ჭერი დევიის („ბეტანგ 59") ორსულთა და გვინის („9 სიცოცხლე"), კეიც ვილგელმის („გეგეზავები") ჭნეი ველფისა და სხვა. ამ ნაწარმოებებში ასახავ ახალი მიკროორგანიზმების ბიოლოგიური საშიალებებით შექმნის საშიშროება. მათ აწვალებთ კითხვა: ცდების პროცესის დროს სად თავდება ადამიანი და იწყება ცოცხალი არსების ახალი ხაე. როგორ მოქმედებს ეს ცდები არა მარტო ცდის პირებზე, არამედ როგორ მოქმედებს თვით ექსპერიმენტატორებზე.

მეცნიერი ფიზიკოსი, ცნობილი რომანისტან ჩ. სნოუს ნაწარმოებებში „სიბრძნის შემნახველნი", ასახავ ადამიანის ტკინზე ჩატარებული ექსპერიმენტთა მიმართ მწერლის დამოკიდებულება.

ერთ-ერთ ეპიზოდში აღწერილია ლორდი ჰილმორტონის, სიცოცხლის უკანასკნელი დღეები. ადამიანი, რომელიც მთელი შეგნებული ცხოვრების მანძილზე იყო ადამიანური ღირსების მატარებელი, საავადმყოფოში კვდება კიბოსაგან. თანამედროვე ფარმაკოლოგიის მიღწევები ექიმებს აძლევს საშუალებას გაუუჩონ არაადამიანური ტკივილები მომაკვდავს ადამიანური ღირსების დაკარგვის საფასურად. წამლის ზემოქმედებით ლორდი სიკვდილს ხვდება მანგვითა და ხითხითით. „ასეთი გადასვლა არაოფნაში (არარსში) ადარ უტოვებდა ადგილს ღირსებას. წარმოიდგინეთ სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში მოხითხითე ადამიანი" ავტორი თავშეკავებულად აყალიბებს თავის დამოკიდებულებას იმ შეხაძლებელ შედეგებთან, რომელიც მან, თვით მეცნიერმა, დაინახა თანამედროვე მეცნიერების მიღწევებში — დაინახა და შეძრწუნდა". (Вопросы Литературы, М., 1977, № 8).

ხელოვნება — ცხოვრების სარკეა და მწერალმა უფლა არეულის ნინამდვილე. შეძრწუნდა მწერალი, რადგან მის ნაწარმოებში უნდა ასახულიყო მეობადაკარგული ადამიანის უკანასკნელი წუთები. ყველანაკოვის ტრაგედია ტრაგედია, რომ ადამიანის ღირსების ეროვნული ... ეროვნული ... ეროვნული ...

ასეთი „მასობრივი ხელოვნების“ შედეგია მასის ესთეტიკური აზროვნების ზრდის შეფერხება, ვულგარული გემოვნების გაღვივება. „მასობრივი ხელოვნება“ წარმოადგენს ხელოვნების ოეგზოდაცვის დამახასიათებელ ფორმას. იგი ხელს უწყობს სულიერად არარაფლოფოფილი და ცალმხრივი ინოოვაციის ჩამოყალიბებას.

კოხეეიერმე მოიოოკონური ზრომით დაღლილი ადამიანები ეძებენ აღგზნებად საშუალებას და ამ დროს მათ სთავაზობენ კვლავ „ეკონომიკურ სიცვაოულს“. ხელსაფალური სცენები „მასობრივ ხელოვნების“ ნაწარმოებებს. გზა კი „ჩრეა ერთად ერთი. ადამიანი „აქცოს უგრძნობ, უსიყვარულო არსებად. ნამდვილი დიდი სიყვარული შეცვლილნ წუთიერი აგზნების საშუალებებით და ამით დაუახლოვნს უგრძნობ მაგნეტს.

ისე ნუ წარმოვიდგენთ, რომ თითქოს დასავლეთის კულტურას ჭკვებავს მხოლოდ და მხოლოდ „მასობრივი ხელოვნება“. ევროპაში ამ ნდაბალი ხელოვნების გვერდით არსებობდა და არსებობს დიდი ნამდვილი ხელოვნება. ინგლისში ახალგაზრდა მსახიობები კვლავ აზროვნიან შექსპირის პიესებზე. ოლივიეს და მისი თეატრის სპექტაკლები კვლავ შედის თეატრალური ხელოვნების საგანძურში. არც პარიზში დავიწყებიათ მოლიერი. ნაციონალურ თეატრში კლასიკოსების გვერდით იდგმება ბრეხტის, პრისტლისა და სხვათა პიესები.

საუბარი ეხება სწორედ იმას, რომ „მასობრივი ხელოვნების ტენდენცია დღესდღეობით ძლიერია, და რომ მასის აზროვანი სწორედ „ხეკს“ ფილმებისაკენ აზრდება.

სოციალისტურ საზოგადოებაში უმთავრესი მნიშვნელობისაა ხაბკოთა ადამიანის შემოქმედებითი აქტივობის და მისი ნიჭის ყოველმხრივ განვითარების სრულყოფისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნის საკითხი. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციი ამაღლებს ზრომის ნაყოფიერებას და ხელს უწყობს მასების მატერიალურ უზრუნველყოფას. სამუშაო დროის შემცირება ადამიანს აძლევს საშუალებას სულიერი და ფიზიკური განვითარებისათვის, ამიტომ დღის ნესრიგში დგას თავისუფალი დროის გაზრდის საკითხი. ეს საკითხი მეტად მნიშვნელოვანია, რადგან მასთანაა დაკავშირებული მაღალკვალიფიკაციების კადრის მომზადებისა და ყოველმხრივი განვითარებული ინდივიდის ჩამოყალიბების პროცესი, ამიტომ თავისუფალი დროის ერთ-ერთი ძირითადი მხარეა ადამიანის ესთეტიკური მოღვაწეობა.

თამამედროვე პერიოდში ხელოვნების სახეებიდან სულ უფრო მეტად ვითარდება ე. წ. „ტექნიკური“ ხელოვნება კინო და ტელევიზია, რომლებიც უდიდეს ზეგავლენას ახდენენ მაყურებელზე. უნდა აღინიშნოს, რომ ტექნიკური ხელოვნების ამ დარგებს, შესწევთ უნარი მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პერიოდში დაკმაყოფილონ მაყურებელთა მოთხოვნილება, რათა მათ მცირე დროის განმავლობაში მიიღონ ესთეტიკური ინფორმაცია.

„ტექნიკური“ ხელოვნების განვითარების დადებით მომენტად უნდა ჩაითვლოს ის, რომ ხელოვნების ეს დარგები სულ უფრო იხვეწებიან. მნიშვნელოვანი მომენტია ის, რომ „ტექნიკური ხელოვნების“ განვითარებამ ხელი შეუწყო ხელოვნების სახეობისა და ჟანრების დიფერენციაციას და მათი სპეციფიკის გამოკვეთას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კინოსა და ტელევიზიის განვითარებამ გაზარდა კომუნიკაციის მასშტაბები. და ამით კი ახალი ბიძგი მისცა ხელოვნების სხვადასხვა დარგების, კერძოდ კი, მსახიობის ხელოვნების განვითარებას. თუ თეატრის მსახიობი შემოიფარგლებოდა მხოლოდ მცირე მაყურებლით, დღეს ის ხდება მსოფლიო აუდიტორიის ცენტრში ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ მასაც აქვს შესაძლებლობა ნახოს და სხვა ხელოვანთა შეემოქმედებას შეადარის თავისი ქმნილება და ამით ამამაღლოს კვალიფიკაცია.

კინოხელოვნების (ტელევიდვის) განვითარება უშუალოდ არის ტექნიკის განვითარებასთან დაკავშირებული, კინოხელოვნების განვითარების პირველ პერიოდში არასრულყოფილი ტექნიკური აპარატი თავის დაღს ამჩნევდა იმ პერიოდის ფილმებს. მუნჯი სურათი ითხოვდა გაძლიერებულ მიმიკასა და ძლიერ მოძრაობას მსახიობისაგან (ამ პერიოდში კინო განიცდიდა თეატრის გავლენას). ხმოვანმა აპარატმა გაფართოოა კინოს გამომსახველობის ფარგლები, შესაძლებელი გახდა ცხოვრების მრავალმხრივი ჩვენება, ხოლო ახალმა ტექნიკურმა სრულყოფამ, მოძრავმა კამერამ, კინო მისცა შესაძლებლობა აჩვენოს ცხოვრების ის მარტო ჩვეულებრივი გარეგანი მოვლენები, არამედ ადამიანთა შიდა სამყარო.

აღსანიშნავია, რომ „ტექნიკური ხელოვნების“ განვითარებამ კი არ დაჩრდილა ხელოვნების სხვა დარგები, როგორც ფიქრობდნენ წინათ, არამედ პირიქით გამოკვეთა ხელოვნების ამა თუ იმ ჟანრის სპეციფიკა. მაგ. თანამედ-

ლალი ცერცვაძე
საბჭოთა ეროვნული ტექნიკური რევოლუციის და ხელოვნება

როგორ თეატრში ხულ უფრო მკაფიოდ ვლინდება ტენდენცია, ხაზი გაესვას თეატრის პირობითობის სპეციფიკას, კინოხელოვნების ბუნებრივი და ზუსტი გამოსახვისაგან განსხვავებით.

ასევე იყო ფოტოგრაფია თავისი განვითარების პირველ პერიოდში. იგი ბაძავდა ფერწერას პორტრეტულ გამოსახულებაში, გარკვეულ პერიოდში განიცდიდა იმპრესიონისტების, კერძოდ ედგარ დეგას ფერწერული ტილოების გავლენას, რომლებიც ასახავდნენ ცხოვრების ცალკეულ, შემთხვევით მომენტებს. ამან კი თითქოს ხელი შეუწყო ფოტოგრაფიის შემდგომ განვითარებას — გადმოეცათ ბუნებრივი ცხოვრებისეული სიტუაციები. ფრანგმა ფოტოგრაფებმა პუი და ლემანმმა გამოიყენეს დეგას მხატვრული ხერხი და დასაბამი მისცეს, დღეს ფართოდ გავრცელებულ ახალ სტილს, ფარული კამერით გადაღებისა — რამაც მოგვცა საშუალება უნიკალური სიტუაციების თანამონაწილენი ვიყოთ.

ფერწერის ზეგავლენა ფოტოგრაფიაში ურთიერთკავშირშია ფოტოგრაფიის ზემოქმედებისა ფერწერაზე. ფოტოგრაფიის განვითარებამ ხელოვნებას ჩამოაშორა პორტრეტისტები, რომლებიც მხოლოდ მსგავსებით ცდაყოფილდებოდნენ.

მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა დააყენა არქიტექტურის წინაშე რთული და წინააღმდეგობრივი ამოცანა — გადაწყვიტოს მასობრივობის პრობლემა და არქიტექტურული ნაგებობის ესთეტიკური სრულყოფა.

ეს ამოცანა სადღეისოდ გადაწყდა, ტიპიური შენობებისათვის შემადგენელი ნაწილების სერიული გამოშვებით. ამ მშენებლობის არქიტექტურულ გეგმარებაში ძირითადად გათვალისწინებულია. კორბუზიეს თქმით „ვიპოვოთ ადამიანური მასშტაბები, ადამიანური ფუნქციები". ამგვარად, არქიტექტურაში ახალი მეთოდის, პროპორციული მიმართების საეუძვლად დაედო ადამიანის სხეულის ზომა. საცხოვრებელი სახლებისას შემდგომ მშენებლობაში უნდა იყოს გათვალისწინებული არა მარტო ადამიანის ტიპიური მოთხოვნილება, არამედ ინდივიდუალური გემოვნებაც.

ნინო ქაჯაია

„შენი სიბერე, სიახლე ორბის“

დავითის „ფსალმუნნი, როგორც პოეტური ნაწარმოები, ბიბლიის სხვა წიგნებისაგან გამორჩეული მხატვრული სახეების სიუხვითა და მრავალფეროვნებით. ამგვარად ჩვენ შეეფებით ორბის იმ პოეტურ სახეს, რომელიც 102-ე ფსალმუნის მე-5 მუხლიდან სხვა ლიტერატურულ ნაწარმოებებშიც გადავიდა და დამკვიდრდა: „რომელმან აღავსო კეთილთა მიერ გულისთქუმაჲ შენი, განახლდეს ვითარცა ორბისაჲ სიჭაბუჱ შენი“.

ორბი, როგორც მუდმივი განახლებისა და მარადიული სიჭაბუკის სიმბოლო, გვხვდება როგორც ნათარგმნ, ისე ორიგინალურ ქართულ ძეგლებში.

ნათარგმან ლიტერატურაში ეს მხატვრული სახე დასტურდება ფსევდო-ბასილი კაპადოკიელის „ისაია წინასწარმეტყველის განმარტების“ კომპილირებულ თარგმანში, რომლის შემცველი უძველესი ხელნაწერი (A 1101, მთარგმნელი ეკვთიმე ათონელი) გადაწერილია ათონის მთაზე, 1047 წელს.

„ვიქმნენთ ბრძენ ვითარცა გუელი, რამეთუ უფალი იტ(ა)ჴს: იქმნენთო ჭკუენი ბრძენ ვითარცა გუელი (მთ. 10, 16), რამეთუ ბრძნად და მეცნიერებით განაგდებს იგი სიბერესა თჳსსა. და ჰნებავნ რაჲ აღძარცუვაჲ ძუელისა მის ტყავისაჲ, შევიდის იგი კურელსა ინროსა და ბაჭიროსა, და შეაიწრის ფრიად თავი თჳსი და ესრეთ აღიძარცეს ძუელი იგი ტყავი. ჯერ არს ჭკუე ჩუენდაცა, ძმანო, რაჲთა კიდოდეთ გზასა მას ინროსა და ბაჭიროსა და ესრეთ აღვიძარცოთ ძუელი იგი კაცი, დაძუელებულები ვნებათა მიერ, და შევიმოსოთ ახალი იგი, რაჲთა ჩუენიცა სიჭაბუჱ განახლდეს, ვითარცა ორბისაჲ (1204).“

მეორე უძველეს ძეგლში „ფიზიოლოგი“, რომელსაც სხვაგვარად „ბეცთათჳს სახისა სიტ-ტუაჲ“ ეწოდება და რომლის თარგმანიც შესრულებულია არაუგვიანეს IX საუკუნისა, უფრო ვრცლად არის აღწერილი ორბის გაახალგაზრდავების მეტად საინტერესო და ფანტასტიური სურათი:

„მერმე თქუა დავითმან: „განახლდეს, ვითარცა ორბისაჲ, სიჭაბუჱ შენი“. სახისმბეცთჳველმან თქუა ორბისათჳს: რაჟამს დამდგდნის და დაუმძიმდიან ფრთენი მისნი და განუმწეანან თუალნი, და ეძიებენ წყაროსა წყალთასა და აღფრინდის მიჭცეულად მაღალსა ჯარსა მძაფრსა მზისთჳალსა წყაროდმი და განახუოვნის ფრთენი და თუალნი შეპიშუებულნი და შეთადგის წყაროსა და იბანის სამჯერ და განგაკუჱნის. და შენცა გაკუნდეს სამოსელი ძუელისა კაცისაჲ და მოგაკლდეს თუალთა, იძიე საგონებელი წყაროჲ...“

ჩვენს მიერ დასახელებული ორივე თხზულება („ისაიას განმარტება“ და „ფიზიოლოგი“) ეგზეგეტიკური ხასიათის ძეგლებია. ეგზეგეტიკის, როგორც საჭირისტიანო მწერლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის დანიშნულებას კი ბიბლიური ტექსტების ახსნა-განმარტება წარმოადგენს.

პირველ ფრაგმენტში განმარტებულია მუხლი მათეს სახარებიდან (10,16), სადაც გველის სიბრძნე მის მიერ ტყავის გამოცვლასთან ასოციირდება, ხოლო მეორე ნაწყვეტში კი სახისმბეცთჳველი 102-ე ფსალმუნის მე-5 მუხლის კომენტარში ორბის გაახალგაზრდავების ისტორიას გვამცნობს.

ძველი ქართული მწერლობის ძეგლებიდან, ორბის მხატვრული სახე გვხვდება „გიორგი მთაწმიდლის ცხოვრებაში“, რომელიც 1066-ის წლებში დაიწერა და რომლის ავტორია გიორგის მოწაფე გიორგი მცირე. ეს ლიტერატურული ძეგლი ქართული მხატვრული პროზის შედევრია. გიორგის სათნოების სმენით და ხედვით, — მოგვითხრობს ავტორი, — „ფურად და ბაძად ღირსებისა მათისა აღვიძარდით, და ძალსა მას ხაცნაურსა სულისა ჩუენისასა, ვითარცა ორბისასა სიჭაბუკეს განვაჴბუკებდეთ“-ო.

უკვდავი „დავითიანი“ მოწმობს, რომ ვერც დავით გურამიშვილი დარჩა გულგრილი ამ ლიტერატურული სახის მიმართ:

„ჭვეანდ ძე მოკლეს უგზოლთა, არ მამა ზეს,ენელოვანთ!

იგიცა ისე განახლდა, ვითარცა ორბი ფრთოვანთ“

XX საუკუნეში ორმმა, როგორც მარადიული სიკვიცის სიმბოლომ, კიდევ ერთხელ გაიელვა გალაკტიონ ტაბიძის საუკეთესო ლექსებში: „15 საუკუნე“* და „ბიმინი ქართულ ანბანს.“

„ეაენი სიბერე, სიახლე ორბის,
15 საუკუნე ელოდა წინამორბედს,
15 საუკუნე გიყოვდა დღეისს,
ქალაქო ფენიქსო, ყრუ ღამეები
ვარფლოშეიის...“

(„15 საუკუნე“).

„მარადისი სიახლე გაქვს ორბის,
ზეაღლები გრეხილების ორფის,
გამშვენებდა ახლის წინამორბედს,
ოცდაექვსი საუკუნის წინათ“.

(„ბიმინი ქართულ ანბანს“).

ამრიგად, ორბის სიმბოლური სახეს სასულიერო და საერო მწერლობაში საუუძველად უდევს 102-ე ფსალმუნის მე-5 მუხლი.

იმბის კითხვა, რა გამორჩეული თვისებების ეკამ მიაწერა ძველმა ალოქმამ ორბს ასეთი ხაგნოელებრივი უნარი?

102-ე ფსალმუნის მე-5 მუხლის ქართული ტექსტის შედარება სხვაენოვან ტექსტებთან მოწმობს, რომ აქ საუბარია არა ორბზე jups არამედ არწივზე aquila როგორც ირკვევა. ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში სიტყვა ორბი X საუკუნის ბოლომდე იხმარებოდა ფრინველთა მეფის არწივის აღსანიშნავად.

(А. Г. Шанидзе, Названия «Орла» в грузинском языке, Исследования по истории культуры народов востока, М.-Л., 1960; 140—143).

ბასილი კაპადოკიელის „ეკუსთა დღეთაჲსაჲ“ უძველეს ქართულ თარგმანში, რომელიც შესრულებულია ანონიმის მიერ არაბული ენიდან X საუკუნეში, არწივის აღსანიშნავად იხმარება სიტყვა ორბი, ხოლო ორბისა — ჯიბოლი. ამ უკანასკნელს ჩვენ ვეკუთვნით სხვა ძეგლებში ვერ მივაკვლიეთ.

X საუკუნის ბოლოს ბერძნულიდან ენიდან ინტენსიური თარგმნის დროს ფსალმუნთა ტექსტებში კონტაქტების აკვავების ქართულში, ჩანს, დაისვა ამ ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული ფრინველის გამიჯვნის საკითხი. ეკვთიმე ათონელმა „იოანე მახარებლის ამოკალიპსის“ ქართულ თარგმანში პირველმა ორჯერ შეიტანა თავისი ნამდვილი მნიშვნელობით სიტყვა არწივი.

ეკვთიმეს შემდეგ ასევე მოიქცა გიორგი მთაწმიდელიც. ბასილის „ეკუსთა დღეთაჲსაჲ“ თარგ ნში. აქ ჯიბოლი ალარ იხსენიება. სახელწოდებებმა ორბმა და არწივმა შესაბამისად დაიკავეს თავიანი კანონიერი ადგილი.

სამაგიეროდ, „ფსალმუნთა“ ტექსტის მისეულ რედაქციაში, რომელსაც საფუძვლად დაედო კიდევ უფრო ძველი ქართული თარგმანი, გიორგი მთაწმიდელმა 102-ე ფსალმუნის მე-5 მუხლში არწივის აღმნიშვნელ სიტყვად კვლავ ორბი დატოვა. თუმცა ცნობილია, რომ მთარგმნელი თავის რედაქციას ბერძნულ ტექსტზე დაყრდნობით აზუსტებდა.

XVII საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო ქართული ბიბლიის გამოცემისათვის მზადება. ცნობილ „მცხეთის ბიბლიაში“ (А 51), რომელიც იწერებოდა და მზადდებოდა როგორც სასტამბოდ განკუთვნილი დედანი, შეიტანეს „ფსალმუნნის“ გიორგი მთაწმიდისეული რედაქცია.

სულხან-საბა ორბელიანმა დიდი და რთული სამუშაო ჩაატარა ქართული ბიბლიის ტექსტის დადგენისა და გამოსაცემად მომზადებისათვის. საბას ამ დროსაც შეეძლო შემეჩნია 102-ე ფსალმუნის მე-5 მუხლის ქართული თარგმანის სხვათა ამავე მუხლის სხვაენოვან ტექსტებთან, მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს მომენტი საბამ შენიშნა ჯერ კიდევ ლექსიკონზე მუშაობის პროცესში, რომლის დროსაც იგი ბიბლიური წიგნების ლექსიკას ეცნობოდა.

აი, როგორ განმარტავს ორბს საბა თავის „ლექსიკონში“. „ორბი (11, 15 ლევიტ.), რომელი ფრინველი ასაკითა დიდ არიან, ადვილად აღმავალ ჰაერთა სიმაღლისა, ყოველთა მძორთა მჭამელთა ეწოდების, ხოლო ფსალმუნის თარგმანი არა ორბისა განაზღვებასა იტყვის, არამედ არწივისასა, რომელ არს ბოლო თეარი და წყლის პირას მებუდრობს თევზის ჭამისათვის (ფს. 102, 5), ხოლო ნებისიოს ყოველთა ჭანჭაიანთა და კოტცთა მჭამელსა ფრინველთა იტყვის ორბად“.

---

* 1980 წლის 14 მარტს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებულ წერილში „შენი სიბერე — სიახლე ორბის“, მწერალი გ. ასათიანი გამოთქვამს აზრს, რომ გალაკტიონის ლექსის „15 საუკუნის“ მთავარი სიმბოლო, სათავეს ვაჩუშტის შემოქმედებაში იღებს.

„ფსალმუნნის“ გიორგი მთაწმიდისეული რედაქციას არც ხანა შეხვ[illegible] „ეროლელთა ბანგითნთა და ეროკის მკვლელ ფრანფელთა“ ზოგადი სახელწოდება ორბი უცალელად დარჩა „მცხეთის ბიბლიაშიც“.

სამა ბიბლიოურ ტექსტში ცვლილების შეტანას მოერიგი, მაგრამ თავის ერთ-ერთ, ორიგინალურ თხზულებაში, („სწავალა ცოდვასა ზედადაუდგარნოლობისათვის“), სადაც ისევ და ისევ ორბის „განქაბუკებაზე“ უნდა იყოს საუბარი, სახელწოდება ორბი არ ფიგურირებს. „არწივნი“ რა დაბერდებიან. ალფრინველებიან ჰაერთა შინა და მუნით შოთხდებიან ზეყოროსა რასმე შინა და განაახლდებიან და განქაბუკენიან სიბერისაგან“.

ამრიგად, „ფსალმუნნის“ ავტორი განქაბუკების უნარს მიაწერს არა ორბს, არამედ არწივს, ფრინველს, რომელიც წარმართულ ხანაში ძირითადად სულისა და სიმაღლის სიმბოლოდ ითვლებოდა და მზეს კამოსაგავდა. ქრისტიანობაში კი იგი განსახიერებს წინასწარმეტყველთა სულს, ლოცვას მიმართულ ღრმთისადმი. წმინდა იერონიმეს მიხედვით არწივი არის ამაღლებისა და ლოცვის ემბლემა. მაქსიმე ტურინელისა და წმინდა ამბროსის აზრით 102-ე ფსალმუნის მე-5 მუხლში არწივის განახლება უნდა ნიშნავდეს ადამიანის განახლებას მონათლვის გზით.

არწივის სიმბოლიკა მეტად მრავალფეროვანია, მაგრამ განახლების უნარს მას მხოლოდ ფსალმუნის ზემოაღნიშნული მუხლი და მასზე დაფუძნებული წყაროები მიაწერენ. შემდგომმა კვლევამ ცხადყო რომ ფსალმუნში არწივის ნაცვლად სხვა ფრინველი იგულისხმება.

1970 წლის 8. დაუდგა გამოსცა „ანკორის ბიბლიის“ მორიგი სამი ტომი. დავთის „ფსალმუნნის“ უნიკალური თარგმანი ინგლისურ ენაზე. თარგმანს თან ერთვის ფილოლოგიური ხასიათის კომენტარები. ჩვენთვის საინტერესო მუხლის კომენტარში მ. დაუდი აზიარებს ადრე არსებულ აზრს იმის შესახებ რომ 102-ე ფსალმუნის აღნიშნული მუხლში არწივის ნაცვლად უნდა იგულისხმებოდეს მითიური ფრინველი ფენიქსი. ფენიქსის ისტორია ამოიკითხა მეცნიერმა აგრეთვე იობის წიგნის 29-ე თავის მე-18 მუხლშიც, თუმცა კლასიკური ბიბლიის ამავე მუხლში ფენიქსს ფინიკის პალმა ცვლის.

ამ საკითხისადმი მიძღვნილ ბაგანგების ნაშრომში ლინგვისტური ანალიზის გზით მ. დაუდმა დაასკვნა: „ფენიქსის ლეგენდის ძირითადი ელემენტი გვაქვს იობის წიგნის 29-ე თავის მე-18 ბუსლში. ეს ფრინველი თავისი სიცოცხლის ბოლოს (500, 600 ან 1461 წლის შემდეგ) თავს იწვავდა საკუთარ ბუდეში და შემდეგ ნაცრიდან ადდგებოდა ხრესლად ნორი, რაოა ცხოვრებას ხალი ცოცხალ ბიოლ[illegible] ფენიქსს, ადდგა[illegible] ლეგენდა ამ[illegible] ...“

ამგვარად, ძველი ალიანა თავიდან იცნობდა ფენიქსს. მაგრამ იობისა და ფსალმუნთა ნიგნებში ეს სხვადასხვაგვარად არის ნოსხლიებული, პირველ შემთხვევაში ჰაქმე უნდა გვაინდეს მცდარ წაკითხვასთან (ფენიქსი/ფინიკი), 102-ე ფსალმუნთან დაკავშირებით კი ალენიშნავთ, რომ ძველი წყაროები და მათზე დაფუძნებული მრავალფეროვანი საკნობარო ლიტერატურა ფენიქსს გარეგნული ნიშნების მიხედვით რატომღაც ამსგავსებენ სწორედ არწივს. ძველი ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე ამგვარად აღწერს ფენიქსს: „არის კიდევ სხვა წმინდა ფრინველი სახელად ფენიქსი. მე ის არ მინახავს, მინახავს მარტო. მისი გამოსახულება, რადგან ის ძალიან იშვიათად მოდის, დაახლოებით ხუთას წელიწადში ერთხელ... მისი ფრთების ნაწილი ოქროსფერია და ნამდვილი წითელი. ადნაგობითა და სიდიდით განსაკუთრებით არწივს ჰგავს...“ ამის შემდეგ ჰეროდოტე გადმოგვცემს, თუ როგორ მიაქვს ფენიქსს მამის ნეშტი არაბეთიდან ეგვიპტეში და მარხავს მას ჰელიოსის ხალოცავში. ლეგენდაში არაფერია ნათქვამი ფენიქსის მიერ კოცონზე საკუთარი ნებით საზღიმო დაწვნის და ფერფლიდან ხელახალი აღდგომის შესახებ.

ეგვიპტელ საკნობარო ლიტერატურაშიც ხაზგასმულია: „ფენიქსი ხაარკო ფრინველი, „არწივის სიდიდის...“, „ფენიქსი არის მითიური ფრინველი არწივის ზომის და ხოხბის დამახასიათებელი ნიშნა-თვისებების მქონე...“ ჩინეთში კი არა არწივი, არამედ ფენიქსი ითვლება ფრინველთა მეფედ და მზის სიმბოლოდ.

როგორც ცნობილია, მითი ფენიქსის შესახებ მომდინარეობს ეგვიპტედან და ისევე ძველია, როგორც ეგვიპტის ცივილიზაცია. პირველ ხტადიაში ეს იყო წმინდა ფრინველი ბენუ — ყანჩა, რომელიც ნილოსის ნაპირებზე ბინადრობდა, იკვებებოდა თევზებით და რომლის სახელიც უხსოვარი დროიდან დაკავშირებული იყო ნილოსის ადიდების შესახებ შექმნილ მითებთან. შემდეგ ფრინველი ბენუ განსახიერებდა ღვთაება რა — მზის ღმერთს, რომელიც ყოველ დილით ამოდიოდა აღმოსავლეთიდან და კვდებოდა საღამოობით. საუკუნეებმა ეს ფრინველი უკვდავი შარავანდედით შემოსეს. ფენიქსი, რომელიც ეგვიპტური მითოლოგიის თანახმად წარმოადგენ-

ნინო ქაჯაია

„ შენი სიკვარე, სიასლე ორბანს“

და მზის ღვთაება რას სულის (ღვთიური ძალა გამომდინარე ღმერთთან მზიური სინთეზისგან) ხორცშესხმას. ბინადრობდა ჰელიოპოლეში, რას ტაძარში, სადაც მას თაყვანს სცემდნენ როგორც ღვთაებას.

როგორც აღნიშნა ფრინველი ბენუ იყო არა არწივი, არამედ წყლის ფრინველი ყანჩა. (Ardeu cinerca).

ეგვიპტელთა ბიბლიად წოდებულ „გარდაცვლილთა წიგნში" (რომელიც საბოლოოდ ჩამოყალიბდა ძვ. წ. 1550 წ). უძველეს პაპირუსებზე გამოხატული ფენიქსი, გვიანდელ წარმოდგენათაგან განსხვავებით, ლურჯი ფერისაა.

ამ წიგნის მიხედვით ლურჯ ფრინველს გაწუწმიანები მნიშვნელობა ენიჭებოდა ეგვიპტურ მიტოლოგიებში. ქველ ეგვიპტელთა წარმოდგენით ცხოველი, ან ფრინველი შეიძლება უოფლიყო რომელიმე ღმერთის სული. ამ თვალსაზრისით ფენიქსი უკავშირდება ღმერთებს რასა და ოზირის. „გარდაცვლილთა წიგნიდან" საკირო ფორმულის მომპობით, მაცცალებული, რომელიც ღებულობდა ფენიქსის სახეს, თვითონ ხდებოდა რა, ან ოზირისი მათი ღვთაებრივი შესაძლებლობებით. სპეციალური ლიცვის შემდეგ, რომელშიც იგი ოთხკერძოდან განთავისუფლებას, საფლავი იხსნებოდა, გაღვიძებული მიცვალებული შვიდი ვეკერში სატკვნის საშუალებით იბრუნებდა სიწყნარედეს და პირველადელ მთლიანობას. ამის შემდეგ ის გამოჩნდებოდა ცაზე როგორც მიკაკშეში ვარსკვლავი და მიდიოდა ჰელიოპოლისში, მზის წმინდა ქალაქში.

შემდეგში ფენიქსის სახელი უკავშირდება იმ სამეფოთმოქმედი კულტებს, რომლებიც გამაგრებდნენ ყოველწლიურ სიკვდილს და აღდგომას აქედან იწყება უფრო განვითარებული სიმბოლიზმი. ფენიქსის სახეში ჩანს დროის გამოხატულება, დროის, რომელიც ეჩენს და აერამს სიცოცხლეს და სულიერ არსებებს. ამ სტადიაზე ბეიეენ ჰეროდიტემ ფენიქსი.

ბერძენთა გონების მითიურ და პოეტურ წარმოსახვას არ შეეძლო უუფარაფლებლად დაეტოვებინა ფაბული, რომელიც ერთდროულად ფრმატფილიც იყო და დაკვირვული სხვადასხვა მნიშვნელობებით. ანდი-ეფროპელებს არ ეშინოდათ კოცონის იმ ბალხისაგან განსხვავებით, რომელიც თავის მიცვალებულს მუმიის სახეს აძლევდა. ლეგენდის ბერძნული ვარიანტის მიხედვით ფენიქსი ჰელიოპოლისში მიფრინავს და თან ბამბიანის სხეული მიაქვს დასაწვავად.

ფენიქსის მითის ვარიანტები დანალექები პასუხობენ ადამიანთა ფიქრებს საკუთარი ხვედრის შესახებ და ასე, თითქოს ერთ წერტილში, ხელახლა დამდებულნის და მოკვდავის გარშემო თავს იყრის მეტაფიზიკური, ეთიკური და სხვადასხვა რელიგიური ... ადამიანადმი მიტანილ[illegible] რაზეთის სიბრძნე, რომის პოლიტიკური რწმენა და რელიგიური იმედი აღდგომის.

იდეოლოგიური ბარმონიები, რომლებსაც აღვიძებს ეს ფრინველი, პასუხობენ სავრცო რელიგიურ თემებს და ადვილად ესადაგებიან სხვადასხვა თეოლოგიურ მოძღვრებას.

ფენიქსის მითი, როგორც წარმპრონულ, ისე ქრისტიანულ იდეოლოგიაში აღდგომასა და უკვდავებას გამოხატავს. ქრისტიანები, აღრიდგენე ზედაზენეს მსგავსებას ფენიქსსა და ქრისტეს შორის. I საუკუნის ბოლოს კლიმენტი რომაელმა მითი ფენიქსის შესახებ მიირნია ქრისტეს და ყველა ქრისტიანის აღდგომის სარწმუნო ნიშნად. ერთი საუკუნის შემდეგ ტერტულიანე თავის ტრაქტატში მიცვალებულთა აღდგომის შესახებ, კიდევ უფრო აფართოებებს ამ შეხედულებას. მასში ზედვეს განადგურების იმედს ის ფენიქსელის მაგალითზე. რომელიც თვითონ განალდება, ზეიმობს რა თავის დაკრძალვას.

ფენიქსის ლეგენდა ქრისტიანულ-თეოლოგიური კომენტარის დართვით, შეტანილია იმავე „ფენომენოლოგიაში", ორბის ლეგენდის გვერდით. ამ შემთხვევაში მოკიეკანო ფენიქსის ლეგენდის ფრაგმენტი: „უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან თქუა: „მიფალ გუამი ჩემი დადებად, მაფლეს მერე ადგმდ იგი" (ი. 10, 18). ბუერანი კრთებოდეს სიტყუანა მას.

არს მფრინველი რაჲმე მანდოა, სახელი ბრჭკენ მას ფ ი ნ ი ქ ს. მ ე ხ უ თ ა ს ი ნ წლით მოვიდის ხეთა ლიბანისათა და აღიფსნის ფრთენი თჳსნი საკუთეველითა. და მოვიდოს არეგდ ქალაქად თოუესა მიჰპრკანისასა ვინათუ ვარდიისასა და აუწყის კურუმსა მას ბაგინისასა..."

ამას მოყვება ოხრობა ფრინველის მიერ საკუთარი ნებით თავის დაწვის შესახებ. კოცონს ამისათვის საგანგებოდ ამზადებს ჭურუმი. მეორე დღეს ნაცარში ნაპოვნი ბატლი ძალიან მალე ღებულობს ფენიქსის სახეს და უკან მიფრინავს სამშობლოში.

„ფენომენოლოგიაში" მასალა ორბისა და არწიელ წესახეს კომპოზიციურად ერთნაირად არის აგებული. გასამარტავ ბიბლიურ მეხლს. უშეალოდ მისდევს ლეგენდა, ლეგენდას კ ქრისტიანულ-თეოლოგიური კომენტარი, ამგვარად, არსებობს ორი ლეგენდა: ერთი, რომელშიც განაღლება წყარის წყალსა და მზასთვალს უკავშირდება, მეორე, კოცონია და ფენიქსისთვის დამახასიათებელი სხვა ატრიბუტებით.

ჩვენს მიერ განხილული მასალიდან ყველაზე საინტერესოდ მოგვანია ბიბლიის უბადლო მცოდნის სულხან საბა ორბელიანის კომენტარები.

ხაბა იცნობს ფენიქსის ლეგენდას: „ფ ი ნ ი ქ ი ი (ფრინ.) იტყვიან ამ ფრინველსა: რა დაბერდება, შეშას შეკრებსო და ზედ ჯდომით მუნამდე უბერავს, ცეცხლი აღიდგას და დაიწვას, ხოლო ნაცარა მისთა შინა არს რამე, რომელი მზისა სიცხისაგან მაგლ იქნებისო და აღიზრდების და იგივე ფრინველი აღორძინებისსო".

ქართველებმა IX საუკუნიდან (შესაძლოა უფრო ადრეც) ნამდვილად იცოდნენ, რომ მითიური ფენიქსი 500 წელიწადში ერთხელ იბრუნებს ახალგაზრდობას. შეუძლებელია ეს არ სცოდნოდა ხასულიერო ლიტერატურაში ისე ღრმად განსწავლულ პიროვნებას, როგორიც იყო ხაბა. მაგ რატომ დუმს იგი ამის შესახებ ჩვენს მიერ ზემომოყვანილ კომენტარში? უფრო მეტიც, ამ ოვისებას იგი სრულიად სხვა ფრინველს, არწივს მიაწერს და როგორც ჩანს არცთუ უსაფუძვლოდ.

„ა რ წ ი ვ ი (ფრინ.) ამისასა იტყვიან მეხუთ ა ს ი ს ა წელსა გ ა ნ ჭ ა ბ ე ქ ა ნ ა, სიმალლით ალერით რამოჭრასა და წყალთა შთავარდნით გაბანლებასა, წყლის პირას მებუდრობს თევზის ჭამისთვის, ბოლო თეორი აქვს ნინა ერძო."

არწივის დახასიათებისას ხაბა ბიბლიის შემდეგ თავებს ეყრდნობა: ფს. 102,5 და გამოს. 19,4. ხაბას არ მიაჩნია, რომ ფენიქსი გაორდა და არწივის სახით ფსალმუნში დამოუკიდებელი სიცოცხლე გააგრძელა. მისთვის, ისევე როგორც „ფიზიოლოგის" ავტორისათვის, არწივი და ფენიქსი სხვადასხვა ფრინველებია. ამიტომ ხაბას მიერ დახასიათებული არწივი, რომელიც 500 წელიწადში ერთხელ „განბანდება", წყლის პირას ცხოვრობს და თევზებით იკვებება, ბუნებაში არ არსებობს და მით უფრო არაფერი აქვს საერთო იმ ფრინველთან, რომელსაც დღეს ჩვენ არწივს ვუწოდებთ. ფენიქსია ერთადერთი მითიური ფრინველი, რომელიც 500 წელიწადში ერთხელ იბრუნებს ახალგაზრდობას. ფენიქსია სწორედ ის ყანჩა, რომელიც მისი ლეგენდის პირველ სტადიაზე ნილოსის ... ცხოვრობდა და თევზებით ... ბას მიერ ჩამოთვლილი არწივის ... ბები ფრინველთაგან მხოლოდ ფენიქსს შეიძლება მივაწეროთ. არწივის დახასიათებისას ხაბა ჩვენთვის უცნობ, შეტად ხარშუნო მასალაზე დაყრდნობით უნებურად მიგვანიშნებს ინას, რომ არწივი სწორედ ფენიქსი იგულისხმება, რის შესახებაც ვარაუდი ევროპელმა მეცნიერებმა მხოლოდ XX საუკუნეში გამოთქვეს. სწორედ არწივის ხასხეულ განმარტებაში გაეთნა ფენიქსის ღამახასიათებელმა ძირითადმა ნიშან-თვისებამ, რაც 500 წელიწადში ერთხელ მის ხასხეულებრივ განახლებაში მდგომარეობს.

ხაბას კომენტარი განსაცვიფრებელია. ფენიქსის მითმა საუკუნეთა მანძილზე დიდი მეტამორფოზა განიცადა. ქალბრიობას უხსოვარი დროიდან(უკვე ჰეროდოტეს დრის) აღარ ახსოვდა ციხეური ყანჩა, რომლის ფერადი გამოსახულებანი შემოგვრჩენია სამარხებში დაცულნი ეგვიპტეს პაპირუსებმა. მაგ ხაიდან ამოტეტვეოდა ხაბას კომენტარში საუკუნეების მიღმა მივიწყებული ისტორია?

ხაბა იცნობს ნამდვილ არწივსაც. მხოლოდ სხვა სახელით: „ფსოი (ფრინ.) ესე არს, რომელსა აწ მსოფლიონი ა რ წ ი ვ ს უწოდებენ, რომელსა ბოლო წერილსა შინა აქვს და უკანა ერძთ — თეორი, რომელი ეკუსა აღიტაცებს და ჰაერით გაჰო ელდეს დასცემს და რა განიპყრა, ჭამს".

ამ განმარტების მიხედვით ირკვევა, რომ არსებობს კიდევ სხვა ფრინველი, რომელსაც „მსოფლიონი" ე. ი. ნაერი პირები არწივს უწოდებენ და რომელიც ბიბლიური არწივისაგან განსხვავდება.

ასე წარმოგვიდგება ჩვენ ორმ-არწივ-ფენიქსის ისტორია. ისტორია ლეგენდა ფრინველისა, რომელიც სიცოცხლეს იწყებს პირამიდების ქვეყანაში, შესაძლოა პირამიდებზე ადრეც და არსებობას აგრძელებს დღეს. XX საუკუნის ქართულ პოეზიაში.

ᲩᲝᲒᲐ ᲠᲐᲛ „ᲪᲘᲪᲙᲠᲘᲡ“ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲖᲔ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲙᲐᲕᲗᲐᲜᲘᲠᲘᲫᲔ დაიბადა 1951 წ. ქ. თბილისში. 1971 წ. დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი. ამჟამად იუშობს ზოთა რუსთაველის სახ. ლიტერატურის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად.

მისი წერილები სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა ალმანახებში „კრიტიკა“ და „გენთიადი“.

„ცისკარში“ იბეჭდება პირველად.

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲐᲠᲐᲑᲨᲕᲘᲚᲘ დაიბადა 1953 წ. ᲒᲐᲖᲘᲒᲣᲚ რ-ნის სოფ. ᲯᲣᲗᲐᲨᲘ. 1976 წ. დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი, ამჟამად მუშაობს ზოთა რუსთაველის სახ. ლიტერატურის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად.

მისი წერილები ხშირად ქვეყნდება რესპუბლიკის ᲙᲣᲠᲜᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲨᲘ.

ᲞᲝᲜᲮᲚᲐᲜᲐᲫᲘᲜᲘ ᲐᲛᲘᲠᲘᲫᲘ დაიბადა ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲡ რაიონში, სოფელ ამირიში; დაამთავრა პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი. პირველი ლექსები გამოქვეყნა 1966 წელს, ხოლო მისი პირველი წიგნი გამოვიდა 1979 წელს.

ამჟამად მუშაობს მხატვრული თარგმანის მთავარ სარედაქციო კოლეგიაში.

ᲜᲘᲜᲝ ᲭᲘᲯᲐᲕᲐ დაიბადა ქ. თბილისში. 1947 წ. დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი. ამჟამად მუშაობს კ. ᲙᲔᲙᲔᲚᲘᲫᲘᲡ სახ. ᲑᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲗᲐ ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად.

1973 წლიდან აქვეყნებს წერილებს.

„ცისკარში“ იბეჭდება პირველად.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2.

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ: მთავარი რედაქტორი — 99-85-81. მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-32, პასუხისმგებელი მდივანი 72-43-75, მდივანი — 72-44-78, ჯანყოფილებათა გამგეები — 72-26-35, პროზის — 72-26-30, „ცისკრის“ დამატება — 72-17-01, ხაკორეკტორო — 72-47-62.

გადაეცა ასაწყობად 13. 09. 83 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 19. 10. 83 წ., ქაღალდის ზომა 70×108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 11. სააღრ.-საგ. თანხა 15.85. შეკვ. № 2152. უᲒ 08341. ტირაჟი 56.700.

საქართველოს კპ ᲪᲙ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ᲓᲦᲔᲠᲘᲫᲘᲡ 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

Б 7/193

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ.

შეკვეთა 76286

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ